ეროვნული ბიბლიოთეკა

სისტემა 9

სექტემბერი 1965



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგარიტა ლონგისა და ჟან ტიბოს პრემიის laureატი ლიანა ისაკაძე

ფოტო ოთარ თურქიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

შინაარსი

პოეზია

ტაგუ მეგურიშვილი — ლექსები 42
მედეა კახიძე — ლექსები 62

პროზა

გიორგი ნატროშვილი — თეთრი ხნული. მოთხრობა 3
ჯემალ ქარჩხაძე — სასწაული. მოთხრობა 44
ნოდარ კეკელიძე — სინანული. მოთხრობა 64
ლევ შეინინი — გახვრეტილი დინარები. მოთხრობა. თარგმანი გურამ გვერდწითელისა 70

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

აკაკი გაჟრაძე — ტრაგიკულთან მიახლოება. 92
ოტი პაპკორია—დიდი ლიტერატურა პატარებისათვის 98

9

სექტემბერი

1965

გამომცემლობა
„ლიტერატურა და ხელოვნება"

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-კულტურული
ჟურნალი

საქართველოს ალკა ც. კ-ნა და
მწერალთა კავშირის ორგანო

ვახტანგ ჟვანია — ვაჟა ფშველა — ადათობრივი სამართლის მკვლევარი 107

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

რუსთაველის ნაკვალევზე

ნოდარ ფოფიაშვილი—XII—XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი 114

●

ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ

ემზარ კვიტაიშვილი — ადამიანი სახელს არქმევს მდინარეს 152

●

სპორტი

გურამ ფანჯიკიძე—ბრაზილიის დიდი გუნდი 156

●

ყოველი მხრიდან 41

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭანიძე, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მოთხრობა

ზვილიზვილი

ვიანი საღამოა. ტელევიზორს მარტო მოხუცი სულხანი და მისი შვილიშვილი ჯუნი უსხედან.

— ეს ჰოკეია, შაიბიანი ჰოკეი! — უსხნის მოხუცს პატარა ბიჭი.

— ვიცი, — ამბობს სულხანი, — ოდესღაც მეც მითამაშნია.

ბიჭმა გაოცებით შეხედა ბერიკაცს, ხუმრობს თუ არაო. არა, არ ეღიმება პაპას. რამდენი რამ უამბნია, ამაზე კი ჯერ ხმა არ ამოუღია. ამიტომ ეგონა ჯუნის — სად რა ნაბიჯი გადაუდგამს მოხუცს, ყველაფერი ვიციო. მართლაც იცოდა, იცოდა, რომ მთელი სიცოცხლე მესტამბე იყო პაპა, ქართულ ანბანს ჩასცქეროდა, მრავალ ათეულ უჯრაში ჩალაგებულს და განაწილებულს, — ისე ნაცნობს, სინათლეც რომ ჩამქრალიყო, ბნელში მოძებნიდა, ზეპირად იცოდა, სად ეწყო ანი და სად ზენი, მოძებნიდა ტყვიის იმ პატარა ნამცეცებს და სიტყვად აქცევდა, წიგნად, „დედაენად“, მთელი ქვეყნის სიხარულად. რა ხანია უკვე პენსიაზეა ბერიკაცი და მაინც აქამდე იმ სტამბიდან გამოყოლილი სუნი ასდის მის პალტოსა და კოსტუმს. ეს ეთილისა და ტყვიის სუნიაო, უთხრა პაპამ; ჰეი, რა გრძელი გზა გაუვლია ბერიკაცს ამ ქვეყანაზე, სად არ ყოფილა, საით არ გადაუგდია ბედს. ციმბირიც უნახავს და ტუსაღის ფარაჯაც სცმია, მერე პირველი ომის დროს ჯარისკაცის ფარაჯა ჩაუცმევიათ. ვინ მოსთვლის, რამდენი ღამე გაუთევია კარპატებში გაჭრილ სანგრებშიც, სუვოლკის ჭაობების წყალიც დაულევია, მაგრამ მუდამ ისევ იმ უჯრებთან დაბრუნებულა. ვერაფერმა გაპყარა ერთმანეთს ის და ქართული ანბანი. სულ პატარა ბიჭი იყო, შეგირდი იყო და მას ევლებოდა თავს, მერე ოსტატიც გახდა, მერე საამქროც ებარა, მერე მთელი სტამბა ჩააბარეს, ათასი მანქანა რომ ბრუნავს და ბუბუნებს — სულ მისი მორჩილნი იყვნენ. და მუდამ კერასავით, საკუთარი ოჯახივით ახლობელი იყო იქაურობა. დღეს იქ აღამებდა და ბევრჯერ ღამესაც იქ ათენებდა.

ყველაფერი ეს იცის ჯუნიმ, მაგრამ ეს ჰოკეი საიდან სადაო?

— სადა თამაშობდით? — ეუკვით ეკითხება ბიჭი.

— სოფელში... უუუ, როდის იყო ეს, იცი? მაშინ შენოდენა არც კი ვიყავი.

— სოფელში? — უკვირს ჯუნის, — მერედა ყინული სადა გქონდათ?

— ყინულიც უნდა?

— მაშ რა? — გაიცინა ბიჭმა, — ვერა ხედავ? — ჯუნი ახლა ეკრანს მიაჩერდა, — აგერ, სრიალით რომ წამოვიდა ყინულზე, ეგ ჩეხების პირველი ბომბარდირია, იოზეფ ჩაპლა... დახე, გაიტანა შაიბა!

— ბალახიანი ჰოკეი არ გაგიგონია, ჯუნი? — ესმის ბავშვს მამის ხმა მეორე ოთახიდან. გურამი რაღაც ქაღალდებს უზის, მაგრამ ეტყობა ამათი ლაპარაკიც ესმის — პაპაც და შვილიშვილიც ფიცები გულშემატკივრები არიან.

— ჩვენ ბალახზე კი არა, გზაზე ვთამაშობდით, — განაგრძობს პაპა, — ზამოუბნისა და ქვემოუბნის ბიჭები... ერთი კარი მთავარანგელოზის საყდართან იყო, მეორე — სასოფლო დინგასთან, იქ აუარებელი ხალხი იყრიდა თავს. მანძილი საკმაოდ გრძელი იყო, მაგრამ ჩვენც ბევრნი ვიყავით.

— ეგ რა ჰოკეია! — არ უთმობს ბიჭი.

— ჩვენ კი მოგვწონდა და... აი, მაგ შაიბას კოჭურას ვეძახოდით, აი იმ ჯოხს — ხაჩას, გუნდის კაპიტანს — დედა ერქვა, მოთამაშეებს — შვილები, კარს — ბინას ვეძახოდით. კოჭურას რომ გაიტანდნენ — დავიწვითო, უნდა დაგვეძახნა. თამაში კი არა, ომი იყო. ურემი ვეღარ აივლიდა ხოლმე, ცხენსანიც გზას დაადგებდა და ბილიკზე გადადიოდა.

— დაიძინეთ, — ისმის ისევ გურამის ხმა, — მაგ საკითხს ახლა ვერ გადასწყვეტთ... კამათი გაზეთში გადაიტანეთ... ჯერ პაპამ დაწეროს — „ჰოკეის საწყისები ქართული წარმართული მითოლოგიის შუქზე“, მერე შვილიშვილი გამოეხმაუროს — „კოჭურა თუ შაიბა“, ასეთი სათაური მიეცი, ჯუნი! თქვენ წერეთ და დაბეჭდვა ჩვენზე იყოს.

ეკრანზე თამაში დაიძაბა, სულ ერთ-რო მძაფრად ისმოდა ჯოხების ჭანჭიხი, და გურამის ხუმრობისაკენ ... პაპასა და არც შვილიშვილს ყურადღება აღარ მიუქცევიათ.

— დაიძინეთ-მეთქი, — გამოსძახა ისევ გურამმა.

— მოიცა, მამი, ჩეხებმა ძალიან მწარედ შეუტიეს კანადას, — გაეძრახა ბიჭი.

ჰოკეის თამაში რომ დამთავრდა, დიქტორმა ამინდზე დაიწყო ლაპარაკი და, როგორც კი თქვა, ხვალ ნაშუადღევს იწვიმებსო, ჯუნიმ მწარედ შემოიკრა თავში ხელი.

— რა იყო, ბიჭო? — ჰკითხა პაპამ შეშფოთებით.

— ვიღუპებით.

— წასასვლელი იყავი სადმე?

— არა, პაპაჯ, ხვალ ჩვენი ქუჩის ბედი წყდება.

— რაო, შენც ჰოკეის ხომ არ თამაშობ?

— არა, ყინული სადა გვაქვს, — დანანებით თქვა ბიჭმა, — ფეხბურთში ვეთამაშებით „მერცხლებს“.

— ამ ზამთარში?

— ეს რა ზამთარია! საცაა მიიწურება და ჯერ პალტო არა მცმია.

— ჰო, თოვლი ვერც წლეულს ვნახეთ.

— ნეტავი დედაჩემმა გაიგონა, წვიმა იქნებაო?

— არა მგონი.

— შენ არ წამოგიცდეს, პაპაჯ! თორემ ხვალ დილით დედა არ გამიშვებს. დიდმისაკენ უნდა წავიდეთ, შორს არისო მეტყვის და თანაც წვიმას მოიმიზეზებს.

— ნუ გეშინია, საიდან გაიგებს!

ჯუნიმ ტელევიზორი გამორთო და ორივენი დასაძინებლად წავიდნენ.

კვირა დილით არსად არ ეჩქარებოდათ და ამიტომ გვიან წამოიშალნენ. სასაუზმოდაც ჩვეულებრივზე უფრო გვიან დასხდნენ.

ეს რაღა უცნაური მოდა შემოიღეს — საუზმობენ და თან წიგნებში იცქირე-

ბიან. რაკიღა ხელს არ უცალიანთ, რაც სუფრაზე დაუნახავთ, წიგნის მისაყურდებლად გამოუყენებიათ. პაპას საშაქრეზე დაუდვია გაზეთი, ჩასცქერის და დროდადრო ავიწყდება, რომ ხელში ჩაის ჭიქა უჭირავს, გურამს ლარნაკი გადმოუღია კარადიდან და ზედ შუაზე გადაშლილი „მამაცი ჯარისკაცი შვეიკი“ მიუყუდებია, ჭამს და ხითხითებს, ზნირად ჩანგლით თავის თეფშს ვერ პოულობს და უადგილო ადგილას წაჰკრავს ხოლმე, ჯუნის პურის დიდ ნაჭერზე დაუყრდნია „მერსედეს კასტელიელი“... ვეღარ გაიგებ, სუფრაა თუ სამკითხველოს მაგიდა.

არც ნატო ბებოს მოსწონს ეს ამბავი და არც ნუნუს — ეს რაღა მასხრობაა, ნეტავ რა გემოს ატანთ საჭმელსო.

— აბა სცადე, ასე უფრო გემრიელია! — ურჩია ჯუნიმ დედას.

— გადაავდე ეგ წიგნი და დროზე დალიე ჩაი! — გაუწყრა ნუნუ.—უნდა წამომყვე. კოსტუმები შევათვალიერე გუშინ მაღაზიაში.

ჯუნიმ ცერად გახედა დედას — რა დროს კოსტუმია, ისიც დღეს, როცა... არა, ჯუნის მაღაზიებში სიარულისათვის არა სცალიან. მერე რამდენი თვალიერება და რჩევა-დაწუნება უყვარს დედას — ათჯერ მაინც ჩააცმევს და გახდის.

ვერა, ვერ წაპყვება.

როგორც კი დედა სამზარეულოში შებრუნდა, ჯუნიმ შეთქმულივით ჩაუკრა ნატო ბებოს თვალი, მერე ხელიკივით გაძვრა კარში და ეზოში ჩაიკარგა.

იქ კი მიდი და ეძებე!

ასეთი დიდი ეზო ალბათ არცერთ სახლს არ ექნება მთელ ქალაქში.

ჯერ მარტო გარაჟი ექვსი დგას, ერთი-მეორეზე მიკრული და ქოხებივით ჩაწკეპილიკებული; ეზოს სიღრმეში რაღაც კანტორაა და რა ჯურის ხალხი გინდა, იქ არ ირეოდეს: იმ კანტორის იქით საწყობებია დიდი მაღაზიისა, ფასადით ქუჩაში რომ გამოდის. დილიდანვე შემოგრიალდებიან პირამდე სავსე საბარგო მანქანები — ხან ყველი მოაქვთ, ხან მწნილეული, და დგას ეზოში ერთმანეთში არეული სურნელი მკვეთ ... ბოსტოსი და ლეღვისა, თუ ... ჩირისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ეზოს გოგო-ბიჭობა აქ იყრის თავს; დიდი ფეხბურთი აქ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ საწვრთნელი ვარჯიშების ჩატარება შეიძლება. ამიტომ აქ მუდამ ისეთი ჟრიამული დგას, ყურთასმენა აღარ არის.

ჯუნიმ ჩაათავა თუ არა კიბეები, კიდევ ერთი მანქანა შემოვიდა ეზოში.

— ჯუნი, ჯუნი! — გაისმა იმავე წუთს მესამე სართულის აივნიდან, ბიჭმა სცადა დამალულიყო, მაგრამ თავს მაინც ვერ უშველა. „დედა ვეძახის, ჯუნი“, მიაძახა ვიღაცამ და ის იძულებული გახდა, ისევ შესასვლელიასაკენ მობრუნებულიყო.

გაოფლიანებული ამოვარდა ბიჭი კიბეზე, მთელი ღონით დააწვა ზარის ღილს და თითი მანამდე არ აუშვა, ვიდრე დედამ კარი არ გაუღო. შემოვიდა ჯუნი და სტაცა დედამ საყელოში ხელი.

— სად გაიქეცი, მე რა გითხარი?

არა, ჯუნი ამას აღარ მოითმენს, ბიჭი უკვე თორმეტი წლისაა და დედას კი ისევ პატარა ჰგონია. ყოველ ნაბიჯს უთვლის დედა: ჰაი, იქ არ წახვიდე... ბაგასთან არ ითამაშო, ის ქუჩის ბიჭია... ფრანგული არ გააგდინო, მუსიკაზე არ დაიგვიანო, არ გაიიფლო, წვიმაში არ მოჰყვე... მზემ არ დაგაკრას! რა უნდა დამკრას ამ მზემ, კაცმა არ იცის. რა ამბავია ეს — სახლია თუ ციხე? არა, გეკითხები, ციხეა? — და ჯუნიმ ჯიქურად შეჰხედა დედას. ნუნუს ყველაზე მეტად ციხე ეწყინა — ბიჭმა ესეც მამისაგან ვადმოიღო. გაუტეხავ მამამისი, დაიკარგება და, საყვედურს რომ ეტყვი, ისიც ამ სიტყვას მოგახლის. ეგ კი არა, ერთხელ, ასეთი ჩხუბის დროს ნუნუმ ოცი ქმარს გახედა და შეამჩნია — გურამი თვალებით აქეზებდა ბიჭს. ახლაც ზის და ისე დინჯად ავსებს მელნით ავტოკალამს, ისეა გართული.

გიორგი ნატროშვილი
თეთრი ხნული

თითქოს აქ არაფერი ხდებოდეს. განა ხმას ამოიღებს, განა დაარიგებს ამ გადარეულ ბიჭს.

ამან უფრო გააბრაზა ნუნუ და ჯუნის მკცრად უთხრა:

— ახლავე ჩაიწყვიტე ხმა! დახე, რაები დამიწყო! ფეხსაც ვერ გადადგამ უჩემოდ.

— ვერა, ხომ, ვერ გადავდგამ? აბა, ახლა უყურე, — წამოგნთო ბიჭი, მამლაყინწასავით აიწურა და მერე მარჯვენა ფეხი ისე დაარტყა იატაკზე, მინებმა დაიზრიალეს — აჰა, თუ ვერ გადავდგამ, — ისევ მარცხენას მიაბჯინა და ისევ გადადგა წინ.

ნუნუს სიცილი აუტყდა, ნატო ბებომ კი ცერად გახედა რძალს და საყვედურით უთხრა:

— აი, ასე იცი შვილო! ჯერ გაუწყრები და მერე უცინი. ამის მერე რაღას გაგიგონებს.

— რა ვქნა, დედი! შეხედე ერთი, ნამდვილი მაიმუნია!

და მერე ისევ ჯუნის მიუბრუნდა:

— ჩაიცვი და წამომყე მაღაზიაში!..

— ვერ წამოვალ. საქმე მაქვს.

— რა საქმეა?

თქვას თუ არა თქვას? გაუწვევენ ანგარიშს? არა და იღუპება ყველაფერი, თორემ მაღაზიაში კი არა, ქვეყნის კიდემდე გაჰყვებოდა დედას. ახლა კი რა ქნას — ზუსტად თორმეტ საათზე დიღმის მინდორზე მიდიან ბიჭები... მთელი თვეა, ამ დღეს ელოდებიან... ბოდა, შეიძლება ცენტრალური თავდამსხმელი თამაშს არ დაესწროს? წინა თამაშზე გაგა მოედანზე მკლავმეხვეული გამოვიდა — ხელი ჰქონდა მოტეხილი და თაბაშირში ჩასმული, არტაშანით გამოვიდა, — ბინტებით, თაბაშირით... და ახლა არ წავიდეს? რას იტყვის გაგა, რას იტყვიან სხვა ბიჭები! დღეს კი გადამწყვეტი თამაში იმართება — გუნდები ფინალში ხვდებიან ერთი-მეორეს. ბოდა, რა პასუხი გასცეს ჯუნიმ ამხანაგებს — დედამ არ გამომიშვაო?

მაინც რა გახდა ეს ტანსაცმელი, რა სულ ამაზეა ჩხუბი!

— უჩემოდ ვერ იყიდი? — მავედრებელი თვალით შეხედა დედას.

— ვერ ვიყიდი! ეგ ქოჩორიც უნდა მოიშორო, ვინღა ატარებს ახლა?

ჯუნი გაუსხლტა. რა უცნაურია დედა, ახლა ქოჩორს გადასწვდა, ამოიჩემებს და მორჩა, ვეღარ გადაათქმევინებ, ოოჰ, რა გახარებულები იქნებიან „მერცხლები“, ჯუნის მოედანზე რომ ვერ დაინახავენ!

ბიჭმა ახლა სხვა ხერხი იხმარა — იქნებ მოფერებამ გასჭრას.

— დედა, იცი რა? იყიდე უჩემოდ! მომეწონება, დედას გეფიცები, მომეწონება.

— არა, ჯუნი, უნდა წამოხვიდე, რა ვიცი რა ზომა გინდა. გადავყარო ამდენი ფული და მერე...

— ზომა არ იცი? — და ჯუნი მამას მიუბრუნდა, — მამა, შენ რომ მეექვსე კლასში გადახვედი, რა ზომას გიყიდიდნენ ხოლმე?

— რა ზომას? აღარ მახსოვს. ბებიას ჰკითხე. მაგას უფრო ეხსომება, — ჩაიცინა გურამმა.

ჰო, მართლა, ბებოს უეჭველად ეხსომება, მასაც ხომ ჰყავდა პატარები — ჯუნის მამა, ახლა აქ რომ ზის, გაზეთს რომ კითხულობს და კიდევ ზაქრო ბიძია — ყირიმში, ნასირის ტბის პირას რომ მოჰკლეს გერმანელებმა.

ბიჭს თვალით უნახავი და მარტო ზღაპარივით გაგონილი ნასირის ტბა რომ გაახსენდა, უმაღ სიტყვა ჩაუწყდა. ასე ეგონა ფიქრში კი არა, ხმამაღლა ვთქვეო. ბებოსთან ეს სიტყვა არ უნდა ახსენო. არც ახსენებს. უცებ მოიშორა მტანჯველი ზმანება და მოხუცს ჰკითხა:

— ბებო, რა ზომას უყიდიდი ხოლმე?

— ბებო, ბიჭო, მე ძველებიანად ვუკერავდი. ზედ ბიჭებზე ავზომავდი ხოლმე.

დედამ ნიშნისმოგებით გაიღიმა: შეხედე, ზედ ბიჭებზეო!

და ის იყო, პაპას ოთახის კარი გაიღო... მოხუცი შემოსასვლელთან გაჩერდა და ყველას თვალი მოაელო. გურამი თავისთვის იჯდა და საქმეში არ ერეო-

და, ნატო ბებო სუფრას ალაგებდა, ნუნუ წასასვლელად ემზადებოდა, ბიჭი კი შუა ოთახში იდგა შეცბუნებული და სატირლად გამზადებული.

ჯუნის წუხანდელი საღამო გაახსენდა, შეხედა პაპას და მიშველეო, თვალებთა სთხოვა.

სულხანმა მორიდებით შეხედა რძალს, და ქალი მიხვდა, ახლა კი გაიტანდა ჯუნი თავისას, მოდი და მოხუცს უარი უთხარი.

— ნუნუ, დღეს მე მაპატიე, შვილო! წუხელ შემეხვეწა და მე დავპირდი — გაგიშვებ-მეთქი. სიტყვას ნუ გამატეხინებ.

ნუნუმ ხმა ვეღარ ამოიღო და ის-ღა შეძლო, მუქარით გაჰხედა სიხარულით აცმუკებულ ბიჭს, განა ვერ ხვდებოდა საით მიიჩქაროდა ჯუნი—ალბათ ისევ დიღომში, მოვა საღამოთი დაფლეთილი, დაკაწრული, მაგრამ ბედნიერი და ამაყი.

დედამ ხელი ჩაიქნია. მეტი გზა არ არის, ისევ ალალ-ბედზე უნდა უყიდოს. გაბრაზებულმა დასტაცა ჩანთას ხელი და კარებში გავარდა.

ჯუნიმ ისევ ეზოს მიაშურა, მამა თავის სამუშაოს ჩაუჯდა და ოთახში მარტო მოხუცები-ღა დარჩნენ.

— რათ გამოექომაგე?! — უსაყვედურა ნატომ პაპას, — ბიჭი ისეც დასაბმელია და შენ კიდევ...

— იტყვი, შენც... დასაბმელი კი არა,— მოხუცს ხმა გაუბზარა, — ის ბიჭი გამახსენდა. ასე მეგონა, ზაქრო შემომყურებს-მეთქი!

მოხუც ქალს სახე მოეღრუბლა... არ იცი, ბერიკაცო, რომ იმ ბიჭის ასე წარამარა ხსენება არ შეიძლება. თანაც. როცა დედას ელაპარაკები, ისე უნდა ილაპარაკო, როგორც ცოცხალზე იყოო, არ უნდა წამოგცდეს, არასწორით არ უნდა წამოგცდეს. იმიტომ, რომ ისევ ელის დედა, რა ვუყოთ, რომ ამდენ ხანს არა ჩანს. ხომ ამბობენ, აქ, ქალაქში კი არა, მაგრამ სადღაც, სოფელში, ვვილი ასე დაკარგული ჰყავდათ და ახლა ჩამოვიდაო, მეორეზე ამბობენ წერილი მოიწერაო. დადის ეს ხმები ხალხში და დედაც არ ტყდება, არ უნდა დაიჯეროს ზაქროს სიკვდილი და შინაურებიც ისე აჩვენებენ თავს, თითქოს მათაც არა სჯერათ.

წარამარა მაინც არ უნდა ახსენო... თუმცა სად გაეკცევი ფიქრს და ფიქრში ისევ ის ბიჭი უდგას თვალწინ:

— პატარაობაში ისიც ასეთი იყო. გახსოვს, ერთხელ წვიმაში ამოლუმპული რომ მოვიდა. ღვარი მოვარდნილიყო ქუჩაში, ბიჭებს ფიცრები გაედოთ და ხიდი გაეკეთებინათ. შენ მაშინ ძალიან გაუწყრი.

— ჰო, ჩვარივით ეკიდა ყველაფერი ზედ, ახალთახალი ხალათი დახეოდა...

— ერთხელ გოგოებს წახმარებოდა ქუჩაში, თავის კლასელებს... როგორ ეცემნათ, მოუკვდეს დედა! ჩავტაცე ხელი, მილიციაში მინდოდა წავსულიყავ. მომეძებნინებინა ის მხეცები! არაფრით არ წამოყვა.

— რაო, შეკრთა?

— არა, მე იმათ თვითონ გადავუხდიო.

— ამაყი ბიჭია, თავმოვწონე, — იყოო, ვერ ამბობს სულხანი, — იცი, იქაც, სტამბაშიც რა ხშირად ახსენებენ? შემომეხვევიან ხოლმე ბიჭები, იმისი ტოლები...

თითქოს ცოცხალი იყო ზაქრო, თითქოს ზეთთი იყო სადღაც გასული და საცაა შემობრუნდებოდა.

ᲥᲐᲛᲘᲨ-ᲒᲣᲠᲣᲜᲘ

იმ ოთახში, სადაც პაპა სულხანს სძინავს, კედელზე ჯარისაკაცის სურათი ჰკიდია. შეხედავ და თვალს ვეღარ მოსწყვეტ—მხედრული ქუდი, პილოტურას რომ ეძახიან. თუშური ქუდივით კოხტად მოუგდია გვერდზე და ანცურად იღიმება; თვალსაც იმიტომ ვერ აცილებ,

---

გიორგი ნატროშვილი
თეთრი ხნული

რომ შენ გიღიმის და ასე გგონია, რაღაც კვიმატი რამ უნდა გითხრას. ვერ იცნობ ამ ჯარისკაცს, მაგრამ რატომღაც გეჩვენება, რომ ათასჯერ შეგხვედრია, ქუჩაში გინახავს, სუფრასთან მჯდარა შენს გვერდით, უმხიარულნია, უცინია... რა ვიცი, ვერც მიხვდები, რად გიცქერის ასე ახლობელივით ეს უცნობი მხედარი. იქნებ მართლაც გინახავს და ან იმ პილოტურასა და ხაკის ხალათში ვეღარ გიცვნია.

ეს ჯარისკაცი — ზაქროა, უფროსი შვილი პაპასი, მაგრამ ჯუნის ის არასოდეს არ უნახავს.

იმ კვირა საღამოს, დიღმდან რომ დაბრუნდა, ბიჭმა დიდხანს უტრიალა პაპას ოთახს. შესვლა უნდოდა, ათასი რამ ჰქონდა მოსაყოლი, იმდღევანდელ თამაშზე, „მერცხლები“ რომ დაამარცხა მათმა გუნდმა და მათ კარში ერთადერთი ბურთი თვითონ ჯუნიმ გაიტანა. პაპა კი ჩაკეტილა და არ გამოდის. ბიჭი ისევ მის კართან აიტუზა და ის იყო შესვლას აპირებდა, უცებ გაუჩერდა ფეხი — ოთახიდან ლაპარაკი მოესმა, „ეტყობა სტუმარი ჰყოლია“, გაიფიქრა და ფეხი შეაჩერა. ყური მიუგდო და ლაპარაკი კი არა, ჩუმი კვნესა გაიგონა:

— ზაქრო, ბიჭო, ზაქროო!—არა, კი არ ესაუბრებოდა, ეძახოდა პაპა.

უფრო მეტად გაოცდა ბიჭი, როცა ჭუჭრუტანაში შეიხედა და დაინახა, რომ პაპა მარტო იყო.

შეკრთა ჯუნი და ჩუმად, ფეხაკრეფით გამობრუნდა უკან. მაინც ძალიან გვიან იყო და დედა გაუწყრა კიდეც — რატომ აქამდე არა გძინავსო.

ბერიკაცმა კიდევ ერთ ხანს იბორგა, იწრიალა ოთხში, მერე დაქანცული მიწვა ლოგინზე.

ბურანში მყოფ მოხუცს უცებ ჩაესმა, რომ ვიღაც ამოდიოდა კიბეზე. შუალამე გადასული იყო, ყველა სართულს ეძინა, ყველა მომსვლელი მოსული იყო და ყველა სტუმარი — წასული. და ამ სიჩუმეში უფრო მკაფიოდ ისმოდა კიბეზე ამომავლის ფეხის ხმა. „ნამდვილად ზაქროა“, — გაიფიქრა ბერიკაცმა, ამხანაგებში შეაგვიანდებოდა, შეუხვდნენ სადმე. ხელგაშლილი ბიჭი[illegible] ჯავი, ეპატიება, ჯელელა, იარო, „გული გაიხაროს. აჰა, ახლაც როგორ დაიგვიანა, ვახშმიც ჩასაწრეს და მთელ სახლსაც უკვე სძინავს. რა უშავს მერე — ლხინში იქნებოდა, მშიერს ხომ არ გამოუშვებდნენ. ჰო, მართლა ზაქრო ყოფილა, შემოაღო კარი და ოთახში შემოვიდა. ხმა არ ამოუღია, ისე გიიხადა კოსტუმი და სკამზე გადაჰკიდა. სულხანი წამოდგა და უცებ შეამჩნია, რომ შვილს ქათქათა აბრეშუმის პერანგი, დღეს ღილით რომ ჩაიცვა, მკერდზე წითლად დალაქული ჰქონდა. დახეთ, ახალთახალი პერანგი გაუფუფუჭებია, აღარ ჩაიცმევა. აკვირდება მამა და ხედავს, რომ ის ლაქა ღვინისა კი არა, ვაიმე, სისხლისაა. და ის პატარა, შავი წერტილი მკერდზე, პაპიროსის ცეცხლით კი არ არის ამომწვარი, ნატყვიარია.

გაშეშდა ბერიკაცი, ბიჭს ვეღარც კი ხედავს, მარტო იმ ნატყვიარს დასჩერებია და ძლივსღა ბუტბუტებს:

— დახე, სად დაუმიზნებია ის ძაღლიშვილს... შიგ გულში მოუხვედრებია!

— ჰოო, მამი, — ამბობს ზაქრო და ამომწვარ ხალათზე ახლაღა იფარებს ხელს, — მაინც დაინახე, შეამჩნიე? არ მინდოდა, გენახა! მთელი ჯერი მომაყარა გულში, ავტომატით... ვერ მოვასწარ, თოფს ვეღარ დავწვედი, ხელი თავისუფალი არა მქონდა. გახსოვს შრიფტი რომ გამატანე, ის უნდა გადამეყარა ტბაში. ჰოდა, მაშინ იხელთა დრო... იმავე წუთს წავიქეცი, თვალთ დამიბნელდა. ვეგდე აგრე უპატრონოდ, ტბის პირას. მერე, სამადლოდ დამმარხეს ყირიმელმა მეთევზეებმა.

ზაქრო ისევ გაჩუმდა, მოხუცი კი კვლავ ამომწვარ ხალათს ჩასჩერებია და ისევ ჩაესმის შვილის სიტყვები:

— იმიტომ ვეღარ განახე, მამი...

— მეც არ მიკვირდა?! ეს ბიჭი ხმას რატომ არ მაწვდის-მეთქი? რამდენი წელი გიცადე, შვილო? სათვალავიც კი ამერია!..

ბერიკაცი ისევ ნატყვიარს აკვირდება.

ველარ, ველარ მოუშორებია თვალი. ისევ ეს ტყვია, მთელი სიცოცხლე ხელში სჭერია ის ტიალი და მისი მტკრით სავსე აქვს ფილტვები, ფერიც იცის მისი და გემოც, მაგრამ ის ტყვია კეთილი იყო, კაცს არა ჰკლავდა. ჰკლავდა კი არა, თვალებს უხელდა, ქვეყანაზე გამოჰყავდა.

მას დასტრიალებდნენ თავს მამაც, შვილებიც... და სახლშიც მისი უცნაური, მქარე სუნი მოსდევდათ.

მერე დაიწყო ეს ომი. ცხრაასორმოცდაერთი წლის ზამთარი იყო, როცა სტამბაში უცნობი ოფიცერი მოვიდა, მაშინვე დირექტორი იკითხა, სულხანთან შეიყვანეს. ჩაიკეტეს კარი და დიდხანს ისაუბრეს. მთელ სტამბას უცემ მოედო ხმა: ის ოფიცერი ყირიმის ფრონტიდან ჩამოვიდაო.

— მე მეგონა, ჯარისკაცები სჭირდებიან-მეთქი, — უთხრა სულხანმა შვილს.

ზაქრომ გაკვირვებით გადმოხედა:

— აბა, ვინ? სწორედ რომ ჯარისკაცები სჭირდებოდა!

— არა, ბიჭო, არ გახსოვს? მაშინვე შრიფტის თვალიერება დაიწყეს. მერე მკითხა — ყველაზე კარგი ასოთამწყობები რომლები არიანო!

— შენ მაშინვე ჩემკენ გამოგექცა თვალი, მამი!

— ჩემზე კარგა ვინ იცოდა, ვის რა შეეძლო?

— შენ რაღაც მანიშნე თვალით. მე მიგიხვდი და აღარაფერი გკითხე. დროც აღარ იყო.

ბერიკაცმა ისევ ამოიოხრა:

— რაო, მამი, ხომ არ ნანობ? — ჩაჰკითხა ზაქრომ.

— არ ნანობო? მაშ, შენა გგონია, აგრე ადვილი იყო შენი გადაგდება იმ ცეცხლსა და ჯოჯოხეთში?

მოხუცი კანკალებს, ეცოდება ზაქროს თავისი ბებერი მამა, ეცოდება და უნდა სანუგეშო რამ უთხრას, შეჰყურებს მამას და უნდა, რომ გაამხნეოს:

— გახსოვს, მამი, შენ ერთხელ ილიაზე მიამბობდი... გაზეთი რომ აუტანე, შენი შეგირდობისას... გაიხსენე, რა გითხრა?

— მახსოვს!

— ჰოდა, მამი, ჩემი საგუშაგო ადგილი იქ იყო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზაქროს თვალებში ისევ ის ნაპერწკლები ელვავენ, როგორც იმ სურათზე. კედელზე რომ ჰკიდია.

— ვიცი, განა არ ვიცი, მაგრამ რომ ველარ გნახე, ჭიშკარი რომ გაიხურეთ, მერე შენი აღარა გამგია-რა...

— აბა, საიდანღა გაიგებდი. წავედით და წავედით. ეგ იყო და ეგ... უზიანოდ ვატარეთ მთელი ქონება — შრიფტიც, ქაღალდიც. საბეჭდი დაზგაც. სამ დღეში ჩვენი მანქანები თემრიუკში იყვნენ. იმ წყეულ ზამთარში ქერჩის სრუტე ისე იყო გაყინული, მანქანები პირდაპირ გადადიოდნენ წყალზე. ყამიშ-ბურუნი გაგონილი გექნებიან?!

— ჰმ... — ჩაიგმინა მოხუცმა, — გაგონილი, იტყვი შენცა... ნეტავ, მართლა, გაგონილიც არა მქონდეს!

— მიიცა, მამი, ხომ არ დაგავიწყდა, რომ ჯარისკაცი ხშირად შინ ველარ მოდის... სამოდამოდ ჩარიცხაკენ ხოლმე იქ. უვადო სამსახურში.

— მესმის, შვილო!

— ჰოდა, მაშ, რათ გამაწყვეტინე. გადავედით ყამიშ-ბურუნში, და იქ. მართლა, ჭედვა იყო. ძალზე ვიწრო ზოლი იყო გასასვლელი. ჰოი, ისეთი ჭედვა იყო, ენით არ აიწერება. ფრონტისაკენ მიდიოდა არტილერია, ნაღმსატყორცნები, მიდიოდა ქვეითი და ცხენოსანი, ჯარი, თანაც ხშირ-ხშირად მოფრინდებოდნენ ხოლმე მტრის თვითმფრინავები, იყო ერთი ვაივაგლახი, ერთი აურზაური, ერთი-მეორისა არავის ესმოდა-რა. ზოგი ურიგოდ მიდიოდა წინ. ვისაც როგორ შეეძლო. იმ ვიწრო ზოლის დასაწყისთან მესანგრეთა კაპიტანი იდგა და ამ ქაოსში წესრიგის დამყარებას ლამობდა.

ერთ ხანს ვდგავართ და ვიცდით. ველარ მოვითმინე და შიფერს ვუთხარი:

— ბიჭო, გაძვერი წინ როგორმე-მეთქი.

გიორგი ნატროშვილი
თეთრი ხნული

— სდექ, გადააყენე გვერდზე! — გადაუდგა წინ მესანგრეთა კაპიტანი, წესრიგს რომ იცავდა. ჩვენმა შოფერმა ვითომ ვერც გაიგონა ეს სიტყვები და ვითომ ვერც კაპიტანი დაინახა. კაპიტანმა შეამჩნია ეს და გაბრაზდა:

— შენ, რაო? — მექარით უთხრა შოფერს, — სადა გგონია შენი თავი? საჯარიმო ბატალიონი ხომ არ მოგენატრა?

შოფერმა დაამუხრუჭა და მე შემომხედა, გადმოვედი და კაპიტანს წინ დავუდექი.

— ამხანაგო კაპიტანო! უნდა გაგვატარო-მეთქი, ვუთხარი.

ისევ ის ანცური ნაპერწკლები ელავენ ზაქროს თვალებში. რაღაც უხარია სულხანსაც — ყოჩაღ, ბიჭო, ვიცოდი, აგრე იქნებოდა, ვიცოდი, არსად დაიკარგებოდი, შვილო!

— გაკვირვებული მიყურებს კაპიტანი. ფიქრობს, ვინ არის ეს მეტიჩარა სერჟანტი, რას ეჩრება, ან რა მიაქვს ასეთი, რომ კისრისტეხით მიიკლავს თავს და ქვემეხებზზე წინ გაძრომას აპირებსო!

— ისევ შემათვალიერა, მამი, აი, როგორც ახლა შენ მიყურებ. შემათვალიერა და მკითხა:

— რაშია საქმე? რა მანქანებია ეს?

— ძალიან საიდუმლო და საჭირო ტვირთია, ამხანაგო კაპიტანო! — ვეუბნები.

მესანგრეთა კაპიტანმა უკვე ინტერესით შემომხედა და მკითხა:

— მაინც რა მიგაქვთ ასეთი!

მოდი ახლა და აუხსენი!

ამასობაში კაპიტანი მოახლოვდა, გადაბჯავა ბრეზენტი ჩვენს მანქანას, ჩაჰხედა შრიფტს, პატარა საბეჭდ დაზგას, ხომ გახსოვს ის „ამერიკანკები“ რომ წავიღეთ, მერე ხელის გულზე დაიყარა ეს ჩვენი ქართული ანბანი, დაჰხედა და გულიანად გაიცინა.

— შენ ძალიან ხუმარა ბიჭი ჰყოფილბარ, სერჟანტო! — მითხრა და მერე შოფერს მიუბრუნდა:

— აბა, გადააყენე გზიდან მანქანა!

სამხედრო წესი ხომ იცი, მამი, კაპიტანის ბრძანებას სერჟანტი როგორ დაარღვევს. შოფერმა მოღრიჭა საფე და ბოლოში მოექცა ქარავანს.

კაპიტანი ისევ იმ ქაოსში ჩაერია, რომ ოდნავ მაინც მოეწესრიგებინა იქაურობა, რიგ-რიგობით მიეცა გზა ყველასათვის, ვიდრე მტრის თვითმფრინავები შეგვამჩნევდნენ. საფრთხილო იყო, წამდაუწუმ ბომბავდნენ იქაურობას.

ვდგავართ და ვიცდით. მეტი რა გზა გვაქვს. ამასობაში იმ გასასვლელში მთელი პოლკები გავიდნენ. ხალვათობა რომ იგრძნო და ავმეც მოითავა, კაპიტანი ჩვენკენ წამოვიდა, თურმე არ დავვიწყებიბართ, შემოსატა ჩვენს მანქანას და შოფერს ასლაც უფროსივით უბრძანა — დასძარიო.

შოფერმა მოტორი ჩართო.

კაპიტანმა ღიმილით გადმომხედა, თვალებში მიცქერის, მაგრამ მე თვალს ვარიდებ, ამით მინდა ვუთხრა — უსამართლობა ჩაიდინე-მეთქი.

ის კი მაინც არ ისვენებს, უნდა, რომ ლაპარაკში გამომიწვიოს.

— მაშ, უამისობა არ იქნება, არა? — კითხულობს ის.

მის დაცინვას მეც იმავე იარაღით ვუხვდები.

— ამხანაგო კაპიტანო! სხვათა შორის, რაკი-ღა ასე ცნობისმოყვარე ყოფილხართ, იქნებ პეტეფის სახელიც გაგიგონიათ?

— ჰმ, — გაიცინა კაპიტანმა, — გემოთიც გაგვისინჯავს.

— მართლა? — ვუთხარი მე, — მაინც, როგორი იყო გემოთი?

— ეეხ, ბიჭო! — მითხრა მაშინ მესანგრეთა კაპიტანმა, — რას იჭმუხნი მაგ წარბებს, ზედ შუბლზევე გაწერია შენივე ბიოგრაფია. დასავლეთის ლიტერატურის უკაულტეტის რომელ კურსზე იყავ, როცა ეს ომი დაიწყო?

— არც რომელზე. უნივერსიტეტში შესვლაც ვერ მოვასწარ...

— მაშ, პეტეფი საიდან სადაო?

— ვერ მიხვდი, ამხანაგო კაპიტანო? შენ ხომ არ გაატარე ჩვენი მანქანა? პეტეფი გაატარებდა... არ დაგავიწყდეს,

ისიც შენსავით ოფიცერი იყო. ჰოდა, ყველაზე წინ გაგიშვებდა.

— რა ფიცხი კაცი ყოფილხარ, ქართველო! — მითხრა კაპიტანმა, — ვიცი, ბიჭო, წაკითხული მაქვს, ზეპირადაც მახსოვს: „ვიღუპებით, ან ერთი დივიზია მოგვაშველეთ, ანაც ერთი საბეჭდი დაზგა გამოგვიზავნეთ, რომ ლექსები დავბეჭდოთ და ჯარისკაცებს წავაკითხოთო!“

— ჰოდა, მეც ერთი დივიზია მიმყავს ფრონტზე, — მწყრალად ეუთხარი, — ამ მანქანაზეა ჩემი დივიზია... თუ ამას დაადგიანდა, ამხანაგო კაპიტანო...

— მე სტუდენტი მეგონე, ბიჭო!

— აკი გითხარი, სტუდენტობა ვერ მოვასწარი-მეთქი. მაგრამ პეტეფის თქვენ საიდანღა იცნობთ, ამხანაგო კაპიტანო?

კაპიტანმა ისევ გულიანად გაიცინა:

— ბიჭო, ვანა მე კი მესანგრედ დაკიბადე? მე კიევის უნივერსიტეტის ასპირანტი ვარ... მაგრამ პეტეფი მართლა გაგიშვებდა წინ... კარგი, რაც იყო, იყო. მოდი, ჯერ ეს ომი გავათაოთ, მერე ჩამოდი ჩვენთან, კიევში... მოიტანი ხელი... პრაქტიკულებს აღარ მოგკითხავ, დღევანდელს ჩაგითვლი.

შეერიგდით და ხელი ხელს დაკარით.

მერე, სადღაც, შუა გზაზე კაპიტანი გამოგვეთხოვა და მანქანიდან გადახტა.

— კიევში რაღას წახვალ, შვილო? — წუხს ბერიკაცი.

— ჰო, ვეღარ წავალ, — წუხს ზაქრო ბიჭიც, — აქაც, შენს სანახავად მოველ, მამი, ძალიან შემეცოდე.

— შესაცოდარი მე რა მაქვს, ბიჭო, მაშინ წინ რაღა უნდა თქვა, მიწაც არ გეღირსა აქაური...

— მიწა იქაც გრილია, მამი! მიწა ყველგან მიწაა, ტიალი... ტბის პირას ვმარხივარ... ძალიან ბევრნი ვართ, მამი... ოღონდ იქ ნუ ჩამოხვალ. საფლავს, სულ ერთია, ვერ იპოვნი...

ზაქრო ისევ ფიქრში მიდის. მერე გაახედავს მამას და ამაყად ამბობს:

— ჩავებით ომში... იმ ჩვენი ქართული ანბანით. უბით დაჰკონდათ ჩვენს ბიჭებს ჩვენი ფურცლები. მაგრამ ცუდი დრო იყო, მამი, გვიჭირდა. სასწორი ჯერ ისევ იმათ მხარეს იყო. ჰოდა, ერთხელ მტერმა ისე შემოგვიტია, გზას გადაგვეჭრიდა, რომ არ გამოგვეს წრო.

— შენ რომ ვერ გამოასწარ?

— იარაღი ვერ დავუტოვე მტერს. როცა ნასირის ტბაში შრიფტსა ვყრიდი, სწორედ იმ დროს მოცვივდნენ გერმანელები. ჯერ ვერ მიხვდნენ, რას ვაკეთებდი, მერე ერთი მესტამბე იმათშიც აღმოჩნდა და უთხრა თავისიანებს — შრიფტზე უთხრა, ეგ იარაღი ტყვიაზე მეტად სჭრისო. უცებ ვერც მიხვდნენ, მაგრამ ეს კი გაიგეს—იარაღს არ ვუთმობდი. ჰოდა, იმ მეავტომატემ, აი, პირდაპირ გულში მომაყარა.

სულხანმა ისევ ამოიწვავარ პერანგს დახედა და ამოიგმინა. აღარ უნდოდა დაენახა, დახუჭა თვალები.

თვალი რომ გაახილა, დაინახა — მზე ამოსულიყო, მეორე ოთახში ჯუნი ხმაურობდა, სკოლაში წასასვლელად ემზადებოდა.

კალოს მსხალი

ჯუნიმ კარი გაიხურა და კისრისტეხით დაეშვა კიბეებზე.

პაპას აქ, თავის ოთახში, მეოთხე სართულზე ესმის როგორ ჩარბის ბიჭი, ოთხ-ხუთ საფეხურზე ერთად ხტება... აჰა, მესამე სართულამდე ჩაადწია, ორი ნახტომიც და უკვე მეორეზეა, ცოტაც და სულ მიწყდება ფეხისხმა.

სულხანს კი აღარსაით არ ეჩქარება.

ამიტომ ასე დიამარტოხელებენ ხოლმე ფიქრები, მოერევიან და თავიანთ დაუსრულებელ გზაზე წაიყვანენ.

დაჰკავთ ამ ფიქრებს მოხუცი თავიანთ

ნებაზე. დრო იმათ არ იციან და მანძილი; უცებ, ერთ წამში, გადაახტებიან წლებს და ისევ პატარა ბიჭად გადაგაქცევენ, შესცქერი და ვეღარც შენი თავი გიცვნია, ვეღარც ქვეყანა, თითქოს ყველაფერი ეს სიზმარი იყო.

იქნებ სიზმარი იყო ისიც, სულხანმა საბარგო მანქანები რომ დატვირთა საბეჭდი დაზგებითა და ქაღალდით და ზაქრო-ბიჭს ყირიმში გაატანა, იქნებ სიზმარში მოვიდა ის წვიმაც, რამზეი ბონელოს წმინდა სახარება რომ წაუბერინა და დაუსველა?

დახეთ, სად წაიყვანა ფიქრმა...

რამდენი წლისაა ახლა ჯუნი, თორმეტისა, არა? სულხანი სწორედ ამ ხელა იყო მაშინ. არა, თორმეტის არც იყო, რომ დაობლდა და მეზობელმა თბილისში წამოიყვანა; ბევრი ატარა აქეთ-იქით, დუქნის ბიჭად გასაბარებლად ვერ გიამეტა, ეცოდებოდა—ცემით სულს ამოხდიანო, თანაც ბიჭმა წერა-კითხვა უკვე იცოდა და იქნებ შესაფერ ხელობაზე მივაბაროთო.

მიიკითხ-მოიკითხეს და ბოლოს საამკინძაო სახელოსნოს წააწყდნენ.

ფორნებით საიდანღაც მოჰქონდათ ამ სახელოსნოში ვეება, უკვე დაბეჭდილი ფართო ფურცლები. ჰკეცავდნენ იმ ფურცლებს, ჩამოსჭრიდნენ ნაპირებს, ძაფითა და ნემსით შეჰკერავდნენ, ყდაში ჩასვამდნენ, მერე ისევ ის მეფორნეები მოვიდოდნენ და სადღაც მიჰქონდათ გამზადებული წიგნები.

ნახევრად ბნელ სარდაფში, მთელ სიგრძეზე გაბმული იყო თასმები, რომლებიც მანქანებს ამოძრავებდნენ. დაზგებთან დახრილიყვნენ მუშები—ერთნი ტვიფრის ამოყვანით იყვნენ გართულნი, მეორენი სურათებს აწებებდნენ წიგნებში, მესამენი ჰკერავდნენ და დილიდან საღამომდე სარდაფში ისმოდა გაუთავებელი ხმაური, შრიალი და აურზაური.

უცნაური კაცი იყო ამ სახელოსნოს პატრონი. არავინ იცოდა, რა რჯულისა იყო, სახელიც უცხოური ჰქონდა და გვარიც, ეტყობოდა არც ერთი არ იყო ნამდვილი. იგი შორეთიდან გადმოხვეწილ იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, მთელ მსოფლიოს რომ მოსდეპოდნენ ფუღის საშოვნელად. ზოგი სად გადაეკიდა მოგების წყურვილს, ზოგი სად... ამ საუკუნის დასაწყისში საქართველოსაც ბლომად მოაწყდნენ ისინი—უფრო მდიდრები კონცესიებს იღებდნენ, შავი ზღვის ახლად გახსნილ პორტებში ტრიალებდნენ, ხე-ტყეს ეზიდებოდნენ ვემეზით, შედარებით ნაკლები ფულის პატრონები. ლიმონათის ქარხნებსა ხსნიდნენ, ანდა, აი, ასეთ სახელოსნოებს აწყობდნენ.

ასე გაჩნდა თბილისში რამზეი ბონელოს საამკინძაო სახელოსნოც.

ბონელო ცოლიანად იყო თბილისში ჩამოსული, ნაცნობ-მეგობრები ბევრი არავინა ჰყავდა, ხანდახან ფარმაცევტ ზემელს თუ ეტყუმრებოდა, ან აეტალელ მებაღეს—ლანგეს. ეს იყო და ეს. ისე კი, ნასიარულები კაცი ჩანდა, ქვეყანამოვლილი. ვინც უნდა შემოსულიყო სახელოსნოში — მის ენაზე დაელაპარაკებოდა. ერთხელ სპარსეთის კონსული რიზა-ხანი ჩამოვიდა სარდაფში, ომარ ხაიამის დაფურცვლილი რუბაიები ჩამოიტანა, ყდაში ჩამისვითო... შეჰყვნენ ლაპარაკს და რამზეიმ ისეთი სუფთა სპარსულით დაუწყო კონსულს ვაჭრობა, რომ მის აღტაცებას საზღვარი აღარა ჰქონდა. ეს რომ დაინახა, რამზეიმ ზეპირად წაუკითხა კონსულს ხაიამის ორიოდე ლექსი და კაცი კინაღამ გადარია, ვაჭრობაც აღარ დაუწყია და რაც სთხოვა ბონელომ, უმალ იქვე ჩაუთვალა. მეორეჯერ ვიღაც ინგლისელმა ბიბლია მოიტანა დასაკანონად და აქაც შესძლო ბონელომ მუშტარს მის ენაზე შეეაჭრებოდა.

ეტყობოდა ყველაფერი ენახა, ყველა ჯურისა და ხელობის კაცთან გაეტეხა პური. შეიცოდებდა გაჭირვებულ კაცს, რომ კეთილი სახელი ფულივით მოეხვეჭნა და მერე ის ფულიც ადვილად ეფლანგნა — აქაოდა სიკეთე ამაზე მეტი მაქვს დათესილიო.

თბილისში სახელოსნო რომ გახსნა, ერთი კი მიიხედ-მოიხედა და უმალ გადაწყვიტა, აქაური ქუდი დაეხურნა. სახელიც გადაეკეთებინა და გვარიც:

სახელოსნოს აბრა თავის ხელით დახატა და ზედ რამზეი ბონელოს მაგიერ წაეწერა — რამაზ ბონელიძე. ქართულ გვარს რომ დაინახავენ, მუშტარიც მეტი მომაწყდებაო. მაგრამ როცა ის აბრა ჩქარა დაუწუნეს — ქართულში მაგნაირი გვარი არ არისო, მაშინ აბრაზე ძე მოშალა, ისევ ბონელო მიაწერა, სახელი რამაზი კი შეინარჩუნა.

აი, ამ ბონელოს სახელოსნოში მოხვდა სულხანი, მაშინ თორმეტი წლისა არც იყო.

ბონელომ ისე მიიღო, თითქოს დიდი მადლი მოისხა. გამოჰკითხა ბიჭს ყველაფერი, შეწუხდა, როცა გაიგო ობოლი ყოფილაო, გამოსცადა კიდეც — რაღაც წაეკითხა და ქართულ ენაში რაღაც დაუწუნა კიდეც.

ბიჭი იმ სახელოსნოში ჯერჯერობით ხელზე მოსამსახურესავით ჰყავდათ, თუმცა ბონელომ ის ხაში შესულ ყდის ოსტატს სანდრო ძიას მიაბარა.

მაგრამ, გარდა იმისა, რომ წიგნის ყდაში ჩასმის ხელობა უნდა ესწავლა, ბიჭს კიდევ ერთი მოვალეობა ჰქონდა. ყოველ ორშაბათსა და ხუთშაბათს რამაზ ბონელოს ბაზარში უნდა წაჰყოლოდა ვეება კალათით; იქ იგი იყიდდა სანოვაგეს. დატვირთავდა ბიჭს და შინ გაატანდა.

ზაფხულის იმ დილას რამზეიმ დიდხანს უტრიალა დიდმელ გლეხკაცს, ბაზარში ახლად შემოსული კალოს მსხალი რომ ჰქონდა გამოტანილი; დიდმელს მუშტარი თვალში არ მოუვიდა და აგდებულად პასუხობდა. არჩევა რომ დაიწყო, ყველა მსხალი ისე გასინჯა, თითქოს რომელიმე შეიძლება ნამდვილი არ იყოსო. დიდმელმა შეუღრინა:

— რას არჩევ, შე უღმერთო! ამ დილით დაკვრიფე. რასა ჰთიხნნი და სათითაოდ ხელში ატრიალებ. თქვი და აგიწონი რამდენიც გინდა!

ბონელომ მსხლის პატრონი პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა. დიდმელს ეს უფრო მეტად ეწყინა:

— ძმობილო, შენ გელაპარაკები!

რამაზს ბევრი ღარ უფიქრია, მსხალი ააწონინა, მერე სათითაოდ დათვალა და სულხანს ჩანთაში ჩაუყარა, უთხრა, აქ მომიცადეო, და თვითონ იქვე, ბაზარში, სადაც წიწილებით სავსე ეალეები ეწყო ურმებზე.

— ეგ ვინ არის? — ჰკითხა დიდმელმა პატარა ბიჭს.

— ჩემი უფროსია!

— გაოლია, შენც, უფროსი! ვინ არისმეთქი, მედუქნეა?

— არა, წიგნებს აკეთებს.

— წიგნებს? — გაოცდა გლეხკაცი,— რას ამბობ, ბიჭო? მე კი რა ვიფიქრე. ღმერთო შეგცოდე... იმ მსხლის დათვლა რომ დაიწყო, ძალიან არ მომეწონა.

— დათვალოს რა? მაგისი მსხლის ხარბი ვინ არი?

— შენ მაინც გაფრთხილდი, შვილო! არ მიყვარს მაგნაირი ძალიან ანგარიშიანი კაცი.

— სხვას ვის უყვარს! ძია სანდროს ერთი სული აქვს, ნეტავი ეგ მაცემინაო.

— ძია სანდრო რომელია?

— არის ერთი... მუშაა ჩვენი.

— ბევრნი ხართ?

— ჰოო, — დაუქნია ბიჭმა თავი.

— ჰოო და, მოდი იმათ შაუღე... რაც აქა ვცდები, ამის ფასს რას მოვიგებ. წაუღე, რაც დამრჩა.

და დიდმელმა გლეხკაცმა რაც დარჩენილი მსხალი ჰქონდა, ბიჭს ტიტვეულა უბეში ჩაუყარა, ჯიბეებიც აუვსო— წაიღე ბიჭო, ხეზე მაქვს დაკრეფილი, ღვთის მოცემულია!

მალე რამზეიც მობრუნდა, ხელში ერთი-მეორეზე გადაბმული წიწილები ეჭირა, ისინიც ბიჭს გადაჰკიდა მხარზე, შინ გაგზავნა და თვითონ სახელოსნოსაკენ გაეშურა.

სულხანმა სანოვაგე რომ მიიტანა, დიასახლისმა ჩამოართვა და ბიჭი სამზარეულოში შეიყვანა, ჩაი დაუსხა და პურის ქერქები მოუტანა. პატარა იყო სულხანი და მაინც იუკადრისა, დიასახლისს არაფერი უთხრა. ჭიქას ხელი მოჰკიდა, კუთხეში გადააქცია, პურის

გიორგი ნატროშვილი
თეთრი ხნული

ქერქები ეზოში ძაღლებს გადაუყარა, ორი თითი ჩაიდო პირში, მაგრად დაუსტვინა, თითქოს გამოთხოვების ნიშნად და სახელოსნოსაკენ გაიქცა.

სახელოსნოში რომ მივიდა, დიდმელის ნაჩუქარი მსხლები ამოიღო და ყველას გაუნაწილა. პატრონმაც გამოიხედა, რა მხიარულება ატეხესო, და მსხალი რომ დაინახა, იმავე წუთს თავის კანტორაში შებრუნდა. ცოტა ხნის მერე ბიჭს კანტორაში დაუძახეს.

ბიჭი რომ შევიდა, უფროსს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ანიშნა, ახლოს მოდიო, სულხანი მიუახლოდა. იმან კი ჩახედა თვალებში, მერე ჩაავლო ყურში ხელი და ღონივრად მოსწია. უცქერის თვალებში და ეწევა, უცქერის და ეწევა... არაფერს კი არ ამბობს, აქაოდა ისედაც გასაგებია, მე შენ შინ მსხალი გაგატანე, შენ კი აქ წამოიღეო. ბიჭს ცრემლები გადმოსცვივდა; მეპატრონე მაინც არ უშვებდა ხელს და მიხვდა ბიჭი, რატომ ექცეოდა ეს კაცი ასე უღმერთოდ.

მერედა, ეს მსხალი ხომ მისი არ არის, დიდმელმა აჩუქა!

მაინც არაფერს ეტყვის, თავს არ გაიმართლებს.

ბონელომ ბიჭს ხელი ჰკრა და კანტორიდან გამოაგდო. მერე ქუდი დაიხურა და შინ გაექანა.

შინ თურმე ხელახლა დათვალა მსხალი და გაოცებული დარჩა. არაფერი არ აკლდა. ვერ მიხვდა, საიდან შეიძლებოდა ჰქონოდა იმ ლაწირაკს იმდენი ფული, რომ მთელი სახელოსნოს მუშებს გამასპინძლებოდა. გაბრაზდა, ვეღარ გაიგო საიდან გაჩნდა იმ დილით მსხალი სახელოსნოში; მერე დიასახლისმა ისიც უთხრა, როგორ იუკადრისა იმ ბიჭმა საუზმის ნარჩენები და ჩაის დალევაც არ იკადრა.

მეორე დილით რამაზ ბონელო გაბრაზებული მოვიდა სახელოსნოში და ოსტატს, სულხანი რომ ებარა, უთხრა:

— ეს ლაწირაკი ყაჩაღი გამოვა, მძარცველი, ეგ ციმბირში გაათავებს სიცოცხლეს.

— რა წაგართვა, ბატონო? — უთხრა ოსტატმა.

ბონელომ ახლა სანდროს — შეხედა ბრაზიანი თვალით.

— დაიხსომე ჩემი სიტყვა. ვეუბნები, სახრჩობელაზე წავა-მეთქი.

სამუშაო დღის დამთავრებას ცოტა-ღა აკლდა, როცა ბონელომ სულხანს უბრძანა, სტამბიდან ახლად მოტანილი დაბეჭდილი ფურცლები ფორნიდან გადმოეტვირთა და სარდაფში ჩაეზიდა. ადგილიც უჩვენეს, სადაც უნდა დაეწყო. კინაღამ წელი მოსწყდა ბიჭს. სამუშაო რომ დაამთავრა, იქვე სახელოსნოში მიეგდო და მკვდარივით მიიძინა.

ვერც კი გაიგო, როდის წავიდნენ მუშები.

შუაღამისას სიცივემ გააღვიძა — მოაფათურა ხელი, წყალში იწვა. მოიფშვნიტა თვალები — ქუჩიდან ხმაური მოესმა, ღვართქაფი მოდიოდა, წვიმა კი არა, — წარღვნა იყო, მოხშირებული, კოკისპირული. წყალს სარდაფისკენაც ეპოვნა გზა და ნაკადებად შემოჭრილიყო.

საზრიანი ბიჭი უმალ წამოხტა და ქუჩაში გამოვარდა, დაინახა, საიდან მოდიოდა ღვარი, დასტაცა წერაქვს ხელი და ღვარს გზა ქუჩის მხარეს გადაუგდო. მოერია წვიმას, მაგრამ თავით ფეხამდე ისე დასველდა და გაიწუწა, ერთი ხელის დადება მშრალი ადგილი აღარსადა ჰქონდა.

მუშაობამ და აქეთ-იქით წყვეტებამ ისე გაახურა, სიცივეს ვეღარა გრძნობდა.

ვეღარ დაიძინა, დილით ადრე მოსულ მუშებს ფეხზე დაუხვდა. ცოტა ხანიც და სარდაფში ბონელო კი არ შემოვიდა, შემოვარდა.

დაფეთებული იყო, არავისთვის შეუხედავს, ყველა კუთხე მოირბინა და გუშინ რომ ფურცლები მოიტანეს, იქ შეჩერდა, ჯერ ხელით მოსინჯა, მერე ერთი ფურცელი აიღო, დარწმუნდა, რომ სველი იყო, წყალი სწორედ ამ კუთხიდან შემოვარდნილიყო სარდაფში და ქაღალდი წაეხდინა.

ბონელომ ფურცელი ბრაზით დააგდო და მუშებს მოუბრუნდა:

— გაგიწყრეთ ამისი მადლი, იცით, ვისი შეკვეთა იყო?

არავინ უპასუხა, ამან უფრო მეტად აანთო.

— უწმინდესი სინოდის შეკვეთა იყო!.. — წამოიძახა მან — ვინ დაიწყო ეს ფურცლები აქ?

მუშები ჩუმად იყვნენ. ბოლოს წინ პატარა სულხანი წამოდგა (რა კარგად ახსოვს ბერიკაცს, ისე კარგად ახსოვს, თითქოს გუშინ მომხდარიყოს).

— მე დავიწყე, ბატონო!

ჯუნიმ უნებლიედ გახედა პაპას. რა დაიწყო პაპამ, სად! წიგნის კითხვას თავი მიანება ბიშმა. პაპას თვალები სადღაც შორს იცქირებოდნენ.

— შენ?—წამოიწია ბონელომ, — აკი გითხარით, ეს ბიჭი სახრჩობელაზე გაათავებს-მეთქი სიცოცხლეს, ხომ ვთქვი, კატორღა არ ასცდება-მეთქი. შენ დაიწყე, მერე იცი, რა წიგნია ეს? ეს წმინდა სახარებაა. იცი, რა მოგივა ამის წაბილწვისათვის?

სანდრომ წინ წამოიწია და სახელოსნოს პატრონს უთხრა:

— ბიჭს მადლობის მეტი არაფერი ეთქმის, ბატონო! მთელი სახელოსნო გადაარჩინა!

— რას ამბობ, რას? სახარება წაბილწა, გესმის? — უცებ გამოცდილი თვალით შეათვალიერა ფურცლები — ხუთასი ფურცელია, ასი მანეთი გადაიხადოს, დანარჩენი მიპატიენია.

ასი მანეთი... სათქმელად ადვილი იყო.

ბიჭმა ახლა კი შებედა მეპატრონეს:

— მე არაფერს არ გადავიხდი!

ბონელომ თითქოს უცებ გადაირია, არა მარტო ამ ბიჭის უარის გამო, უფრო იმის გამო, რომ მთელი სახელოსნო იმ ლაწირაკის მხარეზე იყო. უცებ თავი ვეღარ შეიკავა, ბიჭს საყელოში ხელი სტაცა, მიიზიდა თავისკენ და ჩურჩულით, ყველას რომ ესმოდა, ახლაც, ამდენი წლის მერე რომ ჩაესმის, სულხანს უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლავე გადაიხადე, ძაღლიშვილო!

და ბიჭს ღონივრად გაარტყა სახეში. წაიქცა პატარა, სანდრომ ვეღარ მოითმინა, მივარდა, საკინძში ჩასტაცა ხელი ბონელოს და უთხრა:

— სახარებას ვიჩვენებ ახლა, შე უწმინდურო!

— რაო, ბუნტი გინდა მომიწყო? — ჰკითხა შემცბარმა ბონელომ.

— აი, ჩემი ბუნტი, — და გააწნა სილა, — მოერიე პატარას?

ბონელო დაეცა, სანდრო სცემდა, ვიღაცამ სარდაფის კარი ჩაკეტა.

სანდრომ თვითონ წამოაყენა ნაცემი პატრონი და უთხრა:

— ჩივილი არ გაბედო! რაც მერგება, არა გთხოვ. ამაში გამიბარე. მივდივარ. ჩივილი კი, არ გაბედო-მეთქი, თორემ... შენ თვითონვე ინანებ!

ჩაჰკიდა სულხანს ხელი და წაიყვანა.

ჭკვიანი კაცი იყო ბონელო, ის უმალ მიხვდა, რომ ჩივილი მართლაც უფრო ძვირი დაუჯდებოდა.

— ახლა საით წავიდეთ? — ჰკითხა სანდრომ პატარას, ქუჩაში რომ გამოვიდნენ.

საით წაესვლებოდათ? განა იცოდა პატარამ.

სანდრომ კი იცოდა... ჯერ ერთი, სტამბაში რა ხელობა უნდა ყოფილიყო, მას არა სცოდნოდა. მარტოს შეეძლო აეწყო ქართული ანბანი, დაებეჭდა, წიგნად ექცია... ადგილიც შეგულიანებული ჰქონდა, დიდი ხანია გული „ევერიის“ სტამბისაკენ მიუწევდა.

ოსტატმაც და შეგირდმაც იქით გასწიეს. სანდრომ ანჯერად მბეჭდავად დაიწყო მუშაობა, შვილობილი კი ასოთა-ამწყობებს მიაბარა.

მარჯვე და საზრიანმა ბიჭმა ხელი მალე გაიწფა.

ჯერ ისევ ბონელოსთან იყო, „გლახის ნაამბობი“ რომ წაიკითხა. რას იფიქრებდა, რომ ახლა არა მარტო თვალით დაინახავდა იმ წიგნის დამწერს, არამედ მის სახლშიც შინაურივით შევიდოდა. შინაურივით იმიტომ, რომ ილიას სახლი საცხოვრებელი ბინაც იყო, სტამბაც და რედაქციაც.

ახლაც ცოცხალივით უდგას თვალწინ ილია, დინჯად რომ ჩამოვიდოდა ხოლმე მაღალ სართულიდან, მუშებს დაჰხედავდა და ისე არ წავიდოდა, ერთი კეთილი სიტყვით არ გაეთბო იმათი გული.

მარტო ილია კი არა, ყველანი ახსოვს, ვინც იმ სტამბასა და რედაქციაში ტრიალებდნენ — წერდნენ, თარგმნიდნენ, კამათობდნენ, ვიღაცას ებრძოდნენ, ხან აშკარად, ხანაც გამოგონილ სახელს ამოეფარებოდნენ — ეს ფრონელიონ, ლალიო, დონ-იაგოო, მეველეო და კიდევ ვინ მოსთვლის. სულხანმა კი მათი ნამდვილი სახელებიც კარგად იცოდა და მათი ნაწერების კითხვაც უყვარდა, ნაწერშიც ისეთივე იყვნენ, თითქოს გესაუბრებიანო და კითხვისას მათი ხმაც ესმოდა. სწორედ რომ საკვირველი ხალხი იყო — ვერ გაიგებდი, როდის ეძინათ — როცა უნდა მისულიყავ, სულ ფეხზე იყვნენ, დღე იყო თუ ღამე.

პირველი ღამისმთეველი კი თვითონ ილია იყო.

ახსენდება სულხანს: ერთხელ, ზაფხულში, უძილო ღამის შემდეგ, დილით, „ივერიის“ ბეჭდვა რომ დაიწყეს, სანდრო-ძიამ ახალი გაზეთი აიღო, გადაშალა, გაჰხედ-გამოჰხედა, წენი ხომ არაფერი აქვსო, და სულხანს მიაწოდა — ილიას აურბენინეო.

გახარებულმა ბიჭმა გაზეთს ხელი დასტაცა და ზემო სართულისაკენ გაიქცა. რედაქციაში რომ შევიდა, წინა ოთახში სოფრომ მგალობლიშვილი დაინახა. დინჯად ჩამომჯდარიყო სოფრომი და გაზეთებს ფურცლავდა. მის გვერდით წარმოსადეგი ჭაბუკი იჯდა, ახალგაზრდა იყო, მაგრამ თმა ლომის ფაფარივით ედგა. კუთხეში რედაქციის შიკრიკი თვლემდა. ბიჭმა კარი შეაღო, თუ არა, სოფრომმა შეშფოთებით [illegible] ხელი და ანიშნა — ჩუმათო, და ილიას კაბინეტის ფანჯარას გახედა. სულხანიც უმალ მიხედა: კაბინეტში, საწერ მაგიდასთან ილია იჯდა და წერდა. წინ გაბრდღვიალებული ლამპა ედგა, თუმცა მზე კარგა ხნის ამოსული იყო, მეათე საათი იყო დაწყებული. ილია წერდა და ისე ღრმად წასულიყო ფიქრში, აღარა ახსოვდა-რა, აღარ იცოდა, დღე იყო თუ ღამე. კარის ხმაურზე გამოიხედა და იკითხა:

— რომელი ხარ მანდა?

— მე ვარ, ბატონო ილია, სოფრომი.

— კაცო, რა დროა, განა ჯერ არ წასულხარ შინ?

სოფრომს გაეცინა:

— ამ წუთში მოვედი, ბატონო ილია, უკვე გათენდა!

მაშინ კი მიიხედ-მოიხედა ილიამ, ლამპას ჩაუბერა, ჩააქრო და შიკრიკს უსაყვედურა:

— მაქსიმე, ბიჭო, რაზე ჩამკალი, რატომ არაფერი შემატყობინე?

— ოთხჯერ შემოვედი, ბატონო, თქვენთან. თქვენ ვერც ჩემი შემოსვლა გაიგეთ და ვერც გასვლა.

— ჰოო, — გაიღიმა ილიამ, — ომში ვიყავი, მაგრამ ისეთ კაცუნას ვებრძოდი, ღირდა კი ამისთვის ამდენი ვაი-ვაგლახი?

თქვა და გაჩუმდა, მიმოიხედა. ის იყო პატარა ბიჭიც დაინახა, იმასაც თვალები ჩაწითლებოდა უძილობით. ბიჭი სასაცილოდ იყო გამურული და ილიას გაეღიმა. სულხანმა ახალი გაზეთი გაუწოდა, ილიამ ჩამოართვა, გაშალა, ერთი კი ჩაათვალიერა, მერე ბიჭს ხელი მოხვია და უთხრა:

— შენ ის ახალი შეგირდი იქნები, სულხანი, აგრეა?

შემკრთალმა ბიჭმა თავი დაუქნია.

— ჰოდა, ჩემო სულო, — განაგრძო ილიამ, — მე და შენ, ქვეყნის ვალი დღეს მოხდილი გვაქვს. ახლა ცუდი არ იქნება, ცოტა ხანს თვალი მოვატყუოთ!

ბიჭი სიხარულით აღარ იყო — ვუ-

ლი თითქოს აღარ ეტეოდა საგულეში, გახარებული დაეშვა ქვემოთ, უნდოდა ეს სიხარული ყველასათვის გადაეცა, ყველასათვის გაეზიარებინა.

უნდოდა ეს სიხარული თან გაჰყოლოდა იმ გაზეთებს, იმ წიგნებს ამ ბუდეში რომ იბადებოდნენ, მერე მიფრინავდნენ და ეფინებოდნენ ქვეყანას — ანუგეშებდნენ, იმედს აძლევდნენ, ამხნევებდნენ.

წიგნი სასწაული იყო და პატარა ბიჭი ერთი სასწაულმოქმედთაგანი. ვინ იფიქრებდა ამას, ქუჩაში რომ დაენახათ მისი გაცვეთილი ფეხსაცმელი და ცხრამეტჯერ დაკერებული სატინის ხალათი.

შესცქერის ახლა პაპა სულხანი ჯუნის და იმ ბიჭსა ჰხედავს. ჰგავს ჯუნი იმას, როგორ არა ჰგავს, აბა ჩახედე ბიჭს თვალებში. ის არის, ის. ხვალ დილით სკოლაში კი არა, „იერრის“ სტადიონში წავა, ილიას დაინახავს იქ, „ყოფშიძეს, ფრონელსაც, მეველესაც, ამ მთელი ქვეყნის მეველეებს, გუშაგებს, ჭირის-უფლებს.

ახლა კი ზის ეს ბიჭი პაპა სულხანის ოთახში — და „მერსედეს კასტილიელესა“ კითხულობს, თან პაპას უზიარებს თავის შთაბეჭდილებებს, მაგრამ ლაპარაკი როგორღაც ვერ აუწყვიათ. საღამოს უცდიან, დღეს ჩეხები ფინელებს უნდა შეხვდნენ, ვნახოთ რას იზამენ ირეი ჰოლიკი და იოზეფ ჩაპეკა.

მანამდე კი შეიძლება კაცმა „მერსედეს კასტილიელის“ თავგადასავალსაც გადააყოლო გული.

ჟუდის ყალამა

ჯუნი გაოცებული შესცქერის მოხუცს — ილია ჭავჭავაძე უნახავს, თავისი ხელით აუწყვია იმისი გაზეთი, ულაპარაკნია ილიასთან.

— მერე აღარაფერი უთქვამს, პაპა?

— ჩემთან სალაპარაკოდ საღდა ეცალა, შვილო! ქვეყნის საქმე იმის კისერზე იყო...

— კიდევ ვინ გინახავს? — ეკითხება ჯუნი და კედელს შესცქერის, იქ სურათებია ჩამწკრივებული, ძალიან ნაცნობი, საყვარელი და თანაც ლეგენდასავით შორეული სახეები.

— კიდევ? — იხსენებს პაპა და ისიც იმ სურათებს შესცქერის, — ვაჟა-ფშაველა...

ბიჭს თვალები უბრწყინავს.

— ეს უფრო გვიან იყო, შვილო, მაშინ ილია ცოცხალი აღარ იყო...

ბროსეს ქუჩა, მტკვრის სანაპიროზე რომ ჩამოდის... რა ერქვა მაშინ იმ ქუჩას? მგონი, მაშინაც ასე ეძახდნენ... სწორედ აქ მორბოდა სულხანი. მაგარი მუხლი ჰქონდა და ამიტომაც გამოსწრო მდეკარს, აქ შეუხვია და დაეკარგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მომდევენ, შენი ჭირიმე, შემიშვი!

ლომისფაფარიანმა სასწრაფოდ გაუღო კარი.

სულხანი ძლიან სუნთქავდა, მასპინძელმა ოთახში შეიყვანა; იმ წუთში დევნილმა და შეშფოთებულმა ჭაბუკმა ოთახის შეთვალიერება მოასწრო და კედელზე რუსთაველის, ილიასი და აკაკის სურათები დაინახა; აი, როგორც აქ, ამ ოთახში. გული მოეკა, დაწყნარდა. მიხედა, რომ საიმედო ადგილას მოხვედრილიყო; მასპინძელმა მეორე ოთახში გაიყვანა, იატაკს სარქველი ახადა და სულხანს უთხრა—ჩადი მანდ, ვიდრე ყველაფერი მიწყნარდებაო.

სულხანი ჩაჰყვა კიბეს და სარდაფში ჩავიდა.

„ვინ არის ის კაცი, ნეტავ სად მინახავს“, გაურბინა ფიქრმა.

საათზე მეტი დრო იქნებოდა გასული, როცა სულხანმა ზემოთ ფეხისხმა გაიგონა. მასპინძელმა სარქველი ახადა და შემოხიზნულს ჩასძახა:

— სადა ხარ, ვეჟო, ამოდი ზეგით!..

და მერე დაუმატა:

— მიწყნარდა ყველაფერი, ამოდი!

სულხანი ამოვიდა. მასპინძელიც და სტუმარიც ერთ ხანს დუმდნენ. ბოლოს ისევ მასპინძელმა დაარღვია სიჩუმე:

— პოლიტიკური ხარ? — ჰკითხა შემოხიზნულს.

— არა, ბატონო! ჩვენ და პოლიტიკა? — მოისაწყლა თავი სულხანმა.

— მაშ, მოიპარავდი რამეს?

ეს კითხვა კი მოულოდნელი იყო და სულხანს არც პასუხი ჰქონდა მზად. მოდი და თქვი, ქურდი ვარო. შეყოყმანდა, მასპინძელმა შეჰხედა თვალებში და გაიცინა.

— თქვი, ვეჟო, ნუ მალავ, რისა გეშინია, დუქანს გასტეხავდით სადმე ბიჭები. ჰოდა, ცოტა საქონელიც გამოგიყოლებია ხელისათვის. მაგრამ ასე თუ ჭფანტე გზაზე წამოლებული ქონება?!

მასპინძელი იცინის, მუჭსა შლის და სულხანი გაოცებული დასცქერის. მასპინძელს ხელისგულზე შრიფტი უყრია.

„კარგი კაცი ჩანს, მაინც არ გამოვუტყდები“, ფიქრობს სულხანი და შრიფტს ისე დასცქერის, თითქოს არ ველად დაენახოს.

მასპინძელი კი სათითაოდ იდგამს ასოებს და გამადიდებელი შუშით სინჯავს სინათლეზე:

— ეს ვინი ყოფილა, ეს ხარი. ეს კიდევ კითხვის ნიშანია! ვეჟო, შენ არ იცი, რომ ეს ტყვიისაა და ამას ციმბირის და სახრჩობელას სუნი უდის?

„ჭკვიანი კაცი ჩანს, მაგრამ ეგ შრიფტი საიდან სადაო, ნუთუ ჯიბიდან გადმომეფანტა“, ფიქრობს სულხანი.

— ვიცი, რომ არაფერს მეტყვი, არც გეკითხები, მაგრამ ერთი ეს მითხარი: ქუდის ყალამაში შრიფტი რამ ჩაგაყრევინა. შეეკრავდი პატარა პარკში და ჩავიდებდი ჯიბეში.

მასპინძელი იცინის და განაგრძობს:

— ვეჟო, ქუდის ყალამაში მწყემსებმა ნემსისა და ძაფის შენახვა იციან. სატრფოს წერილიც შეიძლება შეინახოს შიგ კაცმა. იქ ვერავინ იპოვნის.

სულხანმა საწერ მაგიდაზე თავისი ქუდი დაინახა.

მასპინძელი კი განაგრძობდა:

— შენ რომ დაგმალე, გარეთ გავიხედე, მივხედი, რომ ღობეზე გადმომხტარიყავ, ჭიშკარი ხომ დაკეტილი მქონდა. ჰოდა, ბალახებში ეგ შენი ქუდი ეგდო. ეს შრიფტებიც იქ ეყარა. უნდა იფრთხილო, ასე არ შეიძლება, ყმაწვილო!

მართლაც, ეს როგორ დაემართა სულხანს — საღამოთი, სტამბიდან გამოსვლის წინ იხარბა, ჯიბეებიც აივსო, ჩექმებშიც ჩაიყარა შრიფტი, ქუდის ყალამაშიც. მაშ რა ექნა... საჩქარო იყო, ოთხი ფუთი შრიფტი იყო საჭირო საიდუმლო სტამბის მოსაწყობად; სულხანს გარდა სხვა მუშებიც ეზიდებოდნენ, კომიტეტმა აუარებელი ხალხი ჩააბა ამ საქმეში და ისიც ერთი მათგანი იყო. სულ ცოტა-და აკლდათ და გულმა აღარ მოუთმინა, უფროსებიც აჩქარებდნენ და აჰა, მოჩქარეს მოუგვიანდესო, კინაღამ გაეხა მახეში. არა, ეჭვი არ მიუტანიათ მასზე, მაგრამ მადათოვის კუნძულზე პოლიციელებმა და კაზაკებმა გზა გადაკეტეს, ხალხი ალყაში მოა-

ქციეს და სათითაოდ ჩხრეკა დაუწყეს. მას კი ჯიბეებიც და უბეც სავსე ჰქონდა შრიფტით, ამიტომ გაუსხლტა ალყას, მაგრამ გამოჰყვნენ და ძლივს გამოაღწია თავი.

— რა ბედზე გადაეწყვდა ამ სახლს!

მაგრამ სად უნახავს ეს კაცი? რატომ არ ახსენდება?

მასპინძელმა შრიფტზე რომ დაიწყო ლაპარაკი, სტუმარი მაშინვე მიხვდა — ეს კაცი სტამბის საქმეს კარგად იცნობს... მაგრამ მუშაკ არა ჰგავს. უუჰ, ახლა კი გაახსენდა... „ივერიიდან“ ახსოვს — ამას პატარა ილიას ეძახოდნენ, დიდი ილიასგან გასარჩევად. ესეც იქ იჯდა, იმ დღეს, სულხანმა გაზეთი რომ აუტანა დიდ ილიას... იჯდა და ილიმებოდა; იმ ღიმილით იცნო ახლაც სულხანმა. ორივენი გამოცვლილნი არიან, ძალიან გამოცვლილნი. ხუმრობა ხომ არ არის, ათი წელი გავიდა მას მერე. მასპინძელი მაშინ ჭაბუკი იყო, სულხანი კი — თორმეტი წლის ბიჭი.

— სადღაც შევხვედრიხართ ერთმანეთს, — დაიწყო სულხანმა.

— სად, ვეძო? — ჰკითხა მასპინძელმა.

— „ივერიაში“ ვმუშაობდი, სტამბაში...

— ჰოო, ერთი ბუდიდან ვყოფილვართ. აბა გამახსენე!

სულხანი ჰყვება ის სამახსოვრო დილის ამბებს. მასპინძელს სახე უნათდება ილიას ხსენებაზე, ეღიმება და ის ლამპაც ახსენდება, მზეში რომ ენთო „ივერიის“ რედაქტორს, აგონდება ის პატარა ბიჭიც...

— ახლა მეც გიცანი. დანარჩენს ვიცი არც შენ მეტყვი და აღარც მე გკითხავ... ვერა ფიგნერი გეცოდინება...

— ვიციო, — დაუქნია სულხანმა თავი.

— ჰოდა, ქენეგაში თურმე ერთი ზომაზე მეტად აღტაცებული ქალიშვილი ჩააცივდა — ძვირფასო ვერა ნიკოლოზის ასულო, მითხარით, როგორ ახერხებდით ასე ფარულად ბომბების დამზადებას, იმათ გადატან-გადმოტანასო. ფიგნერმა თურმე მკაცრი სახე მიიღო და ჰკითხა:

— კარგი, მაგრამ შეგიძლიათ ეს-დუმლო შეინახოთ?

— რასაკვირველია, — უპასუხა ქალიშვილმა.

— მეც შემინიძია! — უპასუხა თურმე ფიგნერმა. ჰოდა, ვეჭო, მეც შემიძლია და შენც, მაგრამ ასე თუ სთესე ეს შრიფტი ქუჩაში, ფურცლების დაბეჭდვას რითღა აპირებ, ყმაწვილო!

ღამის ათი საათი იყო; უეცრად ჭიშკარს ვიღაცამ ბრახუნი აუტეხა და მალე ხმაც მოისმა:

— ნათლიმამ, გაალე, მე ვარ.

— ვაჯა ჩამოსულა — წამოიძახა მასპინძელმა და სულხანს გულმა აჩქარებით დაუწყო ცემა, მიხვდა, რომ ახლა სახელოვან მგოსანს დაინახავდა.

მასპინძელმა ჭიშკარი გააღო და ოთახში ვაჯა შემოვიდა. რაღაც შეხვეული ეჭირა, მასპინძელს გადასცა და უთხრა, არაგვზე რომ ჩამოვიარე, ეს ორაგული დავიჭირე და წამოვიღე, ვიცი, გიყვარსო. მასპინძლის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაშინვე ქვაბი შემოდგა ცეცხლზე.

— სტუმარი გყოლია!

— ჰო, კარგი ყმაწვილია, ჩვენიანია, „ივერიაში“ მუშაობდა.

ვაჯამ ხელი ჩამოართვა სულხანს, მერე მასპინძელსა ჰკითხა: — ბალღები. ნათლიდედა, სად არიან!

— სოფელში გავგზავნეო, — უპასუხა პატარა ილიამ.

მასპინძელი თან თევზსა ხარშავდა და თან სუფრას აწყობდა.

— შენც მოგიწვიეს, პაპავ?!

— ჰო, აღარ გამომიშვეს...

— მერე, მერე... სუფრასთან რაზე ლაპარაკობდით, აღარ გახსოვს?

— როგორ, არ მახსოვს. ვაჯა უყვებოდა მასპინძელს, ჟინვალთან ერთი ფშაველი შემხვდაო, თურმე „პახტრიონი“ წაეკითხა და ყელგადაგდებით მეხვეწებოდა, თითქოს შეკაზმულ ცხენსა

მთხოვდა საჩუქრად, მეხვეწებოდა, მეკითხებოდა, ეაჯავ, თუ ღმერთი გწამს, ნუ დამიმალავ, სწორედა თქვი, საქართველოს თავისუფლებას არა ჰგულისხმობ, „ბახტრიონში“ რომ ამბობ, ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა?

— რა უპასუხე? — ჩაჰკითხა მასპინძელმა.

— იქნება ვგულისხმობდე-მეთქი. „სწორედ საქართველოს თავისუფლებაზეა ნათქვამიო“, დაიკივნა ფშაველმა და თხუთმეტი ათასი მშვენრმეტყველი პროფესორი რომ მოგეყვანათ, იმას ამ რწმენას, აზრს ვერ გამოუცვლიდნენ.

— კიდევ რა ილაპარაკეს, პაპიკო?

— კიდევ? — ისსენებს მოხუცი, — ჰო, თევზეულზე ლაპარაკობდნენ, მასპინძელმა განჯინიდან ზურგიელი გადმოიღო, სუფრას მიუმატა, ისეთ სიფრიფანა ნაჭრებად დაჭრა, სინათლე გავიდოდა შიგ — აკრე უფრო გემრიელიაო... მერე ვიღაც ნაცნობს დასცინოდა—

— კარგა ხანს შევყევით. ხვანჭკარა ჰქონდა მასპინძელს, რაჭიდან ჩამოტანილი. იმის მერე ნაცნობობა აღარ გაგვიწყვეტია, ბოლო ხანამდე რედაქციებში მუშაობდა.

— ვაჟა იმის მერე აღარ გინახავს?

— საიდანღა ვნახავდი. სულ ცოტა ხანში მაინც მტაცეს ხელი და ციმბირში მიკრეს თავი. ისევ შრიფტმა დამღუპა. ტყუილად კი არ მითხრა მაშინ იმ დალოცვილმა (პატარა ილიაზე გეუბნები) — ვეჯო, მაგ ტყვიას ციმბირის სუნი უდისო. აკი მართლაც აგრე მოხდა! მაგრამ იქიდან სულ მალე გამოვიქეცი, ჩამოვედი და ის იყო, დაიწყო ომი... ჩამაცვეს მაზარა და ჰაიდი ფრონტიკენ. საქართველოში რომ დავბრუნდი, ვაჟა ცოცხალი აღარ იყო.

ICIC, MO ZINA VAR?

პაპა ყველაზე ძალიან მაშინ მოიწყენს ხოლმე, როცა ჯუნი შინ არ არის.

მაშინ ყველა მხრიდან შემოესევიან, მწარედ მოაწყდებიან ფიქრები, მშველელი კი არსაიდან ჩანს.

აწრიალდება მოხუცი, გულს ვეღარაფერს დაუდებს, მერე ჰაიჰარად ისაუბნებს და გარეთ გამოდის.

შინაურებმა იციან, სადაც მიდის...

შინაურებმაო? სახლის კუთხეში, მოსახვევთან, ფარდულში ბიჭი ბორჯომის წყალს რომ ჰყიდის, იმანაც კი იცის, სად მიდის მოხუცი; გაზეთის კიოსკში რომ ცალფეხა კაცი მუშაობს — იმანაც იცის; მთელმა ქუჩამ იცის, რომ სტამბაში მიდის ასოთამწყობი, თუმცა თავისი დაზგა აღარ ელოდება, სამსახურში მიდის დირექტორი, თუმცა აღარავითარი სტამბა არ აბარია.

ეთქმოდა კი ამას სამსახური? ეს ოჯახი იყო მისი, კერა იყო და აბა კერას როგორ მოსწყდები! მივა, ჩამოჭიპა და წელა თევზები ჭონებიან მეკუთხარი, ვეკო, ეგ თევზის ჯიშები კი არა, ნაჭრებია-მეთქი... ვაჟაც ვგულისხმობ-ვიცინოდა.

ეს ოჯახი ბაბუა-ბებიისა, ბიძა-ბიძაშვილ-ბიძაშვილ-ბიძაშვილ

შვილმა ტელეფონის მილი სწრაფად დადო, წამოხტა და სულხანს უთხრა:

— ამ წუთში ისევ თქვენთან გრეკავდი! — და კარზე უჩვენა — მიბრძანდით, თქვენ უკვე გელიან!

„რა მოხდა ასეთი?! — ისევ გაუელვა ფიქრმა და კარი შეაღო. კაბინეტში, მინისტრის გარდა, ორი ნაცნობი პროფესორი დაინახა. სულხანის დანახვაზე მინისტრი წამოდგა და შესახვედრად გაემართა. ხელი რომ ჩამოართვა და სკამზე ანიშნა, ისევ თავის ადგილზე დაბრუნდა, მაგრამ ხელი რამდენჯერმე მოუთათუნა და სულხანს უთხრა:

— ვიდრე ჩვენს გასაჭირს გეტყოდეჯერ ამას შემოჰხედე!

სულხანმა ახლოა შენიშნა — მაგიდაზე ვეება ხელნაწერი იდო და გამოცდიმმა თვალმა არ მოატყუა — დედანი იყო, სასტამბოდ გამზადებული რაღაც წიგნის დედანი, მაგრამ გასაჭირი რა შუაში იყო და ამ საქმეს ამდენი აურზაური რათ უნდოდა. ალბათ ამათია, ამ პროფესორებისა, მოეტანათ ამ დალოცვილებს სტამბაში, მიიღებდნენ შეკვეთას, და მორჩა...

მინისტრი კი განაგრძობდა:

— წაიკითხავდით გაზეთებში, სტოკჰოლმში ენათმეცნიერთა საერთაშორისო კონგრესი ეწყობა. თანაც გაიხსნება დიდი გამოფენა, რომელზეც მსოფლიოს ყველა ხალხის ანბანი იქნება წარმოდგენილი.

მინისტრი ერთ წუთს შეჩერდა, და პროფესორმა ამით ისარგებლაო, ჩამოთვლა დაიწყო:

— შუმერთა ლურსმული, სპარსული ჭანგური, იაპონური კატაკანა, არაბული ნეში, რუსული კირილიცა, ებრაელთა კვადრატული...

ალბათ კიდევ დიდხანს გააგრძელებდა, მაგრამ მინისტრს ოდნავ შესამჩნევად გაეღიმა და პროფესორი მიხვდა, ახლა ამ ჩამოთვლის დრო არ იყო. უცებ გაჩუმდა. მინისტრი მხიარული და ხალისიანი კაცი იყო და იმ ჩამოთვლამაც უცებ კარგ ხასიათზე დააყენა. და ახლა სულხანს ჰკითხა:

— ჩვენ რა ვქნათ? არ წავიღოთ ჩვენი ქართული ანბანა? — და თან პროფესორს გადახედა.

— მე მეკითხებით? — გაიცინა სულხანმა.

— ხომ გითხარი, გასაჭირში ვართმეთქი. ყველაფერი მზად არის, მოხსენებათა ტექსტებიც გაგზავნილია, ანოტაცია-თეზისებიც. მაგრამ ერთი რამ დროზე არ გვაცნობეს და აი, ეს წიგნი... სულ ბოლო დღეებშიღა გადაწყდა მისი გამოცემა. არა და უამისობა არ იქნება. აქ, — დაადო ხელი დედანს, — ოცდახუთი თაბახია. თქვენ ძველი მესტამბე ხართ: მითხარით, ყველაზე უმოკლესი დრო, რაც მის გამოცემას დასჭირდება, ყველაზე უმოკლესი, უუმოკლესი. — მინისტრი ახლა უკვე ელავდა, — რამდენი დრო გინდათ?

სულხანი რატომღაც წამოდგა, ხელთნაწერს გადასწვდა, თითქოს უნდა მოსინჯოს, მოვერევი თუ ვერაო, გადაშალა, მერე აიღო თავი და თქვა:

— ოცდაოთხი საათი.

— რამდენი? — ყურს არ დაუჯერა მინისტრმა.

— ოცდაოთხი, მეთქი.

— შენ აგაშენა ღმერთმა! — ისე წამოიძახა მინისტრმა, თითქოს მორევში ხელი მიაწვდინეს და ნაპირისკენ გამოსწიესო, — წამოდგა და სულხანს მაგრად ჩამოართვა ხელი, — აღარ ვიცოდი რა მექნა. ხვალ ორ საათზე დელეგაცია მიფრინავს.

— წიგნებს მე თვითონ გავიტან აეროდრომზე.

— არ იჩქაროთ-მეთქი, ვერ გეტყვით. მაგრამ ახსნა, მე მგონი, არ დაგჭირდებათ, თუ როგორი გამოცემული უნდა იყოს წიგნი. ხომ გითხარი, სად მიდის...

— გასაგებია. ისეთი ბიჭები მყავს, ცეცხლს წაიკიდებენ ხელებში.

და უცებ გაჩუმდა. დახეთ, ისევ ხმამაღლა წამოსცდა ეს სიტყვები. ასე პეონია, აგერ ახლა გამოვიდა მინისტრის კაბინეტიდან, ფიქრით ისევ იქ

გიორგი ნატროშვილი
თეთრი ხნული

არის, სხვა აღარაფერი ახსოვს, ვეღარაფერს ხედავს...

რა ამბავი იყო იმ დღეს სტამბაში! ჩაკეტეს ყველა კარი და გამოაცხადეს განგაში. სულ გადაირიენ ეს ბიჭები, ყველა აზარტმა და კიდევ სიამაყემ აიტანა — როცა გაჭირდა, ჩვენ გაგვიხსენეს.

ახლა კორექტურის სწორების დრო არ არის, მაშასადამე, უშეცდომოდ უნდა აიწყოს. ლინოტიპებთან ყველაზე საუკეთესო ოსტატები დასხდნენ, თვითონ სულხანმაც ის იყო დაიკაპიწა ხელები და პირველ მანქანას მიუჯდა, როცა საამკინძაოდან თენგიზი ამოვარდა; წარმოსადეგი ბიჭი იყო, ღონიერი ჩანდა, უდარდელი და თამამი გამოხედვა ჰქონდა.

— ძია სულხან! — კარებშივე დაიყვირა ბიჭმა.

— რა გინდა, ბიჭო? — გაეძახახა დირექტორი.

— იცი, ძია სულხან, რა ვიფიქრე? ერთი მითხარი, მე აწყობასა და დაბეჭდვას რად უნდა მოვუცადო?

— მაშ, რას იზამ?

— რასა და ყდებს წინასწარ გავამზადებ. თორემ ისე ვერ მოვასწრებთ და შევრცხვებით. აი, მაკეტი უკვე გავაკეთე!

სულხანმა შუბლი შეიჭმუხნა:

— შეგეშლება, ბიჭო, ლედერინსაც გაავფუჭებ, მუყაოსაცა და ფოლგასაც. მთელი ტირაჟი გადასაყრელი გახდება. გესმის, რამოდენა ზარალი იქნება?

თენგიზმა ეშმაკურად მოჭუტა თვალები:

— ძია სულხან! აქამდე არ იცი, მე ვინა ვარ?

— ვინ მიგდიხარ ასეთი, შე ლაზარაკო!

— მე ვარ მაგ საქმის პროფესორი, აკადემიკოსი და კიდევ რას ეძახიან, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი. მილიმეტრი არ შემეშლება.

„რისკზე მიდის, — გაიფიქრა დირექტორმა, — დაე, წავიდეს!“

— წადი, დაიწყე! — უთხრა თუ არა, ბიჭი ტყვიასავით გავარდა საამქრიდან.

ომ დამეს თვალი არავის მოუხუჭავს. მეორე დღეს, თვითმფრინავის აფრენამდე კიდევ ერთი საათი იყო დარჩენილი, როცა წიგნებით დატვირთული მანქანა აეროდრომს მიადგა.

დღის ბოლო იყო. სულხანი საამკინძაო საამქროში ჩავიდა. უძილობით გატანჯული, დამენთვევი თენგიზი ნამთვრალევივით ბარბაცებდა. დირექტორმა გაიცინა და უთხრა:

— რა გემართება, ბიჭო! რა წიწილასავით გწყდება კისერი.

ცოტა ხანს შეჩერდა, თითქოს რაღაც უნდა გადაეწყვიტა, — იცი, თენგიზ, ერთი რამ ჩავიფიქრე. შენ ახლა აარჩიე კარგი ეგზემპლარები და ჩემთან ამოიტა. სამინისტროში წავიღებ და შენც უნდა წამომყვე.

ნაცნობ კაბინეტში რომ შევიდნენ, მინისტრმა დიდხანს ატრიალა წიგნი ხელში, ხან შორიდან დაჰხედა, ხან ახლოდან და მერე თქვა:

— უნდა გამოგიტყდეთ, არ მეკონა თუ მოასწრებდით. ისიც ასე შნოიანად.

— რა დასამალია, მეც მეშინოდა მაგრამ...

სულხანი შეეყოყმანდა და სიტყვა შუაზე გაწყვიტა.

— თქვი კაცო. — შეაქეზა მინისტრმა.

— რა ვიცი, კვეხნაში არ ჩამომართვათ.

— არ ჩამოგართმევთ.

— ნუ ჩამომართმევთ და რასაც ვიტყვი, ნურც ჩემზე იგულისხმეთ.

— აგრე იყოს, რათ გინდა ამდენი ბოდიშები?! — გაიცინა მინისტრმა.

— მაშ, გეტყვით. პატარაობაში, სოფელში გამიგონია — ქართველი კაცი ნიკორა კამეჩივით არისო. როცა ნიკორა წამოიწოლებს, გათავდა, ან ულელი უნდა გატყდეს, ან მძიმე ტვირთი, მთაც რომ იყოს, უნდა დაძრას და გაიტანოს.

ოღონდ უღელმა გაუძლოს და ნიკორას მუხლი არ გატყდება.

— კარგი ნათქვამია! — მოეწონა მინისტრს.

— წეღანაც გითხარი, ჩემზე ნუ იგულისხმებთ-მეთქი. აი, ეს ბიჭი იმიტომ წამოვიყვანე. მინდოდა მეჩვენებინა, ეს რომ არა, იქნება ვერც მოგვესწრო.

გულღია კაცი იყო მინისტრი, მიმხვედრი, მოყვარული და გულში ჩამწვდენი. შეახედა თენგიზს და თქვა:

— მაშ, ეს არის შენი ნიკორა! კარგად წამოუწოლქე, ბიჭო! — და მერე ისევ სულხანს მიუბრუნდა:

— რა ხელობის კაცია?

— მომგარაყეპელია, მეექვსე თანრიგი აქვს. ჩვენ რომ აწყობა დავამთავრეთ, მაგას ყდა უკვე მზადა ჰქონდა. ერთი-ორად მოიგო დრო.

მინისტრმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა ჭაბუკი. უნდოდა მოჰფერებოდა და ვერ მოეხერხებინა, მერე უცებ ჰკითხა:

— არაფერი გიჭირს, ბიჭო?

— არაფერი, ბატონო!

სულხანმა კალთაზე ჩამოსწია, მინისტრმა შენიშნა ეს და შეახედა, მეც გამაგებინეთ, რაშია საქმეო. სულხანმა ვეღარ მოითმინა.

— ერთი ამ გლახა ამპარტავანს დამიხედეთ. ბიჭო, იქ, მე რომ წამჭამე თავი, აქ რას გაჩუმებულხარ. სათხოვარი აქ უნდა ითხოვო,—მერე მინისტრს მიუბრუნდა, — ბინა არა აქვს და განა ამოიღებს ხმას?

ბიჭმა უხერხულად ჩაღუნა თავი. მინისტრმა ჩაიცინა, რაღაც ჩაინიშნა ქაღალდზე და თენგიზს მიუბრუნდა:

— ცოლ-შვილი გყავს?

— საცოლე მყავს, ბატონო!

— აბა დანარჩენი ჩვენზე იყოს. სწორედ რომ ბედზე მოასწარი... გუშინ ჩავიბარეთ ახალი სახლი ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე. ერთი ბინა შენი იყოს, ალალია. სხვა ხომ არაფერი გიჭირს, ბიჭო?

— არა, ბატონო! მადლობელი ვარ, დამსახლეთ კაცი!

— მეც შენი მადლობელი ვარ, ჩემო თენგიზ. მაშ, გვეცოდინება, გამირკვება-ში ჩვენ შენთან მოვალთ, შენ კი ჯერ ჩვენკენ გამოსწიე.

— აგრე იყოს.

ასე ასახელა თენგიზმა ძია სულხანი, მაგრამ მერე, იმ ბიჭმა ისეთი ოინი გაკეთა, საკოცნელი ლოყა ლამის საფურთხეზლად გიახდა.

ერთი თვეც არ იყო გასული იმ ამბიდან, დირექტორის კაბინეტში ნაცნობი მწერალი შემოვიდა, თავისი ახალი წიგნი შემოტანსა, იქვე გადაშალა, მადლობის სიტყვები დაწერა და დირექტორს უთხრა:

— ძალიან მომეწონა. აღარ ვიცი როგორ გადაგიხადოთ მადლობა... აი, მომირთმევია ეს წიგნი.

სულხანმა დაჰხედა წიგნს და სახტად დარჩა: მადლობას ეუბნებიან და რაზე— უარი რომ უთხრა, ვერ გავაკეთებთო, მასალა არა გვაქვსო, და მართლაც არა ჰქონდათ. ახლა კი აგერ, ხელში უჭირავს ამ კაცს ეს წიგნი. შნოიანად ამოტვიფრული. სულხანმა სტუმართან არაფერი შეიმჩნია, მადლობის პასუხად რაღაც წაილუღლუღა და როგორც კი მწერალი წავიდა, წიგნს ხელი დასტაცა და საამკინძაოსკენ გასწია.

შესვენება იყო, სადილობის დრო. საამქრო ცარიელი იყო. შორს, ბოლოში სულხანმა უფროსი ოსტატი დაინახა, დირექტორი იმანაც შეამჩნია და წამოდგა.

— ავტორმა დიდი მადლობა მითხრა, — წყნარად დაიწყო სულხანმა, — კარგად გაგიკეთებიათო. ჰო, მართლა, ერთი რამ უნდა მეკითხა შენთვის, სოსო: ეს ფოლგა, საწყობში რომ აღარა გვქონდა, საიდან გააჩინეთ, კაცო?

სოსომ მხრები აიჩეჩა:

— მე საიდან უნდა გამეჩინა? თენგიზასია, ლაფანძინისა.

— თენგიზასი?

— ჰო, იმისია. აგერ, იქ უწყვია, თავისი დაზგის უკან.

გიორგი ნატროშვილი
თეთრი ხნული

დირექტორმა დაზგის უკან შეიხედა, გრძელი, თეთრი ქაღალდი ეფარა რაღაცას — გადასწია, ხელითაც მოსინჯა ფოლგა — პირველი ხარისხის მასალა იყო, ყველა ფერისა — თეთრი, ლურჯი, იისფერი, ოქროსფერი...

მუხლებზე ჩაეკეცლმა დირექტორმა ისე ამოჰხედა უფროს ოსტატს, რომ ის უხერხულად შეიშმუშნა, თითქოს ახლა-ღა მიხვდა რაღაცას.

მიხვდა და თავის მართლება დაიწყო.

— ეშმაკმა იცის მაგ ბიჭის თავი. აღარაფერს არ მიგონებს. სიტყვა ვერ შემიძრახავს, დიდი ვინმე ჰგონია თავისი თავი. ისე აურია აქაურობა... აივსო მოთმინების ფიალა.

სულხანი ჩაფიქრებული უსმენდა. საამქროს უფროსი კი განაგრძობდა:

— თქვენც ძალიან ათამამებთ, სულხან! თქვენი იმედი აქვს და მე კი არაფრად მაგდებს.

— კარგი, კარგი! თენგიზა რომ მობრუნდეს, ჩემთან გამოგზავნე.

და საამქროდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

მალე კაბინეტის კარი თენგიზმა შემოაღო, ნირწამხდარივით გაუღიმა დირექტორს და კართანვე გაჩერდა.

— ჩაკეტე კარი და მოდი აქ, დაჯექი! — უთხრა სულხანმა.

ბიჭს ეტყობოდა, შეშფოთებული იყო, მაგრამ ცდილობდა არ დაემჩნია. ეტყობა, რაღაც უკვე უთხრა უფროსმა ოსტატმა; მან ნაძალადევად გაიღიმა და დირექტორს უთხრა:

— მარტონი უნდა ვიყვნეთ, არა? ცემას ხომ არ მიპირებ, ძია სულხან!

სულხანმა წარბი არ გაუხსნა და არც მის ღიმილს უპასუხა.

— დაჯექი-მეთქი.

ბიჭი დაჯდა.

— აბა, ახლა პირდაპირ მითხარი, თენგიზ, ფოლგა სად იშოვნე?

— ფოლგა? — ისე ჩაკითხა ბიჭმა, თითქოს ამ კითხვას არ ელოდაო, — ჩემი იყო, ძია სულხან, ჩემი. დედას გეფიცები, ყველამ იცის. არცა ვმალავდი.

— ვიცი, რომ არ მალავდი. ბევრა ვნახე, სადაც გიწყვია. მაგრამ რასაც გეკითხები, შენ იმაზე მიპასუხე — ფოლგა მოგცა, სად იშოვნე?

— თქვენი არ არის, ბატონო! აბა, შედით საწყობში. აღრიცხული ხომ გაქვთ? ფურცელ-ფურცელ დათვლილი გაქვთ ყველაფერი! ნახეთ, გაკლიათ რამე? არაფერი? მაშ, რა გინდათ ჩემგან?

ბიჭი უკვე ღელავდა.

— როგორ თუ რა მინდა, ბიჭო? საკოსტუმე ნაჭერი ხომ არ არის ეგ საოხრე და სატიალე. მაშინ ვიტყოდი, მაღაზიაში იყიდა-მეთქი! ფოლგა სად უნდა გეშოვნა, სად?

— ძია სულხან, სხვამ თუ არა, შენ ხომ იცი საიდან მექნება? ხომ იცი, რომ მოპარული არ არის! მილიმეტრობითა მაქვს გადარჩენილი, და თანაც,— ბიჭს თვალები აუციმციმდა, — ოსტატის ხელში ეგ ტიალი ცოტა გაიწელება ხოლმე. წუნი ხომ კანონით არის დაშვებული. მე კი...

— დამიწყო კანონებით ლაპარაკი, — გააწყვეტინა დირექტორმა, — ეგეც არ იყოს, როდისა გვქონდა ჩვენ როსტოვის ფოლგა? საიდან მოიტანე?

ბიჭმა ჯიუტად ჩაღუნა თავი.

— თენგიზ, გირჩევნია ყველაფერი მითხრა. სად იშოვნე როსტოვის ფოლგა?

— ბაქოდან ჩამოვიტანე.

— ყოჩაღ, ბიჭო! კარგა შორს გაგიშლია ფრთა! ბაზაში იყიდიდი, აღსტაფის სადგურზე, თათრის ქალებს გამოაქვთ იქ, ქიშმიშ-ლაბლაბოსთან ერთად! — გაუტრიზავა სიტყვა დირექტორმა.

— არა, ძია სულხან, ერთი ძმაკაცი მყავს ბაქოში, გახსოვს, მოსკოვში პრაქტიკაზე რომ გამგზავნე, ისიც იქ იყო. იქ გავიცანი და იმის მერე მისლა-მოსვლა გვაქვს ერთმანეთში. ამ გაზაფხულზე ქინძმარაული ჩავუტანე. ისე გაუხარდა, აიღო და ეგ ფოლგა მაჩუქა. განა იმას კი მოპარული ჰქონდა? იმასაც, ჩემი არ იყოს, მილიმეტრობითა ჰქონდა დაზოგილი. ჰოდა, აიღო და აჰა, მიჩუქნიაო!

— იმ კისერმოსატეხს, იმასაც სხვა რამ ეჩუქებინა! იქ ნაბდებსა სთელავენ კარგს, ფაფახებსა ჰკერავენ. ფოლგა რა გასაჩუქებელი იყო, კაცო!

ბიჭი უკვე შეშფოთებული იყო, და მაინც ჯიუტობდა.

— რას დაეძებთ, ძია სულხან! წარმოგბას არაფერი უზარალნია. ჩემია, მინდა წყალში გადავყარი, მინდა საქმეში მოვიხმარ.

— როგორ თუ რას დავეძებ, კაცო!— ახლა კი უნებურად აუწია ხმას სულხანმა, — როგორ თუ რას დავეძებ! რას აიტეხე ეს ჩემია და ჩემია. შენი კი არა, სახელმწიფოსია. კერძო სახელოსნონ გამიხსნა ამ ლაწირაკმა! იქნებ მარტო ვეღარ აუდიხარ შეკვეთებს, მუშახელიც ხომ არ გინდა წაგახმარო?

ბიჭი თავჩაქნდრული და გაჩუმებული იყო. დროდადრო ჯიუტად გამოჰხედავდა ხოლმე დირექტორს და ხმას აღარ იღებდა, სულხანმა პაპიროსი მოძებნა, მოუკიდა და წამოდგა, ფანჯარას გაჰხედა. გარეთ ხმაურობდა ქეჩა, მდინარესავით მოდიოდა ხალხი, ის კი ვერავისა ჰხედავდა.

მობრუნდა, ბიჭი ისევ თავჩაღუნული იჯდა; მერე აიხედა და ძლივს ამოთქვა, ხმა ერთხელ ჩაუწყდა კიდეც:

— მომხსენით, ძია სულხან! მეტი რა ვქნა?

— მე თვითონ ვარ მოსახსნელი, რომ ახლა პროკურორს არ ვურეკავ. მაგრამ დედაშენი მეცოდება და არც შენი წაბდენა მინდა.

უცებ ხმა გაებზარა:

— არა გრცხვენიან, ბიჭო. ოქროს ხელის პატრონი ხარ. როდის უნდა მოხვიდე ჭკუაზე, როდის? — ქოჩორზე ხელი მოკიდა, — მითხარი?

— მომკალი, ძია სულხან!

— კარგი, მიპატიებია, დაე, მე მომკითხონ. ადექი ახლა, წადი, გამოუყენებელი ფოლგა ხელწერილით ჩაიბარე საწყობის გამგეს. და გათავდა. ამაზე სიტყვა აღარაფერ დაძრას. დანაჩრენი შენს სინდისზე მომიგდია.

ბიჭი წამოდგა, მაგრამ ფეხი ვეღარ გადადგა წინ. გული რაღაც უჩვეულოდ უთრთოდა, უნდოდა მოჰფერებოდა ამ კაცს, რაღაც კარგი ეთქვა, იმიტომ კი არა, რომ ამატია, არამედ იმიტომ, რომ ასეთი გული ჰქონდა და თითონ კი, მისმავე გაზრდილმა, ამდენი საწყენი შეახვედრა.

— წადი-მეთქი,—თითქო გულში ჩახედაო სულხანმა ბიჭს, — წადი, მიპხედე საქმეს.

და უკვე კართან მისულს გაადევნა სიტყვა:

— გამომიჩნდა მეორე რამზეი ბონელო!

თენგიზმა გაკვირვებით მოხედა. იმან არ იცოდა, ვინ იყო რამზეი და რა საერთო ჰქონდა მის ფოლგასთან.

სიტყვა აღარავინ დაძრასო, თქვა მაშინ სულხანმა, მართლაც სამუდამოდ დავიწყებას მიეცემოდა ეს ამბავი, ის კრება რომ არა...

არ ეგონა სულხანს, რომ ამ ვეებაა ოჯახში ვინმე უკმაყოფილო ჰყავდა, ამიტომ ყველაფერი ის, რაც აქ ხდებოდა, მოულოდნელი იყო.

საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ძალზე ჩვეულებრივი მოსხენება წაიკითხა: გეგმას ამდენი პროცენტით გადავაჭარბეთ, ამდენი საგზური გავეცით, ესა და ეს ფილმები კოლექტიურად ვნახეთ, ყინწვისში და ატენში ექსკურსიები მოვაწყეთ, მიპყვა, მოპყვა და ბოლოს დაასკვნა, რომ ყველაფერი კარგად იყო.

„სიტყვა ვისა გაქვთო,“—იკითხა კრების თავმჯდომარემ. პირველად ერთი მკეცავი გამოვიდა. ეტყობოდა, ვიღაცის მიერ შეგულიანებული იყო და სათქმელს ადვილად ვერ მოაბა თავი, მერე კი ლაპარაკის ეშხში შევიდა და რა არ ათქმევინა ენას. სულხანი გაკვირვებული უსმენდა. სწორედ მას უტევდა ოოატორი — ბატონივით იქცევაო, — ამბობდა. მოძებნა იმანაც ბატონი. საბუთი არ უნდა, ისე ვინ დაგიჯერებს. მოიცა, აგერ საბუთებიც მოჰყავს: ერთს

გიორგი ნატროშვილი
თეთრი ხნული

რომ იალტისა და მახინჯაურის სანატორიუმებში ჰეზანის, მე ბორჯომის პლატოს დასასვენებელი სახლის საგზური მომიგდესო, აქ ყველა თანასწორნი ვართ, ჩვენში გარჩევა რად უნდა იყოს? რაო, ისინი აზნაურები არიან და მე არაო? აიღებს ხოლმე და წარმოების ფონდიდან უფასო საგზურს იმას აძლევს, ვინც თვალში მოუვაო.

— რას მიედ-მოედები, ძია სულხანზე მაგას კაცი იტყვის? — წამოიძახა ვიღაცამ წინა რიგებიდან.

ეს ვინღა გამოდის, ჰო, ეს თინაა, სალინოტიპოში მუშაობს, „შენ რაღა გინდა გოგო", გასძახა ბიჭმა, სულ წინა რიგში რომ იჯდა. ის კი მიდის ტრიბუნისაკენ, ისე მიდის, ეტყობა გრძნობს, რომ უცქერიან და მერე თამამად იწყებს:

— მე ძალიან გამაკვირვა წინა ორატორის გამოსვლამ. აქ არც აზნაურები არიან და არც გლეხები. არიან ზარმაცები და ბეჯითები. ერთის ნახელავი წიგნი ხელში არ აიღება, მეორისა — მსოფლიო გამოფენაზე შეიძლება გაიტანონ. თვითონ წიგნებმა კარგად იციან ლაპარაკი — საიდუმლოს არ ინახავენ. მაშინვე იტყვიან ხოლმე — მე ფინაჩმა გამაკეთა, უხეირომ და ზარმაცმა, ჩემი ბრალი არ არის, ასეთი შეუხედავი რომ ვარო. გუშინ მაგათ სამაქროში შევედი. ჭკუას დაჰკარგავს ადამიანი, მაგათ წუწს რომ ნახავს. აკიღე წიგნი, გადავფურცლე, თექვსმეტი გვერდის მერე წიგნი ყირაზე დადგა, სწორედ ისე, როგორც ზარმაც გიგოს ზღაპარშია, უკუღმა რომ ეჭირა წიგნი და თხა რომ დაეტაკა. მერე მეორე აკიღე, ერთი გვერდი თეთრი ჰქონდა, მეორე დაბეჭდილი.

დარბაზში სიცილი ატყდა. მომდევნო ორატორმა ორაზროვანი და გადაკრული ლაპარაკი დაიწყო:

— აქ ზოგიერთი პრანჭიები გამოდიან და არ იციან, რას მიედ-მოედებიან. დიდი ამბაები, წუნდებული წიგნები უნახავს. რა მოხდა, დაიქცა ქვეყანა... ერთი ალილუია დიაკვანსაც შეეშლებაო, ნათქვამია. აქ იმაზეა ლაპარაკი, ხალხში გარჩევა ნუ არისო. ეგაც არ იყოს, რაო, თენგიზა ცუდი ოსტატია? დირექტორმა კინაღამ შეიკვნა ბიჭი ხელში. ჩემი თვალითა ვნახე, ამხელა ... ვიყვაცი ბალღივით ატირებული გამოვიდა მაგისი კაბინეტიდან.

გაოცებულმა სულხანმა თვალებით დაუწყო ძებნა ბიჭს და ის იყო თენგიზიც, სადღაც, შუა რიგებში წამოხტა და ორატორს გასძახა:

— ჩემი ვეიქლობა შენ ვინ დაგავალა?

— შენს მეტი ვინ დაავალებდა, შე უმადურო შენა, — გასძახა ხანში შესულმა დამლაგებელმა ქალმა, — გაგზარდა, მამობა გაგიწია და დახეთ, კარგად არ გადაუხადე!

— შენც აგრე ჰფიქრობ, მაგდანაძალო! — ბიჭმა საცოდავად მიმოიხედა აქეთ-იქით და თავმჯდომარეს გასძახა:— სიტყვა მომეცი, სიტყვა-მეთქი...

— მოიცა, ამხანაგო! აგერ ჩაგწერ და...

— მომეცი-მეთქი სიტყვა.

ბიჭი პირდაპირ წამოვიდა ტრიბუნისაკენ, თავმჯდომარეს ქაღალდში აღარც ჩაუხედავს, ისე გამოაცხადა მისი გვარი.

— საკუთარ სიგლახეზე ლაპარაკი ვის ეხალისება, — დაიწყო თენგიზმა, — ჰოდა, არც მე მინდოდა, მაგრამ აქ ისეთი რამე თქვეს... მე თუ ახლა ადამიანი ვარ, თუ კაცი მქვიან, ეს ძია სულხანის კეთილი გულის გამო არის. მე ფეხი აქ ავიდეი და აქ გავიზარდე, ჩემი ოჯახიც აქ არის, ნუღარ გამახსენებთ, ცუდი რამ ჩავიდინე, არ ვიყავ საპატიებელი, მაგრამ მაპატია, ხელი შემაშველა... ტიროდაო, იძახი... მე მაშინ პირველად გავიგე, მადლი და სიკეთე რომ ყოფილა ქვეყანაზე... მე, მე, რა ვიცი, ეგ სიკეთე რით გადაეუხადო...

— კარგი ბიჭი ჰყოფილხარ, შვილო! — წამოიძახა ისევ იმ ხანში შესულმა ქალმა, — ყოჩაღ, ბიჭო!

თენგიზმა შუაზე გაწყვიტა სიტყვა, ისე დატოვა ტრიბუნა. ბურანში იყო, აღარა ესმოდა-რა.

აბა, მაშინ დაიწყო ნამდვილი ლაპარაკი, უფროსები—ძმებივით და უმცროსები შვილებივით დაუდგნენ მხარში თავიანთ მოთავეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმრებში პაპა ისევ ჯეელი ხდებოდა, ისევ მხნე და ღონიერი იყო და ახსოვდა, რომ დილით ადრე უნდა წასულიყო, ათასი საქმე ელოდა. ამ ვეება წარმოებაში ხან სად გამოჩნდებოდა მარცხი და ხან სად, ყველგან მისი თვალი იყო საჭირო. მაგრამ გაღვიძებოდა და მაშინ გაახსენდებოდა, რომ აღარსად არ იყო წასასვლელი და დღე თავისუფალი ჰქონდა.

არ უხაროდა ამნაირი თავისუფლება.

და ახლა-ღა ხვდებოდა, რომ ისევ ისა სჯობნებია — ის ტანჯვა, წვალება, ჩხუბი, გაუთავებელი მღელვარება; ისევ ისა სჯობნებია, როცა ქანცგაწყვეტილი, დაღლილი და თავშეგზრებული ინტრიგებდა ხოლმე — ნეტავ ერთი მომასვენა, ნეტავ სამუდამოდ მომაშორა აქაურობასო!

მარტო ერთმა ბიმმა, თენგიზმა რამდენი საწყენი მიაყენა. არ იქნა და მის მოშკვიანებას არაფერი ეშველა. რამდენ შარს გადაჰკიდა სულხანი ამ ბიჭმა, რამდენ უსიამოვნებას!

არც ტკბილი სიტყვა სჭრიდა, არც საყვედური და გაკიცხვა... გაგდებითაც ვეღარ გაგდო, ვერ გაიმეტა, ვერ შეელია.

მართლაც საკვირველი ყოფილა ეს ცხოვრება!

ყველაზე საკვირველი კი ის არის, რომ ამდენი ჩხუბი და დავიდარაბა ახლა ასე ტკბილად მოსაგონარია.

რამდენი საჩხუბარი და სადარდელი გადაჰკიდა თენგიზმა... სადაც კი ბიჭი ჩაერევა, იქ ყველაფერს უნდა მოელოდე.

მოწაფეების ამბავი ახსენდება მოხუცს.

ერთხელ მეზობელი სკოლიდან სტამბაში საწარმოო პრაქტიკაზე მეცხრეკლასელები გამოგზავნეს. მიიხედ-მოიხედეს ბავშვებმა და ყველამ თენგიზთან ყოფნა მოინდომა. მაგრამ მთელ კლასს ხომ ვერ დაიტევდა საამკინძაო საამქრო, ზოგი საამწყობოში გაგზავნეს, ზოგი სამბეჭდაოში, თუმცა ბავშვებს სკოლიდან მასწავლებელი წამოყვა, მაგრამ წარმოების თეორიას მათ ოსტატი ასწავლიდა, და უცებ შეიფერა თენგიზმა ეს როლიც. თეორიის საათებიც მის ხელთ იყო და პრაქტიკისაც. მასწავლებელს თავიდანვე არ მოეწონა ის ამბავი, რომ ამ ბიჭმა ლამის ხელიდან გამოსტაცა ბავშვები. ის ხედავდა, რომ პრაქტიკის საათებში მოსწავლეებს მოუბაროდათ თენგიზისაკენ, მოენატრებოდათ ხოლმე მისი ნახვა და რაღაც ეჭვის მსგავსი, მღრღნელი და შემაწუხებელი ფიქრი აწუხებდა: ეს ის ფიქრია, როცა ხედავ, რომ შენს დაზრდილებს, შეილებივით ნალოლიავებ ბავშვებს ვიღაც სხვა, შენზე მეტად შეუყვარდათ და შენთან კი არა, მასთან ყოფნა ურჩევნიათ. მაგრამ მასწავლებელს საბაბი არაფერი ჰქონდა, საყვედური ეთქვა თენგიზისათვის და შეტაკებას უფრო იმიტომ ერიდებოდა, რომ მისი აღზრდილები უფრო მეტად არ დაშორებოდნენ მას.

მაისის იმ ღრუბლიან დღეს, პრაქტიკის საათები რომ დამთავრდა და თენგიზმაც შაბაში გამოაცხადა, ის იყო ყველანი შინ უნდა წამოსულიყვნენ, როცა წვიმა დაიწყო. ჭიშკართან იცდიდნენ, ეგონათ ჩქარა გადაიღებო, მაგრამ ცა თითქოს ჩამოქცევას აპირებდა. სტამბის წინ, ქუჩაზე თქენი და ნიაღვარი მოდიოდა. ერთმა ბიმმა მაინც სცადა გაქცევა, მაგრამ უმალ უკან მობრუნდა, თანაც ამბავი მოიტანა — მეზობელ ქუჩაზე ისეთი ღვარცოფი მოდის, ქვეყანა თან მოაქვს, დგას ხალხი და შინ ვეღარ წასულანო.

თენგიზმა მოსწავლეებს ისეთი თვალით გადახედა, სიტყვა აღარც იყო საჭირო. განსაცდელი, თუმცა პატარა, მაგრამ მაინც განსაცდელი — კარზე იყო მომდგარი და მათი ვაჟკაცობაც ახლა უნდა გამოჩენილიყო.

— აბა, ჰაიდა! — დაიძახა მან და ბი-

გიორგი ნატროშვილი

ჭებიც მიპყვნენ. წუთი და მეზობელ ქუჩაზე იყვნენ. იქ, მართლაც, ცოდვის კითხვა ტრიალებდა.

ვიღაც ქალიშვილი მთებიდან წამოსულ ღვართქაფს კედელთან მიემწყვდია, გზა შეეკრა და ნელ-ნელა მიიწევდა მისკენ. ქალიშვილი წვიღით იკლებდა იქაურობას. სტაცეს ბიჭებმა ხელი, სამშვინდობოს გაიყვანეს და სტამბაში თავი შეაფარებინეს. მერე ეზოდან გამოათრიეს მორი, ხიდივით გასდეს და ხალხის გადაყვანა დაიწყეს.

მეცხრეკლასელებმა უცებ გუმანით იგრძნეს, რომ ისინი დიდები იყვნენ, და ეს გაუთავებელი წვიმაც ამიტომ აღარ იყო საშიში, ახლა ადვილად დასაძლევი ჩანდა ამაზე უარესი ხიფათიც და განსაცდელიც. ეს იყო კარგი წუთები, ვინაიდან ბიჭები ხვდებოდნენ — ისინი საჭირონი და აუცილებელნი იყვნენ ამ დიდ და თვალგაუწვდენელ ქვეყანაზე. სადაც ხან წვიმს, ხან თოვს, ხან საშინელი ქარიშხალი ქრის და ადამიანებს ის უდროო დროს მოუსწრებს ხოლმე.

ახლა მათი გული სიამაყის გრძნობით იყო სავსე და ამ წუთებში ხდებოდნენ ისინი ვაჟკაცებად; არიან ისეთებიც, ამას ვერ გამოსცდიან, გამორჩებათ ხოლმე ეს წუთები და მერე დადიან ქვეყნად გულგრილნი, სიყვარულსა და თანაგრძნობას მიუჩვეველნი.

ფეხშიშველნი, მაღლა აკეცილი შარვლებით იდგნენ ისინი თითქმის წელამდე წყალში და გრძნობდნენ, უკვე ბავშვები აღარ იყვნენ.

თენგიზსაც ეს უნდოდა. თითქოს ბედზე მოუსწრო ამ წვიმამ.

მიტო თავით ფეხებამდე ამოლუმპული დაბრუნდა შინ. დედამ არაფერი უთხრა, მაგრამ ქეთინომ დაინახა თუ არა, მაშინვე შეიცხადა — დედა ხვალ ადრიანად უნდა წავიდეს სამსახურში, ვეება დაწესებულების მემანქანეა და საქმეს დღის ბოლომდე ვერ აუთავდება ხოლმე. ქეთინოც უთენია უნდა ადგეს, ყველაფერი მოასწროს, ჩაიც აადუღოს, საუზმე გაამზადოს და ახლა ეს-ღა აკლდა... რას დამსგავსებია ეს ბიჭი: ღილები აწყვეტილი აქვს, ხალათიც და შარვალიც ისეა დღეჭილი, ერთი-მეორისაგან ვეღარ გაარჩევ, ამასაც დაუთოება უნდა; და ყველაფერი ეს ქეთინოს ზურგზე გადაივლის. ეგეც არაფერი, ჯანდაბას, გოგოს არ ეზარება, მაგრამ ამხელა ვაჟკაცია და არაფრის ფიქრი არა აქვს. რამდენს მუშაობს დედა, რომ ობლებს არაფერი მოაკლოს, ეს კი, აგერ, როგორ იქცევა...

— უი, ღმერთო მომკალი! ბიჭო, ვერსად შეაფარე თავი...

— ვერა.

— რატომ? ტყეში ხომ არ იყავი. ამხელა ქალაქში სულაც აიენების ქვეშ-ქვეშ ვივლიდი.

მოდი და ელაპარაკე. ვითომ გაბმით ჩამწკრივებული იყოს ეს აიენები მთელ თბილისში.

— დამანებე თავი... — უხეშად გაიწყვეტინა ძმამ, — შენი უფროსობა მაკლია სწორედ, მეტი აღარაფერი.

— დედა, შეხედე ერთი, დედა, — ლამის ტიროდა ქეთინო, — რას დამსგავსებია.

— სად იყავი, ბიჭო? — ახლა დედამ ჰკითხა.

— არსად. მოვდიოდი გზაზე და წვიმამ მომისწრო.

ახლა დედამაც თუ აიენები უხსენა, დედამაც თუ არ იცის, გადაბმულია თუ არა თბილისში აიენები, მაშინ... ერთ წამს მოიცდის ბიჭი, მარტო ერთ წამს...

— რაღა არაფერი, შვილო! ერთი შეგახედა შენს თავზე!

მიტო წამოხტა, გაბრაზებული გავარდა სამზარეულოში, ერთ ხანს უაზროდ იფათერა იქ. მერე ჩუმად შემოვიდა და გახდა დაიწყო.

— არ იავსშეგ? — ჰკითხა ქეთინომ.

ბიჭმა ხმა არ გასცა, ნელ-ნელა იხდიდა ტანსაცმელს.

— შენ გეკითხებიან, ვაჟბატონო!

მიტო ისევ ჩუმად იყო. დისკენ არც გაუხედავს, ისე ჩაწვა ლოგინში, თვალები დახუმა და გაინაბა.

თეფშზე საჭმელი ცივდებოდა.

უცებ ჩაეძინა დედას და ისევ უცებ გაახლია თვალები, მოეჩვენა, რომ ოთახში ვიღაც ტრიოდა.

გაბდღვიალებულმა სინათლემ თვალი მოსჭრა, ქეთინოს თეფში განზე გაეწია და მაგიდაზე მიტოს შარვალს აუთოებდა. როგორც კი დედამ წამოიხედა, ის ზურგით შებრუნდა და უფრო გამალებით დაიწყო უთოს გასმა გაშლილ ხალათზე.

„ცრემლი არ უნდა რომ დამანახვოს, რა ატირებს ამ გოგოს?“ — გაიფიქრა დედამ.

— გაგაბრაზა, შვილო, მაგ ბიჭმა!

— არა, დედა!

— მაშ, რა გატირებს, გოგო?

— რას ამბობ, დედა, სიზმარში ხომ არა ხარ? როდისა ვტიროდი?

ქეთინომ ჩუმად მოიწმინდა ცრემლები და ნაძალადევად გაიცინა.

დედას რას მოატყუებ! თვალით გასდევს შვილის მარჯვე ხელების მოძრაობას და სწყინს, გოგო ასე გულჩახვეული რომ არის და თავის სადარდელს არ ამხელს.

მისანია დედის გული, უცებ ჩასწვდება ხოლმე საიდუმლოს, უცებ მიგიხვდება ყველაფერს.

— ქეთინო, გამოსაშვები საღამო როდის გაქვთ...

ქეთინოს უცებ ხელიც კი გაუჩერდა — ეს რაღათა მკითხაო.

— ოცდაათ ივნისს. რათ მეკითხები?

— როგორ თუ რათა, გოგო? ზეიმი იქნება, შვილო, ატესტატებს დაგირიგებენ, გზას დაგილოცავენ.

— ხომ წამოხვალ, დედა!

— მაშ, შინ რა გამაჩერებს!

ორივენი გაჩუმდნენ, თითქოს იგრძნეს, რომ რაღაც მიჯნას მიადგნენ და ვერც ერთმა ვერ გაბედა, თუმცა ორივე ერთსა და იმავეს ფიქრობდა, და ისიც იცოდა ორივემ, რომ ერთი ჭქონდათ საფიქრალი. მაინც ორივე ჩუმად იყო. ბოლოს ისევ დედამ დაიწყო, და იმანაც შორიდან მოუარა:

— რამდენი ხანია ნანა აღარ მოსულა შენთან? ხომ არ დაემდურეთ ერთმანეთს? გუშინ დედამისი შემხვდა — ჩემი გოგო ახალ კაბასა და მაღალქუსლიან ტუფლებს იკერავს იმ საღამოს, თვისო. შენ რატომ ხმა არ ამოიღე, შვილო! რატომ არაფერი მითხარი?

— რა უნდა მეთქვა?

— როგორ თუ რა? ზეიმი იქნება. ყველანი ახლებში იქნებიან! შენ კი არ გინდა საღამოს კაბა?

— ახლებშინო! ჩემი კაბა ახალი არ არი?

— მოიცა, გოგო, მოიცა. ეგ ერთი დღე გაქვს, შვილო! თუ ყველანი ახლებში იქნებიან, შენ რათ უნდა გამოერჩიო სხვებში... ფული დღეს მივიღე სწორედ, ჩანთაში აწყვია, ხვალ გაკვეთილების მერე ჩამოუარე მაღაზიებს და აარჩიე, რაც მოგეწონოს...

— არა დედა, კაბაცა მაქვს და ტუფლებიც. არაფერიც არ მინდა.

— ქეთინო! დამიჯერე, გოგო!

— არა, დედა...

და გოგო ახლა კი ნამდვილად ატირდა, ახლა აღარ შეეძლო დაემალა ცრემლი, რათ უნდა დაემალა, რომ შეშფოთებული იყო, მალე დილით სკოლაში აღარ წავიდოდა და ეს ვერ წარმოედგინა. გათენდება, დადგება დილა და შენ კი სკოლაში აღარ მიდიხარ.

— არა, დედა, დაიძინე, მე არაფერი არ მინდა.

მიტოს არ ეძინა, ყველაფერი ესმოდა და იმასაც ისე უცემდა გული, ისე თრთოდა, თითქოს პირველად ხედავდა დედასაც და თავის დასაც. დახეთ, როგორი ყოფილა ქეთინო და შენ კი როგორ ექცევი, — უწყრებოდა ის ვიღაც სხვას, მეორე მიტოს, ცუდ ბიჭს, — არა გრცხვენიან, მაგისი ტოლი გოგოები იმას იფიქრებენ, დედას უჭირს ამხელა ოჯახის შენახვაო.

და ისევ იმ გრძნობამ აიტანა, წეღან წვიმაში რომ განიცადა. ახლა უფრო ნათლად იგრძნო, რომ თვითონაც ვაჟ-

კაცი იყო, რომ ისიც საჭირო და აუცილებელი იყო ამ დიდ ქვეყანაზე. საჭირო და აუცილებელი იმიტომ, რომ ადამიანებს, შენს ახლობლებს თუ შორეულებს — წვიმაში მოყოლილებს — არ გაუჭირდეთ.

დილით მიტომ ჩაიცვა, ისაუზმა და ჩანთა აღარ წაუღია, ისე წავიდა სადღაც.

იმ დღიდან მიტოს თავს რაღაც უცნაური ამბავი ხდებოდა. მანამდე პირველი მოწაფე ახლა ხან სკოლას აცდენდა, გაკვეთილებს ვეღარ პასუხობდა, ერთხელ მერხზე ჩაეძინა კიდეც.

მერე ის იყო, დედა გამოიძახეს სკოლაში. სკოლის დირექტორი ჭკვიანი და კეთილი ქალი იყო, ამიტომ შორიდან მოუარა, ჯერ ქეთინოზე ჩამოუგდო სიტყვა დედას, შეაქო გოგო და მერე ჰკითხა:

— ნინო, სად დადის შენი ბიჭი?

— არ ვიცი, ქალბატონო თამარ, არაფერს არ მეუბნება.

— საშიშია, ძალიან საშიში. ხომ იცით, რა ამბები ხდება. ცუდ წრეში არ იყოს მოქცეული, ზარს არ თამაშობდეს? ვისთან დადის, არ უნდა გაიგოთ?

დედა ატირებული დაბრუნდა შინ.

მიტომ ჩუმად შეაღო ოთახის კარი. ოთახში ქეთინო იჯდა და რაღაც წიგნს კითხულობდა. მიტომ ახლა სამზარეულოში შეიხედა და დარწმუნდა, რომ და-ძმანი მარტონი იყვნენ.

ბიჭი მაგიდას მიუახლოვდა, გაშლილი წიგნის გვერდს, ქეთინო რომ კითხულობდა, დააფარა ხელი, გოგომ გაოცებით შეხედა:

— გადაირიე?

ბიჭმა პასუხის ნაცვლად წიგნს ხელი დასტაცა, დაკეცა და განზე გადაადგო, და თავისი დის გაოცებულ და გამსინჯველ თვალებს — ბიჭი მთვრალი ხომ არ არისო, — ეს უპასუხა:

— მერე წაიკითხე, ახლა კი მე დამიგდე ყური.

და თავისდაუნებურად, დედის სიტყვებით დაიწყო:

— ხომ იცი, ეგ რა დღეა, ქეთინო! შენ ვისზე რა ნაკლები ხარ?! იქნებ გგონია, რომ ფული არა გვაქვს. თავი და ბოლო ვეღარ მოაწყო საკაქმელს, ჯიბიდან ფული ამოიღო და წინ დაუწყო, — წადი, შენც იყიდე.

ახლა უარი აღარ შეიძლებოდა, ახლა უარი უგულობა იქნებოდა და ქეთინომ უცვმ ოგრძნო ეს... ახლა შეიძლებოდა მხოლოდ ჩხუნი იმის გამო, რომ საერთოდ ოთახში წესრიგი არ არის, ახლა საჭირო იყო სიწყნარე, რადგან ამ ოთახში ბავშვები კი არა, მოზრდილი ადამიანები იყვნენ და იმათ ამ ქვეყნისა უკვე ყველაფერი იცოდნენ.

ახლა იმათ აღარაფერი აღარ გაუჭირდებოდათ ამ ვრცელ ქვეყანაზე.

— თენგიზ, ამ წარმოების უფროსი მე ვარ თუ შენ?

— ეგ საკითხავია, ძია სულხან?

— საკითხავია, მაშ, რა არი! ბიჭო, ეს მერამდენედ მჭრი თავს — მე თვითონ არ ვიცი, რა ხდება სტამბაში! რათ მიეცი იმ მოწაფეს ღამის სამუშაო? ისე პატარა აღარა ხარ, არ იცოდე, რომ ეს არ შეიძლება!

— რა არ შეიძლება?

— როგორ თუ რა? წადი და ახლა შენ გაეცი პასუხი — ერთი ამბავია სკოლაში, ჯერ არა სცოდნიათ, რომ ბიჭი შენთან დადიოდა, ცუდი რაღაც უფიქრიათ, ბიჭიც გაჯიუტებულა და არაფერი უთქვამს. კინაღამ გაურიცხავთ სკოლიდან, კომკავშირის კრებაზე ხომ ერთი ამბავი ატეხილა.

— არ უთქვამს, არა? ყოჩაღ, ბიჭო, მაგაშიც მე მგავს.

— თენგიზ, ტყუილად გიხარიან, ამას აღარ გაპატიებ. მითხარი, რათ ჩაიდინე ეს?

— ძია სულხან, ბიჭი შენ ვერ გეტყოდა, ამაყია, მე კი გული გადამიშალა, მიშველე, ფული მჭირდებაო. ღამეებს ვათენებდით. ერთ თვეში ასი მანეთი გავაკეთებინე.

— ჰოდა, კინაღამ დაღუპე ბიჭი!

— რა დავღუპე, კაცო! ხელობა ვასწავლე, იცი, რა ბიჭია? იცი, რა ხელი აქვს... მომგარაყებელი კი არა, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დადგება, ჩემსავით...

— იმისი ხელობა ჯერ კაკვეთილი და სკოლაა. ახლა ეს მითხარი, აგრე საჩქაროდ რაში უნდოდა ეს ფული?

— აი, ეგ უნდა გეკითხა თავიდან, ძია სულხან! მომენდო ბიჭი და ისეთი რამ მითხრა, ფული დამეწვა. ჩემი ფული შეეკალეი, მაგრამ იუკადრისა. მაშინ ყველაფერს ფასი დაეკარგებაო. ისეთი ამაყია, ჩემსავით... ეგრეც უნდა. მეც ასე მოვიქცეოდი. რაო, კრებაზე გაულანძღიავთ? გასალანძღი კი არა, ნეტავი ყველანი მაგისთანები იყვნენ!

კაკვეთილები რომ დამთავრდა და მორიგემ მიტოს გამოუცხადა, დირექტორი გიბარებსო, ბიჭს სახე მოეღრეჭა. კარგი, ეყოფა, აკმარეთ, მოასვენეთ, დედამ ცალკე დატუქსა, კრებაზე ცალკე გაუწყრნენ, ახლა დირექტორი დაუწყებს დარიგებას. იცის, მიხვდა, გაიგო. მოასვენეთ კაცი, დაანებეთ ყველამ თავი!

ბიჭებმა თანაგრძნობით გადახედეს. იცოდნენ — დირექტორი ტყუილად არ გამოიძახებდა. ბიჭი მოღრუბლული შევიდა კაბინეტში, ერთი კი შეხედა დირექტორს და ჩაღუნა თავი.

— სეხნიაშვილო, მოდი ახლოს, დაჯექი! — რაღაც ალერსიანი იყო ხმა და ბიჭს გაუკვირდა, გაწყრომასა და დარიგებას ელოდა.

„ეს დასაწყისია, ახლა გადავა — „ბიჭო, ხვაზე“, — გაიფიქრა მიტომ. ვეღარ გაინძრა. იდგა და შეწუხებული სახით დაპყურებდა იატაკს.

— დღეს არ გამოგიძახა მასწავლებელმა?

მიტოს ხმა არ ამოუღია, რას აწვალებს, რა შორიდან უვლის, უთხრას, რაც სათქმელი აქვს!

დირექტორი კი ისე შეპყურებს ამ უცებ დამუნჯებულ ბიჭს, თითქოს პირველად დაინახაო.

ძლივს ამოიღო ხმა:

— პატივცემულო მასწავლებელო! სიტყვას გაძლევთ... — და ხმა ისევ ჩაუწყდა. — მაპატიეთ!

— საპატიებელი შენ რა გჭირს, სეხნიაშვილო! შენ კარგი ბიჭი ჰყოფილხარ! ეცადე მუდამ ასეთი იყო. მე ძალიან მიხარიან, რომ ასეთი გაგვიზრდიხარ, — დირექტორს ხმა აუთრთოლდა. — ჩვენ კი რა არ ვიფიქრეთ, მაგრამ რად დაგვიმალე. ასეთი უნდობლობა რად გამოგვიცხადე! ეს რად იფიქრე, რომ მარტო ვარო, რატომ არ იცოდი, რომ შენიანებში ხარ!

„ყველაფერი იცის! საიდან?“ — გაუელვა ბიჭს.

დირექტორი კი განაგრძობდა:

— ახლა, წადი, სეხნიაშვილო, შინ...

მიტო ფრთაშესხმული მოდიოდა შინისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ამინი ჩამოიკლის

ჯუნი უკვე მეთოთხმეტეში გადადგა.

იზრდებოდა ბიჭი და ქვეყანაც თითქოს უფრო დიდი, უფრო საინტერესო ხდებოდა. დრო სულ უფრო და უფრო აღარ ჰყოფნიდა, მოხუცი მას ძველებურად უყვარდა, მაგრამ იმასაც შეამჩნევდით, რომ ახლა მასთან ყოფნის წუთებში თითქოს საათღაც მიიჩქაროდა; საით მიუწევდა გული, პაპამ არ იცოდა, მაგრამ იდუმალად გრძნობდა, რომ უჩინარი და თვალით უხილავი ნაპარალი მასა და შვილიშვილს შორის ნელ-ნელა ღრმავდებოდა.

უხაროდა პაპას, რომ ბიჭი იზრდებოდა და სიჭაბუკეში შედიოდა, ყველაფერზე უკვე თავისი აზრი ჰქონდა. მაგრამ გულის ერთ კუნჭულში რაღაც ჭია-

საც ჩაებუდნა, ერთი მტანჯველი აზრი გასჩენოდა — ამ ასაკში მისი შვილები— ზაქროცა და გურამიც უფრო სხვანაირები იყვნენ. როგორებიო, რომ გეკითხათ, ვერც აგიხსნიდათ მოხუცი, მაგრამ ჯუნის რომ არა ჰგავდნენ, ეს ცხადი იყო. პატარაობიდან სული წინ უსწრებდათ, სანამ სტამბაში გაჰყვებოდნენ მამას, სწორედ ისე, სოფელში პატარებმა უფროსზე ადევნება და ყანაში წაყოლა რომ იციან — ხან სამხარს ჩაუტანენ მამას, ხან ცივ წყალს და მაშინ მათ ოღონდ ერთი წუთით ნამგალზე წაავლებინე ხელი, რომ თავი დიდებად იგრძნონ და მაშინ იმათზე ბედნიერი და ამაყი კაცისშვილი არ იქნება ქვეყანაზე.

ამას კი გუმანით ატყობს ბერიკაცი — იმ ნამგლისაკენ არც თვალი მიურბის და არც ხელი.

ერთხელ სულხანმა სთხოვა ჯუნის — სტამბაში წამომყეო. ბიჭმა უცებ ვერაფერი უთხრა, მაგრამ ისეთი მაგდრეზელი თვალით შეხედა, აშკარად შეატყო მოხუცმა, რომ შვილიშვილს სადღაც, უფრო სანატრელ ადგილას მიუხარდა.

მერე წავიდეთო, — ძლივს ამოიღო ხმა ჯუნიმ.

ბევრმა მერემ გაიარა, მაგრამ ბიჭს ისევ და ისევ უძნელდებოდა დროს გამოძახება.

მეორედ კი პაპამ უცნაური რამ უთხრა:

— ამ ბოლო ხანებში რაღაც ძალიან ცუდადა ვარ, შვილო! შინიდან რომ გავდივარ, აღარ ვიცი მოვბრუნდები თუ არა. ვატყობ, ჩქარა წავალ ამ ქვეყნიდან.

— ნუ ამბობ, პაპავ, ნუ! — უმალ შეაწყვეტინა ჯუნიმ, — სად წახვალ, ვინ გაგიშვებს?

— მოიცა, ბიჭო! ამის თქმას ჯერ არავინ მოუკლავს, მე სხვა რამ მინდა გითხრა.

მაგრამ ჯუნი მიხვედრილი იყო.

— დღეს არ წამომყვები?

ჯუნიმ უცებ ჩაღუნა თავი, მერე ახედა პაპას და მოხუცმა შეატყო, რომ ახლა მათ შორის ძალიან გულახსნილი ლაპარაკი იწყებოდა.

— პაპავ, მოდი არწყვანაზე ვიყოთ!

— აგრე იყოს! — უპასუხა დაეჭვიანებულმა მოხუცმა.

— შენ თუ გგონია, პაპავ, რომ მეც შენსავით თავიდან დავიწყებ... პირველყოფილი თემური წყობილებიდან, მერე ყველა საფეხურს მოვყვები... თუ ასე გგონია!

— რას მიედ-მოედები, ბიჭო? რომელ საფეხურებზე მელაპარაკები?

— შენ რომ გამოიარე, იმაზე, იმ საფეხურებზე. მაინცადამაინც გინდა სწორედ იმ დაზგასთან დავდგე, საიდანაც შენ დაიწყე?

სწორედ ამისი ეშინოდა მოხუცს, ამ სიტყვებისა. მაშ, რას აპირებს ეს ბიჭი, რა უძევს გულში?

მაგრამ შენ უკვე მოხუცი ხარ, პაპა სულხან და ვერ მიხვდები რაზე ოცნებობს შენი შვილიშვილი!

ის ოცნებობს ყოველივე წარმოუდგენელზე, იმაზე, რაც ჯერ თვითონაც არ იცის.

ხომ შეგიმჩნევია — ხანდახან გარინდდება ხოლმე ბიჭი, თითქოს აქ აღარ არისო. იცი კი, სად არის ის მაშინ? იქნებ შორეულ გზაზე მისდევს ხომალდებს, რომ დაბურულ ჯუნგლებთან მიადგეს ნაპირს, ლურჯი ტბები ნახოს იქ და ბაობაბის ხეები, იქნებ ფიქრით ბისკაის უბეშია, როცა იქ ქარიშხალი ბრუნავს და ვემი ძლივს მიიკვლევს გზას აჯანყებული ხალხების საშველად. მშვილდ-ისრებით რომ ებრძვიან გაშვრთნილ უცხოურ ლეგიონებს.

მოიცა, ნუ იჩქარებ, ბიჭი ჯერ ცაშია, შენი დაზგით გააკვირვებ, როცა ატომური ვემის აწყობა აღარ უკვირს. აღარაფერი უკვირს, აღარაფერი...

მისდევს ბიჭი ბალიშზე თავს და ფრთას გამოისსამს, გაეშურება ცისკენ, და იხეტიალებს იქ ფიქრით, ვიდრე ჩაეძინება, რომ მერე სიზმარში გააგრძელოს ის გზათა ოკან წაწნული, შენ კი გინდა ერთ წუთში მიწაზე ჩამოიყვანო!

— კარგი, მაგრამ იმ დაზგასთან ვინ დადგება?

— მაგის მოხალისეც მოინახება!

— რას ამბობ, ბიჭო, რას? ყველამ რომ აგრე თქვას? აი, თურმე რატომ არ მომყვებოდი?

— ექსკურსიაზე რაღა იქ წამოვიდე, პაპიკო?

ექსკურსია სულ არ მოეწონა მოხუცს. უნდოდა ეთქვა, რომ ცხოვრება არც ექსკურსიაა, არც თეატრი და კინოა. ეს მძიმე შრომა და ოფლია, ნურავინ მოიტყუებს თავს, რომ ეს გართობა იყოს, უნდოდა ეთქვა ეს ყველაფერი, მაგრამ საჭირო სიტყვა ვერ მოძებნა. ფიქრი მუდამ მარჯვეა, ფრთიანი, ცოცხალი, სიტყვა კი — მშვლე და ღარიბი.

ჯუნი მერვე კლასში გადადიოდა.

სასწავლო წელი ის-ის იყო მთავრდებოდა.

იმ დღეს სკოლადამთავრებულთათვის ატესტატები უნდა დაერიგებინათ, ღელავდნენ მოსწავლეები და მათი გულისთრთოლვა თუ სიხარული პატარებსაც, მომდევნო კლასელებსაც გადასდებოდათ.

სკოლადამთავრებულნი კი ეთხოვებოდნენ იმ დღეს ბავშვობის წლებს; ამიტომ აღგზნებულნი იყვნენ, ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებდნენ, არბოდ-ჩარბოდნენ კიბეებზე, უმიზეზოდ იცინოდნენ, ეხვეოდნენ გოგოები ერთიმეორეს და უმიზეზოდ ტიროდნენ. აღგზნებულნი იყვნენ და როცა ყველას სკოლის დარბაზში დაუძახეს, ჭრიამული ჩვეულებრივზე უფრო გვიან ჩაწყნარდა.

დარბაზში უფროსებს უმცროსკლასელებიც შეჰყვნენ, უკან დასხდნენ და საზეიმო წუთების მოლოდინში გაინაბნენ, ჯუნიც იქ იყო. მათ ეგონათ, რომ ახლა უცნაური რამ მოხდებოდა, მით უფრო რომ ყველამ იცოდა, სკოლაში უცხო სტუმრები იყვნენ მოსულნი. ისინი ჯერ დირექტორის კაბინეტში ისხდნენ — ერთი გაზეთის მუშაკი იყო, ერთი მწერალი, ერთიც მქსოველი ქალი და ერთიც რომელიღაც საამქროს უფროსი, რომელიღაც სტამბიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის დირექტორმა, შუახნიერმა, უცხო სტუმრებს რომ შემოუღეღა, ალერსით გადაავლო თვალი შვილებივით შეჩვეულ ბავშვებს, მის ხელში რომ დაიზარდნენ, ფრთები აისხეს და ახლა გასაფრენად ემზადებოდნენ. სულ პატარები იყვნენ აქ რომ მოვიდნენ, დედებმა ხელჩაკიდებულები მოიყვანეს და აჰა, უკვე ჭაბუკები და ქალიშვილები გამხდარან, მოსულა მათთან განშორების წუთები.

— ბავშვებო! — ძლივს დაიწყო დირექტორმა, — დღეს ჩვენ სტუმრები გვეწვივნენ, უნდათ გზა დაგიღოცონ...

სტუმრებს გადახედა და დაუმატა:

— თქვენთან საუბარი სურს ამხანაგ თენგიზ ლაფანიძეს, საამკინძაო საამქროს უფროს ოსტატს.

საამქროს უფროსსო, გაიგონეს თუ არა, ყველა თენგიზს მიაჩერდა. ჭაბუკი ამრეზილი იყო, და სულ არ ჰკვდა დამრიგებელსა და ცხოვრებაში გზის მაჩვენებელს. მთელი კლასის ხუმარამ, წინა რიგში რომ იჯდა, განცვიფრება ვერაფრით გამოხატა და უცებ ისე ეჩოლად, ნაძალადევად და სასაცილოდ ამოიგმინა, რომ ჩაწყნარებულ დარბაზში სიცილი ატყდა. კლასის მხატვარმა, მეტსახელად პიკასოს რომ ეძახდნენ, უმალ ფანქარი მოიმარჯვა და უცხო სტუმრის ხატვა დაიწყო. ახალგაზრდა მქსოველი ქალიც შეკრთა. დირექტორს სახე შეეშმუხნა, ეწყინა, და ის იყო ბავშვებისათვის საყვედურით უნდოდა მიემართა, რომ თენგიზმა ხელით შორიდან ანიშნა შეჩერებულიყო და მერე დაუმატა:

— დაიცადეთ, ქალბატონო, იცინონ!

მკაცრი სახე ჰქონდა, ისე მოღუშული იყო, რომ უცებ სიცილი ჩაწყდა. თენგიზი ყველას ისე ათვალიერებდა, თითქოს მათ გულში იხედებაო; იმისმა თვალებმა ყველა ერთბაშად დაიმორჩილა, გააჩუმა და, საკვირველია, უცებ

იგრძნეს, რომ აქ არაფერი სასაცილო არ იყო.

— იცინეთ, — გაიმეორა თენგიზმა,— როცა ჩაიჭრებით და ატირებულები მომადგებით, მე გეტყვით — სათქვენო ადგილი არა მაქვს-მეთქი. ვნახავ, მაშინ როგორ გაიცინებთ.

დირექტორს ახლა კი მართლა შვილებივით შეეცოდა ეს ბავშვები. არ ელოდა ასეთ დასაწყისს. მას ხომ სიკეთე უნდოდა, ყველაფერი გაზომა და გაითვალისწინა, მქსოველიც მოიყვანა და მესტამბეც — მართლა ყველას ხომ არ მიიღებენ უმაღლესშიო, იფიქრა და აქეთაც გზა უნდოდა გაეკვლია ბავშვებისათვის. სტაჟს მაინც შეიძენდნენ და მერე გაუადვილდებოდათ სწავლის გაგრძელება, და თუ აღარ გაჰყვებოდნენ სწავლას, მაშინაც არ წააგებდნენ — ხელობა ექნებოდათ.

ამიტომ მოაწყო ყველაფერი ეს და დახეთ რა გამოდის!

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

თენგიზმა ისევ გადახედა ბავშვებს და ახლა ღიმილი ჩაუდგა თვალებში. იმ ღიმილმა ერთბაშად გამოცვალა მისი სახე. ეშმაკურად აუციმციმდა თვალები და ხელახლა დაიმორჩილა ბავშვები, ისინი მხრებში გასწორდნენ და უკვე ინტერესით მიაცქერდნენ. უეცრად მიხვედნენ, რომ ეს კაცი მათი სიკეთის სურვილმა მოიყვანა აქ, თორემ თავსატეხი ალბათ იქაცა ჰყოფნის, თავის საამქროში, მით უმეტეს, ვიღაცის და რაღაცის უფროსი ყოფილა!

თენგიზმა კი განაგრძო:

— რომ ჩაგძახიანთ, ნურაფერზე იფიქრებთო, ეგ ნუ დაგამშვიდებთ, საფიქრალი ახლა გაქვთ, პატარები აღარა ხართ. თქვენ არ იფიქროთ, რომ მართლა არ მიგიღებთ... მეც და ნათელაც, — მქსოველს გახედა, — ამაზე ვართ მოსული... სადაც გაგიჭირდეთ, ჩვენი სახელი იქ ახსენეთ!

და სიტყვა ახლა ნათელას დაუთმო.

ნათელამ აბრეშუმის ფაბრიკაზე ილაპარაკა. ქალიშვილმა დაიმორცხვა, მსმენელები თითქმის მისი ტოლები იყვნენ. უკვე დადინჯებულნი უსმენდნენ. თენგიზმა უცებ პიკასოს გადახედა და ზელით ანიშნა — ნახატი მომაწოდეო. აღო და დახედა:

— უჭრის თვალი, ხედავს, — საათს დააცქერდა, — ჩვიდმეტი წუთი იმუშავა ნატურაზე, — და ბიჭს მიუბრუნდა,— შენ, ვიცი, სამხატვრო აკადემიაში წახვალ, მაგრამ ბოლოს, მაინც ჩემს ხელში უნდა მოხვედ! ეს იცოდე!

ისე ლაპარაკობდა თენგიზი, თითქოს საამქროს უფროსი კი არა, მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონი ყოფილიყო.

ბავშვებს აღარ ეთმობოდათ, უნდოდათ კიდევ დიდხანს, დიდხანს ელაპარაკნა მას.

დირექტორმა ჭიშკრამდე მიაცილა სტუმრები. თენგიზს მადლობას რომ უხდიდა, უთხრა:

— ვიცოდი, რომ კარგი ოსტატი იყავით, მაგრამ თქვენ ნამდვილი პედაგოგიც ჰყოფილხართ!

თამამმა ბიჭმა უცებ შეიფერა ქება.

ჯუნი დაფიქრებული დაბრუნდა შინ. იმ უსიამოვნო ლაპარაკის მერე ის და პაპა ერთმანეთს არ დამდურეგნიან, მაგრამ ვეღარც ლაპარაკი აეწყოთ.

ნაპრალი გაღრმავებულიყო — პაპა სადღაც გაემა დარჩენილივით იყო, შვილიშვილი კი გამოღმა. თავის ოთახში ჩაკეტილი მოხუცი ერთთავად ფიქრში იყო წასული.

გაუხარდა, როცა ჯუნიმ ჩუმად შეაღო კარი.

მიხედა, რომ ბიჭი უამბოთ არ იყო მოსული, მაგრამ არაფერი უკითხავს.

უცდიდა, თვითონ დაიწყოსო.

— პაპავ, თენგიზ ლაფანაძეს იცნობ?

ყველაფერს ელოდა მოხუცი და ამ კითხვას არა.

— შენ საიდან იცნობ?

— დღეს ჩვენთან იყო, სკოლაში.

— სკოლაში? რა მინდაო?

— მგონი, რაიკომმა გამოგზავნა.

— იმ დალოცვილებმა იმაზე ჭკვიანი ვერავინ მონახეს?

— არა, პაპავ, ძალიან ჭკვიანი კაცი ყოფილა!

— ისემც რა ვუთხრა იმას... ბიჭო, ჩემს გაჭედილ ხატს ჩემზე კარგად იცნობ?

უცებ მიტო გაახსენდა მოხუცს.

— რა თქვა მაინც ასეთი, რატომ ჩამოგიხტა იმასთან გული? — ჰკითხა სულხანმა.

— ხომ სულ მეუბნებოდი, სტამბაში წვავდეთო, წამიყვანე ხვალ...

ბერიკაცმა გაოცებით შეხედა შვილიშვილს და კიდევ ერთხელ გაიფიქრა: რა ჯადო აქვს იმ ბიჭს და ამ ბალღების გულს რით იპყრობსო!

პაპამ სასწრაფოდ ჩაიცვა და სტამბისაკენ გაეშურა. ჭიშკართან ხალხი ირეოდა, სულხანმა დამლაგებელი ქალი დაინახა და მაშინვე ჰკითხა:

— მაგდანო, ხვალ შენა ხარ მორიგე?

— მე ვარ. რათ მეკითხები?

— შენი ჭირიმე, მაგდანო! ქაღალდის ნაგლეჯი არ ეგდოს ხვალ იატაკზე. დაიხმარე გოგოები, ჩემი სახელითა სთხოვე ყველას, ისე დაკარიალეთ აქაურობა, ყველაფერი ბზინავდეს და ბრწყინავდეს.

— რა ამბავია, სულხან? უცხოელების დელეგაცია მოდის?

უცხოელებისა... თქვა ამანაც, შვილიშვილი უნდა მოიყვანოს... დამლაგებელი კი ისევ შესცქერის და პასუხს ელოდება.

— ჰო, უცხოელები იქნებიან... ეს დამავალე, მაგდანო, შენი ჭირიმ.!

ვეება ეზო ჭიშკრით ქუჩაზე გამოდიოდა, უკანა მხრიდან კი კლდით იყო ჩაკეტილი. კლდის თავზე ბოსტანი იყო გაშენებული და იქიდან მზესუმზირას ბდღვიალა ყვავილები გადმოსცქეროდნენ ქაღალდის ნაფლეთებით მოშანშლილ ეზოს და ახმაურებულ საამქროებს. წამდაუწუმ ჭიშკარში გუგუნით შემოდიოდნენ მანქანები. ეზოს მყუდრო კუთხეში, ჩრდილში ეგდო რაღაც დაკანგებული მანქანა, ზედ გამუტული ბიჭები ჩამომსხდარიყვნენ და გუშინდელ მატჩზე ლაპარაკობდნენ. თამაქოს მოსაწევად გამოსულიყვნენ საამქროებიდან, მაგრამ გასტკბობოდნენ ბუნებრივ ყოფნა და ეძნელებოდათ შესვლა შიგნით, საიდანაც ისეთი გუგუნი ისმოდა, თითქოს ხეობაში ქარიშხალი ბრუნავსო.

მაგდანა ძალომ უკვე მესამედ დაუტატანა ბიჭებს, მოშორდით აქაურობასო, მაგრამ იმათ შიგნით შესვლა თითქოს ეძნელებოდათ.

— ბიჭო, ახლა არ დავგავე, შვილო, აქაურობა, რას დაგიმსგავსებიათ!

— რა იყო, მაგდანა-ძალო, შენ რომ ასეთი შარიანი არ იყავი?

— ბიჭო, გაიგონეთ, შვილო! ვილაც უცხოები უნდა მოვიდნენო.

— ვინ უცხოები? — იკითხა ქოჩორამ. მეორემ უპასუხა:

— ისინი ფუნიკულიორზე ავლენ და იქიდან გადმოხედავენ ქალაქს. ჩვენი ეზო არც გამოჩნდება.

— ერთხელ აკი მოვიდნენ ჩვენთან, არ გახსოვა?

— ჰო, შვედები იყვნენ... რედაქტორები, ექვსი კაცი... თან რედაქტორები იყვნენ, თან კაპიტალისტები, დაჭმუჭნული კოსტუმები კი ეცვათ!

— ეგ განზრახა, ბიჭო! იქ ეგრეა...

— ძალიან ბევრი გესმის შენ!

— იქნებ ისევ ისინი ჩამოდიან, ძია სულხანი ტყუილად არ იტყოდა.

— აი, ახლა რომ გაიღოს ჭიშკარი და უცხოელი შემოვიდეს. დაგინახავს თუ არა, წამოგვა შენკენ და ეკეტყვის — აი ემ ედლაი სტივენსონ! შენ უნდა გაუღიმო და უთხრა — ქამ ინ, მისტერ, მობრძანდით, ბატონოო!

— შტერი ნუ ხარ, ბიჭო! ქვეყნის ამბებს წინა დღით შენ გაიგებ ხოლმე, და ეგ ვეღარ წაიკითხე გუშინ — სტივენსონი შუა ქუჩაში წაიქცა და მოკედა...

— რა ფულს გააკეთებდნენ ის რედაქტორები, იქ რომ ყოფილიყვნენ?

და ის იყო, ჭიშკარში პაპა და შვილი-

შვილი გამოჩნდნენ, ბიჭები სულხანს ზანტადა მიესალმნენ და ჯუნის დაუწყეს ცქერა.

— ფიი-იუ-უ! — დაუსტვინა ერთმა, — ეგ არი შენი დელეგაცია?

— დელეგაცია კი არა, ცელა მოჰყავს პაპას.

პაპამ წყრომით გადახედა ლაზღანდარა ბიჭებს, ჯუნის ხელი ჩაჰკიდა და ხელმარცხნივ, ნიშვით პატარა ოთახში შეიყვანა.

იმ ოთახში ჯუნიმ უცებ მამას მოჰკრა თვალი. გურამი სავარძელში იჯდა სარკის წინ. თეთრხალათიანი პარიკმახერი ფუნჯით ლოყებზე საპნის ქაფს უსვამდა. გურამმა შემოსულები სარკეში დაინახა და არც მოუხედავს მათკენ — იქიდან გაუღიმა ორივეს და მოხუცს თვალი ჩაუკრა.

— გასაკრეჭია ბიჭი, ძლივს წამოვიყვანე, — თითქოს თავს იმართლებსო. ისე უპასუხა ბერიკაცმა.

გურამმა ეშმაკურად გაიცინა და არაფერი თქვა.

ოთახში კიდევ ორი კაცი იჯდა. ერთს, შუახნისას, მეხანძრის ფორმა ეცვა, მეორეს კი, მოხუცს, ხელში გასაღებების ვეება შეკვრა ეჭირა და მძივებივითა სთვლიდა.

ორივენი ჩუმად ისხდნენ და ენათგაკრეფილ პარიკმახერს უსმენდნენ. ის კი ვის არ ახსენებდა, ხან სად გადახტებოდა იმ საუბარში. ხან სად. მერე პარსვას თავი მიანება, სამართებელი თასმაზე აღესა და გურამს მიუბრუნდა.

— გურამ, ხომ იცი, მეც ჩემი გეგმა მაქვს. ამდენ ხანს რათ მალოდინე. მეც ზარალში მაგდებ და შენც აგრე ბანჯგვლიანი დადიხარ.

— რა ვქნა ლეო-ჯან! ვეღარ მოვიცალე. — უპასუხა გურამმა.

— ვაჰ, ეს რანაირად იციან. კაცო! ეგ არი თქვენი გეგმანობა, თქვე დალოცვილებო! — გაიოცა ლეომ და დანა ყელთან ჩამოუსვა.

სულხანი მეხანძრესა და გუშაგს მიუჯდა. ჯუნი კი გაოცებული უსმენდა პარიკმახერს:

— არა, ძალიან უწესოდ მუშაობთ.— ამბობდა ის და უფროსივით უწესებოდა სალინოტიპო საამქროს, — უფროს ოსტატს. გურამმა წვერი რომ გაიპარსა, ლეოს მანქთიანი მიაწოდა და საჩქაროდ გარეთ გავარდა. ახლა ჯუნი ჩაჯდა იმ სავარძელში, ლეომ დიდხანს უტრიალა, თმა კოხტად შეუსწორა, ბიჭს კი ერთი სული ჰქონდა, ვიდრე პარიკმახერი საქმეს მორჩებოდა.

როგორც კი ბიჭი სავარძლიდან ადგა, მოხუცი გუშაგი გამოფხიზლდა თვლემისაგან და პაპას უთხრა:

— სულხან, შენი ჭირიმე. ნუ გეწყინება... ძალიან პატივსა ვცემ, მაგრამ კერძო პირს სტამბაში ვერ შევუშვებ.

პაპას უცებ ცუდმა ფერმა გადაჰკრა:

— ჩემზე ამბობ, კაცო!

გუშაგმა გაიცინა:

— რას ამბობ, კაცო! ეგ რამ გაფიქრებინა? მე და შენ აქ უფროსები ვართ. ემაგ ბიჭზე ვეუბნებინ. ვისია?

პაპას გულზე მოეშვა, მაგრამ გუშაგს მაინც წარბი არ გაუხსნა.

— ჩემია, კაცო! შვილიშვილია.. ეს რა კერძო პირია, შაქრო! — და წელან, ეზოში რომ ბიჭები იდგნენ, იმათი სიტყვა გაახსენდა — ეს ახალგაზრდა გვარდიაა.

— ჰოო, ნათქვამია კვიცი გვარზე ხტისო. წაიყვა, სულხან, მაგრამ ფრთხილად. ათასი საწამლავია, ათასი საფრთხე...

— მე მეუბნები? — გაეცინა მოხუცს, — ეგეც თუ აღარ ვიცი...

საპარიკმახეროდან რომ გამოვიდნენ, პაპა და შვილიშვილი ისევ ეზოში მოხვდნენ. მერე ერთი მაღალი კარი შეაღეს. იქ აუარებელი ქაღალდი ეწყო, იქიდან ქვევით, მიწის სიღრმეში კიბე ჩადიოდა; ძნელი იყო გავლა, ისე იყო გაჭედილი იქაურობა. ძლივს გაძვრნენ და შეჰყვნენ კიბეს მეორე სართულისაკენ, იქ, დერეფანში ერთ ხანს სული მოითქვეს და ვეება დარბაზში შევიდნენ.

უზარმაზარი იყო ის დარბაზი, ხალხით, ხმაურით, ზუზუნითა და ზრიალით სავსე. მთელ სიგრძეზე, ერთი-მეორის

მიყოლებით ჩამწკრივებულიყვნენ მანქანები და სწორედ ისინი ზრიალებდნენ, თითქოს რაღაცას ბუტბუტებენონ. დაბლაც, იატაკს ქვეშ რაღაც მანქანა ბორგადდა და კედლები ზანზარებდნენ, მაგიდაზე ოდნავ წკრიალებდა ჭიქა, და ეჩვენებოდა ჯუნის, რომ მატარებლის დერეფანში დგას და ფანჯარას გასცქერის. მიქრიან სადგურები, ალვისხეები, მწვანე გორაკები და სახლები, შემდგარა ეს ბუმბერაზი ბორბლებზე და გუგუნით მიარღვევს სივრცეს.

უცებ იმ დარბაზის თავში ბიჭმა თავის მამას მოჰკრა თვალი, მანქანის წინ იჯდა და ქაღალდში იცქირებოდა, თანაც სწრაფად ათამაშებდა თითებს კლავიშებზე.

— აქედან იწყება ყველაფერი, — უთხრა პაპამ და მანქანასთან მიიყვანა. დაჭკრავდა ასოთამწყობი ხელს ერთხელ, ორჯერ, მანამდე, სანამ საბწკარე აივსებოდა და ბოლოს მანქანიდან ტყვიისაგან ჩამოსხმული რაღაც ფირფიტას მსგავსი გადმოვარდებოდა.

ამას ერქვა ბწკარი, ტყვიისა იყო, ათასი, ათი ათასი ასეთი სტრიქონი უნდა ჩამოესხათ, რომ მათ ქაღალდზე კვალი აღებეჭდათ და მერე წიგნიც მზად იქნებოდა.

ბიჭმა შეამჩნია, რომ სტრიქონები თავისთავად ეწყობოდნენ ერთიმეორეს, მხარში უდგებოდნენ ისე, როგორც წიგნში არიან. პაპამ ერთი სტრიქონი, ის იყო მანქანიდან ცინცხლად რომ გადმოხტა, ხელში აიღო, რამდენჯერმე შეათამაშა, ხელიდან ხელში გადაიგდო, მერე სულიც შეუბერა და ჯუნის მიაწოდა. ტყვიის ფირფიტა ცხელი იყო, ბიჭს ხელისგული ეწვოდა, მაგრამ არ იმჩნევდა — აქ შემოსულმა კაცმა ყველაფერს უნდა გაუძლოს, — თორემ ვინ იცის, ეგეც დაგცინონ და გაგაგდონ კიდეც აქედან.

— აბა, წაიკითხე! — შეაქება პაპამ.

რატომაც არ წაიკითხავს, დახედა ჯუნიმ და ხმამაღლა ჩაიკითხა, რაღაც უაზრობა იყო.

პაპას გაეცინა:

— უკუღმა წაიკითხე. ბიჭო! მაგრამ ნიდან მარცხნივ!

ჯუნიც ასე მოიქცა და ამბავიც ასე ტყვიამ:

თბილისი სპარსთა დაიპყრეს,

წაიკითხა და ეიხედა. ის იყო პაპამ სამი მომდევნო სტრიქონი ერთად მიაწოდა:

მიდ-მოდის სისხლის ღვარები
ტრიალ კრწანისმა მოგვშრიტა,
დროშებს დაგვიწყდა ზარები...

ლექსი მოდიოდა ტყვიასავით, მდინარესავით და ერთმანეთს ეწყობოდნენ სტრიქონები:

წადი, ტიალო, ვის უცდი,
მეხლში ჩაუშვი ქარია,
დარეკონ, უთხარ, ქალაქში,
სამგლოვიარო ზარიო,
ნუღარ ელიან, სულ გაწყდა
ერთგული ქართველის ჯარიო!

ლექსი კი არა, მოთქმა იყო — მოსულიყო ვაჟა-ფშაველა და ტიროდა... და მოთქმა წიგნის ერთი ფურცელი უნდა გამხდარიყო. ვაჟას წიგნი უნდა ამოსულიყო იქ ხესაკით და ერთი ფოთოლი ეს იყო, იმ ხეზე უნდა ეშრიალნა. მერე ის ბიჭი დაინახა ჯუნიმ, წელან ეზოში რომ იდგა. ბიჭმა ბაწრით შეკრა ის სტრიქონები, არ დამებნესო, მანქანაზე დადო, ზედ ქაღალდი გადაეფარა, გაიარა მანქანამ და შავი კვალი გაატარა თეთრ მინდორზე.

კითხულობდა ჯუნი და ხედავდა, რომ წიგნის დაბადება დაწყებული იყო. რა კარგად სცოდნია მოსვლა წიგნს ამ ქვეყანაზე, გაზაფხულივითა სცოდნია, ხმაურითა და შრიალით.

ნელ-ნელა ჩაჰყვნენ იმ აზრიანებულ მანქანებს მოსხეკი და შვილიშვილი, პირველთან ვაჟას ლექსს რომ აწყობდნენ, მეორესთან აკაკი ედოთ წინ, მესამესთან — ლერმონტოვი, მეოთხესთან — ანდერსენი. ბოლოს იმ დაზგას-

თან გავიდნენ, სადაც გამურული ბიჭი ანაბეჭდებს იღებდა და ჰკეცავდა.

ბიჭმა ჯუნის ეშმაკურად ჩაუკრა თვალი, ანაბეჭდების მთელ ხროვას ხელი დახვია და საითღაც გაიქცა.

— აი, ხედავ ჯუნი აქაურობას, — უთხრა პაპამ და ვეება საამქრო მიმოათვალიერა, — ხელნაწერი პირველად აქ მოდის. ხომ დაინახე, როგორ აწყობდნენ. აქედან მიდის სად, იცი? იმ ბიჭს უყურებდი, საით წავიდა?

— აი, იქით! — უჩვენა ჯუნიმ სალინოტიპო საამქროს დასაწყისში, მარჯვენა მხარეს, სადაც პატარა ოთახები მერცხლის ბუდეებივით იყო მიდგმული ერთი-მეორეზე.

— აბა, წამო, ბარემ კვალდაკვალ გავყვეთ...

პაპამ და შვილიშვილმა პაწია ოთახების კარი შეაღეს, ყველგან წყვილ-წყვილად ისხდნენ ქალიშვილები. ერთი პატარა სარკეში იცქირებოდა, მეორე ქსოვდა, მესამეს ისეთი დაფურცლილი წიგნი ეჭირა, გეგონებოდა კი არ უკითხავთ, ქუჩა-ქუჩა უთრევიათო, მეოთხე და მეხუთე ახალ ყელსახვევსა სინჯავდნენ, დანარჩენები ბავშვურად, ჩათვლით კითხულობდნენ... ის ბიჭი კი დარბოდა მათ შორის და ახალ-ახალ ფურცლებს ურიგებდა.

— ვინ არიან? — ჩუმათ ჰკითხა ჯუნიმ პაპას.

იმ ბიჭმა გაიგონა და პაპას პასუხი დაასწრო:

— ჰოოო, ამათზე ჰკითხულობ? ეს ქალიშვილები არიან, შეცდომებს რომ ეძებენ. ხელობა აქვთ ასეთი!

იმ ქალიშვილმა, ჩათვლით რომ კითხულობდა, წყრომით აიხედა და ბიჭს უთხრა:

— წადი ახლა, ხომ ხედავ, გვიშლი!

ბიჭმა ხმას დაუწია, მაგრამ მაინც გასაგონად (ის აქ შინაურულად ეჩქნობდა თავს) განაგრძო:

— აი, ჯუნი, ეს დეიდები, ღმერთმა დაიფაროს, ერთ დღეს წვიმაში რომ მოპყვნენ და გაეცვდნენ, მორჩა, სულმთლად უკუღმა წავა წიგნის საქმე. იმდენი შეცდომა იქნება შიგ, იმდენი... ჰოდა, ამათ ხელშია ყველაფერი... შეხედე ამ დეიდას, ლილი ჰქვიან სახელად. შეხედე, რა ყელსახვევი უშოვია — ეს რომ არა...

— კარგი, ნუ გაამყალე გული, — კვლავ გაუწყრა ლილი და თავიისი ლამაზი წარბები წყრომით შეჰყარა, — არაფერი არ დაუჯერო ბიჭუნი მაგ სალაღხანას!

— შენი ახალი მოსწავლეა, ასე ვთქვათ, ახალი ცვლა? — დაცინვით ჰკითხა ლამარამ.

ბიჭმა სიტყვა ბანზე ააგდო და ლამარას ჰკითხა:

— ის ბიჭი ვინ იყო, გუშინ, კიროვის ბაღში... მერე კინოში რომ შეხვედით?

— რაში გეკითხება? გირჩევნია საქმეს მიხედო! — წამოწოლილა ლამარა და თავიდან ბოლომდე აჭრელებული, ლურჯი ფანქრით ათასნაირად გადახაზული ქაღალდის გრძელი ნაჭერი მიუგდო — წაიღე, ხელახლად ასაწყობია.

ჯუნი იმ დღეს კიდევ ერთი საკვირველი ამბის მოწმე გახდა: ის იყო პაპა და შვილიშვილი საამქროდან გამოდიოდნენ, როცა კარში ერთი ტანმორჩილი ყმაწვილი გამოჩნდა და შეშფოთებით იკითხა:

— ჩემი წიგნის კორექტურა გამასინჯეთ?

— ნუ ღელავთ, ბატონო! — შეეგება გურამი ახლადმოსულს და მერე ქალიშვილს მიუბრუნდა, — მგონი შენ აწყობდი, მერი! უჯრაში გექნება!

ყმაწვილს ფურცლები რომ მაწოდეს და ჩაიკითხა, მაშინ კი შეიმჩნიხნა წარბი და თქვა:

— კარგი აწყობილია!—მერე მთლად შეეცვალა სახე. დაუდნა ღიმილში, „თქვენი აწყობილია, მერი?“ — მიუახლოვდა ქალიშვილს და ხელზე ხელი დაადო, თან ფურცელს ჩასცქეროდა, უცგბ ისევ შეიკრა წარბი და იყვირა:

— ლექსს ბოლოში წერტილი აკლია! მკითხველი ხომ უნდა გაჩერდეს. რომ დაიწყებს, ხომ უნდა გაჩერდეს!

— კარგი, ბატონო, დავსვამთ წერტილსაც.

მერიმ ფურცელი წინ დაიდო, ააწყო სტრიქონი, დააცქერდა, ჩაიკითხა, ახლა წერტილის გამოძახება-ღა იყო საჭირო, დაადო თითი კლავიშს და ისიც გამოიძახა. მერე ჩასვეს სტრიქონი ანაწყობში და ანაბეჭდი ხელახლა ამოიღეს. ბოლო წერტილი ისევ არ იყო.

— ისევ არ არის! — იყვირა ყმაწვილმა, — მკითხველი ლექსს რომ დაიწყებს, როგორც არავვი. ისე წავა, სულ უფრო და უფრო სწრაფად, გრიალით, მაჯისცემასავით იმატებს რიტმი.. ჰოდა, სად უნდა გაჩერდეს?!

კუთხეში ისევ ის გამურული ბიჭი იდგა, წელან ანაბეჭდებს რომ იღებდა. თავიდანვე თვალს ადევნებდა ყველაფერს და ახლა ვეღარ მოითმინა:

— ის დალოცვილის შვილი, რომ დაინახავს, აღარაფერიაო, მანიც არ გაჩერდება? რას იზამს, მაშ რას? ფანჯრიდან ხომ არ გადახტება?

საამქრობში ყველას გაეცინა.

მერიმ ისევ დაიდო ფურცელი წინ, ისევ ჩამოასხა სტრიქონი, ამოიღეს ანაბეჭდი და წერტილი ისევ არ იყო.

ისევ ატყდა სიცილი და აურზაური. მერი შემკრთალი წამოდგა და ლინოტიპის ბუდე გასინჯა, მერე მობრუნდა და გაბრაზებულმა თქვა:

— ჩემი წერტილები სულ წაუღიათ! — და თვალებით დაუწყო ვიღაცას ძებნა, — ეს სულ ზაზას ბრალია. ასეთი სიხარბეც არ გამიგონია.

ზაზამ მწყარალად გადმოხედა:

— რათ მინდოდა, გოგო, მე შენი წერტილები? ჩემი არ მაქვს თუ?

— ასე გძარცავს. აბა, უნახეთ. პაპიროსის კოლოფში ექნება.

მართლაც, მერის წერტილები ზაზას პაპიროსის კოლოფში იპოვნეს, ჩაუწყეს ბუდეში და წერტილი ახლა კი დაჯდა თავის ადგილას.

— გადარჩება ის მკითხველი, არაგვივით რომ წაიღებს თქვენი ლექსი! — ღიმილით უთხრა მერიმ პოეტს და ბიჭს დაუძახა, ანაბეჭდი ამოეღო.

ჯუნი დადიოდა დარბაზიდან დარბაზში და შესცქეროდა საამქროს ფანჯრებს, მთელი კედლის სიგრძეზე — ან სად იყო აქ კედელი, ფანჯარა იყო მარტო, და ვეება მინა — მზისოდენა, რომ მზეს კარგად შემოეხედნა. სხვა არაფერი იყო აქ საოცარი და საკვირველი, მუშაობდა ყველა, როგორც იმუშავებდა ასფალტის დამგები, რომ ადამიანებს და მანქანებს უფრო თავისუფლად შესძლებოდათ სიარული. დრო-დადრო, გამოზომილად ქშნავდა საბეჭდი დაზგა. ჯუნიზე სულ ცოტათი უფროსი, თხუთმეტიოდე წლის ბიჭი თავთით ედგა და ეს ბიჭი და ის მანქანა თითქოს ეთამაშებოდნენ ერთი-მეორეს — გაუწვდიდა მანქანა ბიჭს წკეპლის მსგავს თავის თითებს და ბიჭიც უმალ მიაშველებდა ქაღალდს, ჩაიტაცებდა და მანქანა იმ ქაღალდს ჩაიხვევდა და ერთი წუთის წინ სუფთა ფურცელი უკვე აპრილებული და ბზწკარებით გადახნული იყო.

ბიჭი აქაურ მუშებს არა ჰგავდა, პრაქტიკაზე მოსული მოსწავლე იყო. ჯუნიმ თვალი ვეღარ მოაშორა. მერე კუთხეში ახალ საბეჭდ დაზგასთან იმავე ხნის გოგონა იდგა, იმ ბიჭის თანაკლასელი. გოგოს ლურჯი კოგბოური ეცვა და წამდაუწუმ ისწორებდა, ეტყობოდა ახალი ნაყიდი ჰქონდა და ჯერ ისევ შეჰხაროდა, თანაც გადარეულივით იქნევდა თავს, რომ შუბლზე ჩამოშლილი თმა უკან გადაეყარა.

— ფეხდგომელა რათ მუშაობ? — ჰკითხა გოგოს პაპა სულხანმა.

გოგონამ წამით გადმოჰხედა ბერიკაცს და გადაიკისკისა:

— მოიშალა!

— ჩამოდი ცოტახანს, ვნახოთ ერთი რა მოიშალა! — თქვა ბერიკაცმა და კირკიტი დაუწყო მანქანას, ჯუნი თითებში უცქეროდა.

სამბეჭდაოში ისმოდა გაუთავებელი ერიამული, სწორედ ისეთი, როგორიც გარეთ, ვეება ჭადრების ტოტებში, სა-

---

გიორგი ნატროშვილი
თეთრი ხნული

დაც აუარებელი ჩიტები მოგროვილიყვნენ. აქაც, იმ ჩიტებივით ირეოდნენ ბავშვები და პაპა მიხედა, ესენიც მოსწავლეები იყვნენ, პრაქტიკაზე მოსულები. უფროსებიდან აღარავინ ახლდათ თან, მასწავლებელს ამოეკითხა სია და წასულიყო, აღარც თენგიზი ჩანდა — ამათი უფროსი და დამრიგებელი; უფროს ოსტატს კი ყველასთვის საქმე მიეცა, მაგრამ თვითონ თავის დაზგას დასტრიალებდა, დროდადრო აიხედავდა, ბავშვებს გაუწყრებოდა და მერე ისევ თავის საქმეს დაუბრუნდებოდა.

მოხუცმა შეფერხების მიზეზი იპოვნა, გამართა მანქანა, ჯერ თვითონ დაიწყო ბეჭდვა და მერე ადგილი ისევ იმ გოგონას დაუთმო. დაბლა რომ ჩამოვიდა, აერიამფულებულ დარბაზს გახედა და არ მოეწონა ის, რაც აქ ხდებოდა. ახლაღა შეამჩნია, რომ მოსწავლეებს სპეცტანსაცმელი არ ეცვათ და შეფიქრიანდა, შეკრთა, არაფერი შეემთხვეთ, თავს არაფერი აუტეხონო. რა პლაკატს იტყოდით, კედელზე არ ეკიდა. წარწერები, წარწერები. უსაფრთხოების წესები, ხანძარსაწინააღმდეგო მოწოდებანი, ცეცხლში მოყოლილი შენობა, კვამლის სვეტები, სისხლი. გატეხილი შუბლი, მაგრამ ყველაფერი ეს დახატული იყო და არც იმ კვამლისაგან ეწვოდა ვისმეს რამე, არც იმ ჭრილობებისაგან სტკიოდა.

მაგრამ ახლა ბავშვებზე კი არ ბრაზობდა მოხუცი, უფროსების ასეთი უდარდელობა არ მოსწონდა. ესენი კი იცელქებენ, მაშ, რა იქნება! არ უნდა მისცე ნება ასე თავისუფლად ირბინონ ამ მოზრიალე და მობუტბუნე მანქანებს შორის. და უცებ რაღაც გაახსენდა და გაეღიმა. ჰო, მაშინ თვითონ იყო აქ უფროსი, მაშინ ომი იყო ქვეყანაზე. მაგრამ მოწყალეები მაშინაც აქ მოჰყავდათ. საამწყობო საამქროში შევიდა და უწეველო სურათს შეეყრო. ბავშვები თამაშობდნენ, შრიფტს ესროდნენ ერთი-მეორეს, თითქოს რიყეზე არიან და კენჭებით თამაშობენო. თან იმ შრიფტის სახელებს ხმამაღლა გაიძახოდნენ და ეცინებოდათ, რომ ამ კენჭებს ასეთი უცნაური სახელები ერქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორის დანახვაზე ბავშვებიც მეყუჩდნენ. სულხანი იმ ბიჭს მიუახლოვდა და ჰკითხა:

— რას სჩადიხართ, ბიჭო?

— გაკვეთილს ვიმეორებთ, პატივცემულო დირექტორო, აგრე უფრო ადვილად ვიხსომებთ სახელებს — და ბიჭმა გაზეპირებულივით დაიწყო: შუქურა, კეგელი, ერთნახევარი კვადრატი, დახრილი ნუსხური, კეგელი ოცდაოთხი, გორდეზიანი დახრილი, ციცერო კირილე.

— მეორეჯერ ამას ნუღარ ჩაიდენთ! მაგ შრიფტით თქვენ რომ ჰფენტავთ, თქვენივე წიგნები უნდა დაიბეჭდოს.

ეს როდი იკმარა მაშინ სულხანმა. მასწავლებლები მოიწვია, საამქროს უფროსები ცალკე გააფრთხილა და ბავშვები მიახვედრა, რომ აქ სათამაშოდ კი არა, სწავლისათვის იყვნენ მოსულნი.

ახლაც ისეთსავე სურათს გადააწყდა. და თითქოს მიხედა, თითქოს იპოვნა ის სიტყვები, რომლებიც შვილიშვილისათვის უნდოდა ეთქვა.

— მე აქ დავბერდი. აქ ისე დავდიოდით, როგორც ყანაში. ყანაში კი გასართობად არ დადიან, გასამარგლად დადიან, ცხელა, არა? ამაზე მეტი ბუღი რომ იდგეს, წამოეჩოქე და გამომარგლე... რამდენ ხალხს გაუვლია აქ და კიდევ რამდენი გაივლის, მოსულან და აქ უსწავლიათ ცხოვრება, სიკეთის მადლი აქ დასდებიათ მალამოსავით. ერთი დედ-მამის შვილები არ ყოფილან და და-ძმასავით შეჰყვარებიათ ერთმანეთი. იმიტომ, რომ უგრძნიათ, უამისოდ უამისყვარულოდ ლუკმას გემო არა აქვს, მწარეა! ცხოვრება კი მაშინ არის კარგი, მაშინ არის სასიხარულო, როცა ყველანი ერთად ვართ, ერთი-მეორეც მაშინ ვვიყვარს, როცა ერთადა ვშრომობთ. სიტყვით ამას ძნელად გააგებინებს კაცი კაცს, აქ კი ისე ისწავლი ამ სიყვარულსა და სიბრძნეს, ვერც მიხვდები, როდის ვისწავლეო!

საიდანღაც თენგიზმა გამოჰყო თავი.

მოხუცმა გაუცინა, ჯუნიმაც შეპხედა და იცნო.

— შენი ჭირიმე, ბერიკაცო! იმიტომ მიყვარხარ, რომ ვერ მოგისვენია... სხვა უშენო, გავიდოდა თუ არა პენსიაზე, დაჯდებოდა კირ ოვის პარკში, მოისვენებდა თითონაც და მოასვენებდა ამ ქვეყანასაც. არა, არ მოასვენო, შენ აქ უნდა მოპკედე...

— მოიცა, ბიჭო! ამინმა არ ჩამოიაროს.

— არა, შენგან გამიგონია, თქმით არავინა კვდებაო. ამინი კი, ერთხელაც იქნება. ჩამოივლის. ჯერ კი არა. მერე... მანამდე კი ვატრიალოთ და ვაბანაროთ ეს ქვეყანა... იმიტომ, რომ ყველანი მიყვარხართ, ბიჭებო და გოგონებო!

— მაშინ რომ ძალიან წყრებოდე? — ჰკითხა ჯუნიმ.

— როდის, ბიჭო? ნურაფრისა ნუ გეშინიანთ, სანამ ჩემთან ხართ, ნურაფრისა ნუ გეშინიანთ, სანამ ერთადა ვართ...

შინ დაბრუნებისას, მთელი გზა ისე გამმიარეს, პაპასა და შვილიშვილს ხმა აღარ ამოუღიათ. ორივენი თავიანთ ფიქრებში იყვნენ წასულნი.

ამბავი

თოჯინა—კოსმონავტი

ამერიკელმა კონსტრუქტორებმა შექმნეს სამაგალითანი კოსმოსური ხომალდი, რომლის ბორტზეც მოთავსებენ... თოჯინა-კოსმონავტებს. თვითეული მათგანი შეიარაღებული იქნება სიჩქარის სპეციალური მზომით. ამერიკელ კონსტრუქტორებს სწორედ ამ ხელსაწყოს გამოცდა სურთ.

დიდინეის ახალი ფილმის წარმატება

ამერიკული პრესა ქება-დიდებით იხსენიებს ახალ მხატვრულ ფილმს „მერი პოპინსს", რომლის დადგმასაც ხელმძღვანელობდა უოლტ დიზნეი. „მერი პოპინსი" მუსიკალური ფილმია. მასში უხვად არის ნაჩვენები ორიგინალური საცეკვაო ნომრები. მხიარული გუვერნანტი ქალის, მერი პოპინსის როლს ასრულებს ცნობილი მსახიობი ჯული ენდრიუსი. „მერი პოპინსი" მიმდინარე სეზონის საუკეთესო ფილმია. მან ერთდროულად „ოსკარის" ხუთი პრემია დაიკავა: ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის (ჯული ენდრიუსი), საუკეთესო მონტაჟისათვის, სცენური ეფექტისათვის, მუსიკალური გაფორმებისა და საუკეთესო სიმღერისათვის.

ჩამოსასკიდი მაცივარი

ამერიკელმა კონსტრუქტორებმა ქიმიურ ქარხნებში მომუშავეთათვის შექმნეს მინიატურული მაცივარი, რომელიც 170 გრამს იწონის. მისი ჩამოკიდება შეიძლება ქამარზე. მაცივარს აქვს სპეციალური, პლასტიკური მილები, რომელთა საშუალებითაც ტანსაცმელში შედის ცივი ჰაერი და ადამიანს სიცხისგან იცავს.

ფილმი

ფრანს ვაზერელის გრავიურები

ჩვენი დროის გამოჩენილმა გრაფიკოსმა ფრანს ვაზერელმა შექმნა გრავიურათა სერია ხეზე, რომლის რეპროდუქციები ცალკე ალბომად გამოვიდა. ამ

გაგრძელება იხ. გვ. 61.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაგუ მებურიშვილი

გეცნაურება და გიხარია

სალამი მინდვრებს,
ქედებს სალამი! —
აქ არ ყოფილხარ დიდი ხანია.
მოხვედი,
სოფლის, სუნი საამო
გეცნაურება და გიხარია.
აქ მაშინ დიდი იმედით ენთო
ყოველი წამი,
ყოველი წუთი.
ისეთი ბავშვი იყავი ერთ დროს,
იქ რომ თამაშობს წითელი ბურთით.
შავგვრემან ჭაბუკს გოგონა მიჰყავს,
გოგონას შვენის მამის იერი;
ერთ დროს ასეთი მამა იყავი,
გაღიმებული და ბედნიერი.
ისევ ისეა, ბაბუა თედოს
კვლავ შერჩენია მხნეობა ძველი.
სწორედ ასეთი იქნები ერთ დროს
გრძელი ყავარჯნით და თეთრი წვერით.
სალამი მინდვრებს!
ქედებს სალამი!
სალამი დღეებს!
დღეებს დარიანს!..
მოხვედი,
სოფლის სუნი საამო
გეცნაურება და გიხარია.

☆

საირმე

შენ აირჩიე ეს აგარაკი,
ეს სიჩუმე და ფოთლების ცვენა,
რომ დაასვენო დიდი ქალაქის,
დიდი ხმაურით დაღლილი სმენა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ წამალივით გამოიზოგო
სიმშვიდე სიერცის, — ლურჯი უდაბნოს.
რომ სილამაზის მარადისობა
იწამო ერთხელ და სამუდამოდ.
ტყის სიმწვანეში თვალი ეფლობა
და სურვილები სულში ლაღობენ;
შენ გიხარია მზის მეზობლობა,
შენ გიხარია მზის სიახლოვე.
ისევ დილაა, ისევ ადრეა,
არ შეშრობია ცვარი გვირილებს...
და მაღალ წიფელს, როგორც შადრევანს
უნეტარესი ახლავს სიგრილე.
არბიხარ მთაზე, როგორც დეგნილი,
გიკვირს მუხლები რომ არ გეღლება...
და მონატრებულ დედის ხელივით
გრძნობ იმერული ქარის შეხებას.
თეთრი და მჩატე, როგორც რძის ქაფი,
მსუბუქი ნისლი ხეე-ხეე მიღელავს,
და გაბრწყინებულ ცისკენ ისწრაფვის
განედლებული სულის სიმღერა.
აქ ყვავილების ფერადი ცეცხლის
მიმატებია სიგრცეს ნათელი,
უძვირფასესი, როგორც სიცოცხლე
შენში ზეიმობს დღე დღევანდელი.
ათასი ფერი ერთად შეერთდა,
ათასი ფერი სუნთქვას აწყდება,
ამ ბალახებთან და ამ ხეებთან
შენ ლაპარაკობ, როგორც კაცებთან.
შენ აირჩიე ეს აგარაკი,
ეს სიჩუმე და ფოთლების ცვენა,
რომ დასხვენო დიდი ქალაქის,
დიდი ხმაურით დაღლილი სმენა.

☆

კარგი დღე

დარი!
გეღირსა დარი,
შრება ცისფერი გუბე.
არავითარი ქარი,
ირგვლივ სიჩუმე სუფევს.
ვაშლის თეთრ კვირტებს ჰკოცნი,
როგორც მეხილე, მეზვრე...
და არა მარტო ხორცი,
სულიც გითბება მზეზე.



მოთხრობა

ᲛᲗᲐᲗᲨᲘ ორნი იყვნენ: გია ბარბაქაძე, ცამეტი წლის ბიჭი, და მისი დაუძინებელი მტერი რაჟდენ კაპანაძე. ბიჭი მაგიდის ერთ მხარეს იდგა, მხრებში აწურულიყო, ცდილობდა მშვიდი და გულგრილი გამომეტყველება მიეღო და მოსალოდნელ განსაცდელს მხნედ შესვედროდა. მოსალოდნელი განსაცდელის სათავე კი, დაშმუშნულ შარვალ-ხალათში გამოწყობილი ბერიკაცი, სკამზე ნებივრად გადაწოლილიყო, ფეხი ფეხზე შემოედო და ფეხსაცმლის წვერს ნერვებისმომშლელად აქნევდა; იდაყვში მოხრილი მარცხენა ხელი სკამის საზურგისათვის ჩამოეყრდნო, ხოლო მარჯვენაში თავისი სახელგანთქმული უბის წიგნაკი ეჭირა და მაგიდაზე აკაკუნებდა.

მაშ ასე, მოწინააღმდეგეთა სახეები თვალნათლივ მოწმობდა, რომ ბრძოლა უთანასწორო იყო. ამ უთანასწორობას ყველაზე უკეთ თვითონ გია ბარბაქაძე გრძნობდა და დიდრონ, თაფლისფერ თვალებში შესაფერისი შიშიც ეხატებოდა, მაგრამ მისი ასაკისათვის დამახასიათებელი სიჯიუტის გამო საკუთარ თავსაც არ უმხელდა სიმართლეს. იგი ცამეტი წლის ბიჭი იყო და ცამეტი წლის განმავლობაში უქმად როდი დაეხეტებოდა ამ ცოდვილ მიწაზე! ცხოვრებამ ბევრი რამ ასწავლა და დიახაც მტკიცედ ჰქონდა შეთვისებული ფასდაუდებელი მცნება, რომ როდესაც ყველა გზა მოჭრილია, როდესაც უბედურების აცილება სრულიად უიმედო საქმეა, უნდა შეინარჩუნო სიმშვიდე და გულგრილობა და ამ გზით მორალურად მაინც გაიმარჯვო მოწინააღმდეგეზე, რომელიც ფიზიკურად გჩაგრავს.

ასეთ ფიქრებს მისცემოდა უსამართლობის საბრალო მსხვერპლი; და ეს ფიქრი, უნდა ითქვას, მთლად თავისუფალი არ ყოფილა მოჭარბებული პათეტიკისაგან.

ორთაბრძოლა მიმდინარეობდა რაჟდენ კაპანაძის ბინაზე, პატარა ოთახში. მხარმარცხნივ რკინის საწოლი იდგა. პირდაპირ — პატარა კარადა, კარადის მახლობლად — ტელეფონი, მხარმარჯვნივ კი, კედელზე, შავი ქაღალდი იყო გაკრული, რომელიც მარტო თავისი ფერით კი არ ამძიმებდა ატმოსფეროს, არამედ იმითაც, რომ დაფის მოვალეობას ასრულებდა და ამ იმპროვიზებულ დაფაზე მალე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გამართულიყო გია ბარბაქაძისა და გეომეტრიულ ამოცანებს შორის. გარდა ამ ნაკლებ საინტერესო საგნებისა, საწოლის თავზე იყო კიდევ ერთი, შედარებით მნიშვნელოვანი რამ,

კერძოდ, ფანჯარა, საიდანაც დაკარგული თავისუფლება მოჩანდა.

ფანჯრის იქით ათი იმათგანი, ვინც თავის ტანჯულ და უსახელო სიცოცხლეს მესამე სკოლის მერხებზე აღამებდა, მალე ჩაიცვამდა ცისფერ მაისურებს (ზედ რომ ოქროს მარჯვენიანი, მაგრამ მაინც მეტიჩარა გოგოს, ნათია გოგიაშვილის ხელით ლამაზად იყო ამოქარგული ნომრები), ხოლო მეთერთმეტე, ცენტრალური თავდამსხმელი, მთავარი ბომბარდირი და გუნდის კაპიტანი ამ მძიმე ჯამს, როდესაც პირველობის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, უსახელოდ იღუპებოდა გეომეტრიის ბასრ მარწუხებში. გუშინ, გაკვეთილების დამთავრებისას, მან შეიტყო თავისი მძიმე ხვედრი, შეიტყო, რომ დღეკანდელი დღე, ერთადერთი თვისა-უფალი დღე კვირაში, დაკარგული ჰქონდა და, როგორც სასიკვდილოდ დაჭრილ მთავარსარდალს შეეფერება, თანამებრძოლებს უკანასკნელი დარიგება მისცა: მოულოდნელად დაშავებული კაპიტნის მაგივრად ენუქიძე გამოვიდოდა მოედანზე და მარჯვენა ფრთაზე ითამაშებდა, ხოლო მამალაძე ცენტრში გადაინაცვლებდა; ამასობაში იქნებ თვითონაც მიესწრო. ასეთი იყო საბოლოო დარიგება, თუმცა ეს უკანასკნელი ფრაზა, ცოტა არ იყოს, ცალყბად მიაყოლა მომავალ მეგობრებს, რადგან კარგად იცოდა, რომ მას განხორციელება არ ეწერა. როგორც ზემოთაც ვთქვეთ, მისთვის უქმად არ ჩაუვლია ცამეტ წელს: ცხოვრებამ დიდი გამოცდილება შესძინა და საბოლოოდ დარწმენდა, რომ სასწაულები არც ისე ხშირად ხდება, როგორც ზღაპრებში წერია. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, სულაც არ ხდება. პატარაობისას ასე არ ფიქრობდა, პატარაობისას ყოველდღე სასწაულს ელოდა და ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ დღეს-ხვალ ყველაფერი შეიცვლებოდა: ან გადაბრუნდებოდა ქვეყანა, ან გადმობრწყდებოდა, ან სწავლა გაუქმდებოდა, ან სხვა რამე მოხდებოდა არანაკლებ მნიშვნელოვანი. სინამდვილეში კი ყოველი პირველი დღე გაჭირილი ვამლევით ჰგავდა მეორეს. რაკდენ კაპანაძე არ იქნებოდა, პარმენ კვინიკაძე იყო, პარმენ კვინიკაძე იქნებოდა, გაბრიელ ბესტიაშვილი იყო. შუა გაკვეთილამდე ყველა ძველ მასალას კითხულობდა, შუა გაკვეთილის შემდეგ ყველა ახალ მასალას ხსნიდა. ყველას ეჭირა უბის წიგნაკი ხელში და და ყველამ იცოდა ორიანების წერა. მართალია, რაკდენ კაპანაძის უბის წიგნაკი გაცილებით უფრო სქელი იყო, ვიდრე ყველა დანარჩენისა ერთად, მაგრამ, სამაგიეროდ, რაკდენ კაპანაძეს ამ ერთ უბის წიგნაკში ჰქონდა მოქცეული ყველა ორიანი, რაც კი თავის სიცოცხლეში დაეწერა. ასე მიღოდავდა დღეები, არავითარი ცვლილება, არავითარი მრავალფეროვნება. დირექტორი რა არის, დირექტორიც კი არ შეცვლილა, რაც გია ბარბაქაძე მესამე სკოლაში სწავლობდა. ცხადია, ყოველივე ამან მალე დაარწმუნა ჩვენი გმირი, რომ, თუ ცხოვრებაში საერთოდ ხდება სასწაული, ხდება ძალიან იშვიათად, საუკუნეში ერთხელ.

ახლა წინ მხოლოდ გეომეტრია იყო, მრავალკუთხედები, პარალელოპიპედები, სამკუთხედები თავისი ბისექტრისებით, მახვილი და ბლაგვი კუთხეებით და ღერძთმა იცის, კიდევ რით, — ამდენი რომ სცოდნოდა, ახლა აქ კი არ იქნებოდა გია ბარბაქაძე. ცისფერი მაისურა ეცმეოდა, ზედ რომ იმ მეტიჩარა ნათიამ ლამაზად ამოქარგა ცხრიანი, და რა ღმერთი გაუწყრებოდა, მეშვიდეკლასელების კარში ერთი ბურთი არ გაეტანა.

გია ბარბაქაძე ერთბაშად გამოერკვა ფიქრებისაგან და მთელი ყურადღება მასწავლებლის მარჯვენა ხელზე გადაიტანა. საქმე ისაა, რომ რაკდენ კაპანაძემ თავისი უბის წიგნაკი უფრო მაღლა ასწია მაგიდიდან, ვიდრე დაკაკუნებისთვის იყო საჭირო. მაგრამ შიში ნაადრევი გამოდგა: მასწავლებელმა უბის წიგნაკი მარცხენა ხელში გადაინაცვლა,

---

ჯემალ ქარჩხაძე
სასწაული

მარჯვენათი ცხვირსახოცი ამოიღო და მოტკბლეპილ თავზე ოფლი მოიწმინდა. მერე ცხვირსახოცი თავის ადგილას ჩადო, უბის წიგნაკი კვლავ მარჯვენა ხელში ჩაბღუჯა და განაგრძო ნერვებისმომშლელი კაკუნი.

ამ გადანაცვლება-გადმონაცვლეაში გია ბარბაკაძემ იდროვა და საათს შეხედა. ორი საათი იყო, მაშასადამე, პირველი სკოლის მოედანზე მალე გაჩაღდებოდა ცხარე ბრძოლა. გია ბარბაკაძე კი...

ამ დროს მასწავლებელმა კვლავ აღმართა მსახვრელი მარჯვენა, ფეხის ქნევა შეწყვიტა და ცოდვებით დამძიმებული უბის წიგნაკი იმ ადგილას გადაშალა, სადაც უკანასკნელი ორიანი ეწერა. მერე თეთრი, დაფანჩული წარბები ასწია, თვალები მოჭუტა და გია ბარბაკაძეს ქვემოდან ახედა.

— მდაა... აბა, გიორგი ნიკიფოროვიჩ!

გია ბარბაკაძეს იმის გამო კი არ სძულდა ასე ეს კაცი, რომ უზომოდ სქელი უბის წიგნაკი ჰქონდა და ორიანების წერისადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას ამჟღავნებდა. არა, ღმერთმანი. ორიანების წერა ვის ეზარება! ასეთი მასწავლებელი, ალბათ, არც არსებობს და თუ არსებობს, საუკუნეში ერთხელ იბადება. ორიანის წერისათვის როგორ შეიძლება კაცის შეძულება! რაკდენ კაპანაძე სწორედ ამ „გიორგი ნიკიფოროვიჩით“ იმსახურებდა სიძულვილს. როდესაც მეექვსეკლასელებმა გაიგეს, გეომეტრიის მასწავლებლად რაკდენ კაპანაძეს გვინიშნავენო, აუწერელი ჭრიამული შეექნათ: ყველას აინტერესებდა ახალი მასწავლებლის ნახვა. და აი, დირექტორმა შემოიყვანა იგი, დაჭმუჭნილ შარვალ-ხალათში გამოწყობილი ჩია მოხუცი. გამოაცხადა, დღეის ამას იქით გეომეტრიას პატივცემული რაკდენი გასწავლითო და შეტოვა ხელში ცნობისმოყვარეობით ანთებულ ბავშვებს. ახალმა მასწავლებელმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლი მოიწმინდა და ხელახლა წარუდგა თავის მომავალ სამწყსოს, რადგან, როგორც ეტყობა, დირექტორის „წარდგენა საკმარისად არ ჩათვალა, მე ვასწლავართ რაკდენ კაპანაძეო“. ისეთი ხმით გამოაცხადა, თითქოს ეს „რაკდენ კაპანაძე“ სულ ცოტა, ნაპოლეონ ბონაპარტეს მაინც ნიშნავდა. მაშინ მესამე მწკრივის ბოლოსწინა მერხიდან წამოდგა გია ბარბაკაძე, მძიმედ დაუკრა თავი მასწავლებელს და მშვიდად და მკაფიოდ ჩაუმარცვლა: „გიორგი ნიკიფოროვიჩი, პატ. მას.“ — მერე დიდი ღირსებით დაჯდა თავის ადგილას.

— გიორგი ნიკიფოროვიჩ, — აუღელვებლად უთხრა მასწავლებელმა, — თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, გთხოვთ, კუთხეში დადგეთ და ფეხი არ მოიცვალოთ იქედან გაკვეთილის დამთავრებამდე.

ახალ მასწავლებელს ლაპარაკის დროს ტუჩის კუთხეები ქვემოთ ეწევოდა, სიტყვებს რაღაც უცნაურად, ჭადივით აბრტყელებდა და პირიდან ნაწილ-ნაწილ ამოჰქონდა, როგორც ილუზიონისტს ამოაქვს ხოლმე ფერადი ლენტი. „გიორგი ნიკიფოროვიჩ, ლოგინი ხომ არ გაგიშალოთ?“ — ჰკითხა მასწავლებელმა ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც კუთხეში ატუზულ ბიჭს საბოლოოდ მოპეზრდა მარტო ყოფნა და ერთი ლაზათიანად დაამთქნარა. მაშინ ეს „გიორგი ნიკიფოროვიჩი“ მოსწავლეებმა ოხუნჯობად მიიღეს, მაგრამ რვა თვე რომ გავიდა და რაკდენ კაპანაძე კი დაუღალავად იმეორებდა — „გიორგი ნიკიფოროვიჩ“ და „გიორგი ნიკიფოროვიჩო“, ყველა მიხვდა, რომ გეომეტრიის მასწავლებელი არავითარ ზომასა და საზღვარს არ ცნობდა. თან მხედველობაში იქონიეთ — თვითონ მუდამ ნებივრადაა გადაწყლილი სკამზე, ფეხი ფეხზე შემოუდვია, ნერვებისმომშლელად აქნევს ფეხსაცმლის წვერს, ხელში თავისი ურჩხული — უბის წიგნაკი უჭირავს და, ძაბნა რომ არ დასჭირდეს, საჩვენებელი თითი იმ ადგილას აქვს ჩადებული, სადაც უკანასკნელი ორიანი წერია.

თუ ბიჭი ხარ, შეიყვარე ასეთი მასწავლებელი!

გია ბარბაქაძემ ერთი პირობა გადაწყვიტა, გენერალური ბრძოლა გაემართა ბოროტ ძალასთან და პრინციპულად არ ესწავლა გეომეტრია, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა გარდა იმისა, რომ უბის წიგნაკში კატასტროფულად მომრავლდა ორიანები. რას იზამ, ბრძოლა თავიდანვე უთანასწორო იყო. მაშინ პატარა ოპოზიციონერი წვრილ-წვრილ კენწლაობაზე და პარტიზანულ ბრძოლაზე გადავიდა. მან წინასწარვე იცოდა, რომ დამარცხება არ ასცდებოდა და ცდილობდა, ამ დამარცხების საფასურად, რაც შეიძლება მეტი უსიამოვნება მიეყენებინა უფლებამოსილი მოწინააღმდეგისათვის, ენამახვილობაზე ერთობ თავისებური წარმოდგენა რომ ჰქონდა. მაგალითად, ერთ დღეს (მაშინ მასწავლებელი ახალი დანიშნული იყო და თავის სამწყსოს ჯერ კიდევ კარგად ვერ იცნობდა) ასეთი ამბავი მოხდა: რაჟდენ კაპანაძე სიას კითხულობდა. როდესაც მისი გვარი დაასახელა, გია წამოდგა, მასწავლებელს უწყინარი თვალებით შეხედა და სრულიად მშვიდად, ისე რომ სახეზე ერთი ძარღვიც არ შეტოკებია, უთხრა: „არ არის, მასწ“. მასწავლებელი შეცბა, ფერმაც გადაკრა, ეტყობა, რაღაცას მიხვდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მეორე დღეს კი, როდესაც თავისი ეშვების სამართლეში დარწმუნდა, გიას კლასში შემოსვლისთანავე დაეტაკა და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ავის მომასწავებელად გაბრტყელებული ხმით ჰკითხა: „გია ბარბაქაძე, რა გვარი ხარ?“ როგორც ჩანს, მასწავლებელი ძალიან გაბრაზებული იყო, რაკი ჩვეულ აბლანდულ-ჩაბლანდულ სტილს უღალატა, „ბარბაქაძე ვარ, მასწ“ — მშვიდად უპასუხა გიამ. „გუშინ რა გვარი იყავი?“, „გუშინაც ბარბაქაძე ვიყავი“, — მოწაფემ ხმაში ოდნავ გამომწვევი კილო შეაპარა. „აბა, თუ გუშინაც ბარბაქაძე იყავი, ხვალ მშობელი მოიყვანე და ისე მოდი. უტყუარი საბუთებით მინდა დავრწმუნდე, მართლა ბარბაქაძე ხარ თუ არა“. მაშინ გია ბარბაქაძემ თავი ნაღვლიანად ჩაქინდრა და ხმადაბლა, დანაშაულში დაჭერილი კაცივით წაბუტბუტება: „მშობლები არა მყავს, მასწ“. მასწავლებელს ღიმილი სახეზე შეჰკვეთია. ერთ ხანს არ განძრეულა და არც ხმა არ ამოუღია, ოღონდ ეს იყო, რომ ოდნავ შესაბრწეველად თვითონაც ჩაქინდრა თავი. მერე რამდენჯერმე უხერხულად ჩაასველა, ნელა მიადგა ფანჯარას და კლასის სრულ დუმილში ხუთიოდე წუთი დაჰყო იქ. ბოლოს გია ბარბაქაძეს ხელით ანიშნა დაჯექიო, ისე რომ მისკენ არ მოუხედავს და ძლივძლიობით განაგრძო გაკვეთილი. ცოტა ხნის შემდეგ გიას გვერდით მჯდომი ბიჭი გამოიძახა დაფასთან, თვითონ კი მის ადგილას ჩამოჯდა და აკანკალებული ხელი კარგა ხანს ეკიდა ობოლი ბიჭის თავზე. თქმით არაფერი უთქვამს. იმ გაკვეთილზე, საერთოდ, ძალიან ცოტა ილაპარაკა და არც ერთი ორიანი არ დაუწერია.

სამაგიეროდ, მისი ცოფების ყრას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც შეტოკო, რომ „ამ თითის სიგრძე ღლაპმ“ ასეთი ოინი უყო. ღმერთმა იცის, რა უფრო აწიწმატებდა — რომ გააცურეს, თუ ამდენი სენტიმენტალობა რომ წყალში ჩაეყარა. ასე იყო თუ ისე, ამ კომედიას უშუალოდ მოჰყვა ორიანი პირველ მეოთხედში და ძალიან აღელვებული საუბარი გია ბარბაქაძის მამასთან (ამ საუბარს გია თვითონაც ესწრებოდა და, უნდა ითქვას, არც ერთი სულიერი მის ადგილას ყოფნას არ ინატრებდა მაშინ).

სამწუხაროდ, ასეთი ოინები ერთობ ძვირი ჯდებოდა. გიას მამას რომ არაჩვეულებრივად მწარე ხელი ჰქონდა, ვინ არ იცის, მაგრამ ამას როგორმე აიტანდა კაცი. ბოლოს და ბოლოს, ერთს მიტყეპავდა და ამით ყოველგვარ ანგარიშს გაასწორებდა, ისე რომ გულში არავითარი ხინჯი აღარ რჩებოდა. მეორე წუთს უკვე დამშვიდებული სინდისით შეგეძლო მისულიყავი და კინოს ფული გეთხოვა. სულ სხვა იყო დედის ლეკ-

ციები მორალის საკითხებზე. ნერვების მოშლის თვალსაზრისით ეს არაფერით არ ჩამოუვარდებოდა რაკდენ კაპანაძის ოხუნჯობას. მერე განა დამშეიდდებოდა, ერთხელ რომ იყრიდა ჯავრს და გულს მოიოხებდა? თქვენც არ მომიკვდეთ! ბაზწყინტელა ცოდვას მთელი თვისათვის ანაწილებდა და წამალივით აძლევდა საწყალ ბიჭს დღეში თითო ლექციას. ხანდახან საქმე იქამდე მიდიოდა, რომ, სინდისს გეფიცებით, გია ბარბაქაძე თავს მოიკლავდა, ცხოვრება მხოლოდ გეომეტრიის გაკვეთილისა და მორალისაგან რომ ყოფილიყო შედგენილი. კიდევ კარგი, გამოჩნდნენ ღვთისნიერი ინგლისელები და ფეხბურთი მოიგონეს. უეცდურება ისაა, ხანდახან ფეხბურთის თამაშსაც არ გაცლიან. მაგალითად, სადმე პირველი სკოლის მოედანზე ჩემპიონობის საკითხი წყდება, ამ დროს კი ერთ-ერთი გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი, რომელსაც ისე რა ღმერთი გაუწყრებოდა, ერთი-ორი ბურთი არ გაეტანა მოწინააღმდეგის კარში, დგას აბუსული ვიღაც გადაყრუებული ბერიკაცის წინ და არ იცის, გადარჩება თუ არა საშემოდგომო გამოცდას. ვინც ეს ცხოვრება ასე მოაწყო, გემოვნების ნასახი არ ჰქონია, ფეხბურთის ცოდნაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

ჩვენ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად დაგველაგებინა გია ბარბაქაძის აბურდული ფიქრები. ამასობაში კი რაკდენ კაპანაძემ ჯიბიდან კალმისტარი ამოიღო, ისე მოიმარჯვა, თითქოს წინასწარ აპირებს ორიანის დაწერასო, და წარმოთქვა:

— მაშ ასე, იმედია თავს არ ვიტყუებ, როდესაც მჯერა, რომ გიორგი ნიკიფოროვიჩს, სხვა უამრავ ღირსებასთან ერთად, სახაზაისა და ცარცის ხმარებაც ეხერხება.

გია ბარბაქაძეს ხელის გულები საშინლად გაუოფლიანდა; ეშვიც კი არ ეპარებოდა, რომ მასწავლებელი გუნდაში უკვე ხატაგდა ლამაზ ორიანს და იმაზეღა ფიქრობდა — სადა კუდი გაეკეთებინა თუ მოკვარახშინებული.

— რაღას უდგეხარ, აიღე სახაზაი, დაიჭირე თოფივით, ცარცი ხელეუფაროსავით მოიმარჯვე და მტკიცეთ ნახაზი გასწი დაფისაკენ. აბა, ერთ, ორ, სამ!

საკუთარი ენამახვილობით მოხიბლულ მასწავლებელს სახეზე ბედნიერების ღიმილი ეფინა. მოსწონდა თუ არა სხვასაც მისი ოხუნჯობა, ეს ნაკლებად აწუხებდა.

გიამ აიღო ცარცი და სახაზაი და ფეხაკრეფით მიუახლოვდა დაფას.

— რაკი ეს ოპერაცია ასე თუ ისე წარმატებით დამთავრდა, ახლა შემდეგი ნაბიჯი გადავდგამ: გავავლოთ ორი ერთმანეთის პარალელური ხაზი.

გიამ სახაზაი დაფას მიადო და აკანკალებული ხელით ჯერ ერთი ხაზი გაავლო, მერე მეორე. ხაზები მაინცადამაინც ვერ დაიტრაბახებდნენ პარალელობას, მაგრამ შეშნებული ბიჭი ვეღარც იმას ბედავდა, რომ ერთი მათგანი წაეშალა და ახალი გაევლო.

— მოვიშველიოთ ფანტაზია, რომელიც, შენდა საბედნიეროდ, უხვად უბოძებია ღმერთს ჩვენთვის, და წარმოვიდგინოთ, ვითომ ეს ხაზები პარალელურია. ახლა გაავლე მეორე ხაზის პარალელური.

გიამ მორჩილად გაავლო ქვემოთ კიდევ ერთი ხაზი, ამჯერად ცოტა უკეთესი.

— დიდებულია! პირველი ორი ხაზის ფონზე პირდაპირ ფანტასტიკურია! მოდი ახლა, რაკი საქმე მაინც არაფერი გვაქვს, ასეთი თეორემა დავამტკიცოთ: თუ ორი სხვადასხვა ხაზი მესამის პარალელურია, მაშინ ისინი ერთმანეთის პარალელურიც იქნებიან. მე მგონია, არ გაგვიჭირდება. აი, შენი სამი ხაზი. პირველი და მეორე ურთიერთპარალელურია, ურთიერთპარალელურია მეორე და მესამეც. დავამტკიცოთ, რომ პირველი და მესამეც ურთიერთპარალელური იქნებიან. აბა, დაიწყე, საკანკალო აქ არაფერია. კალმისტარი მზადა მაქვს ხუთიანის დასაწერად.

გიამ კარგად იცოდა, რის დასაწერად ჰქონდა მზად კალმისტარი რაკდენ კაპანაძეს, მაგრამ რა ექნა. ცხადია, დდგენ-

დელი ფეხბურთი უიმისოდ უნდა ჩატარებულიყო (მერედა, ვინ იცის, როგორ სჭირდებოდათ ბიჭებს ერთი გოლი). სამაგიეროდ, ჯერ კიდევ ჰქონდა პატარა შანსი, რომ საშემოდგომო გამოცდას გადაურჩებოდა და ამიტომ მთელი თავისი ვაჟკაცობა და მოხერხებულობა ახლა უნდა გამოეჩინა. თუმცა ვაჟკაცობა და მოხერხებულობა ფრიალდ საეჭვო მშველელია თეორემების მტკიცების დროს. მხოლოდ უნარი და ცოდნა! მაგრამ, ღმერთო, სად იყო ან ერთი, ან მეორე?.. სამი ხაზი გვაქვს. პირველი მეორის პარალელურია, მეორე მესამის, მაშინ...

უეცრად გია ბარბაქაძეს საშინელმა ეჭვმა გაჰკრა გულში. ვაითუ მასხარად იგდებს... აბა, ეს რა თეორემაა და რა დამტკიცება უნდა! თუ ერთი მეორის პარალელურია, და მეორე კიდევ მესამის, მაგას რაღა ლაპარაკი უნდა, რომ პირველი და მესამეც ერთმანეთის პარალელური იქნებიან. კაი კვანტის გამოდება კი იქნება... ამტგრეევინებს თავს, ამტგრეევინებს, მერე ეტყვის, უბრალო აქსიომა არ გცოდნიაო და მიაკრავს შუბლში „ჯვრის ორიანს", როგორც თვითონ იტყვის ხოლმე.

გია ბარბაქაძე გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. არადა, არც ბევრი დაყოვნება ვარგოდა, რადგან, თუ ამოცანა მართლა ძალიან მარტივი იყო, ბევრი ფიქრი უკვე თავის გაცემას ნიშნავდა.

არა, ამას დამტკიცება მართლა არ უნდა სჭირდებოდეს. კი, დავანებოთ თავი ხაზებს, სხვა რამე ავიღოთ მეექვსეკლასელების გუნდში იმდენი სათადარიგო მოთამაშეა, რამდენიც მე-7[1] კლასელების გუნდში, ხოლო მე-7[1] კლასელების გუნდში იმდენი, რამდენიც მე-7[2] კლასის გუნდში. რა დიდი ფილოსოფია უნდა იმას, რომ მეექვსეკლასელებსა და მე-7[2] კლასელებს თანაბარი რაოდენობით ეყოლებათ სათადარიგო მოთამაშეები.

ასე ღრმაზროვნად მსჯელობდა გია. მაგრამ, სამწუხაროდ, მეტისმეტად შეზღუდული რეგლამენტი ჰქონდა: დროზე უნდა ეთქვა რაღაცა ან აქეთ, ან იქით, თორემ მერე შეიძლება გვიანღა ყოფილიყო. თანაც რამხელა გაბედულობა გინდოდა. ერთიც ვნახოთ და სრულიად ჩვეულებრივი თეორემა გამომდგარიყო, დამტკიცება რომ ესაჭიროება და ამ თვისების გამო, ვინ იცის, არა ერთი და ორი გიასთანა ბიჭისათვის გაუმწარებია სიცოცხლე!

საბოლოოდ გიამ მაინც გადაწყვიტა ეცადა ბედი!

— თუ ორი ხაზი ცალ-ცალკე მესამის პარალელურია, მაშინ, ცხადია, ერთმანეთის პარალელურიც იქნებიან.

— სრული ჭეშმარიტებაა, — უთხრა მასწავლებელმა, — მაგრამ დავუშვათ, ჩემი გონება ვერ წვდება მაგ ჭეშმარიტებას და საჭირო ხდება დასაბუთება. მაშინ რაღა ვქნათ?

ამგვარად, აქსიომის ჰიპოთეზა ერთი დაკვრით გაცამტვერდა. გია ბარბაქაძემ საშემოდგომო გამოცდის სუნი იკრა და გადაწყვიტა ხავსს მოჭიდებოდა:

— თუკი ეს ხაზი ამის პარალელურია და ეს ხაზი კიდევ ამის, მაშინ ესენიც პარალელური იქნებიან. აბა რა იქნებიან!

— არ გედავები, წელანაც მოგახსენე. არ გედავები. და საერთოდ, ძალიან ეწუხვარ, რომ მიუხედავად ასეთი თვალნათლივობისა, თეორემას მაინც დამტკიცება უნდა.

— აი, მასწ, მაგალითად, თუ ორი უბის წრეგაკი ცალ-ცალკე იმავე გვერდზეა გადაშლილი, რომელზედაც მესამე, ცხადია, ისინი ერთსა და იმავე გვერდზე იქნებიან გადაშლილი.

— ეს იმას მოწმობს, რომ ფიქრი გეხერხება და, თუ პატარას მოინდომებ, შეიძლება არც ისე წყალწაღებული ბიჭი იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანხარ. — მასწავლებელმა კალმიანტარი მაგიდაზე დადო, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და მელოტ თავზე ოფლი მოიწმინდა (ბიჭიც გაოფლიანებული იყო, მაგრამ ცხვირსახოცის ამოღებას ვერ

ჯემალ ქარჩხაძე
სასწაული

ბედავდა), მერე კალმისტარი მოიმარჯვა და განაგრძო: — თუმცა შენი უბის წიგნაკის მაგივრად, მოდი, სხვა მაგალითი ავიღოთ: აბა, გაავლე ორი ხაზი, რომლებიც ცალ-ცალკე მესამის პერპენდიკულარული არიან, და ნახე ერთმანეთის პერპენდიკულარული აღმოჩნდებიან თუ არა.

გია უძრავად იდგა, რადგან არ იცოდა, ეს ისე, სიტყვას მოყვა, თუ მართლა უნდა გაევლო ასეთი ხაზები.

— გაავლე, გაავლე! — წაეძახა მასწავლებელმა.

გიამ გაავლო. გაავლო ერთი და იმავე ხაზის ორი პერპენდიკულარული ხაზი და თავისდა გასაოცრად და სამარცხვინოდ დაინახა, რომ ეს ორი ხაზი ერთმანეთის პარალელური აღმოჩნდა.

რაღა თქმა უნდა, ახლა უკვე ყველაფერი გათავებული იყო: ჩემპიონობაც იკარგებოდა და საშემოდგომო გამოცდაც თითქმის ჯიბეში ედო. ან კი რამ აფიქრებინა, გადაერჩები და იმ ენაჭარტალა ნათიას ყბაში არ ჩაგვარდებიო.

გატრიალდეს მაინც და წავიდეს, სანამ გვიან არ არის! პირველი სკოლა ხომ აქვეა, ორ ნაბიჯზე. მაგრამ ვაი, რომ არც ამდენი გამბედაობა ჰქონდა. ასეა: კაცი ან მართლა ზოგიერთებივით უნდა სწავლობდე, თითები რომ მუდამ ანტენებივითა აქვთ აშვერილი და ყოველი გაკვეთილი ზეპირად იციან, ან არადა, ცოტა მეტი ვაჟკაცობა უნდა ეგოძებია ღმერთს. აბა, ეს რას ჰგავს: არც აქეთა ხარ და არც იქით, ნახევარი სწავლა და ნახევარი გამბედაობა, თანაც ისე, რომ სამიანი არც ერთში გეკუთვნის და არც მეორეში.

მაგრამ საკუთარი ბუნების გარდაქმნა და ისიც ასე ერთბაშად, არავის ძალუძს. ამიტომ გია ბარბაქაძე დაფასთან უძრავად ატუზულიყო და შუბლი დილის ბალახივით ჭქონდა დაცვარული.

მასწავლებელი შეინძრა. გიამ შიშით გამოხედა. არა, არაფერი, რაკდენ კაპანაძემ მხოლოდ ფეხები შეცვალა. ახლა მარცხენა გადაადო მარჯვენას და აუღელვებლად გაეძან-გამოაქანა.

— მაშინ ასე ვქნათ, თუ ნებას მომცემთ, — თქვა მან, — გაავლე ხაზი. ესეც ახლა ეს ხაზი ირიბი ხაზით გადაკვეთილ ჩინებულია. ზედა მარცხენა კუთხე უდრის 120 გრადუსს, გამოვიანგარიშოთ დანარჩენი კუთხეები.

გია ბარბაქაძე კარგახანს ხვნეშოდა დაფასთან და საბოლოოდ მისმა ნახაზმა ასეთი სახე მიიღო:



როდესაც 120° დაწერა, უეცრად (ალბათ, ციფრების ასოციაციით) საათი გაახსენდა და ცალი თვალით მალულად გახედა მასწავლებლის მარცხენა მაჯას, მაგრამ იქ მხოლოდ ვეებერთელა უბის წიგნაკი დაინახა. გიამ ამ შემზარავ სანახაობას სწრაფად აარიდა თვალი და ისევ ნახაზს მიუბრუნდა.

მაშადამე, $\angle AOC = 120°$ და ღმერთმა იცის, რას უდრის დანარჩენი კუთხეები.

გიამ გადაწყვიტა, ფეხბურთი თავიდან ამოეგდო და ღრმად დაფიქრებულიყო. აკი ერთი წუთის წინ მასწავლებელმა უთხრა, ფიქრი გეხერხებაო.

„გვაქვს $\angle DOC$, რომელიც 120 გრადუსს უდრის. მის გაყოლებაზე არის მეორე კუთხე COB, ეს კუთხე უნდა უდრიდეს... AOB რომ კუთხე იყოს, მაშინ COB იქნებოდა AOB — AO... ბიჭო! დაიცა, დაიცა, რა ჯანდაბა ჰქვია?... ჰო, გაშლილი კუთხე, გაშლილი კუთხე. ვაშაა! გაუმარჯოს გაშლილ კუთხეს!“

გიამ სიხარულისაგან კინაღამ კუნტრუში დაიწყო. AOB-ს რომ გაშლილი კუთხე ერქვა, ეს იყო უდიდესი აღმოჩენა. ასეთი აღმოჩენა კოლუმბსაც კი დაამშვენებდა. მართალია, ბიჭის სიხა-

რულში პატარა შხამიც ერია, რადგან ეს ცნობა მეტიჩარა ნათიასაგან ჰქონდა გაგონილი, მაგრამ ახლა ისეთ დღეში იყო, როდესაც გაჭირვება კაცს თავმოყვარეობის გრძნობას უჩლუნგებს. მაშინ ნათიამ გაშლილი კუთხის სახელთან ერთად მისი მნიშვნელობაც უთხრა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, გიამ რომ ვაქცაციისათვის შეუფერებელი სისუსტე გამოიჩინა, მასწავლებელს დაუჯერა და ნათიასთან იმეცადინა. ეს ამბავი შავ ლაქად დარჩა მის ცხოვრებაში. მაგრამ ახლა ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ კი გაეხსენებინა ეს გაშლილი კუთხე. არადა, მის აღმოჩენას ისეთივე ფასი ექნებოდა, როგორც კოლუმბის აღმოჩენას, ამერიკა რომ ისევ დაკარგულიყო.

აბურდულ ფიქრებში შორეული ნათურებივით ციმციმებდა ორი ციფრი: 180 და 360. ეს იყო ორი ცნობილი ციფრი, რომლებსაც მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ გეომეტრიასთან. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ გია საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ერთ-ერთი მათგანი სწორედ გაშლილი კუთხის სიდიდეს აღნიშნავდა. მაგრამ რომელი? თავისი სულელური მარჩიელობით ერთი ნაბიჯი უკვე გადადგა საშემოდგომო გამოცდისაკენ. მეორე ნაბიჯი საბოლოო ნაბიჯიც იქნებოდა: მერე კი... მერე ყველაფერი ნათელი იყო: მამის დაკოჭრილი ხელი, დედის ლექციები, მოშხამული არდადეგები...

მაშ, რა ვქნაო?..

გაშლილი კუთხე ან 180°-ს უდრიდა, ან 360°-ს.

„მაგრამ რომელს? — ფიქრობდა გია. რომელი ვთქვა? რომელიც პირველად მომადგება ენაზე? ორივე რომ ერთად მადგას! გამოვითვალო?! მოდი, მართლა გამოვითვლი, რომელიც მეათე იქნება, ის იყოს გაშლილი კუთხე. სულ ერთია, თუ არაფერი ვთქვი, საშემოდგომოს მაინც ვერ გადავურჩები. რაც არი, არი. 360 ერთი, 180 ორი, 360 სამი, 180 ოთხი, 360 ხუთი, 180 ექვსი, 360 შვიდი, 180 რვა, 360 ცხრა, 360 ათი“.

$\angle COB = 180^0 - 120^0 = 60^0$

გიას ერთბაშად სისხლი სახეზე მოაწვა და ისე გაწითლდა, თითქოს ამაზე უფრო სამარცხვინო თავის დდვეში არაფერი ეთქვას. მისი ბედი ბეწვზე ეკიდა.

რაჟდენ კაპანაძემ კვლავ შეცვალა ფეხები, კალმისტარი მაგიდაზე დადო, ცხვირსახოცი ამოიღო და მელოტი თავი მოიწმინდა. მერე ცხვირსახოცი ისევ ჯიბეში ჩაიდო, კალმისტარი მოიმარჯვა და ღიმილით უთხრა წმინდა მოწაფეს:

— მე ყოველთვის ვამბობდი, ერთხელაც იქნება, გიორგი ნიკიფოროვიჩი ქვეყანას განაცვიფრებს-მეთქი. და აი, ეს დღეც დადგა. სწორია. ყოჩაღ, ვაშა!

გიას გულზე მოეშვა. ახლაღა იგრძნო მთელი სისრულით, რომ ეს 180° ას ოთხმოცი ფუთივით აწვა გამხდარ მხრებზე.

— ყოჩაღ, ყოჩაღ და კიდევ ერთხელ ყოჩაღ! — თქვა მასწავლებელმა, — მაშ, გადავიდეთ შემდეგ კუთხეზე.

დიახ, სამწუხაროდ, საჭირო იყო შემდეგ კუთხეზე გადასვლა. პირველი მარჩიელობით მოახლოებული უფსკრული მეორე მარჩიელობამ ისევ უკან დახია. მაგრამ რამდენ ხანს გაუძლებდა ბეწვის ხიდი?!

გიამ დიდი მოაზროვნის სახე მიიღო და ნახაზს დააკვირდა. აქ უკვე თავდებოდა ნათიას მოწოდებული ინფორმაცია, საკუთარ თავზე დაყრდნობა კი, რასაკვირველია, წყლის ნაყვა იყო.

„მაშ, 360°-ს თურმე ორი გაშლილი კუთხე უდრის. გამოსარკვევი დაგვრჩა AOD და BOD კუთხეები. აქედან AOD უდრის 180°. BOD მაგრამ BOD რას უდრის? ორივე ერთად 180°-ია. ერთი უნდა იყოს 180-ის რაღაც ნაწილი, მეორე 180-ის... არა, ასე არაფერი გამოვა“.

ამაოდ ხვნეშოდა გია, ამაოდ წვალობდა: AOД და BOД კუთხეები საიდუმლოებით იყო მოცული.

მაშინ იფიქრა, ბოლოს და ბოლოს ერთი საშემოდგომო გამოცდა ამდენ წვალებად არც ღირს და მთავარია არა ეს, არამედ ჩემმაიონობაო, და გადაწყვიტა სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებ-

---

ჯემალ ქარჩხაძე
სასწაული

ლად თავი ამ ჭეშმარიტებისთვის შეეფარებინა.

მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. აშკარად ჩანდა, გია არ იყო იმდენად ეაქკაცი, რომ გეომეტრიაზე გადაჭრით ჩაექნია ხელი. აშკარად ჩანდა, არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია მამის დაკოჭრილი ხელისათვის, დედის ლექციებისათვის და მოშსამული არდადეგებისათვის, რომლის განმავლობაში გინდა თუ არა, თავში მაინც საშემოდგომო გამოცდა უნდა გიტრიალებდეს.

ჩიხში მიმწყვდეული ბიჭი АОД და ВОД კუთხეებზე უკვე ალარ ფიქრობდა, რადგან დარწმუნდა, რომ ეს სრულიად უნაყოფო შრომა იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნახაზის წინ მაინც ღრმაზროვანი სახით იდგა და დროს შეუგნებლად აჭიანურებდა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ სულ მალე მეხი გავარდებოდა.

მეხი მართლაც გავარდა, ოღონდ ცოტა მოგვიანებით.

ხოლო მანამ, სანამ მეხი გავარდებოდა, რაკდენ კაპანაძე მძიმედ წამოდგა და თავისი მსხვერპლისაკენ ნელი ნაბიჯით გაემართა. დაფასთან შეჩერდა, უბის წიგნაკი კალმისტართან ერთად მარჯვენა ხელში გადაინაცვლა, მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი და ცერი რკალად მოხარა და ნახაზს დაადო ისე, რომ საჩვენებელი თითი АОС კუთხეში აღმოჩნდა, იქ, სადაც 120° ეწერა; ცერი კი — ВОД კუთხეში.

— თუ გქონია როდისმე რაიმე ურთიერთობა ჯვარედინ კუთხეებთან?

გია ბარბაქაძე თავჩაქინდრული იდგა და დუმდა. არა, ჯვარედინ კუთხეებთან მას არავითარი ურთიერთობა არა ჰქონია. ამიტომ ყველაფერი გათავებული იყო: ჯვარედინ კუთხეებსაც, მთელ გეომეტრიასაც და მთელ არდადეგებსაც ჯვარი ჰქონდა დასმული.

— სამწუხაროდ, არავითარი. — დასაკვნა მასწავლებელმა და ფეცს გაშმაგებით დაიწყო ბოლთის ცემა. მართალია, ხმა არ აუმაღლებია, მართალია, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ძველებურად ნაწილ-ნაწილ ისროდა, მაგრამ ალაპოტიდან მაინც ამოვარდნილი იყო, რასაც თუნდაც ის ფაქტიც მოწმობდა, რომ სრულიად დაავიწყდა, უბის წიგნაკი ისევ მარცხენა ხელში დაეჭირა.

— ჯვარედინი კუთხეები, ჩემო კარგო, — თქვა მან, როცა სირბილით გული იკვერა, — ტოლია. შენთვის ახლა ჯვრის ორიანი სრულიად დამსახურებული ჯილდო იქნება, მაგრამ კიდევ ერთხელ მოგცემ გადარჩენის საშუალებას.

გიამ კარგად იცოდა, რა „გადარჩენის საშუალებაც“ აუტყდა რაკდენ კაპანაძეს. მას გიას წამება უნდოდა და არა გადარჩენა. გადარჩენის საშუალებას მისცემს! გადარჩენა თუ უნდოდა, მისი ნება არ იყო? დაეწერა სამიანი, არც თვითონ გაიღვრებოდა ოფლად და არც საწყალ ბიჭს ამოხდიდა სულს. რა ბიჭია, გადარჩენის საშუალება მისცეს!

გია ბარბაქაძე მეტისმეტად აღელვებული იყო და საკუთარი უბედურების მეტს ვერაფერს ამჩნევდა. ამ დროს კი მასწავლებლის დაჭმუჭვნილ სახეზე ფრიად უცნაური და ამიტომ ფრიად საინტერესო ცვლილებები მიმდინარეობდა. ჯერ იყო და ეს სახე ოდნავ გაფითრდა, მერე სიყვითლე შეეპარა, ბოლოს კი აშკარად გამწვანდა.

მასწავლებელმა მხოლოდ მაშინ მიიქცია გაწამებული შეგირდის ყურადღება, როცა უეცრად, მკვეთრი მოძრაობით, უბის წიგნაკი და კალმისტარი გულში ჩაიხუტა და სკამზე მოწყვეტით დაეშვა. გია ბარბაქაძე შეკრთა, შეშინებულმა მოიხედა და თვალწინ ისეთი შემზარავი სანახაობა წარმოუდგა, რომ ადგილზე გაშეშდა. მასწავლებელი შეკუმშულიყო, თითქოს ნახტომისთვის ემზადებაო, ბეჭებში ოდნავ მოხრილიყო, უბის წიგნაკი და კალმისტარი გულში მაგრა ჩაეკრა და მძიმედ სუნთქავდა. სახე ისეთი ჰქონდა, როგორც ხასხასა მოლი აპრილის თვეში.

ასე გავარდა მეხი.

და გია ბარბაქაძე იდგა კიდევ მეხდაცემულივით. სახეზე უანგარიშო შიში და უკიდურესი გაკვირვება აღბეჭდოდა, მასწავლებელს თვალებდაჭყეტი-

ლი მისჩერებოდა. მან პირველად ახლა იგრძნო თვალსათლივ, რომ მასწავლებელი არაფერი ყოვლისშემძლე არსება არ ყოფილა და რომ მასაც ჰყოლია მისი სულთამხუთავი.

ეს აღმოჩენა იყო. გიას შეგნებული ჰქონდა, რომ ხდებოდა რაღაც ფრიად უჩვეულო, რაც არაფერს არ უწევს ანგარიშს — არც ვეიმეტრიას, არც საშეოდგომო გამოცდას, არც ფეხბურთს. სრულიად არაფერს.

გია მასწავლებელს მისჩერებოდა და ვერ მიმხვდარიყო, რას მოითხოვდა მისგან შექმნილი ვითარება: განეგრძო თავის მოკატუნება და თეორემაში ჩაფლული მოსწავლის როლი, თუ გაშლილი კუთხის პრობლემა მოხსნილი იყო დღის წესრიგიდან და აღარ ღირდა მისთვის ყურადღების მიქცევა? იქნებ რამე უნდა ეთქვა? მაგრამ მან არ იცოდა, ამბობენ თუ არა რამეს ასეთ დროს.

ერთ ხანს გრძელდებოდა ულნაური მდგომარეობა. მოსწავლეს ზურგი შეექცია გაშლილი კუთხისათვის და მასწავლებელს გაფაროთოებული თვალებით შესცქეროდა. რაღდენ კაპანაძე ქშინავდა და საშინაო ღიმილით იღიმებოდა.

ბოლოს ისევ მასწავლებელმა ამოიღო ხმა, თუმცა ეს ერთი შეხედვით არც ისე ადვილი ჩანდა:

— ეს არის გენერალური შეტევა, თუ ნებას მომცემთ აგიხსნათ, ახლა დაიწყება ცრემლის ღვრა. — თქვა მან და ისეთი ულნაური ქშენა დაიწყო, რომ მის გვერდით გაჩერება უკვე გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

გიამ ვერ გაიგო მასწავლებლის ნათქვამი.

სამაგიეროდ უეცრად სულ სხვა რამ გაიგო. უეცრად გაერკვა შექმნილ სიტუაციაში და დაინახა, რომ, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, იყო სასწაული. მართალია, ქვეყანა არ გადაბრუნებულა, არც გადმობრუნებულა, არც სწავლის საუქმეზე იყო მოსალოდნელი, მაგრამ ეს მაინც სასწაული იყო და ეს სასწაული თავისი მასშტაბით დირექტორის გამოცვლას არ ჩამოუვარდებოდა.

სამწუხაროდ, ამ აღმოჩენას იქვე მოჰყვა მეორე, არასასიამოვნო აღმოჩენა: სასწაულთან პირისპირ შეხვედრა არც ისე სასიამოვნო ყოფილა, ადრე ეგონა გიას. გაგონილი სასწაული, თურმე, ათასწილად ჯობია საკუთარი თვალით ნანახ სასწაულს. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ აშკარაა: გია თანახმა იყო შემოდგომაზე ჩაებარებინა გეომეტრია, ოღონდ ახლა ამ სანახაობას გარდებოდა.

ამასობაში მასწავლებელმა კვლავ დაილაპარაკა:

— რამდენი წლისა ხარ?

— ცამეტის, მასწ. — ჩაილაპარაკა გიამ.

— ცამეტის, არა? — აუჩქარებლად იღებდა ფერადფერად ლენტებს მასწავლებელი. — მთელი სიცოცხლით უფროსი ვარ შენზე. აბა, ახლო მოდი!

რაკდენ კაპანაძემ პირი გააღო, რამდენჯერმე მძიმედ ამოისუნთქა და სახეზე შეეტყო, რომ ცოტა შვება იგრძნო: ერთი-ორი ნაოჭი გაშალა და კბილებში მოქცეული ქვედა ტუჩი გაითავისუფლა.

გიამ წინ ორი ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა. უფრო ახლო მისვლა ვერ გაბედა. ეგონა, მასწავლებელი კვდებაო. ასეთი ჰიპოთეზის საბუთს, მისი აზრით, იძლეოდა არა ნაოჭები და მწყანე ფერი, არამედ საქციელი.

— კარგი, კარგი, ნუ მოხვალ. — ხმადაბლა თქვა მასწავლებელმა და მცირე დუმილის შემდეგ რაღაცნაირი ნაღვლიანი კილოთი, ვია ბარბაკაძისათვის სრულიად გაუგებარი კილოთი დაუმატა:

— მინდოდა, თავზე დამედო ხელი.

არ ვიცით, რა მოხდა, მაგრამ გიას სრულიად მოულოდნელად გულში სიამაყემ გაჰკრა: რაკდენ კაპანაძე თავზე ხელის დადებას უპირებდა. ღმერთმა იცის, რამდენად საამაყო ამბავია. თუმცა, ამასთან ერთად, ცოტა არ იყოს, სინდისმაც შეაწუხა. გაახსენდა, ერთხელ რომ მასწავლებელმა რეზო დიფასთან გამოიძახა, თვითონ მის ადგილას დაჯდა, გიას გვერდით და საბრალო

ჯემალ ქარჩხაძე
სასწაული

„ობოლს“ უხერხულად დაადო თავზე ხელი. იმ გაკვეთილის შემდეგ გია ყოველ შემხვდურს აჩერებდა და ეუბნებოდა, პირდაპირ გიგუდებოდიო, სიცილს ძლივს ვიკავებდიო. სინამდვილეში კი მთლად ასე არ ყოფილა საქმე. იმ მომენტამდე, სანამ მასწავლებელი ხელს დაადებდა, გია თავიანი ოინით აღფრთოვანებული იყო. მაგრამ, როდესაც რაჟდენ კაპანაძეს გული აუჩუყდა, პატარა მატყუარამ ძალიან უცნაური და ძალიან უსიამოვნო რაღაცა იგრძნო.

და ახლა, როდესაც მასწავლებელს კვლავ მოუნდა მისთვის თავზე ხელი დაედო, გია ბარბაკაძეს სინდისმა ქენჯნა დაუწყო. მერე გაბედულად გადადგა კიდევ ორი ნაბიჯი და ქერა თმა მორჩილად მიუშვირა რაჟდენ კაპანაძეს.

მასწავლებელმა უბის წიგნაკი და კალმისტარი მარცხენა ხელში გადაინაცვლა, მარჯვენა კი გიას დაადო თავზე. ბიჭი დამნაშავეესავით იდგა გაბუსუნებული და გრძნობდა, მასწავლებელს ხელი როგორ უკანკალებდა.

გამოცდამ ერთობ უცნაური სახე მიიღო.

— გეჯავრება? — ჰკითხა მასწავლებელმა და თვალით უბის წიგნაკისაკენ უჩვენა.

გიამ ახლალა იგრძნო, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში უბის წიგნაკს მისჩერებოდა. ასე ახლოს არასოდეს ენახა ეს შემაძაღწუნებელი ნივთი. მაგრამ უცნაურია, ძველებურად აღარ ეშინოდა მისი. იქნებ იმიტომ, რომ გამოცდამ უცნაური სახე მიიღო? ძლივს ეტეოდა მასწავლებლის ხელში სქელი, ორიანებით სავსე უბის წიგნაკი. ვერ ვიტყვით, რომ რაჟდენ კაპანაძე კარგ ნიშნებს (და მათ შორის ხუთიანებსაც კი) არ წერდა. წერდა, როგორ არა, მაგრამ უბის წიგნაკში იშვიათად შეაქონდა; სამაგიეროდ, ორიანს არასოდეს გამოტოვებდა: აღნიშნავდა საკლასო ჟურნალში და იმწამსვე უბის წიგნაკში ფაქიზად ჩაწერდა ხოლმე. ამიტომ სძულდათ, ალბათ, ასე მოსწავლეებს იგი, თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ოთხოსნები და ხუთოსნები ამ სიძულვილს „ჩამორჩენილების“ ხათრით იზიარებდნენ, თორემ თვითონ არაეითარი საბაბი არა ჰქონდათ: მათ ნიშნები მხოლოდ ჟურნალში წერდნენ (ამაზე ბიჭები ხუმრობდნენ, რაჟდენ კაპანაძე უბის წიგნაკის წაბილწვას ერიდება და იმიტომ არ შეაქვს შიგ კარგი ნიშნებიო.)

გია ვერ მიხვდა, მასწავლებელს რაში დასჭირდა უბის წიგნაკის ხსნება და ისიც ასე უუგად. იდგა თავჩაქინდრული და გრძნობდა, როგორ უკანკალებდა ხელი რაჟდენ კაპანაძეს.

— ძალიან გეჯავრება? — გაუმეორა, მასწავლებელმა და თავს ძალა დაატანა, რომ გაღიმებოდა.

— არა, მასწ... — უპასუხა გიამ და კიდევ რაღაც წაილულღლუღა, მაგრამ ამას მასწავლებელი, ალბათ, ვერ გაიგებდა. გიას უნდოდა ეთქვა, არ მეჯავრება თქვენი უბის წიგნაკიო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, არც ისე უსინდისო ბიჭი იყო, რომ ასეთ დროს ენა არ დაბამოდა.

— ნუ ცრუობ, ახლა არაა ეგ საჭირო.

ადვილი სათქმელია, „ნუ ცრუობ!“ აბა, ერთი თვითონ ყოფილიყო გიას ადგილას, მაგასაც ვნახავდით, როგორ ეტყოდა პირში მრისხანე მასწავლებელს: დიახ, მასწ., ყველაზე უფრო თქვენი უბის წიგნაკი მეჯავრებაო.

— თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვს, წამოდწევი, — უთხრა რაჟდენ კაპანაძემ, — ისე გამიცვითა წლებმა ორგანიზმი, რომ აღარაფრის აღარ რეხვენია, სტუმრის თანდასწრებითაც კი უტიფრად მოითხოვს დასვენებას.

ეს „სტუმარი“ პირდაპირ მალამოდ მოეცხო გიას! გაწამებულ გულს და რაკი იგი, საწყალი „ჩამორჩენილი“, ერთბაშად სტუმარი გახდა, გათამამებულმა ესეც კი გაიფიქრა: „რას ავბუზულვარ გაწუმაულ წიწილასავით, ობოლოს და ობოლს, მეც ადამიანი ვარ“.

— გიორგი ნიკიფოროვიჩ, — უთხრა მასწავლებელმა ისე, რომ თვალი არ გაუხელია, — როგორც ჩანს, მაშველი ძალა დამჭირდება. აბა ერთი, ტელეფონის ყურმილი აიღე!

გიამ აიღო ყურმილი და ახალი დავალების მოლოდინში მასწავლებელს შეხედა.

— აკრიფე, 1—53-69, — სვენებ-სვენებით განაგრძო მასწავლებელმა, — იკითხე არჩილ ფერაძე და, თუ სახლშია, უთხარი, რაკდენ კაპანაძესთან მოდი ცოტა ხნითთქო. უქეიფოდაათქო, უთხარი.

გიამ ნომერი აკრიფა. ტელეფონში მამაკაცის ბოხი ხმა გაისმა:

— გისმენთ!

— არჩილ ფერაძეს სთხოვეთ, თუ შეიძლება.

— მე ვარ!

გია შებორძიკდა. აქამდე არასოდეს დასჭირვებია მასწავლებლის თანდასწრებით მისიცე სახელი და გვარი ეხსენებია. ახლა დაინახა, რომ ეს არც ისე ადვილი ყოფილა.

— ისა... მასწ.. რაკდენ მასწავლებელთან მორძანდით, თუ შეიძლება; ცოტა უქეიფოდაა.

— ახლავე მოვალ! — თქვა მამაკაცმა ბოხი ხმით და დაკიდა ყურმილი.

— ახლავე მოვალო, მასწ.

მასწავლებელმა გაიღიმა

— ულრმესი მადლობა, მაგრამ ეგ რომ არჩილ ფერაძე არ ყოფილიყო, ძალიან კი მიხვდებოდა, ვინ არის შენი რაკდენ მასწავლებელი!

მასწავლებელი გაჩუმდა და გია ბარბაკაძის ცხოვრებაში ისეთი ჟამი დადგა, რომ უარესი თუ იყო, თორემ არაფრით ჩამოუვარდებოდა გეომეტრიის გამოცდას: დუმილი და ლოდინი. თანაც გაურკვეველი მდგომარეობა. ის მაინც რომ სცოდნოდა დანამდვილებით, დამთავრდა თუ არა პარალელური ხაზებისა და გაწლილი კუთხეების ეპოქა, შედარებით დამშვიდდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ იცოდა და ერთ ხანს ვერც გაიგებდა. მასწავლებელი თვალდახუჭული იწვა და მალე, ალბათ, ხვრინვასაც ამოუშვებდა. ერთი საუკუნის შემდეგ გამოჩნდებოდა ვიღაც არანაკლებ ბებერი კაცი და თან მოიტანდა ფონოსკოპს. ერთ საათს გასინჯვას მოუნდებოდა, მერე იმუსაიფებდნენ, ცხადია, ძველ დროს მოიგონებდნენ. წარტრაბეხებდნენ თავიანთი წარსულიდან ... სობაში გიას შემოაღამდებოდა. ... ფეხბურთიც ვეერდზე დარჩებოდა და ყველაფერი. იმისათვისაც მადლობა უნდა ეთქვა, თუ ყოველივე ამის შემდეგ კიდევ გამოცდა არ გაგრძელდებოდა.

ერთი პირობა გადაწყვიტა გაპარულიყო: ამ ოხერ ლოდინსაც გადარჩებოდა, გამოცდის გაგრძელებასაც და ერთი-ორ გოლსაც შეაწევდა თავის გუნდს. მაგრამ შეშინდა, წინასწარ რას მიხვდები, რაოდენ სასტიკი იქნება რაკდენ კაპანაძის შურისძიება.

გარდა ამისა, ცოტა ლაჩრობაც იყო ავადმყოფი კაცის მიტოვება. ღმერთმანე ეს ქნას და, ვინიცობაა, რამე დამართნოდა, რას იტყოდა ქვეყანა! ხომ იტყოდნენ, განზრახ გააკეთა, სამაგიერო უნდოდა გადაეხადაო. კაცმა რომ თქვას, მართალიც იქნებოდნენ. აბა, რაკდენ კაპანაძის ადგილას ვინმე ამბანაგი ყოფილიყო! — წასვლას გულშიაც არ გაივლებდა.

ასეთ მსჯელობას თავისი ბუნებრივი შედეგი მოჰყვა: გია ბარბაკაძე იდგა (დაჯდომასაც კი ვერ ახერხებდა) და თავით ფეხებამდე ოფლში იწურებოდა (რადგან ლოდინმა ოფლიც იცის). მართალია, ცდილობდა დროის მოსაკლავად რამე დაეთვალიერებია, თავი რამეთი შეეტკბა, მაგრამ ამ ოთახში დასათვალიერებელი და, მით უმეტეს, თავშესაქცევი არაფერი იყო.

ბოლოს, როგორც იქნა, დაადგა საშველი და მოვიდა ის კაცი, რომელსაც ამ ერთი საუკუნის წინ ტელეფონით ელაპარაკა გია ბარბაკაძე.

ოღონდ მოხუცი არ იყო. ორმოციოდე წლის იქნებოდა. მაღალი, წარმოსადეგი, ოდნავ ჭაღარაშერთული. მკვირცხლი მოძრაობა და ცოცხალი, მხიარული თვალები ჰქონდა. მოგრძო სახეზე გულკეთილი ღიმილი დასთამაშებდა.

— გამარჯობათ. გამარჯობათ! — მიესალმა იგი დამხვდურთ ისე, რომ

ჯემალ ქარჩხაძე
სასწაული

ერთი გამარჯობა მასწავლებელს არგუნა, მეორე მოსწავლეს, რითაც გია ბარბაქაძე დიდად ასიამოვნა. მართალია, ცოტა ხნის წინ იგი „სტუმარი“ გახდა, მაგრამ ეს მაინც მოჩვენებითი წარმატება იყო და ამ წარმატებას განმტკიცება ესაჭიროებოდა.

— აბა, რაშია საქმე, ბატონო რაჟდენ? ისევ გული, არა? ახლავე შეგილოცავთ და გავუფრთხოს ანგელოზებს ყოველკვარ ავადყოფობას. მართალს არ ვამბობ? — მიუბრუნდა იგი გიას.

გიამ ვაიღიმა და გაწითლდა. ახლა თავისუფლად გაძლებდა აქ კიდევ ცოტა ხანს. ასეთი კაცის თანდასწრებით გეომეტრიაც კი არაა საშიში.

— მედიცინა ფრიად ოპტიმისტური მეცნიერებაა, — მხიარულად თქვა ექიმმა, — და, გფიქროს, არც მათემატიკოსებს გადაუწურავთ იმედი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ზუსტად განსაზღვრავენ წრეხაზის სიგრძეს.

გიას არ ესიამოვნა მათემატიკისა და წრეხაზის ხსენება. უფრო კი ის მოხვდა გულში, რომ მხიარულმა ექიმმა გეომეტრიის ცოდნა გამოამჟღავნა.

გიას გასაოცრად, ექიმს არც ფონოსკოპი მოუტანია. რაღაც ძალიან ზერელედ გასინჯა ავადყოფი. ხან აქ კრა წკაპურტი, ხან იქ, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, ერთი ორჯერ ყური დაადო მკერდსა და ზეკეზზე, მაჯისცემა გაუზომა და ამით დამთავრდა.

— კიდევ გგონია, მიაგნებენ მათემატიკოსები წრეხაზის სიგრძეს? — სუტი ღიმილით ჰკითხა რაჟდენ კაპანაძემ, როცა ექიმი კაკუნსა და გადაბრუნებ-გადმობრუნებას მორჩა.

— წრეხაზი რა არის! დადგება დრო, ოთხგანზომილებიან სამყაროს დახაზავენ. შენ რას იტყვი? — გიას მიუბრუნდა ექიმი.

გიამ კვლავ მორცხვად გაიღიმა და გაწითლდა. ოღონდ ამჯერად ამ ღიმილში, ცოტა არ იყოს, შიშიც ერია, რადგან საქმე, თუ გუმანი არ ატყუებდა, ისევ გეომეტრიას ეხებოდა. შემკრთალმა ბიჭმა მასწავლებლისაკენ გააპარა თვალი, შეეშინდა, არ გამთქვასო. ამტომ გასაგებია მისი სიხარული, როცა ექიმმა ლაპარაკი განაგრძო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მთავარია სიმშვიდე.

— მართლა? — იკითხა მასწავლებელმა, — მე კი შემეშინდა. ხომ იცი, ბებრებს როგორ გვიყვარს სიცოცხლე. ვიფიქრე, ეს უკანასკნელი შეტევა ცხენისმაგრის აღებით დაგვირგვინდება-მეთქი და, ცოტა არ იყოს, ავღელდი. თუმცა ეს ჩემი აღელვება გაორკინ ნიკიფოროვიჩს, ალბათ, სიცილადაც არ ეყო. არა, გიორგი ნიკიფოროვიჩ?

გიორგი ნიკიფოროვიჩს კვლავ სიწითლემ გადაჰკრა სახეზე. მაგრამ მასწავლებელი, როგორც ჩანს, პასუხს არ მოითხოვდა. იგი ექიმს მიუბრუნდა:

— მაშ, ჯერჯერობით საშიში არ არის?

— არა, საშიში არ არის. მაგრამ სიმშვიდე გესაჭიროებათ, სრული სიმშვიდე.

— ამის ხელში? — ჰკითხა რაჟდენ კაპანაძემ და რაღაც ეშმაკურ-დამცინავი თვალით გამოხედა გიას.

ექიმმაც მოიხედა.

— არა, უამისოდ.

გია პირდაღებული იდგა და არ იცოდა, შიშის მიზეზს უფრო იძლეოდა ეს საუბარი თუ სირცხვილის მიზეზს.

— როგორ! — ხმას აუმაღლა რაჟდენ კაპანაძემ.

ექიმმა გაიღიმა.

— სწორედ ასე, — უთხრა მან, — დღეიდანვე.

— იქნებ მოწყალება მოიღოთ და ნება დამრთოთ გკითხოთ, — ისეთი კილოთი დაიწყო რაჟდენ კაპანაძემ, როგორითაც ოროსნებთან იცოდა ხოლმე ლაპარაკი, — ამას თქვენ დამშვიდებას ეძახით?

ექიმმა კიდევ უფრო გულკეთილად გაიღიმა.

— თქვენი უკმაყოფილო კილო და მიმართვის ფორმა იოტისოდენადაც კი არ შეცვლილა ამ ოცდაათ წელიწადში.

გიამ ვერაფერი გაიგო, მაგრამ მიხვდა, რომ ეს რაღაც მოფერების მაგვარი იყო. და რაც ყველაზე უფრო საო-

ცარია, მოეჩვენა, თითქოს მასწავლებელი მართლა იმსახურებდა მოფერებას.

— მე მაინც მირჩევნია, პატივი მცეთ და შეკითხვაზე მიპასუხოთ.

— რასაკვირველია, სიმშვიდეს ვეძახი. მხოლოდ პირველ ორ დღეს გაგიჭირდებათ, მერე მიეჩვევით, ცხადია, მთლად ვერა, ჩუმი სვდა არა მარტო დიდხანს, არამედ, შესაძლებელია, სამუდამოდაც დაგრჩეთ, მაგრამ ეს სიმშვიდეს არ დაგირღვევთ. მთავარი კი სიმშვიდეა.

ექიმი გაჩუმდა. არც მასწავლებელი იღებდა ხმას, მაგრამ მისი დუმილის უკან რაღაც ხიფათი იმალებოდა. მან თვალი გაახილა და ექიმს მკაცრად შეხედა. მერე დახუჭა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაახილა და ისევ შეხედა, თუმცა ახლა მის სახეზე სიმკაცრე რაღაც უმწეო და შესაბრალისა გამომეტყველებით შეცვლილიყო. ექიმმა მშვიდი, ბულკეთილი ღიმილით გაუსწორა თვალი. ერთ ხანს ასე იყვნენ. მერე, უეცრად, მასწავლებელმა მზერა გიაზე გადაიტანა და ოროსანი მოსწავლე კინაღამ შეხტა შიშისა და გაკვირვებისაგან: მეექვსეკლასელების რისხვა, ორიანებით გატტნილი ვეება უბის წიგნაკი რომ ჰქონდა, საცოდავად ატუზულ შეგირდს გამოსარჩლებას სთხოვდა.

ეს უკვე საკმაოდ დიდი მასშტაბის სასწაული იყო. ამხანაგები, ალბათ, არც დაიჯერებდნენ. არც გია დაიჯერებდა, ვინმეს რომ ეთქვა, რაჟდენ კაპანაძემ შესაბრალისი თვალებით გადმომხედა, მაგრამ რა მექნა, მე რა შემძლოო.

გიას რა შეეძლო! რაც შეეძლო, კიდეც გააკეთა: სასწრაფოდ აარიდა თვალი მასწავლებელს და მის მაგივრად თვითონ გაწითლდა.

მასწავლებელი, რაკი დახმარების ხელი არავინ გამოუწოდა, გულაღმა გადაბრუნდა და ჭერს მიაჩერდა. კარგა ხანს იყო ასე გარინდებული. ბოლოს ექიმისაკენ მკვეთრი მოძრაობით გადმობრუნდა და თითქმის ყვირილით უთხრა (თუმცა ამ ყვირილს აშკარად აკლდა უფლებამოსილება):

— ასი მაინც არ შეევსრულო?!

— ეს მერამდენეა? — ღიმილით ეკითხა ექიმმა და ბეუბზე მოუთათუნა ხელი გიას.

ბიბლიოთეკა

გია ვერ მიხვდა, რაზე იყო ლაპარაკი. მართალია, გულმა რაღაც ცუდი უგრძნო, მაგრამ ექიმის მეგობრულმა ჯესტმა დაამშვიდა.

— ეგაა მეასე! — ისეთი კილოთი ჩაილაპარაკა მასწავლებელმა, რომელიც ამ „მეასის“ ღირსებას ბევრს ვერაფერს მატებდა.

— მართლა? — თითქოს გაეხარდა ექიმს და მთელი ტანით შემობრუნდა გიასაკენ. გიას კვლავ ოფლმა დაასხა, რაკი რაღაც მნიშვნელოვანი საუბრის თემად იქცა. თუმცა შიშით მაინცადამაინც აღარ ეშინოდა, სანამ ექიმი აქ ეგულებოდა. კაცი თუ ჩაუკვირდები, ექიმი არაფერ შუაში არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ გია სხვანაირად ფიქრობდა. კი არ ფიქრობდა, გრძნობდა. რაღაც უცნაური სიახლოვესა და სიმპათიას გრძნობდა. ამ რამდენიმე წუთის განმავლობაში ეს მხიარული, წარმოსადეგი ექიმი ცხოვრების იდეალად ექცა. გია ბარბაქაძე ალბათ იმან მოხიბლა, რომ ექიმს რაჟდენ კაპანაძესთან ისე ეჭირა თავი, როგორც ტოლს ტოლთან. შეშინებული ოროსანი ადვილად გაალმერთებდა კაცს მარტო ამ ღირსებისათვის. ასეა თუ ისე, ამჟამად გიას ექიმზე უფრო დიდი კაცი დედამიწის ზურგზე არ ეგულებოდა. მას ეიგბ საშინლად მოუნდა ასეთი წარმოსადეგი, მხიარული, ოდნავ ჭაღარაშერთული ექიმი გამოსულიყო და რაჟდენ კაპანაძის სამკურნალოდ მიეწვიათ. ჰო, რას იყრიდა ძველ ჯავრს!.. თუმცა არა, ჯავრს არ იყრიდა, ხომ იცი... პირიქით, ღამეებს გაუთენდა, რამე ასალ წამალსაც გამოიგონებდა საგანგებოდ მისთვის და სიკვდილს ხელიდან გამოგლეჯდა. ყოფილ მასწავლებელს არ ეცოდინებოდა მისი ვინაობა და ბოლოს, როცა გონს მოვიდოდა და იკითხავდა, მაჩვე-

---

ჯემალ ქარჩხაძე
სასწაული

ნეთ ერთი, ვინ არის ჩემი მხსნელიო, გია მშვიდად მიუახლოვდებოდა და უბრალოდ ეტყოდა: მე გია ბარბაქაძე ვარო. აი, მაშინ გაახსენდებოდა, რამდენჯერ გაუწამებია გია, გაახსენდებოდა საშემოდგომო გამოცდის ამბავი და შერცხვებოდა. მაგრამ გია დიდსულოვნად აპატიებდა.

— მაშ, ეს არის მეასე და ბოლო? — ღიმილით იკითხა ექიმმა და გია მკრეხელური ოცნებისაგან გამოაფხიზლა. — ძალიან ჯიუტობს?

— უსაშველოდ. — მიუგო მასწავლებელმა, — საქმე ისაა, რომ პრინციპულად არ ცნობს გეომეტრიას შესწავლის ღირსად. თანაც ჩემი პირადი მტერია, ეგრე კი ნუ გგონია საქმე.

გია ოფლში ცურავდა. ასეთ დღეში ჩავარდნას ათასწლიად ერჩივნა სულაც არ გაჩენილიყო ამ ცოდვილ ქვეყანაზე. ამ კაცთან შერცხვენას სიკვდილი ჯობდა. პირადი მტერიაო, მაინც რამ აოქმეგინა! ღმერთმანი, თავის დღეში არ უფიქია გია ბარბაქაძეს მისი მტრობა. პირიქით, ოღონდ კი ამ ავადმყოფობას გადარჩენოდა და საშემოდგომო გამოცდასაც ჩააბარებდა, არც ჩემპიონობის დაკარგვას ინადგლებდა მაინცადამაინც. და ასეთ გულკეთილ კაცს პირად მტერს ეძახის!

— საერთოდ კარგი ბიჭია... — გაბაგრძო მასწავლებელმა.

— ეგ ხომ თქვენი ურყევი რწმენაა, ბატონო რაჟდენ, — სიტყვა ჩამოართვა ექიმმა, — საერთოდ ყველა ბიჭი და ყველა გოგო კარგია. ყველა კეთილი და საყვარელია. მთავარია, ეს სიკეთე განუვითაროთ, რომ ცხოვრების მთელ გზაზე გაყვეთ. სწორად მახსოვს?

— სწორად გახსოვს. თუმცა ამჯერად ეგ არ მქონდა მხედველობაში. იმის თქმა მინდოდა, ნიჭიერი ბიჭია-მეთქი. მაგრამ ჰო-ჰო-ჰო!.. ერთხელ ისეთი საქმე მიყო, პირდაპირ აღარ ვიცოდი, რა მექნა. ეშმაკის ფეხია და შშობელი მოიყვანე-მეთქი ვუთხარი, მინდოდა მოვლაპარაკებოდი. უცებ ჩაქინდრა თავი და გულსაკლავად მითხრა — „შშობლები არა მყავს. მასწ." — ისეთი ხმა ჰქონდა, გეგონებოდა, ცრემლები ახრჩობს ბავშვს და თავს ძლივს იკავებსო. წარმოგიდგენია, ალბათ, რა დამემართებოდა, ადგილზე გავშეშდი. რაღა არ გავაკეთე მერე, იქნება როგორმე აშლილი დარდი შეეუმსუბუქებინა ბავშვს. აი, შე არამზადა შენა! — მიუბრუნდა უცებ მასწავლებელი გიას და ღიმილიც ერთბაშად რისხვით შეცვალა.

ექიმი ახარხარდა. გია მოიკუნტა და აღარ იკოდა, სად გაპარულიყო.

— იმედი თუ გაქვთ? — ხარხარსა და ხარხარს შუა იკითხა ექიმმა. თან ცრემლს იწმენდდა.

— იმედი როგორ არა მაქვს! ოთხმოცდაცხრამეტმა გამოიარა ჩემს ხელში და წყალგადაწურული არც ერთი არ ყოფილა. ოთხმოცდაცხრამეტივე ამოძერა. ეგ რა, ციდან კი არ ჩამოფრენილა.

— უთქვენოდ?

— უჩემოდ რა ვიცი. გაჩნია, ვინ შემცვლის.

— გინდ ასე თქვი, გინდ ისე, საკითხი გადაწყვეტილია. თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობა დამთავრდა. მეასეს ვინმე მოუვლის. ბოლოს და ბოლოს, ყველა მოსწავლემ თქვენს ხელში ხომ არ უნდა გამოიაროს.

— ჩემი დაწყებული მეგე დამემთავრებია! — თქვა მასწავლებელმა და ისე გაიბუტა, როგორც ნათია გოგიაშვილმა იცოდა ხოლმე.

„მეასე" თავჩაქინდრული იდგა და ოფლში იწურებოდა. საუბრის დინებისდა მიხედვით, ხან იმედი მიეცემოდა, რომ ამ კაცივით მხიარული და წარმოსადეგი, საუკეთესო ექიმი გამოვიდოდა, ხანაც ყოველგვარი იმედი გადაუწყვეტიდა და თავისი ოცნება უდიდეს თავხედობად მიაჩნდა.

— ისე, პატარას თუ მოინდომებს, მეტი კი არაფერი უნდა, — განაგრძო მასწავლებელმა, — ვინმესთან რომ იმეცადინოს... აი, მაგალითად, ერთი მეგობარი ჰყავს, ნათია გოგიაშვილი, იმასთან...

გია ჭარხალივით გაწითლდა. ეს მარ-

თლაც მეტისმეტი იყო! ნეტა მიწა გახეთქოდა და თან ჩაეტანა! მეტიჩარა ნათიას მეგობრადაც კი მონათლეს და ისიც ასეთი კაცის თანდასწრებით. სადმდე შეიძლება ადამიანის დამცირება! ნათიას მეგობარი! მეტი კი არ უნდათ ბიჭებს. მართალია, ნათია არავის ხელწამოსაკრავი არაა, ეგ კი არადა, ბევრ ბიჭსაც ჯობია, მაგრამ რა გინდა ქნა, — მაინც გოგოა და მისი მეგობრობა თავმოყვარე კაცისათვის შეურაცხყოფაა. გია ბარბაქაძეს სირცხვილად ისიც ეყოფა, რომ ხანდახან ყოყმანობს, ფეხბურთის სათამაშოდ წაეიდეს თუ ნათიასთან გაატაროს კვირადღე. ანდა ექსკურსიის დროს, როცა ბიჭები, ჩვეულებრივ, ცალკე გუნდად მიდიან და მეტიჩრებს ახლო არ იკარებენ, რაღაც სულელური აზრი შეეჭნდება და ძლივს იკავებს თავს, რომ ციცაბო აღმართზე ასვლაში არ მიეხმაროს. მაგრამ ასეთ ცოდვას თავის გულში, თავის ფიქრებში ჩადის და თავის გულშივე ინანიებს. ეს კი საქვეყნოდ გაიძახის, — მეგობარიო.

— რა საეჭვოდ გაწითლდი! — გაუღიმა ექიმმა და კვლავ მოუთათუნა მხარზე ხელი.

ამ სიტყვებმა საბოლოოდ დასასმარა გია ბარბაქაძის სიამაყე და თავმოყვარეობა.

— მაშ, მოდი ასე ვქნათ, — თქვა მასწავლებელმა, — რახან პედაგოგიური მოღვაწეობა დავასრულე, ამით დასრულდა ჩემი სახელგანთქმული უბის წიგნაკის მისიაც. მე მინდა ეს უბის წიგნაკი აქვე, შენი თანდასწრებით, ჩემმა არჩილ, გადავცეც გამოუსწორებელ მეასეს. თუმცა შეიძლება უარი თქვას, ისე სძულს. გინდა გაჩუქო ჩემი უბის წიგნაკი, გიორგი ნიკიფოროვიჩ? იმიტომ კი არა, თითქოს ვინმეს სჯობიხარ, არა. მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი უკანსკნელი მოსწავლე ხარ და კიდევ იმიტომ, რომ გამოუსწორებელს ტოვებ. რას იტყვი, არჩილ?

— კარგი იქნება, დაე, გადაშალოს და, რასაც იქ ნახავს, სახელმძღვანელოდ გამოიყენოს.

გიას ჯერ ეგონა, დამცინიანო. მაგრამ მხიარული ექიმი ამჯერად ისეთი ერიოზული კილოთი ლაპარაკობდა, ერმ ამ მოსაზრებაზე მაშინვე აიღო ... არადა, რაშია საქმე? რა გამოადგება სახელმძღვანელოდ, რას ნახავს ასეთს ამ უბის წიგნაკში? ორიანები გამოადგება სახელმძღვანელოდ?

ამასობაში მასწავლებელმა უბის წიგნაკი აიღო და ჩამოწვეცა კი დაანარა, მაგრამ ექიმმა არ დაანება. სამაგიეროდ, გია მოიხმო:

— მოდი ახლოს!

გია საწოლს გაუბედავი ნაბიჯით მიუახლოვდა.

— გია ბარბაქაძე, — საზეიმო კილოთი დაიწყო მასწავლებელმა, — აი, ეს უბის წიგნაკი. იცოდე: ამაშია მთელი ჩემი სინდისი (გიას გააკრკოლა) და ორმოცი წლის ნამოღვაწარი. ვინძლო, გაუფრთხილდე. როცა გაიზრდები და დაკვირვებული თვალით ჩაიხედავ ამაში, დაინახავ, რომ რაკდენ კაპანაძეს, სპეციალურად, მოსწავლეების გასაწამებლად არ შეუძენია ეს ოდენ სქელი უბის წიგნაკი. აბა, აწი შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ!

ამ სიტყვებით მან ბიჭს უბის წიგნაკი გაუწოდა. გია ბარბაქაძე აკანკალებული ხელით შეეხო ნივთს, ამდენი ხნის განმავლობაში რომ შიშის ზარს სცემდა მეექვსეკლასელებს.

— ახლა კი გაიქეცი, — უთხრა მასწავლებელმა, — სამი საათი ხდება. სადაცაა დაიწყება შენი ფეხბურთი. — მერე ექიმს მიუბრუნდა, — დღეს გამოცდის გარდა ფეხბურთიც ჰქონდა და სულ იმის ფიქრში იყო, მიუსწრებდა თუ არა. გაიქეცი, რაღას უდგეხარ. საშემოდგომო გამოცდა, როგორც ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც ალბათ ჩემი სიბერით უნდა აეხსნათ, მიპატიებია.

გია იდგა და ყოყმანობდა. თან იმაზე ფიქრობდა, საიდან იცის გეომეტრიის მასწავლებელმა, დღეს რომ ფეხბურთი მაქვსო. ბოლოს ნელა დაიძრა კარისკენ.

ჯემალ ქარჩხაძე
სასწაული

მაგრამ შუა გზაზე შემობრუნდა და აღელვებული ხმით წაიბუტბუტა:

— მასწ., კარგად ბრანდებოდეთ!

მასწავლებელს და ექიმს გაეცინათ.

— რა ამბით მემშვიდობები, ბიჭო, კი არ ეკვდები! თუ, რახან მასწავლებლებას თავს ვანებებ, შენ და შენი ამხანაგები მოვალედ აღარ ხელით თავს, შემოიაროთ და მინახულოთ? ჰა, რას გაჩუმებულხარ?!

— შემოვიელით, მასწ... — წაიბუტბუტა გიამ და გამოსცდა კარს.

გამოვიდა თუ არა, მაშინვე უბის წიგნაკს დახედა, მთელი ამ ხნის განმავლობაში გახურებული შანთივით რომ წვავდა ხელს. ახლოდან არც ისე საშინელი ჩანდა. კანი, განსაკუთრებით ნაპირებთან, სულ ერთიანად გაცრეცოდა. გიას მოეჩვენა, რომ ეს ბებერი წიგნაკი რაღაცით ძალიან ჰგავდა თავის ბებერ პატრონს; თუმცა იგი აღარ იყო პატრონი.

გიამ ქუჩიდან მიიხედ-მოიხედა და მაგრად ჩაპღუჭა იშვიათი ნადავლი. ამ ნივთის ხელში ჩაგდება მეექვსეკლასელთა აუხდენელი ოცნება იყო.

ბიჭმა აკანკალებული ხელით გადასწია გარეკანი. პირველი ფურცელი ჭუჭყიანი და ყვითელი იყო. გიას ძველი გაზეთები უნახავს ასეთი ყვითელი და ჭუჭყიანი, პირველ გვერდზე, შუა ადგილას, უცნაურად დაგრეხილი ასოებით ეწერა: „რაჟდენ იასონის ძე კაპანაძე“, ხოლო ქვემოთ, იმ ადგილას, სადაც წიგნებს „თბილისი, 19... რაღაც წელი“ აწერია ხოლმე, იმავე ხელით ეწერა: „თბილისი, 1922 წელი“.

გია პირდაღებული დასცქეროდა ამ „1922 წელს“. ეს მის წარმოდგენაში უხსოვარ დროდ ითვლებოდა და უეცრად პატივისცემა მოემატა იმ კაცისა, რომელმაც, ეჰეი, როდის — 1822 წელს უბის წიგნაკში საკუთარი ხელით ჩაწერა: „1922 წელი“.

მერე სატიტულო ფურცელიც გადაშალა. გია მოელოდა, რომ ცალ მხარეს გვარები იქნებოდა ჩამოწერილი და მეორე მხარეს ორიანები, მაგრამ შეცდა. ბლოკნოტში თითო გვერდზე ორ-ორი გვარი ეწერა, თავში და შუაში. გვერდების შემდეგ მოდიოდა ორიანები, და საერთოდ ნიშნები, რომლებიც — მეოთხე, მესამე და ხშირად მეოთხე ხაზზეც გადადიოდა.

მაგრამ თუ გგონიათ, ამის გამო იდგა გია ასე თვალდაჭყეტილი, გაფითრებული და პირდაღებული, სასტიკად ცდებით. არა, აქ თავავრი სხვა რამე იყო, და აი, რა: პირველ გვერდზე პირველი სახელი და გვარი ეწერა — „არჩილ ფერაძე“. ამიტომ იდგა გია ასე თვალდაჭყეტილი, გაფითრებული და პირდაღებული.

„არჩილ ფერაძის“ გასწვრივ პირველ ხაზზე სულ ორიანები ეწერა, ორიანები ეწერა აგრეთვე მეორე ხაზზე და მესამე ხაზის შუამდე. მესამე ხაზის შუიდან მეოთხე ხაზის შუამდე სამიანები ეწერა, ხოლო აქედან უკვე ოთხიანები და მეოთხე ხაზის დასასრულს — ერთი, ერთადერთი, ობოლი ხუთიანი. ქვემოთ უკვე ახალი გვარი იყო.

და რა თავისუფლად ლაპარაკობდა მასწავლებელთან! თითქოს ტოლი ყოფილიყოს!

გიას არ გახარებია ეს ამბავი. არც თავისუფლად ამოუსუნთქავს იმის გამო, რომ სახელგანთქმული კაცი ამხანაგად ერგებოდა, პირიქით, ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ეს უცხო ორიანები მის საკუთარ ცოდვასთან ერთად დაუწვა და ორმაგად დაამძიმა. საოცარი კია! მართლაცდა, რა მხიარული და წარმოსადეგი ექიმიც არ უნდა ყოფილიყო არჩილ ფერაძე, რა ესაქმებოდა მის ორიანებს გიასთან, — საწყალი ბიჭი საკუთარსაც ვერ გაწვდენოდა!

ისე, გია, მასწავლებლისა არ იყოს, პატარას თუ მოგონდებდა... კაცმა რომ თქვას, ნათია გოგიაშვილი გოგო თუა, იმიტომ ვერ ჯობია ბარე ორ ბიჭს! ბოლოს და ბოლოს, ის ერთადერთი სწორი პასუხი, გიაცა და ვეომეტრიის მასწავლებელიც ასე რომ გაახარა, ნათიას წყალობა არ იყო? დაიქცა ქვეყანა თუ ღამით ტყეში წასვლის ეშინია. ადრე

არც ცურვა იცოდა, მაგრამ ბოლოს ისწავლა და ახლა ბიჭებსაც კი არ ჩამორჩება...

ნუგზარ მამალაძეც, ჩვენში დარჩეს და, მშვენიერი ცენტრალური თავდასხმელია, ისე რა ღმერთი გაუწყრება, ერთი-ორი ბურთი არ გაიტანოს მეშვიდეკლასელების კარში.

ასე ფიქრობდა გია ბარბაქაძე, პატარა ბიჭი, ცამეტი წლი სასწაულს რომ ელოდა და ბოლოს მართლა გადაურჩა საშმეოდგომო გამოცდას. ასე ფიქრობდა...

ან კი რა ექნა: ცამეტი წლის ბიჭი იქით უნდა წავიდეს, საითაც გული მიუწევს. გული კი ნათია გოგიაშვილისაკენ მიუწევდა, მეტიჩარა გოგოსკენ, რომელსაც თვალები გაუბრწყინდებოდა ხოლმე, გია რომ მასთან მიეკრრრეს.

გიამ ამ დღეს მრავალი რამ გამოსცადა: სიმწარეც და სიტკბოც. და ყოველივე ამას მხოლოდ ნათიას თუ ეტყოდა, რადგან სხვები ვერც ამ ამბის სიმწარეს დაინახავდნენ და ვერც ამ ამბის სიტკბოს.

ასე იყო საქმე.

და გია ბარბაქაძე, თავის გუნებაში რომ ცამდე მართალ ბიჭებს ედავებოდა, საკუთარი ბიჭობისდა სამარცხვინოდ, პირდაპირ მეტიჩარა ნათიას სახლისაკენ მიაბიჯებდა, თუმცა პირველი სკოლის ეზო გაცილებით უფრო ახლოს იყო.

სერიას „ადამიანთა გზა“ ეწოდა.

„მაზერელის შემოქმედება თითქმის ნახევარ საუკუნეს ითვლის,— წერს ხელოვნებათმცოდნე პინკუსი ეფრნელ „ბილდენდე კუნსტში“,—გრავიურათა ახალი ციკლი შესანიშნავი ხელოვანის ნამუშევართა ჯგუფს წარმოადგენს. აქ ფართოდ არის ნაჩვენები როგორც მაზერელი-მხატვარის, ასევე მაზერელი-გრაფიკოსის ბრწყინვალე ოსტატობა. ორი ომის მონაწილე ფრანს მაზერელი ამჟამად 75 წლისაა, ცხოვრობს ნიცაში და კვლავ ნაყოფიერ შრომას ეწევა. შესანიშნავი ხელოვანი ფრანს მაზერელი თავისი განუყრელი საკრეჭლით ხელში იბრძვის პუმანიზმისა და პროგრესისათვის, შვიდეობისათვის მთელს მსოფლიოში.

გდრ

ჰენრიხ მანის თხზულებათა სრული ტომი

მიმდინარე წლის აღინიშნება ცნობილი გერმანელი მწერლის ჰენრიხ მანის გარდაცვალების 15 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით გერმანიის ხელოვნების აკადემიამ, რომლის პირველი პრეზიდენტიც განსვენებული მწერალი იყო, დაიწყო ჰენრიხ მანის თხზულებათა 25 ტომეულის გამოშვება. პირველ თხუთმეტ ტომში შევა მწერლის 17 რომანი, შემდეგი სამი ტომი მოიცავს 60-მდე ნოველას, ერთი ტომი — ათ დრამატულ ნაწარმოებს, ოთხი ტომი—300-მდე ნარკვევს და ესეებს. ორ უკანასკნელ ტომში შევა მწერლის ლიტერატურული წერილები და ლექციები.

მანის თხზულებათა 25 ტომეულში შევა აგრეთვე ის რომანები, რომლებიც დიდი ხანია არ დაბეჭდილა („საბრალონნი“ და „თავი“), აგრეთვე ჯერ გამოუქვეყნებელი რომანი „სუნთქვა“. ეს რომანი ეხება მეორე მსოფლიო ომის პირველ დღეებს.

გფრ

მისამართი უცნობია

იტალიელი გრაფი ენრიკო დი პომპეო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ცხოვრობს. ამას წინათ მან გადაწყვიტა შეემოწმებინა დასავლეთ გერმანიის ფოსტის მოხელეთა საქმიანობა. გრაფმა 30-მდე წერილი გაგზავნა გერმანიის იმ ცნობილი ადამიანების სახელზე, რომლებიც დიდი ხანია ისტორიის საკუთრებად ითვლებიან.

და აი შედეგიც: ასტრონომ კეპლერის სახელზე გაგზავნილი წერილი რეგენსბურგიდან შემდეგი შტამპით დაბრუნდა: „მიუთითეთ ქუჩა და სახლის ნომერი“. ობოპნ ვოლფგანგ გოეთის სახელზე გაგზავნილ კონვერტს მაინის-ფრანკფურტის ფოსტის მოხელემ წააწერა: „აღრესატი გარდაიცვალა“. ფრიდრიხ შილერისადმი გაგზავნილ ბარათზე კი ეწერა:

გაგრძელება იხ. გვ. 69.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედეა კახიძე

ყველა ბალახს და ყველა ფათალოს
თანაბრად მიწის სითბო არა ზრდის,
მე მინდა ჩვენში ყველა ქალი და
ყველა ფოთოლი იყოს ლამაზი!
კურთხეულ იყოს მგზავრი პირველი,
სიკეთის გზაზე ვინც გამასწავლა,
ზაფხულის მაცნე, ყველა ფრინველი,
ყველა მერცხალი წინამასწარა!
კურთხეულ იყოს სინათლე დიდი,
კურთხეულ იყვნენ. ჩემი ტოლები,
მათ, ვისაც ჩემი ჭირით და ლხინით,
სიბერის დღემდე შევიყოლებდი!
კურთხეულ იყოს მესხის მარჯვენა,
ალაზნის წყალი დარბაისელი,
მე თუნდ ათასი მქონდეს დალხენა,
სხვათა შემყურე დარდად ვიქცევი!
სადმე პატარა, ობლად რომ არი,
ვინმე იმის წილ დარდს თუ არ ილევს,
ვისაც მეგობრის მოსაგონარი
არ ავიწყდება ნაპურმარილევს.
ყველა ბალახს და ყველა ფათალოს,
თანაბრად მიწის სითბო არა ზრდის
მე მინდა ჩვენში ყველა ქალი და
ყველა ჭადარი იყოს ლამაზი!

☆

თუკი სათავე არა გაქვს უბვი,
ვერასდიდებით ვერ ადიდდები,
თუ სიყვარული არა გაქვს გულში,
ვერ შეიყვარებ ვერასდიდებით.
თუკი ამდენი რამის მხილველმა,
ვერ შეიძინე გამოცდილება,
გზად შეეყრები ხიფათს პირველი,
ჩუმი ნაღველი არ მოგცილდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ვნახე ბევრი დღეთა ჭიდილი
ქარში ფოთოლთა ვნახე ტრიალი,
ყველა ფოთლისთვის არის სიკვდილი,
ცაში გაფრენა და ხეტიალი.
ჰქონდეთ მარადის ნანატრი დარი,
დასაბამიდან ხენი ნატრობენ,
თურმე დაჩაგვრა ლამაზი ქალის
ისევ ლამაზ ქალს ძალუძს მარტოდენ!
ყველას მაგივრად ტირილს თუ შეძლებ,
ბოღმა წაგიღებს, როგორც ენგური.
თუმც თეთრი კაბა აცვიათ გედებს,
გლოვა იციან სხვებზე ერთგული!
ყველა ფათალო სახე მტირალი
მზეს ემალება მიკვირს რისათვის,
ხავსი, რომ ხავსი არის ტიალი,
ისიც ცოდვაა სიკვდილისათვის!
თუკი სათავე არა გაქვს უხვი,
ვერასდიდებით ვერ ადიდდები,
თუკი ნათელი არ გიდგას გულში,
ვერ შეიყვარებ ვერას — დიდებით!

☆

მუხა მოკვდება ზეზედა,
არწივებს ისხამს მხრებზედა,
შენ, ტბაო, სულ ერთ ადგილზე
ყოფნა რად არა გბეზრდება.
ყველასა გვყოფნის დიდი მზე,
ყველას ცდუნების ხვითო გვძლევს,
თუკი ვიფიქრებთ სიკვდილზე,
ძნელად ავიტანთ სიცოცხლეს.
მე მტკივა გადაჩეხილი
ვაზი და ნასახლარები,
რქა-რქაზე გადაგრეხილი
უგუთნო ლაბა ხარები.
თურმე შენ რასაც იგლოვებ,
სხვების გულამდი არ დავა,
თურმე წაქცევა დიდ გორზე
შრიალით იცის ჭადარმა.
ზოგს სულ არა აქვს ხალისი,
ზოგს აქვს ათასის სამყოფი,
შენ რასაც გულით განიცდი,
სხვას სასაცილოდ არ ყოფნის.
არაგვს შიში აქვს არაფრის,
არ ეშინია ალაგმვის,
ცოდვაა გასათიშავად
შავი და თეთრი არაგვი.

ნოდარ კეკელიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მოთხრობა

ამ საღამოს საავადმყოფოდან შინ დაღლილი დაბრუნდი. გახშმობის თავიც აღარ მქონდა, დივანზე გაუხდელად წამოვწექი და ჩამთვლიმა. უეცრად ტელეფონის ზარმა გამომაღვიძა. სწრაფად წამოვხტი, ყურმილი ავიღე.

— გისმენთ.

— ჩარგეი"შვილის ბინაა? — გაისმა ყურმილში ქალის ხმა.

— დიახ, ვინ ბრძანდებით?

— პატივცემულო ოთარ, მორიგე გაწუხებთ საავადმყოფოდან. ეს-ეს არის, ახალგაზრდა ქალი მოიყვანეს, მეტად მძიმე მშობიარობა აქვს, თქვენი მოსვლა აუცილებელია...

— კარგით, ახლავე მოვდივარ!

ყურმილი დავდე. სწრაფად ჩავიცვი და კარი გამოვიხურე. მორიგე ექიმი, ქეთევან ჟვანია საავადმყოფოს შესასვლელთან დამხვდა.

ხალათი გადავიცვი და კიბეს ჩქარი ნაბიჯით ავუყევი. დერეფანში უცნობი მამაკაცი იდგა. დამინახა თუ არა, მომაჩერდა. უცნობს მივესალმე და გზა განვაგრძე.

— ვინ არის ეს კაცი? — ვკითხე მორიგეს, როდესაც კარგა მანძილით დაცილდით მას.

— იმ ქალის მეუღლე გახლავთ, მთხოვა, აქ დაცდის ნება მომეცა და უარი ვეღარ ვუთხარი.

ავადმყოფი გულდასმით გავსინჯე. ოპერაცია აუცილებელი იყო.

თორმეტი საათი იქნებოდა, ოპერაცია რომ დავამთავრე. ოფლად გაღვრილმა ხელ-პირი დავიბანე, პაპიროსს მოვუკიდე და აივანზე გავედი. ხუთიოდე წუთის შემდეგ ჩემი ოთახისაკენ ვავეშურე.

— ექიმო, ავადმყოფი როგორ არის?— მომესმა ვიღაცის გაუბედავი ხმა. შემოვბრუნდი. ჩემს წინ იმ ქალის მეუღლე იდგა.

— მოსალოცი ამბავია, ძმაო, ბიჭის მამა ხართ, მეუღლეც კარგად არის. — ღიმილით ვუთხარი და ხელი გავუწოდე.

კაცს სახე გაუნათდა, სიხარულისაგან არ იცოდა, რა ექნა, მერე ორივე ხელი ჩამჭიდა ხელში.

— გმადლობთ, ექიმო, ამ სიკეთეს არასოდეს არ დავივიწყებ!

მე მალე დავცილდი მას. ჩემი ოთახის

კარი შეეაღე. ოთახში ცხელოდა, სინათლე ავანთე და სარკმელი გამოვაღე. ისევ ფიქრებში გავეხვიე. რას წარმოვიდგენდი, რომ ამდენი ხნის უნახავ, თითქმის მივიწყებულ ნანას, აქ, საავადმყოფოში ვნახავდი. როგორ გამოცვლილა, დაქალებულა, რამდენნა წელმა გაიარა მას მერე. მაშინ სრულიად ახალგაზრდა ექიმი ეიყავი. რა დამავიწყეს იმ დღეს. გაზაფხულის მიწურული იყო, ჩემი ოჯახი იმ ხანად წყდერში ისვენებდა. შინ არავინ მეგულებოდა და სამსახურიდან გვიან ვბრუნდებოდი ხოლმე.

ერთ საღამოს, ჩვეულებისამებრ, გვიან ვამოვედი საავადმყოფოდან და ტრამვაის გაჩერებისაკენ გავწიე. გაჩერებაზე ხალხს ბლომად მოეყარა თავი. ტრამვაი აგვიანებდა. ბოლოს როგორც იქნა, გამოჩნდა. ლოდინით შეწუხებული ხალხი ვაგონებს მიაწყდა. მეც მათ მივყევი, კარი დიდი გაჭირვებით დაიხურა.

კონდუქტორი სკამზე შემდგარიყო, მგზავრებს ზემოდან გადმოყურებდა და ხმამაღლა კაპეკირობდა, ბილეთები შეიძინეთო.

ყოველ გაჩერებაზე მგზავრები ვეღარ ტბებოდა. ჩასვლით თითქმის არავინ ჩამოდიოდა, რომ ცოტათი ამოვიკისუნთქა. გადავწყვიტე, როგორმე ძირს ჩავსულიყავი და გზას ფეხით გავყოლოდი, მაგრამ ჩასვლა ვერ მოვახერხე და ბიდს შევფრიგდი. ტრამვაი აბანოს გაჩერებას უახლოვდებოდა.

— ქალიშვილო, ხმა გამეცი. მუნჯი ხომ არა ხარ, — ამბობდა ვიღაცა ჩემს ზურგსუკან.

— რა გინდათ ჩემგან, დაბეზსენით, — გაისმა გოგონას შეწუხებული ხმა.

მე მხრები ვავითავისუფლე და თავი ვეკერდზე მიეპრუნე. ქალიშვილის აჭარხლებული სახე დავინახე. ვიღაც ახალგაზრდას ქუდი თავლებზე ჩამოეფხატა და შეშინებულ გოგონას ქორეიით დაპყურებდა. ვიღარ მოეთმინე და იმ ვაჟს მივუბრუნდი:

— მეგობარო, ცოტა წესიერად მოიქეცით.

ვაჟი არ მოელოდა, თუ ქალიშვილს ვინმე გამოექომაგებოდა და გაკვირვებით შემომხედა, თავით ფეხამდე აზომა, დამზომა და უტიფრად მომასალამა.

— შენ გზას ეწიე.

მხარში ხელი მოვკიდე და შემოვაბრუნე.

— თავს არ დამანებებ... — დაიღრიალა მან და მუცელში მუშტი ამომარტყა.

ამას კი არ მოველოდი, სიმწრისაგან ერთ ხანს სუნთქვა შემეკრა.

როგორც იქნა სული მოვითქვი და წელში გავიმართე. უცნობი ვაკი ჩემს წინ აღარ იყო, იგი კარისაკენ მიიკლვდა გზას. კისერში ეწვდი, მოვატრიალე და გავარტყი. ეაგონში ჩოჩქოლი ატყდა. ყველას ყურადება ჩვენკენ იყო მოპყრობილი. ტრამვაი შეჩერდა.

კარგა შეშინდებული იყო, მე და ნანა მილიციის განყოფილებიდან რომ გამოვედით და ხმაურიან ქუჩას დავადექით, ნელა მივდიოდით, გზაში არც ერთს სმა არ ამოგვეღია. იმ შემთხვევამ გუნება წამიხდინა. მთავარი ქუჩა ჩავიარეთ. ქალიშვილმა მარჯვენე აღმართისაკენ აუხვია, იქვე გაზეთების ფარდულთან შეჩერდა და მე მომიბრუნდა.

— აქედან ახლოა ჩემი სახლი, მეტს აღარ შეგაწუხებთ, ბოდიშს ვიხდი, რომ ჩემი გულისათვის ასეთი უსიამოვნება შეგემთხვათ.

— ეგ არაფერი. ისე კი ამ შუა გზაზე ვერ მიგატოვებთ.

— ოთარ, თქვენ აღმართ ფიქრობთ, რომ ახალ ხიფათს გადავეყრები. კეთილი, წავიდეთ.

გზა განვაგრძეთ. აღმართს კვლავ უხმოდ მიეყვებოდით. წინ ნანა მიდიოდა. ხელში ყვითელი ტყავის ჩანთა ეჭირა და აქეთ-იქით აქანავებდა. მოულოდნელად შეჩერდა, ჩემკენ შემობრუნდა და გაიცინა.

— რომ იცოდეთ რაზე მეცინება?

ნოდარ კეკელიძე
სინანული

— რაზე? — ვკითხე და თვალებში შევაცქერდი.

— ახლა რომ ჩვენმა გოგოებმა თქვენთან ერთად დამინახონ, თვალს არ დაუჯერებენ!

— რა არის დაუჯერებელი, პირველად ხომ არ ხართ ვაჟის გვერდით?

— პირველად ვარ.

— ნანა, თქვენ სწავლობთ, არა?

— დიახ, კონსერვატორიაში. მესამე კურსზე გადავედი.

— სასიამოვნოა...

— თქვენც სწავლობთ, ოთარ?

— არა, ახალბედა ექიმი გახლავართ.

— კარგი პროფესია აგირჩევიათ.

— მე კმაყოფილი ვარ.

ნანა მაღალი, თეთრი სახლის სადარბაზოსთან შეჩერდა.

— აი, ჩემი სახლიც, ნახვამდის, ოთარ! — მითხრა ნანამ და ხელი ჩამოსართმევად გამომიწოდა.

მისი პაწია, თბილი ხელი მე მაშინვე ხელში მოვიმწყვდიე.

— რა გეჩქარებათ, ცოტაც გაგვეცალ. ეგოგონამ საათს დახედა.

— მაპატიეთ, ისედაც დამაგვიანდა. კიდეც კარგი, რომ მამაჩემი ახლა მიელოდებაშია, თორემ...

— თორემ რა, გაგიწყრებოდათ?

— ძალიან.

— დედის არ გეშინიათ?

— დედის არა, თუ გამიჯავრდება, მალე შევირიგებ!..

— რა გაეწყობა, — მხრები ავიჩეჩე. — მეტს აღარ შეგაყოვნებთ!

— ასე აჯობებს, ალბათ თქვენც გელიან ოჯახში მშობლები, მეუღლე...

— ოჯახს ჯერ არ მოვკიდებივარ, — ვიცრუე და უტიფრად გავიღიმე.

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა, — ჩაილაპარაკა და ხელი გაითავისუფლა.

— ხვალ ხუთშაბათია, რაიმე ახალი სურათი ვნახოთ.

— სამწუხაროდ არ შემიძლია, კალათბურთს უნდა დავესწრო.

ვიცოდი, რომ მეორე დღეს იაპონიის ქალთა ნაკრები ხვდებოდა ჩვენს გუნდს, მაგრამ ბილეთზე რატომღაც არ ვიზრუნე.

— კალათბურთზე მეც სიამოვნებით წამოვიდოდი, მაგრამ ბილეთს ვერ ვიშოვი.

ნანას ღიმილი მოეფინა სახეზე, ტყავის ჩანთა გახსნა და იქიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო.

— მაგაზე არ დაგწყდეს გული. მე შემიძლია მოგცეთ ერთი ბილეთი, — თქვა და ბილეთი გამომიწოდა.

მადლობა გადავუხადე და გამოვართვი.

— მაშ, ხვალ სპორტის სასახლეში მოხვალთ? — ვკითხე დარცხვენილმა.

— უსათუოდ, არა მგონია რამემ შემიშალოს ხელი.

ნანას დავემშვიდობე და დაღმართს ნელა დავუყევი. ჩემს თავზე გული მომდიოდა, ეგოგონას ტყუილი რომ ვუთხარი, უცოლშვილო ვარ-მეთქი.

მეორე დღეს საავადმყოფოში უგუნებოდ მივედი. მთელი დღე უაზროდ დავბორიალებდი. საღამოხანს კაბინეტში შევედი, მაგიდას მივუჯექი და ჯიბიდან ბილეთი ამოვიღე: ვერ გადამეწყვიტა, როგორ მოვქცეულიყავი. ამ დროს კარი ჯაიღო და ჩემმა კოლეგამ მერაბ შავიშვილმა შემოჰყო თავი.

— შემოდი, მერაბ, — გავძახე მას.

მერაბი ტახტზე ჩამოჯდა და ოფლიანი შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა.

— რას გვიბრძანებთ?

— რაღაც უნდა მეთხოვა შენთვის...— დაიწყო მერაბმა.

— კალათბურთის ბილეთი ხომ არ გინდოდა? — უცებ გამოვცოცხლდი მე.

— არა, პირიქით, ბილეთს მე მოგცემ, მიუქმდება.

— რა მოხდა ასეთი?

— დღეს ადრე უნდა გამიშვა, დედა გახდა ავად და ჩემს მეტი არავინ ჰყავს მომვლელი.

— წადი, შე კაცო, — შევწუხდი მე.— ნეტავ ადრე გეთქვა.

მერაბმა ნახვამდისო მითხრა და კარი გაიხურა.

სპორტის სასახლის წინ აუარბელი ხალხი ირეოდა. შესასვლელამდე ძლივს მივაღწიე. დარბაზი გაჩეჩილი იყო. თამაში დაწყებული იყო. როგორც იქნა

ჩემი სკამი მოვნახე და დავჯექი. გამიკვირდა, რომ ნანა იქ არ დამხვდა, ნუთუ არ მოსულა, — ვფიქრობდი მე. თამაშს თვალს ვადევნებდი, მაგრამ ჩემი გულისყური სხვაგან იყო. პირველი ტაიმი ისე დამთავრდა, არც გამიგია. ფოიეში გავედი და პაპიროსს მოვუკიდე.

ნანამ თამაში განახლდებოდა — ხალხი მოგათვალიერე, იქნებ ნაცნობს წავაწყდე-მეთქი. წარმოიდგინეთ ჩემი გოიცება, როცა ჩემგან ხუთიოდე რიგის დაშორებით ნანას მოვკარი თვალი. გვერდით მას ამხანაგი გოგონა ეჯდა და ისინი რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ. იმდენი მოვახერხე, რომ ადგილი გადავცვალე და მეორე ტაიმის დაწყებამდე ნანას ვვერდით დავჯექი. მას არც კი გამოუხედავს ჩემკენ, ისე იყო გართული.

— გამარჯობათ, ნანა, — ხმადაბლა მივესალმე მე...

— მოხვედით? მე კი მეგონა, აღარ მოხვიდოდით.

„თურმე მელოდებოდა“, გამიელვა თავში.

— საქმემ გადამიყოლა, ვერაფრით ვერ მოვახერხე დროზე მოსვლა! — ვიცრუე, ჩემი დაბნეულობა რომ დამეფარა.

— პირველი ტაიმი არ გინახავთ?

— ცოტას მოვუსწარი.

— მოგეწონათ?

— რაც ვნახე, ძალიან კარგი იყო.

— მართლა, რა უხერხულად გამომდის. გაიცანით, ჩემი სკოლის მეგობარია — ნელი მიქაძე. ესეც ექიმი ოთარ ჩარექიშვილი.

ის იყო მე და ნელიმ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, რომ მსაჯის სასტვენის ხმა გაისმა და მეორე ტაიმიც დაიწყო.

ნანამ მაშინვე შეწყვიტა ლაპარაკი, თამაშს გაფაციცებით ადევნებდა თვალს. ყოველ მოხერხებულ ილეთზე და შეტევაზე ტაშს უკრავდა. თამაში ჩვენების გამარჯვებით დამთავრდა. ნასიამოვნები ხალხი ნელ-ნელა წამოიშალა.

გარეთ გამოვედით. ქუჩაში უკვე გრილოდა, სასიამოვნო ნიავი ჰქროდა. მოედნის შუაგულში უზრმაზარი ყვავილებით სავსე კალათა იდგა და დიდ-პატარა ამ კალათს შემოხვეოდა. ყვავილების დღე იყო. საერთო ხმაურში ბავშვების ჟრიალი მოსწვდა ისმოდა. ერთი სამოიოდე წლიანი ბიჭუნა დედის კალთას მოშორებოდა და თაიგულისკენ მიბაჯბაჯებდა. დედა შორიახლო იდგა და თვალს ადევნებდა შვილს. ჩემი ნუკრიკა გამახსენდა და გული შემეკუმშა.

— თქვენ რაღაც ძალიან მოიწყინეთ, — მითხრა ნანამ.

— არა, უეცრად ფიქრებმა წამიღო,— მოვიბოდიშე მე. — ნაყინზე რას იტყვით? — იქვე პატარა ბაღთან, ნაყინის ჯიხურს მოკკარი თვალი.

— სიამოვნებით. შენ რას იტყვი, ნელი? — მიუბრუნდა ამხანაგს ნანა.

— როგორც თქვენ გინდათ, — მხრები აიჩეჩა ნელიმ.

საკმაო ლოდინი დაგვჭირდა, ვიდრე თავისუფალ ადგილს ვიშოვიდით და მომტანი ქალი ჩვენს მაგიდას მოხედავდა.

— ჩემი დაბადების დღე ხომ არ დაგვიწყებია? — მოულოდნელად ჰკითხა ნანამ მეგობარს.

— რა დამავიწყებს, მომავალ შაბათს, არა?

— ყოჩაღ. — გაეხარდა ნანას.

მე თავი დავხარე, ვითომ ყურადღებას არ ვაქცევდი მათ ლაპარაკს.

— ოთარ, თქვენ არ მოხვალთ ჩემთან?

— დიდი სიამოვნებით, თუ მიკადრებთ, — არ დავაყოვნე მე.

— პირიქით, ძალიან გამიხარდება თქვენი მოსვლა.

გვიანი საღამო იყო, შინ რომ დავბრუნდი, ტანთ გავიხადე და არც მიავხშმია, საწოლში ისე შევწექი. ძილი არა და არ მეკარებოდა, მერე როგორც იქნა ჩამთვლიმა. მთელი ღამე უაზრო, შფოთიან სიზმრებში გავატარე. გადავწყვიტე, ნანასთან ერთხელ კიდევ მივსულიყავი მისი დაბადების დღეზე და ამით ყველაფერი დამემთავრებინა.

ნოდარ კეკელიძე
სინანული

იმ დღეს დილიდან გადაუღებლად წვიმდა. საღამოხანს გამოიდარა, სუსტმა მზემაც გამოანათა, ქუჩებში სასიამოვნოდ გრილოდა. სანამ ნანასთან მივიდოდი, სამხატვრო სალონში შევიარე და საჩუქარი ავარჩიე. მერე ნაცნობი ქუჩისკენ ავუხვიე და მალე მესამე სართულზე ვიდექი. გაკვირვებისაგან თვალები დავაჭყიტე, როცა კარი ჩემი განყოფილების ექიმმა, მერაბ შავიშვილმა გამიღო.

— შენ აქ რანაირად,— წამოვიძახე მე.

— შენ თვითონ რანაირად, ჩემს დეიდაშვილთან ვარ,—გაუკვირდა მერაბსაც.

— ვისთან, ნანასთან? — ვკითხე და ჩემი საჩუქარი იქვე სარკესთან დავდე.

— ჰო, ნანასთან, შენ საიდან იცნობ ნანას?

— სუ, თუ ძმა ხარ, ახლა მაგის დრო არ არის. მერე გეტყვი ყველაფერს, — გავაფრთხილე მერაბი.

ამსობაში ოთახის კარი გაიღო და თეარ კაბაში გამოწყობილმა ნანამ გამოანათა.

— ო, რა კარგი სტუმარი მოსულა,— წამოიძახა და სახეგაბრწყინებული ჩემკენ წამოვიდა.

— ოთარ, იცნობდეთ, ჩემი დეიდაშვილია, სხვათა შორის თქვენი კოლეგაა.

გაოცებულმა მერაბმა ჯერ ნანას შეხედა, მერე მე და ხელი გამომიწოდა.

— მერაბ შავიშვილი...

— ოთარ ჩარექიშვილი... თქვენ საიდანღაც მეცნობით.

— მგონი, მეც მინახიხართ სადღაც. — არ ჩამორჩა მერაბიც.

— შესაძლოა.

ნანა ოთახში შეგვიძღვა. ოთახის კუთხეში დივანზე ნელის მოკაკი თვალი და მიეცალმე. ნელიმ პასუხად გამიღიმა და მიგვიპატიჟა — მას ვიღაც ვატი კარტს ეთამაშებოდა. ჩვენს ოთახში სანდომიანი სახის წინასწარმეტყველი ქალი შემოვიდა.

— დედა, ეს ჩემი ახალშეძენილი ამხანაგია — ოთარ ჩარექიშვილი, — მიუბრუნდა შემოსულს ნანა.

— დიდად სასიამოვნოა, რომ გაგიცანით, — ნანას დედამ ხელი წინსაფარზე შეიწმინდა და ისე გამომიწოდა.

მე გაგწითლდი. „ნეტა რა უფლებით ჩემზე?“

ზარის რეკა გახშირდა. ნანა წამადაუწუმ კარისკენ გარბოდა და ახალ-ახალ სტუმრებს მოუძღვებოდა.

ათ საათზე სუფრას შემოეუსხედით. თამადისთვის განკუთვნილი სკამი მერაბმა დაიკავა. იგი ენამზეობდა, ოხუნჯობდა, ცდილობდა სტუმრებს არ მოწყენინა, ჩვენი შეკრების მიზეზის — ნანას საღღეგრძელო განსაკუთრებული ჭიქით ალია და ჩვენც დაგვალეკინა. სუფრა მხიარულად მიდიოდა, მხოლოდ მე არ ვიყავი გუნებაზე, თითქოს ეკლებზე ვიჯექი. ნანა თავს მეელებოდა; ხან რას მაძალებდა, გადაიღეო, ხან კიდევ რას. ერთი სააათის შემდეგ თამადამ პირველი შესვენება გამოაცხადა. ნელიმ მაშინვე ჩართო მაგნიტოფონი და ოთახს საცეკვაო მუსიკის ჰანგები მოეფინა.

ნანა ჩემთან მოვიდა და ხელი მომკიდა. ჩვენ მუსიკის ტაქტს ავყევით და მოცეკვავეებს შევუერთდით. მე თვალებში ვუყურებდი მას და ვერაფერს ვეუბნებოდი.

— ნანა, ბოდიში უნდა მოვიხადო, წასასვლელი ვარ, — ვუთხარი, ცეკვა რომ დავამთავრეთ.

— რა გეჩქარებათ, ოთარ, ჯერ ხომ ადრეა?

— არა, ნანა, წავალ, ერთი ავადმყოფი მყავს სანახავი. თქვენ უნდა გამპაპარ‌ოთ, რომ მერაბმა და სტუმრებმა არ შეამჩნიონ.

— რა გაეწყობა, — მხრები აიჩეჩა ნანამ, — რადგან არ იცდით...

— დედათქვენთან ბოდიში მომხადეთ.

— არა უშავს.

ხუთი წუთის შემდეგ სადარბაზოსთან ვიდექი. მე ნანას ხელი ხელში მეჭირა და გამეცინა მეძნელებოდა, რაღაცის თქმა მინდოდა და ვერ ვეუბნებოდი.

— ოთარ, უხერხულია, ხალხი მოგვიკითხავს, რას იტყვიან, — ნანამ ხელის გათავისუფლება სცადა, — ხვალ შევხვდეთ სადმე...

უეცრად ჩემკენ მოვიზიდე და ვაკოცე. დიდხანს მყავდა ჩაკრული გულში. თანდათან გონს მოვედი. ნანას ხელი გავუშვი, მისთვის სიტყვაც არ მითქვამს და თავდადებართზე სირბილით დავეშვი.

კარგად არც იყო გათენებული, თვალებდასიებული და ღამენათევი მერაბი შინ რომ მომადგა.

— რა დაგეშმართა წუხელ, რატომ გამოიპარე? — ოთახში შემოსვლისთანავე მკითხა მერაბმა.

მერაბს ვუამბე, როგორ გავიცანით მე და ნანამ ერთმანეთი, როგორ გუთხარი ნანას ტკბილი, უცოლშვილო ვარ-მეთქი. წუხანდელი კოცნა არ მიხსენებია, მრცხვენოდა.

— მეც შევატყვე ნანას, რაღაც სხვანაირი რომ იყო გუშინ, სულ შენ გიყურებდა, ნამდვილად შეყვარებულია.

— დამეხმარე, მერაბ, რამე უნდა ვიღონოთ.

— რა ვიღონოთ, ასე არ უნდა შეგეტოპა.

— არ მინდა ნანას თვალში უსინდისო კაცად დავრჩე, უნდა დამეხმარო.

— კი მაგრამ, როგორ?

— წერილს გაგატან ნანასთან, — უეცრად გამოეცვა თავში, — წერილი უნდა წაიღო ნანასთან, მე მაგიდასთან შევხვდები.

— სიამოვნებით, წერილი თუ უშველის საქმეს.

მე მაგიდასთან დავჯექი და წერა დავიწყე.

ნანა!

გთხოვთ მაპატიოთ ჩემი დაუფიქრებელი საქციელი. ყველაფერი უნდა მოგწეროთ. მე თქვენთან ვთვალთმაქცობდი, უსინდისოდ გატყუებდით, გითხარით, თითქოს უცოლშვილო ვიყავი და თან თქვენი გულის მონადირებას ვცდილობდი. მენდეთ, ნანა, თქვენს მიმართ მუდამ წმინდა გულით ვიყავი. თქვენ ახალგაზრდა და ლამაზი ხართ, მთელი ცხოვრება წინა გაქვთ. გისურვებთ ბედნიერებას.

მშვიდობით.

— ექიმო, — შემომესმა ფიქრებში წასულს ვიდაცის ხმა,—მანქანა გელით.

— ახლავე, — წამოვიძახე მე, — პაპაროსი ჩავაქრე და გარეთ გამოვედი.

...ქ. მარმახის № 7142 საფოსტო განყოფილება ასეთ ადრესატს არ იცნობს". რაც შეეხება გოგბოლდ ეფრემ ლესინგს, როგორც ქ. ვოლფენბიუტელის № 3240-ე საფოსტო განყოფილების მოხელე იუწყება, „ადრესატი ბევრი ძებნის შემდეგ... ვერ იპოვნენს". ასეთივე პასუხით დაბრუნდა ჰამბურგიდან კომპოზიტორ ბრამსის სახელზე გაგზავნილი წერილი.

მოკლედ, გრაფის აზრით, დასანელეთ ევრმანიის ფოსტა უნაკლოდ მუშაობს.

მხატვარი და თანამედროვეობა

დასანელეთ ევრმანეთი მხატვრის კარლო შელლმანის შემოქმედება მრავალმხრივია, იგი ეძღვნება თანამედროვე საზოგადოების პრობლემებს. მხატვარმა ბევრ ქვეყანაში იმოგზაურა. შელლმანმა დასავლეთ გერმანიაში მოაწყო გამოფენა ლიზუნგით: „მხატვარი ატომური ომის წინააღმდეგ".

ამჟამად შელლმანი ახალ სატირულ ციკლზე მუშაობს. ციკლი შეიქმნა ბერთოლდ ბრეხტის ნაწარმოებთა მიხედვით და სახელად „თავისუფლება და დემოკრატია" უწოდა.

ინდოეთი

რუსული ენის შესწავლა ხურთ

დელში იხსნება რუსული ინსტიტუტი, — იუწყება გაზეთი „ტაიმს ოფ ინდიას" კორესპონდენტი. დროებით იგი დელის უნივერსიტეტის ფილიალი იქნება, შემდეგ კი შუურთდება ახლადდაარსებულ უნივერსიტეტს, რომელიც ჯავაჰარლალ ნერუს სახელს ატარებს. ინსტიტუტი მოამზადებს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, მეცნიერ თანამშრომლებს და განსაკუთრებით, მთარგმნელთა კადრებს.

იტალია

ადამიანები და ხმაცები

ანჯელო ლომბარდი ცხოველთა გამოცდილი მწვრთნე-

გაგრძელება იხ. გვ. 91.

ლევ შეინინი
ეროვნული
ბიბლიოთეკა



გასაოცარი ოდისეა

მოთხრობა

ვიდრე ამ უცნაურ ამბავს მოგიყვებოდეთ, რომელიც ჩემი საგამომძიებლო მუშაობის დაწყებისთანავე შემემთხვა, მინდა გავიხსენო ერთი ქუჩის მძარცველი, რომლისგანაც პირველად გავიგე, თუ ზოგჯერ დამნაშავის სულში რა მოულოდნელ გამოძახილს პოულობს მისდამი გამოჩენილი ნდობა. ამ მაღალ, ათლეტური აღნაგობის მქონე მძარცველს, ოდნავ ნამძინარევი შესახედაობა და მისი პროფესიის კაცისათვის საოცრად კეთილი სახე ჰქონდა. იგი თავისი დიდრონი, მრგვალი, თთქოს ერთხელ და სამუდამოდ გაკვირვებული ლამაზი თვალებით შესცქეროდა ქვეყნიერებას. მითაც, უკვე რამდენჯერმე იყო ნასამართლევი და ბოროტმოქმედთა წრეში, თუ მოსკოვის სისხლის სამართლის სამმებრობში, სელაპის სახელით იცნობდნენ.

იმ დღეს, როდესაც მორიგი დაკითხვა დავამთავრე, სელაპმა პაპიროსი მთხოვა, მოუკიდა და მითხრა:

— თამბაქოსა და ადამიანური საუბრისათვის მადლობას მოგახსენებთ. რაკი ასეა, არც მე მინდა ვალში დაგრჩეთ... ნება მომეცით, ჩემი ცხოვრებიდან ერთი, შეიძლება ითქვას, სავსებით უჩვეულო შემთხვევა მოგიყვეთ...

— კეთილი, მოჰყევით, — ვუთხარი მე და თან ინტერესით ვაკვირდებოდი მის რატომღაც შემცბარ სახეს.

— როგორც მოგეხსენებათ, კარგა ხანია, რაც „საქმეს“ ვეწევი, — განაგრძო სელაპმა და თან უფრო დაირცხვინა. — მაგრამ სველ საქმეზე არასოდეს წავსულვარ და არც წავალ. ყოველთვის ღამით ვმუშაობდი: რომელიმე მიყრუებულ შესახვევში დაგვინებულ მგზავრს დაველოდები, თუ ქალი იქნება, მით უკეთესი ჩემთვის. ჰოდა, მივალ, მივესალმები და ქურქს გავხდი, საათს, ჩანთას ან რაც მომხვდება, იმას გამოვართმევ. მაგრამ ყველაფერს ამას ძალიან ინტელიგენტურად ვაკეთებ, რადგან კულტურული კაცი ვარ, მიყვარს კინო და ვერ ვიტან თავხედობას, რაც ძველი გახრწნილი სამყაროს გადმონაშთად მი-

მაჩნია... ამიტომ, შეგიძლიათ ამაში მერწმუნოთო, თითიც კი არაგისთვის დამიკარებია. მით უმეტეს, რომ ისეთი თითები მაქვს, აი ნახეთ, უმჯობესია არ ვიხმარო...

ამ სიტყვებზე სელაპმა ღიმილით გამომიშვირა თავისი უზარმაზარი ხელი. შემდეგ ამოიოხრა და განაგრძო:

— ტყუილების როშვას არ დავიწყებ, სინდისი არა მქვჯნიდა, ცცხოვრობდი მშვიდად და წყნარად, როგორც იტყვიან, სურდო

ქუჩები და შესახვევები. მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებრო მაშინ დიდი ენერგიკოვის შესახვევში იმყოფებოდა და, მაშასადამე, ასევე ჩემს საგამომძიებლო უბანში შემოდიოდა. ამასთან დაკავშირებით, მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროს ბევრ თანამშრომელთან ახლო ამხანაგურ დამოკიდებულებაში ვიყავი. განსაკუთრებით კარგი მეგობრობა მქონდა პირველი ბრიგადის უფროსთან ნიკოლოზ ფილიპეს ძე ოსიპოვთან და მის მოადგილესთან გიორგი თევდორეს ძე ტილნერთან. ოსიპოვი მაშინ ოცდათ წელს იყო გადაცილებული, ტილნერი კი ამ ასაკს უახლოვდებოდა.

პირველ ბრიგადას ევალებოდა მკვლელობების, შეიარაღებული ძარცვებისა და თავდასხმების გამოძიება, ასე რომ იგი სისხლის სამართლის სამძებროს გული იყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ წლებში ჯერ კიდევ ხშირი იყო პროფესიული ბანდიტიზმის შემთხვევები, გასაგები გახდება, რომ ჩემი მეგობრები ყოლამდე იყვნენ ჩაფლული საქმეში.

ოსიპოვი და ტილნერი მეტად ნიჭიერი კრიმინალისტები იყვნენ, უფაქრდათ თავისი მძიმე პროფესია და კარგადაც მუშაობდნენ. ნიკოლოზ ფილიპეს ძე, — სმელ-ხმელი, წელში გამართული ქერა კაცი, მკვირცხლი, ყურადღებიანი გამოხედვითა და ნაცრისფერი, ოდნავ მოჭუტული ფაციანი თვალებით, — მშვენივრად ერკვეოდა ადამიანებში, კარგად იცოდა ფსიქოლოგია და ქურდების ჟარგონი, გარდა თავისი მუშაობისა, გატაცებული იყო მოტოსპორტით.

ჩემთვის, ჯერ სულ ახალგაზრდა, დამწყები გამომძიებლისათვის, ამ ადამიანებთან მეგობრობა არა მარტო სასიამოვნო, არამედ სასარგებლოც იყო. მე ბევრი რამ ვისწავლე მათგან და ხარბად ვუსმენდი, როდესაც ისინი ათასავარ ჩახლართულ საქმეებზე, შემოხვევებზე და მათ გახსნაზე ჰყვებოდნენ.

არაერთხელ დავსწრებივარ, როდესაც ოსიპოვი ან ტილნერი დამნაშავეებს დაკითხავდნენ და პირველ ხანებში მათი საუბრიდან საერთოდ არაფერი მესმოდა, რადგან შეკითხვებშიც და პასუხებშიც ქურდული ჟარგონი და პროფესიული ტერმინები სჭარბობდა. კაცს — იმ დროს შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ეს ადამიანები რომელიღაც გაურკვეველ უცხო ენაზე ლაპარაკობდნენ.

უნდა ითქვას, რომ ოსიპოვსაც და ტილნერსაც კარგად იცნობდა მოსკოვის მორომტმოქმედთა სამყარო. და თუ სისხლის სამართლის დამნაშავეებს, როგორც წესი, არ უყვარდათ სამძებროს თანამშრომლები, სამაგიეროდ ოსიპოვსა და ტილნერს აშკარა პატივისცემით ექცეოდნენ და, რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს ეს, ერთგვარი სიმპათიებიც ჰქონდათ მათ მიმართ. ეს იმით აიხსნებოდა, რომ მორომტმოქმედთა აზრით, ოსიპოვსა და ტილნერს „ესმოდათ საქმე", და აგრეთვე იმითაც, რომ კარგად იყო ცნობილი მათი სამართლიანობა და გულადობა.

ამას გარდა, ოსიპოვი, რომელიც კარგად იცნობდა ამ თავისებურ სამყაროს, არასოდეს აბუჩად არ იგდებდა გამოძიებაში მყოფთ, არა თელავდა მათ ადამიანურ ღირსებას და, თუმცა მტკიცედ იცავდა კანონიერებას და არავითარ შეღავათებს არა სწევდა, პატიმრებთან ადამიანური ლაპარაკი იცოდა და მათდამი ყოველთვის გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენდა.

ტილნერი, მეტად ზრდილი, ლამაზი შესახედაობის, ყოველთვის თავაზიანი კაცი, თავისი ფენომენალური მეხსიერებით იყო განთქმული. როგორც მოსკოვის სამძებროში ამბობდნენ, მას ქალაქის მთელი ბორომტმოქმედთა სამყარო „თავში ჰქონდა". ზეპირად იცოდა თითქმის ყველას გვარი, ზედმეტი სახელი, ასხოდდა ყველა მოსკოველი რეციდივისტის დამახასიათებელი ნიშანი და მისი ნასამართლობის ამბები. რეციდივისტებმა ეს კარგად იცოდნენ და იტყოდნენ ხოლმე, სჯობია „ბარონ ტილნერს" თვალში არ შეეჩხირო: მასთან აღარც კუბიანად გადაბრუება გიშველის და ვერც სხვა სიფათის მიღებით გახვალ ფონს, — ანუ ვერ მოახერხებ სხვა ადამიანად მოაჩვენო თავი.

ჩემს უბანში შემოდიოდა, კერძოდ, ბლაგოვეშჩენსკის შესახვევი, რომელიც გორკის ქუჩას ერთვის. ამ შესახვევში იდგა, და ახლაც დგას, ლამაზი, კაფელის ფილებით მოპირკეთებული სახლი, რომელშიც მეტწილად პასუხისმგებელი მუშაკები ცხოვრობდნენ. ამ სახლში ცხოვრობდა აგრეთვე სახალხო კომისარი ს-ი.

და აი, ერთხელ, იელისის ღამით, ს-ის ბინაში ქურდები შეიპარნენ. ს-ი ამ დროს აგარაკზე ცხოვრობდა. ქურდებმა სხვა წვრილმან საოჯახო ნივთებთან ერთად „თან გაიყოლეს“ ს-ის მიერ წლების მანძილზე შეგროვილი უძველესი მონეტების კოლექციით სავსე ტყავის მოზრდილი ჩანთა.

ამან დიდი აურზაური გამოიწვია. მოსკოვის სისხლის სამძებროს მეორე ბრიგადაში, რომელიც ბინების გაქურდვის საქმეებს იძიებდა, ხელათ მოისაზრეს, რომ ქურდების პოვნა გაძნელდებოდა და ეს საქმე, უსიამოვნების გარდა, მათ სხვას არაფერს უქადდა. მეორე ბრიგადის უფროსმა სტეპანოვმა, მაღალმა, უკიდურესად თავაზიანმა და რესპექტაბელურმა კაცმა, დიდმა დიპლომატმა, გაიგო თუ არა ამ საქმის შესახებ, ისე გაუფუჭდა გუნება, რომ განრიგს ზეგით ერთი პაპიროსიც კი მოსწია (სტეპანოვი ყველაფერს ერთხელ და სამუდამოდ შედგენილი განრიგით აკეთებდა. არასოდის არ აჩქარდებოდა და მიაჩნდა, რომ აჩქარება ჯანმრთელობისათვის დამღუპველი რამ არის, ჯანმრთელობას კი იგი მეტად უფრთხილდებოდა. ამასთან დაკავშირებით ბოროტმოქმედები მას მეტსახელად „ნელ ვასიას“ ეძახდნენ). იგი დიდხანს ათვალიერებდა თავის გაპრიალებულ ფრჩხილებს, შემდეგ კი დაბალი ხმით მიმართა თავის თანაშემწე კროტოვს:

— მიშა, ხომ არა გგონიათ თქვენ, რომ ეს უბრალო კი არა, კვალიფიციური ქურდობაა, ჰა?

კროტოვმა პირველად გაკვირვებით შეხედა თავის უფროსს; მაგრამ იგი ეშმაკი კაცი იყო და ელვისებურად გაიაზრა ეს ფანდი (უბრალო გაქურდვის საქმეები, სისხლის სამართლის სამოციანი კოდექსის 108-ე მუხლის „ა“ ნაწილზე სისხლის სამართლის [illegible] ორგანოებს უნდა დაემთავრებინათ, ხოლო კვალიფიციური გაქურდვის საქმეები სახალხო გამომძიებლებს უნდა გადასცემოდათ). იგი მთელი ძალით იფიცებოდა, რომ თავისი ცხოვრების მანძილზე ამაზე უფრო კვალიფიციური ქურდობა ჯერ არ შეხვედროდა.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ კანონის თანახმად, კვალიფიციურად ითვლებოდა ქურდობა გატეხვით ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. აქ არც ერთი და არც მეორე ხერხი არ ყოფილა გამოყენებული, რადგან ქურდები ბინაში ფანჯრიდან შეიპარნენ. ასე რომ ეს უემჭველად ინ კატეგორიის ქურდების საქმე იყო, რომლებსაც „ფორტოჩნიკებს“ ეძახდნენ. ამიტომ სტეპანოვმა ირონიულად გადახედა ფიცით გარეთულ კროტოვს, რომელიც მხურვალედ ისწრაფვოდა როგორმე თავიდან მოეშორებინა ეს სახათაბალო საქმე, და კბილებში ცივად გამოსცრა:

— მიშა, სისხლის სამართლის კოდექსის ას სამოცდამეორე მუხლში, სადაც ჩამოთვლილია კვალიფიციური ქურდობის ნიშნები, რატომღაც არ არის კროტოვის ფიცი და რწმენებები. ქურდობა, ჩემო კარგო, ხომ ფანჯრიდან მოხდა, ჰა?..

კროტოვს ერთის წუთით ენა დაება, თვალები ძირს დახარა, მაგრამ ფარხმალი არ დაუყრია...

— კი მაგრამ, ფანჯარა ხომ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გაიღეს, — შთამაგონებლად თქვა მან და უფროსს თავისი უჩვეულოდ ნათელი თვალებით შეაცქერდა.

— ვითომ? რაღაც არ მახსოვს, — უპასუხა სტეპანოვმა. — თუ თქვენ, ჩემო კარგო, დაამტკიცებთ, რომ თითები ტექნიკური საშუალებაა, მაშინ, რა თქმა უნდა...

— ვასილ იაკობის ძეს, რა შუაშია

ლევ შეინინი

გაწვრეტილი დინარები

თითები? — გაცხარდა კროტოვი. — საქმის ყველა ვითარება ამტკიცებს, რომ ფანჯარა ხვეწით გააღეს, ხოლო ურდულება გატეხეს... ასე რომ, სახეზეა ტექნიკური საშუალებების გამოყენება-ცა და გატეხვაც...

— პო-ო?.. სამწუხაროა, სამწუხაროა... რა თქმა უნდა, საწყენია ასეთი საინტერესო საქმის ხელიდან გაშვება, მაგრამ კანონი კანონია... — აქ სტეპანოვმა ელვავ დაარღვია განრიგი და ამჯერად უკვე სიამოვნებით მოუკიდა პაპიროსს.— რას იზამ, ჩემო კარგო... ას მერვე მუხლის თანახმად, საქმე სახალხო გამომძიებელს გადაუგზავნეთ. გაამზადეთ მიწერილობა.

მეორე დღეს მე მივიღე საქმე, რომელსაც მეტად მაღალფარდოვანი მოწერილობა მოჰყვა. მასში კროტოვი დიდი ტემპერამენტითა და ვრძნობით აღწერდა როგორც „ტექნიკური საშუალებების გამოყენებას საეციალური ხვეწის სახით, რაც ფანჯრის დათვალიერების დროს შედგენილი ოქმით მტკიცდებოდა“, ასევე „გატეხვის ტიპიური ნიშნებსაც, რასაც ადასტურებდა ფანჯრის გამრეფდებული ურდული, რომელიც ნივთიერ საბუთად საქმეს თან ერთვოდა“.

ამ საქმის მიღებიდან ერთი საათის შემდეგ სტეპანოვმა დამირეკა და მეტისმეტი თავაზიანობით მომესალმა, ჯერ ჩემი ჯანმრთელობითა და გუნება-განწყობით დაინტერესდა, საქმეებზეც მკითხა, შემდეგ დიდხანს აქებდა ამინდსა და ტატიანა ბახს „სილვაში“, დაბეჯითებით მირჩევდა აუცილებლად მენახა იგი, და ბოლოს, ამ გრძელი საუბრის დასასრულს, გულგრილი და დაუდევარი კილოთი მითხრა:

— ჰო, მართლა, ლევ რომანის ძეო, ჩვენ ერთი საქმე გადმოგიგზავნეთ, ამისათვის ნუ დაგვემდურებით. რას იზამ, კანონი კანონია. მაგრამ თქვენ, თუ ღმერთი გწამთ, ერთი წუთით არ შეგეპაროთ ეჭვი იმაში, რომ დაგეხმარებით... ყველაფრით დაგეხმარებით... მხოლოდ, ჩემო ძვირფასო, თუ შეიძლება, პატარა ცნობა გამოგვიგზავნეთ, რომ თქვენ ეს საქმე გამოსაძიებლად მიიღეთ, ანგარიშისათვის მეჩიდეება. ცნობის წამოსაღებად კროტოვი ... ველოდ-ელის.

ამ საუბრის შემდეგ ტელეფონის ყურმილი რომ დავკიდე, ჯერ კიდევ ვერ მივმხვდარიყავი, თუ რა უბედურება დამატეხა თავს ცბიერმა „ნელმა ვასიამ“. ადდექი და მივეცი ცნობა კროტოვს, რომელიც საეცვიდ სწრაფად მოვარდა მის წასაღებად.

ეს ყველაფერი მეორე დღეს დილითვე გავიგე, როდესაც გუბერნიის პროკურორმა, უაღრესად კეთილმა და ჭკვიანმა კაცმა, წარსულში დეგტიარეევივით ყოფილმა პოლიტკატორღელმა სერგეი ნიკოლოზის ძე შევერდინმა დამირეკა და მითხრა, დაუყოვნებლივ გამოვცხადებულიყავი მასთან ნა თან მჭონოდა ბლაგოვეშჩენსკის შესახებ მომხდარი გაქურდვის საქმე.

ვიდრე შევერდინთან გავეგმგზავრებოდი, გულმოდგინედ გავეცანი საქმეს და და მაშინღა დავრწმუნდი, როგორ ყუურით იყო მოთრეული „კვალიფიციურობის ნიშნები“, მაგრამ უკვე ხელ-ფეხი მქონდა შეკრული ჩემ მიერვე გამოტანილი დადგენილებით ამ საქმის გამოსაძიებლად მიღების შესახებ და იმ ცნობით, რომელიც კროტოვმა, მგელი რომ ბატკანს გაიტაცებს ხოლმე, ისე გაიტაცა.

როდესაც ჩემი მოხსენება მოისმინა და საქმესაც გაეცნო, რომელიც ძირითადად იმ დოკუმენტებისაგან შესდგებოდა, რომლებიც ნათელყოფდნენ, თუ როგორ შემომაჩეჩა ეს საქმე მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებრომ, სერგეი ნიკოლოზის ძემ გაიღიმა და მითხრა:

— მაშ ასე, ძალზე საინტერესოა... სტეპანოვი, სულელი რომ არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ ეს საქმე თავიდან მოიშორა, თქვენ კი, ჩემო გულუბრყვილო შვილო, დაფაცურდით და ხელადვე მიიღეთ იგი გამოსაძიებლად... თქვენ იმ ბედნიერ, მაგრამ საშიშ ასაკში ხართ, როდესაც უკვე იცით, თუ რა უნდა აკეთოთ, მაგრამ როდესაც ჯერ კიდევ არ

ოცით, თუ რა არ უნდა აკეთოთ. აი, სტეპანოვი კი უფრო მეორეშია განსწავლული, ვიდრე პირველში. ახლა როგორ მოვიქცეთ ჩვენ, პა? ფანჯრიდან გაქურდეა გამოსაძიებლად თითქმის უიმედო საქმეა. ხოლო ს-ი უკვე ბდღვნის იქაურობას, ვითარცა ლომი ღმუის და ეფოთავს, მოიითხოვს, რომ საქმის ვითარება მოვახსენოთ... წავიდეთ, შვილო ჩემო, მშვენივრად ვგრძნობ, რა უსიამოვნებაც მოველით, რადგან კარგად ვიცი დაზარალებულის ხასიათი.

როდესაც ს-ის კაბინეტში შევედით, შევერდინმა გაიცნო ჩემი თავი და უთხრა, რომ გაქურდვის საქმის გამოძიება მე მქონდა დავალებული. ს-მა, დაბალი ტანის, ჩასუქებულმა კაცმა, რომლის შავგვრემან თმასაც ჭაღარა შეპპარვოდა, და რომელიც მეტად გაღიზიანებული ჩანდა, ერი შემოგხედა და უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა:

— აპა, მაშ, ეს არის გამომძიებელი! ახლა კი გასაგებია ჩემთვის, თუ რატომ არის, რომ თაღლითები ასე დაუსჯელად ქურდავენ სახალხო კომისრების ბინებს. ამხანაგო შევერდინ, თქვენ საბავშვო ბაღი გაქვთ თუ პროკურატურა?

შევერდინი მეტად ზრდილობიანად, მაგრამ ისე რომ თავისი ღირსება არ დაუკარგავს, შეეპასუხა და უთხრა ჩემზე, რომ თუმცა ახალგაზრდა გამომძიებელია, მაგრამ დიდ იმედებს იძლევა. კარგად მუშაობსო. ხოლო რაც შეეხება თქვენს კითხვას, მე ხომ არ გეკითხებით, ამხანაგო სახალხო კომისარო, რა ასაკისანი არიან თქვენი ინსპექტორები.

ს-ი ამაზე კიდევ უფრო გაბრაზდა და დაიწყო ყვირილი, რომ სამ დღეში თუ ქურდები არ გიპოვიათ, მთავრობაში გიჩივლებთო. ყვიროდა, რომ მას მიუფურთხებია საოჯახო ნივთებისათვის, მაგრამ იგი ნუმიზმატიკოსია, მთელი თავისი სიცოცხლე უძველესი მონეტების კოლექცია აგროვა, რომ მისი კოლექცია პირდაპირ განსაცვიფრებელია, მასში ალექსანდრე მაკედონელის დროინდელი გახვრეტილი დინარებიც კი არის, რომ ეს ხუმრობა საქმე არ არის და მას არ ესმის გუბერნიის პროკურორარის სიმშვიდე, რომ მას ამ საქმის, იმ გამომძიებლებისა, რომლებსაც ჯერ პირზე რძეც არ შეშრობიათ, და საერთოდ, სამი დღე-ღამის მეტს, დაწყებული ამ წუთიდან, არაგითარ შემთხვევაში არ დაიცდის...

შევერდინიც ზორბად გაჯავრდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ახალგაზრდა გამომძიებლის დასწრებით ამ საუბრის გაგრძელება შეუძლებლად მიიჩნია და ამიტომ მთხოვა მისთვის მისაღებში დამეცადა. ნახევარი საათის შემდეგ იგი სიბ-რაზისგან აჭარხლებული გამოვიდა ს-ის კაბინეტიდან და თავისთან წაგიყვანა.

მთელი გზა და შემდეგ თავის კაბინეტშიც მოხუცს ბუზღუნი არ შეუწყვეტია, ს-ს კილავდა მისი „ბატონკაცური ჩვევებისა“ და „ჩვენთვის უცხო მედიდურობისათვის“. მართლაც, რამდენიმე წლის შემდეგ ს-ი, იმის გამო, რომ ნდობა ვერ გაამართლა, მოხსნეს სახალხო კომისრის პოსტიდან.

ისე ვღელავდი, რომ ლაპარაკის დროს ენაც კი მებმოდა. გუნებაში ვწყევლიდი ცბიერ სტეპანოვს და ჩემს წინდაუხედაობას. მე ვუთხარი შევერდინს, რომ, როგორც მან სწორად შენიშნა, სახლის გაქურდვის საქმეების გამოძიება განსაკუთრებით ძნელია და მათი გახსნის პროცენტი მეტად მცირე. ისიც ეუთხარი, რომ მე, ახალგაზრდა გამომძიებელს, არავითარი ოპერატიული და აგენტურული საშუალებები არ გამაჩნია, ხოლო წმინდა საგამომძიებლო გზით ამ საქმის გახსნას ვერ ვიკისრებ-მეთქი...

გადაეწყვეტეთ, რომ მე წავიდოდი მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროში და მოველარაკებოდი სტეპანოვს, რათა ისინი, რითაც კი შესძლებდნენ, დამხმარებოდნენ ამ დაწყეველილ საქმის გახსნაში.

საუბედუროდ, როდესაც სტეპანოვს თხოვნით მივმართე, მან პირდაპირ მით-

---

ლევ შეინინი

გახვრეტილი დინარები

ხრა, რომ ამ საქმეს მეტად პესიმისტურად უყურებს.

— გამიგონეთ, ძვირფასო ლეგ რომანის ძვ, — მითხრა მან, — გაქურდა ხომ ფანჯარიდან მოსდა, ასე რომ ქურდს წარმოდგენაც არა ჰქონდა, თუ ვის ბინაში შედიოდა. გონიერი, პროფესიული ქურდი საერთოდ არ მიეკარებოდა ასეთ სახლს, ეს უნდა გაიგოთ! ასე რომ, ამ შემთხვევაში მოქმედებდა ვიღაცა მეტიჩარა ახალბედა, ერთი სიტყვით, არა ნამდვილი რეციდივისტი. მოდექი და ეძებე, რას იპოვი, მოგეპარა ეჭირი! მე და კროტოვმა, ვიდრე თქვენ შემოგაჩერებდით, ჩემი კარგო, წინასწარ მოვსინჯეთ ეს საქმე, მაგრამ არაფერი გამოვიდა...

და სტეპანოვმა უშუალოდ და სანდომიანად გამიღიმა.

საშინელ გუნებაზე დავდექი. ჩემს მეგობრებთან გავეშურე პირველ ბრიგადაში. ოსიპოვმა ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა, თავი გააქნია და მოპყვა „ამ დაწყევლილი ნელი ვასიას ლანძღვას, რომელიც სხვის ხარჯზე ყოველთვის მშრალად ახერხებს თავის დაძვრენას“.

პირველი ბრიგადის ბიჭებს არ უყვარდათ სტეპანოვი მისი „დიპლომატიური მეთოდების“ გამო. ოსიპოვს მშვენიერად ესმოდა, რა მძიმე მდგომარეობაშიც ვიყავი ჩავარდნილი და გულით უნდოდა, როგორმე დამხმარებოდა. მაგრამ, როგორც გამოცდილი მუშაკი, იმასაც კარგად გრძნობდა, რომ ეს თითქმის უიმედო საქმე იყო. მანაც დაადასტურა სტეპანოვის სიტყვები, რომ „ნამდვილი, საქმიანი ქურდი“ არავითარ შემთხვევაში არ შეძვრებოდა სახალხო კომისრის ბინაში.

— არ ვიცი პირდაპირ, რითი დაგეხმარო, — მითხრა ოსიპოვმა. — როგორც ჩანს, ეს ნუმიზმატიკოსი არავითარ შემთხვევაში არ მოგეშვება. არაფერი არ არის იმაზე უარესი, ვიდრე კოლექციონერთან საქმის დაჭერა. ისინი თითქმის ყველანი მანიაკები არიან... აქ კიდევ, ეს რაღაც გახვრეტილი დინარები გაიჩხირა საქმეში... ნახვრეტები რომ არ ჰქონდეს, კიდევ ჰო, მაგრამ ნახვრეტიანები — ეს უკვე მთელი უბედურებაა.

ამ დროს ოსიპოვთან მდივანი შემოვიდა და ოდესიდან მიღებული დაშიფრული დეპეშა გაუწოდა. ოსიპოვმა დეპეშა წაიკითხა, რაღაცაზე ჩაფიქრდა, შემდეგ უეცრად სახე იმ ადამიანივით გაუნათლდა, რომელსაც გამოუვალ მდგომარეობაში მოულოდნელად რაღაც იმედი გამოუჩნდება, და დეპეშა გამომიწოდა.

— წაიკითხე, ბერიკაცო, — მითხრა მან, — ამას, ჩვენ რომ საქმე გვაინტერესებს, იმასთან პირდაპირი კავშირი აქვს. ილბლიანი კაცი ყოფილხარ, ბედის პერანგით დაბადებული...

მე დეპეშას ვტაცე ხელი, ორჯერ წავიკითხე, მაგრამ მიოაც ვერ მივხვდი, რაში ჩანდა, რომ ბედის პერანგით დავიბადე.

ტელეგრამაში სიტყვა-სიტყვით ასე ეწერა:

„მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსს ემელიანოვს. ოპერატიული ინფორმაციის წესით გაცნობებთ, რომ დღეს ჩქარი მატარებლით მოსკოვში საერთაშორისო ვაგონით გამოემგზავრა ცნობილი „მედვეჟატნიკი“ „ადმირალი ნელსონი“. არ გამოვრიცხავ სერიოზული გასტროლების შესაძლებლობას. „ადმირალი ნელსონი“ ერთი წლის წინ ვადაზე აღრე გაათავისუფლეს ამნისტიით. საფუძველი მის დასაპატიმრებლად არა გვაქვს. „ადმირალი ნელსონი“ რევოლუციამდე ცნობილი იყო იასტრჟემბსკის გვარით, რომანესკუც და შულეიც სწორედ ეგ არის.

ოდესის საგუბერნიო სამძებროს უფროსი ნიკოლაევი“.

— კოლია, რა საერთო აქვს ამას გახვრეტილ დინარებთან? — მორიდებით შეეკითხე ოსიპოვს.

— აქვს, — მბიარულად მიპასუხა მან, — აქვს, ჩემო მეგობარო, და აი რატომ. მე „ადმირალ ნელსონს“ კარ-

გად ვიცნობ. იგი ფოლადის სეიფების გახსნის უდიდესი სპეციალისტია, ჯერ კიდევ მეფის დროს მეშობდა, მთელ ევროპაში აქვს ხელი გაგარდნილი, — ერთი სიტყვით, უკანასკნელი მოჰიკანია. იგი ბორტმოქმედია სპეყაროს ნამდვილი მეფეკა და მისი სიტყვა კანონია. ერთი სიტყვით... იგი ჩვენ დაგვეხმარება... ხვალ დილით მოდი ჩემთან, ერთად დავხვდეთ სადგურზე...

მეორე დღეს კიევის ვოგზალზე ოდესის ჩქარ მატარებელს დავხვდით. როდესაც მატარებელი ჩამოდგა, ჩვენ საერთაშორისო ვაგონთან მივედით და „ადმირალ ნელსონს“ დავუწყეთ ლოდინი. მას თავზე ჩალის კანტიკე ეხურა, მდიდრული კოვერკოტის მოსასხამი ერთ ხელზე გადაეკიდა, მეორეში კი ჯოხი ეჭირა, რომელსაც სპილოს ძელისაგან გამოკვეთილი ლომის თავი ამშვენებდა. „ადმირალი“ უკვე ხანშიშესული, ხმელ-ხმელი, ქერა კაცი იყო, ცალი თვალი შავი ბრეშუმის სახვევით ჰქონდა აკრული, მეორე, ჯანსაღი თვალით კი მხიარულად და თავის თავში დარწმუნებული კაცივით იყურებოდა. იგი თავისუფლად შეიძლებოდა ჰგონებოდა კაცს წარმატების მქონე ნეგოციანტიც, ძველი „ზღვის მგელიც“, უცხოელი კონცესიონერიც, საერთაშორისო ბორტმოქმედიც კინოსტუდია „რუსის“ ფილმებიდან.

— გამარჯობა, „ადმირალ“! — მიუახლოდა მას ოსიპო

ბით: დიადი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ „ადმირალმა ნელსონმა“ აიღო აბორდაჟით თუნდაც ერთი სახელმწიფო, ან გინდ კოოპერაციული სეიფი? ჰო თუ არა?

— არც ერთი, „ადმირალ“, — დაეთანხმა ოსიპოვი. — ეს ფაქტია.

— რაო, ფაქტიო? ეს ფაქტი კი არ არის, არამედ მსოფლმხედველობის საკითხია, ჩემი პროფესიონ დე ფუა, როგორც ფრანგიმი იტყოდნ. გესმით თუ არა თქვენ, ახალგაზრდავ? თქვენთვის სასარგებლოა ამის ცოდნა, თქვეს მხოლოდ ახლა იწყებთ ცხოვრებას. მსოფლმხედველობა! ჩემი ხელებით, რომლებზეც ათას ცხრაას ცამეტ წელს ბერლინის პოლიციე-პრეზიდენტი კრიმინალისტების მსოფლიო კონგრესზე ვენაში ლაპარაკობდა, როგორც შესანიშნავ მოვლენაზე, თქვენ გესმით თუ არა — მან ზუსტად ასე თქვა: „მაინ ლიბე ჰერრ, დას ისტ ეუნდერლიჰ უნდ არტისტიკ“, — ჩემი ხელებით მე აგწიე თუნდაც ერთი შემნახველი სალარო ან სახელმწიფო ბანკის თუნდაც ერთი რომელიმე სამაზრო კანტორა? ღმერთმა დამიფაროს! მე ასე ვუთხარი ჩემს თავს: „სემიონ, უშგობესია ხელები მოიკვეთო, ვიდრე თუნდაც ერთი სახალხო კაპიკი აიღო!“ აი რატომ აღმაშფოთა სულის სიღრმემდე თქვენმა მონაყოლმა.

— რაზე შეგთანხმდეთ, „ადმირალ?— შეაწყვეტინა ოსიპოვმა აღშფოთების ეს გაუთავებელი ნაკადი.

„ადმირალმა ნელსონმა“ მეტად გამომეტყველად შეხედა ოსიპოვს, მერე კი დაბალი ხმით თქვა:

— თქვენ იცით თუ არა ჩემი პრინციპები, ნიკოლოზ ფილიპეს ძე? მოკლედ — მონეტები იქნება, კაცი კი არ იქნება. გასაგებია?

— საკსებით, — უპასუხა ოსიპოვმა და მაგიდიდან წამოდგა. ამით აგრძნობინა, რომ მოლაპარაკების მონაწილე უმაღლესი მხარეები შეთანხმებამდე მიკიდნენ.

გამოვეთხოვეთ „ადმირალს“. მან დამშვიდობების წინ ოსიპოვის ტელეფონის ნომერი ჩაიწერა და დაპპირდა, რომ დაუყოვნებლივ შეხვდება ვისაც ოსიპოვი ინებებს, ოსიპოვი, „მოაწყოს“ ადმირალი და წაუყვანოს ულტიმატუმი ამით დაცილდით ერთმანეთს. მე და ოსიპოვი მანქანაში ჩავსხედით და მოსკოვის სამძებროში წავედით.

— შენ გკვირა, რომ ეს ოდესელი თაღლითი რამეს გააკეთებს?— დაღვრემილი სახით შეეკითხე ოსიპოვს.

— თუ კი ეს მონეტები ძეხოლიელმა მოიპარა და არა აჩრდილმა, — შშვიდად მიპასუხა მან, — მაშინ მაქსიმუმ ორ დღეში ისინი ჩვენ ხელთ იქნება. შენ არ იცნობ ამ კაცს. მარტო შაგის მოსკოვში ჩამოსვლა — უკვე მთელი მოვლენაა ბორიტმოქმედებისათვის. ეგ კი, ხომ ნახე, როგორ გაჯავრდა? წარმომიდგენია, რა „შუხტურს“ ატეხს „მალინაზე“. „ადმირალი ნელსონი“ არასოდეს ყოფილა და არც არასოდეს გახდება სამძებროსათვის ცნობების მიმწოდებელი და დამებეზღვებელი, — ამის პირობას მე ვიძლევი, მაგრამ, თუ როგორც ადამიანს ისე მიმართავ, უშალ მოკვდება, ვიდრე დაპირებას არ შეგისრულებს...

— მე კი მკვეხარა და ყბედ კაცად მომეჩვენა, — ვთქვი მე. — ეს ლეგენდაც იმის შესახებ, თუ როგორი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ბერლინის პოლიციე-პრეზიდენტი...

— ლეგენდა? — გაბრაზდა ოსიპოვი. — აბა, მაშ წავიდეთ და მე შენ გაჩვენებ, როგორი ლეგენდაცაა... ამ კაცს მართლაც ოქროს ხელები აქვს...

ნახევარი საათის შემდეგ მე უკვე ვფურცლავდი მოსკოვის სამძებრო პოლიციის ფორმულიარის გაყვითლებულ ფურცლებს, რომლის გარეკანზეც ეწერა:

„იასტრჟემბსკი კაზიმირ სტანისლავის ძე, იგივე რომანესკუ ჟანი, იგივე შულც ვილჰელმი, — საერთაშორისო კლასის უსაშიშრეს „მედეეკატნიკი“, გასტროლებს მართავს როგორც იმპერიის ფარგლებში, ასევე საზღვარგარეთაც. მოხსენებულია ს. — პეტერბურგის, ოდესის, მოსკოვის დონის როსტოვისა და ნახიჩევანის, აგრეთვე პო-

ლონეთის სამეფოს სამძებრო პოლიციის პატაკებში“.

ფორმულიარი შედგებოდა ყველა ამ სამძებრო პოლიციების უამრავი პატაკისაგან, შეკითხვისა და პასუხისაგან, რომლებშიც ამ მიუკვლეველი „ადმირალი ნელსონის“ თავგადასავალი და საქმიანობა იყო აღწერილი.

მათ შორის ყველაზე დაწვრილებითი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ბელეცკის „მემორანდუმი“, რომელიც „მისი მაღალეკეთილშობილების ბატონ შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. ა. მაკლაკოვის“ სახელზე იყო გაგზავნილი და დათარიღებული იყო 1913 წლის 12 მარტით. ხოლო შემდეგ, მინისტრის რეზოლუციის თანახმად, მისი ასლები დაეგზავნათ რუსეთის იმპერიის მთელი რიგი დიდი ქალაქების პოლიციის სამძებრო განყოფილებების უფროსებს „გასაცნობად და სახელმძღვანელოდ“.

აი რა ეწერა ამ „მემორანდუმში“:

„თქვენი მაღალეკეთილშობილების ბრძანების თანახმად, ამით მოგახსენებთ ფოლადის სეიფების გატეხვისა და გადნობის ცნობილი სპეციალისტის ოდესელი მდაბიოს ბოროტგანზრახსულ მოქმედებებზე, რომელიც საქმეებში გადის იასტრკემბსკის, რომანენკუს, შუფცის გვარებით და არაერთხელ იყო ნასამართლეები ზემოხსენებული ხასიათის სისხლის სამართლის დანაშაულებრივი მოქმედებების გამო.

მიმდინარე წელს, ისევე როგორც გასულ წლებში, პოლიციის დეპარტამენტის მონაცემებით, ბანკების სეიფების თავსედურ გაძარცვებსა და გატეხვას ადგილი ჰქონდა იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის შემთხვევები, რომლებიც რეგისტრირებულია ნიჟნი-ნოვგოროდში და სამარაში.

ნიჟნი-ნოვგოროდში გასული წლის 12 აგვისტოს, ღამით, უცნობი ბოროტმოქმედი შეიპარა ვოლგა-კამის ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში, სადაც გახსნა განსაკუთრებული კონსტრუქციის ორი სეიფი, რომლებიც ზემოხსენებულმა ბანკმა გამოიწერა ლეიპციგის ბანკების სეიფების დამამზადებელი ცნობილი ფირმიდან „ოტო გრილი“.

როგორც პოლიციის გამოკვლეევამ დაადგინა, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით ნიჟეგოროდის პოლიციის მოხელეებმა ჩაატარეს, ნიჟეგოროდის გუბერნატორის საგანგებო დავალებათა მოხელესთან ერთად, ბოროტმოქმედმა ბანკის შენობაში დაჰყო არა უმეტეს ოცდაათი წუთისა, რა დროითაც თვითნებურად მიატოვა საგუშაგო ღამის დარაჯმა ივან პროხორის ძე კოზოლუბამ, რომელიც ბანკში მისი დიდი ხნის უზადო მუშაობის, აგრეთვე ადგილობრივი პოლიციის, რუსი ხალხის კავშირის ნიჟეგოროდის განყოფილების და ღვთისმოსავი მამის ვარსონოფიის კარგი დახასიათების გამო ეჭვის ქვეშ არ არის აყვანილი და სავსებით გათავისუფლებულია.

კოზოლუბის ჩვენებით, მან ღამის მეორე საათის დასაწყისში, როდესაც მოძრაობა შეწყდა, აღარც ფეხით მოსიარულეები ჩანდნენ და სასტუმრო „როსიას“ რესტორანშიც კი ჩაქრა შუქი, გადაწყვიტა დროებით მიეტოვებინა საგუშაგო, რათა სასლში ჩაი დაელია, რასაც იგი, ძილი რომ არ მორეოდა, ხშირად აკეთებდა ღამით მორიგეობის დროს. ვინაიდან კოზოლუბის ბინა ახლო მდებარეობს, მან დაკეტა სადარბაზოს კარი და შინ წავიდა. ამასთან, იგი გზაში შეხვდა უცნობ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ქუდბური ქუდი ეხურა და რომელსაც, მისი თხოვნით, პაპიროსი მოუკიდა.

როდესაც ოცდაათი წუთის გავლის შემდეგ კოზოლუბი საგუშაგოზე დაბრუნდა, აღმოაჩინა, რომ სადარბაზოო კარი ღია იყო, ღია იყო აგრეთვე ფოლადის კარი, რომელიც სარდაფში ჩასასვლელს კეტავდა, სადაც ბანკის სეიფები ინახება. კოზოლუბამ დაუყოვნებლივ გამოიძახა პოლიცია, აგრეთვე დაუწყო ძებნა ბანკის დირექტორს, ქალაქის

ლეე შეინინი

გასვრეტილი დინარები

სათათბიროს წევრს, ს

მეტად მსხვილი თამაში მიდიოდა ათი ათასებზე და აშედეცკიმ მოუგო პირველი გილდიის სამარელ ვაჭარ პროხოროვს, აგრეთვე სპარსელ ვაჭრებს ჰუსეინ ხაჯარას და სულეიმან აირომას, ამას გარდა, ხვალინის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლს გრაფ კულეშოვს და საერთო ჯამში მოიგო არა ნაკლებ ასი ათასი მანეთისა. რაც შეეხება ქვაბურაქუდიან ახალგაზრდა კაცს, მანაც, მურზაევის ჩვენებით, მაგრად წააგო და ფულს გადასახდელად დიდი ტყავის პორტფელიდან იღებდა, რომელსაც არასოდეს იცილებდა. ამასთან, მურზაევმა დაინახა, რომ პორტფელი სავსე იყო ასიგნაციებით.

თამაშის დამთავრების შემდეგ, როდესაც მგზავრები კაიუტებში წავიდწამოვიდნენ, მურზაევს, რომელიც სალონს ალაგებდა, მესამე კაიუტიდან რაღაც ხმაური შემოესმა. როდესაც კართან მიეიდა და გასაღების ხვრელში შეიხედა, დაინახა აშედეცკი — ლანგვიჩი და ქვაბურაქუდიანი ახალგაზრდა კაცი, ამასთან უკანასკნელს აშედეცკისათვის საყელოში ჩაეკვეხ ხელი და მაგრად აწყდრეედა, თან უყვიროდა: „მომეცი, თაღლითო, ნახევარი მოგება, თორემ სულს ამოგართმევ!“ — რაზედაც აშედეცკი ყვიროდა, რომ თანახმაა ახალგაზრდა კაცს მისი წაწაგები ფული დაუბრუნოს. ბოლოს მათ შორის ჩხუბი ატყდა და ახალგაზრდა კაცმა დაუწყო აშედეცკის საშველი რგოლით თავში ცემა, რის შემდეგაც აშედეცკიმ ახალგაზრდა კაცს მოგებული ფულის ნახევარი მისცა, დაავლო ხელი თავის პატარა სამგზაური ჩანთას და მიუხედავად ვეიანი ღამისა, პირველსავე მიყრუებულ ნაგმისადგომზე გადავიდა. ქერა კაცი გემბანიდან მისძახოდა: „ახლა კი დაიხსომე, შე ფრაერო, დედა-ოდესას! შულერი კი არა, პიეონი ხარ!“ — და საერთოდ ძალიან მსიარულად იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ და ზემოხსენებულ გემის „ველიკაია კნიაგნა ტატიანას“ სამარაში ჩასვლის მეორე დღისე, სადაც ქვაბურაქუდიანი ახალგაზრდა კაცი ჩამოვიდა, იქვე, ღამით, უცნობმა ბოროტმოქმედმა თავხედურად გაძარცვა სამარის საგაჭრო ბანკი, სადაც ისევე იქნა გადებული ორმა ფეფეფეფ და გატაცებული ორმოცდათექვსმეტი ათასი მანეთი. ამასთან, ისევე, როგორც ნიჟინიოვგოროდში, ბოროტმოქმედმა სეიფები განსაცვიფრებლად მოკლე დროში გააღო.

ამ საქმის პოლიციის მოკვლევის დასაწყისშივე დადგენილი იქნა, რომ გემ „ველიკაია კნიაგნა ტატიანას“ სამარაში ჩამოსვლის დღეს, სალამო ხანს სასტუმრო „ვოლგაში“ გამოცხადდა ქვაბურა ქუდიანი ქერა ახალგაზრდა, წარადგინა პასპორტი კაზიმირ იასტრემბსკის სახელზე და დაიკავა ნომერი. მეორე დღეს იგი სასტუმროში ღამის სამ საათზე დაბრუნდა ქალაქიდან სამგზავრო ჩანთით ხელში და სართულის მორიგე ქალს აგრაფენა გორინას, რომელმაც კარი გაუღო, ხუთი მანეთი აჩუქა. ამასთან, როგორც მოკვლევაზე გორინამ აჩვენა, იგი სრულიად ფხიზელი, მაგრამ აშკარად დაღლილი იყო.

სწორედ ამ მონაცემებმა მოჰფინეს შუქი ამ საქმეს, ვინაიდან ხარკოვის სამძებრო პოლიციის მონაცემებით ცნობილი „მედგეტაწნიკი“ შულც-რომანენკუ მათთან გადიოდა იასტრემბსკის გვარით.

მაგრამ ამ მონაცემების მიღებისა და შემოწმებისთანავე შულც-იასტრემბსკი სამარიდან გაურკვეველი მიმართულებით მიიმალა.

და მხოლოდ რვა თვის შემდეგ გამოჩნდა შულც-იასტრემბსკის კვალი ბერლინში, სადაც ამავე ბერლინის პოლიციი-პრეზიდენტის შეტყობინება ქვემოთ მოხსენებული შემთხვევის შესახებ, რამაც გერმანიის პოლიციის ყურადღება მიიქცია.

მომდინარე, 1913 წლის თებერვალში ბერლინში გაიხსნა ტექნიკური გამოფენა, რომელზედაც როგორც გერმანული, ასევე სხვა ევროპული ფირმები თავის საქონელს აჩვენებდნენ. პავილი-

ლეგ შეინინი
გასხვრეტილი დინარები

ონში „საბანკო სავაჭრო მოწყობილობანი“ მთელ რიგ ფირმებს გამოტანილი ჰქონდათ ახალი ფოლადის სეიფები საიდუმლო საკეტებით. კერძოდ, აჩვენებდნენ ფირმის „ოტო გრილი და K“ სეიფებსაც. ამ ფირმამ, ისევე როგორც გერმანულმა ელექტროტექნიკურმა ფირმამ „სიმენს-შუკერტმა“, რომლის სეიფებსაც საიდუმლო ელექტროსიგნალიზაცია ჰქონდათ, რეკლამის მიზნით გამოაცხადა დიდი ფულადი ჯილდო, თუკი დამსწრეთაგან ვინმე პირველ შემთხვევაში საერთოდ მოახერხებდა სეიფის გახსნას, მეორეში კი — ისე გააღებდა, რომ ავტომატური ელექტრული სირენა არ ჩართულიყო.

7 თებერვალს მრავალრიცხოვანი საზოგადოების თვალწინ ვიღაც ქერა ახალგაზრდა კაცი, ქვაბურა ქუდით, მივიდა პავილიონის ადმინისტრატორთან და განაცხადა, რომ იგი შეეცდება გახსნას როგორც ლეიპციგის ფირმის „ოტო გრილი და K“ სეიფი, ასევე „სიმენს-შუკერტის“ სეიფიც. მისი წინადადება მიიღეს, და მან უაღრესად გააოცა ფირმების წარმომადგენლები, ხოლო საზოგადოებაში კი აღფრთოვანება გამოიწვია იმით, რომ ოცი წუთის განმავლობაში ორივე სეიფი გახსნა, თან ისე, რომ მეორე შემთხვევაში შეძლო წინასწარ გამოეთქვა საიდუმლო სიგნალიზაცია.

მას იქვე გადასცეს ფულადი ჯილდოები. ახალგაზრდა ქერა კაცმა დამტვრეული გერმანულით ყველა იქ მყოფი ლუდხანა „ვაგნერში“ მიიპატიჟა, სადაც თავისი ხარჯით გაუმასპინძლდა, თვითონ კი საკმაოდ ბევრი დალია, ჩიჩოტკას ცეკვავდა და ქალაქ ოდესის სადღეგრძელოს სვამდა, რომელსაც „ოდესა დი მუტერს“ უწოდებდა.

ამ დროს ფირმის „ოტო გრილი და K“ ინჟინერმა ჰანს შმელცმა, რომელიც ზემოთ იყო მოხსენიებული, დარეკა ბერლინის პოლიციაში და შეატყობინა, რომ ის ხერხი, რომელითაც უცნობმა სეიფი გააღო, ძალიან აგონებს შემთხვევას, რომელსაც ეოლეა-კამის ბანკის ნიკეგოროროდის განყოფილებაში ჰქონდა ადგილი.

მაშინ ბერლინის პოლიციი-პრეზიდიუმის წარმომადგენლები სასწრაფოდ გამოცხადდნენ ლუდხანა „ვაგნერში“ და უცნობ ახალგაზრდას საბუთები მოსთხოვეს. მან აჩვენა რუსული პასპორტი იასტრკეემბსკის გვარზე, საზღვარგარეთ გასვლის ვიზით, რომელიც გაეცა კონოტოპის სამაზრო პოლიციის უფროსს. მიუხედავად ამისა, ბერლინის პოლიციის მოხელეებმა წინადადება მისცეს, გაპყოლოდა მათ, რათა შემდგომ გაერკვიათ მისი ვინაობა, მაგრამ იასტრკემბსკიმ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა და საზოგადოებას სთხოვა დაბმარება, რომელიც მის ხარჯზე უკვე შექეიფიანებული იყო. საზოგადოება ერთხმად ადგა მის დასაცავად და პოლიციის მოხელეები უკან დასწია, ხოლო თვითონ იასტრკემბსკი ამ დროს მიიმალა.

მოვახსენებ რა თქვენს მაღალაღმატებულებას ზემოაღნიშნულს, ჩემი მხრივ ვფიქრობ, რომ აუცილებელი იქნება ბატონ საგარეო საქმეთა მინისტრთან, მის მაღალაღმატებულებასთან ბ-ნ საზონოვთან დაკავშირება, რათა დადგენილი წესით მივმართოთ გერმანიის პოლიციას თხოვნით დასასელებული იასტრკეემბსკი-შულცის, როგორც სერიოზული სისხლის სამართლის დამნაშავის, დაძებნის, დაკავების და ჩვენთვის გადმოცემის თაობაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, სახელმწიფო მრჩეველი ს. პ. ბელეცკი“.

ამ საარქივო საქმეში შემონახული მიმოწერიდან ჩანდა, რომ თითქმის ერთი წლის მანძილზე მეფის რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, კავშირი ჰქონდა გერმანიის პოლიციასთან, რომელიც ეძებდა ან ყოველ შემთხვევაში ისე იქცეოდა, თითქოს მართლაც ეძებდა „ადმირალ ნელსონს“. შემდეგ ომი დაიწყო და ეს თავგზიანი მიმოწერაც შეწყდა.

საღამო ხანი იყო, როდესაც ამ კაკ-

ვითლებული დოკუმენტების კითხვა დავამთავრე და ზოგიერთი საინტერესო დეტალიც ჩემს მეხსიერებაში ჩავიბეჭდე. მერე მე და ოსიპოვი კინოთეატრ „არსში“ წავედით, სადაც ახლა სტანისლავსკის სახელობის დრამატული თეატრია.

ბილეთები ავიღეთ და რაკიღა სეანსის დაწყებამდე მთელი ერთი საათი იყო კიდევ დარჩენილი, გადავწყვიტეთ ცოტა გაგვესეირნა.

— ნიკოლაი, როგორ ფიქრობ, რით დაამთავრებს ცხოერებას „ადმირალი ნელსონი“? — ვკითხე ოსიპოვს.

— მე ხშირად მიფიქრია მასზეც და მისთანებზეც, — მიპასუხა მან. — აბა რა გიფიქრია, ჩემო კარგო, ეს მეტად რთული და ძნელი კითხვაა. ჩვენ წარსულიდან მემკვიდრეობად ბოროტმოქმედების საკმაოდ დიდი სამყარო დაგვრჩა მთელი თავისი ჩვეულებით, ტრადიციებით, „სკოლებითა“ და სპეციალობებით. ახლა, ნეიის წლებში, ამ სამყარომ ერთგვარი ნოყიერი, მასაზრდოებელი გარემო ჰპოვა. რეტტორნები, ღოლი, კერძო მაღაზიები, ვაჭრობა, კაბარეები, თვითონ ნეპმანები, — ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულად ხელს უწყობს და თვითონაც წარმოშობს სისხლის სამართლის დამნაშავეებს. ჯერ კიდევ საკმაოდ არიან ძველი „სპეციალისტები“ — მძარცველები, ქურდები, სხვადასხვა გარყვნილების ბუდეთა პატრონები თუ სხვები. ვფიქრობ, ადრე თუ გვიან, მათ უმეტესობას დავიჭერთ და სადაც ჯერ არს იქ ვუკრავთ თავს. ნაწილი ალბათ გარდაიქმნება და შრომით ცხოვრებას ეწევა. საით წავა „ადმირალი ნელსონი“, ძნელი სათქმელია... მაგრამ ეს კი ფაქტია, რომ იგი სასელმწიფო და კოოპერაციული სეიფებიდან არასოდეს იტაცებს ფულს. ეს ყოველ შემთხვევაში, საინტერესო ნიუანსია... ისე კი, ცხოვრება დაგვანახებს...

მეორე დღეს ჩემი მუშაობა იმით დაიწყო, რომ ს-ის მდივანმა დამირეკა. მან გადმომცა, რომ სახალხო კომისარი კვლავინდებურად ძალიან ღელავს და დაავალა მას ჩემთვის გაეხსენებინა, რომ მოცემული ვადიდან ორი დღეც დარჩა. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ცნობამ კარგ გუნებაზე დამაყენა. ორ საათზე ოსიპოვი დამიკაშირდა და მითხრა, რომ ახლახან ტელეფონით დაურეკა „ადმირალმა ნელსონმა“ და აცნობა, მუშაობა დღეს და გადადღეს, მაგრამ მონეტები ჯერ არა ჩანსო.

დღის ბოლოს შეეერდინმა დამირეკა და ისეთი შეშფოთებით გამომკითხა საქმის მსვლელობა, რომ მივხვდი, რარიგ გულწრფელად იყო შეწუხებული ეს კეთილი მოხუცი. მან მშვენიერად იცოდა, რომ მონეტებს თუ არ ვიპოვიდით, კარგი დღე არ მელოდა. მე ზოგადად მოვახსენე შეეერდინს, რომ მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებრიდან ასეთი და ასეთი ზომები მიიღეს, მაგრამ შედეგები არ ჩანს-მეთქი.

— სამწუხაროა, სამწუხარო, — ამოიოხრა შეეერდინმა. — მეტისმეტად ბობოქრობს ჩვენი დაზარალებული... ეცადეთ, ჩემო შვილო, ეცადეთ, თორემ ცუდ ისტორიაში გავებმეთ...

ძნელი არ არის ჩემი მდგომარეობის წარმოდგენა, როდესაც იმავე დღეს, საღამო სანს ჩემი ოთახის ფანჯრებთან ოსიპოვის „პეკოს“ საყვირის ნაცნობი ხმა გაისმა. ტყვიასავით გავვარდი ქუჩაში და შორიდანვე შევნიშნე ჩემი მეგობრის გაღიმებული სახე. გვერდით ეჯდა მისი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი თანაშემწე ნიკოლოზ ლეონტის ძე ნოენიცკი.

— დაკე! წავიდეთ! — შორიდანვე მომძახა ოსიპოვმა. — „ადმირალმა“ დარეკა და გვთხოვა სასწრაფოდ მივიდეთ მასთან „კულტურულ კუთხეში“...

მანქანაში ჩავჯექით და გორკის ქუჩისაკენ გავქანდით, სადაც მცირე ბენზიკოსკის კუთხეში, ერთ მომცრო სახლში, რომელიც უკვე დიდი ხანია რაც აიღეს და ახლა იმ ადგილზე მაღალი შენობაა წამოჭიმული, ლუდხანა იყო მოთავსებული. ამ ლუდხანას „კულ-

---

ლევ შეინინი

ტურულ კუთხეს“ ეძახდნენ. თუმცა იგი იმდენად კულტურით არ იყო განთქმული, რამდენადაც თავისი ჩინებული მოხარშული კიბოთი და მართლაც არაჩვეულებრივი ხმელი ნაფოტთი, რომელიც დამშალ ელრცველასთან ერთად მოაქონდათ ლუდზე დასაყოლებლად.

„ადმირალი ნელსონი“ იქ დაგეხვდა, კუთხეში იჯდა მაგიდასთან და გველოდებოდა. თავის ახალთახალ, კოხტად და მოდაზე შეკერილ კოსტუმში გამოწყობილიყო და საზიზმო გამომეტყველება ჰქონდა.

— საღამო მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა, — მოგვესალმა იგი, თან თავი ღიმისეულად ეჭირა. — ეს რა სათაბალა საქმეში გამხვიეთ, ეშმაკმა დალახვროს! ამას ჰქვია, რომ დასასვენებლად და გულის გადასაყოლებლად ჩამოვედი! ასეთი დასვენებისაგან ფიცრის ყუთამდე ერთი ნაბიჯია — როგორც იტყოდა ხოლმე განსვენებული მამაჩემი, იმაზე ჭკვიანი კაცი კი ოდესაში არ იყო და ახლა ხომ აღარ იქნება და აღარ... სხვათა შორის, იგი ამ უდიდეს ქალაქში პირველი ზეინკალ-მექანიკოსი იყო და მე დავრწმუნდი, რომ მემკვიდრეობის კანონი შარლატანების მოგონილი არ არის... ერთხელ, აქვე მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს, თუ ვტყუოდე...

— არ შეიძლება, საქმეზე რომ გადავიდეთ? — გააწყვეტინა სიტყვა ოსიპოვმა. — განსვენებული მამათქვენის ისტორია ჯერ კიდევ ათას ცხრაას ოცდაერთ წელს მაქვს თქვენგან მოსმენილი...

— პარდონ, დამავიწყდა, ღმერთმანი, დამავიწყდა, — თქვა „ადმირალმა“. — რატომაც არა, შეიძლება პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ... გუშინ სადაურიდან პირდაპირ ერთ ადგილას გავეშურე, ვინც საპირო იყო, ყველას თავი მოვუყარე და პლენარული სხდომა ჩავატარე. ისეთი სიტყვა წარმოვთქვი, რომ ბიჭები სულ ქვითინებდნენ... „კონტრრევოლუციის“ თქვე წყეული ჰიდრებო, — ვუთხარი მათ, — თქვენ გეყოთ იმის სინდისი, რომ სახალხო კომისარს მივარდნოდით და აგვწიათ მისთვის რაღაც უსარგებლო და აქმორებული მონეტების კოლექცია, ერთიც მის საჭირო სიცოცხლეს დღე ... ... ლეთ! თქვე მართლა დენიკინელებო! რაღაცა ქეციანი გახვრეტილი დინარების გამო მთავრობის წევრი სახელმწიფო საქმეებს მოწყვიტეთ! მე ყველა ჩემი საქმე მივატოვე ოდესაში და სასწრაფოდ ჩამოვედი იმისთვის, რომ გითხრათ თქვენ ჩემი „ფუ“ - თქვე მახნო

ლი დინარები! იქნება გგონიათ, რომ თუნდაც ერთ კაცს ათი წუთით მაინც ეძინა? თუ მართლა ფიქრობთ ამას, თქვენზე შთაბეჭდილება წამისდება...

— არა, სულაც არ ვფიქრობ ამას, — უმალ დაარწმუნა ოსიპოვმა.

— იმიტომ, რომ ჭკვიანი კაცი ბრძანდებით!.. მეტსაც გეტყვით, — მე თვითონ მთელი ღამე მთავარ მალინაზე გავატარე.

— ზოოლოგიურ შესახვევში? — გაეღიმა ოსიპოვს.

— ნიკოლოზ ფილიპეს ძეგ, მაგას თქვენგან არ ველოდი, — შეკრა წარბები „ადმირალმა“, — ადმირალ ნელსონს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთი „მალინა“ კი არ ჩაუგდია. ასეთი შემთხვევები ჩვენი კონფენციით არ არის გათვალისწინებული... ერთი სიტყვით... მე არაფერს ვიტყვი...

— კარგი, ამას მოვეშვათ, — ჩაიცინა ოსიპოვმა. — განვაგრძოთ სხდომა...

— მაშ ვაგრძელებთ. დილამდე „მალინაზე“ დავყავი, ყოველ ნახევარ საათში ქალაქის ყველა უბნიდან მორბოდა ხალხი და თვითეული მათგანი მხოლოდ ერთს ამბობდა: „არ არის!..“ დილის შვიდი საათისათვის უკვე ისეთი ცახცახი დამაწყებინა ღელვისაგან, რომ არც ერთი პროფესორი შაურადაც არ შეაფასებდა ჩემს სიცოცხლეს... რვა საათზე ცალი ფეხი სამარეში მქონდა და მიცვალებულის სუნი ამივიდა — გული თითქმის აღარ მიცემდა, მაჯა დამეკარგა. მანკა რწყილი, „მალინას“ დიასახლისი, ჩემი შემხედვარე, მწარედ მოთქვამდა: „ადმირალ“ ჩემო ძვირფასო, ნუთუ რაღაც გახვრეტილ დინარებს უნდა შეეწიონო? ოი, მერე ოდესას რაღა გუთხრათ? რითი ვიმართლოთ თავი, რატომ ვერ მოუარეთო? მთელ „მალინას“ დამიწვავენ, „ადმირალ“... როგორ გგონიათ, ვინ მიხსნა? სენკა ჯიქმა. მან ცხრა საათსა და ოცდაათ წუთზე მოირბინა და როდესაც ნახა, რომ თითქმის აღარა ვსუნთქავდი, ერთბაშად მოისაზრა, რაც უნდა გაეკეთებინა... საქმე იმაშია, რომ ჯიქი საოცრად განსწავლული კაცია, მან თითქმის დაამთავრა ქმერინკის საფერშლო სკოლა და უწყის ფუთამა, ქურდობისათვის რომ არ მოეკიდნა ხელი, უკვე დიდი ექიმი მედიცინის პროფესორი იქნებოდა... ერთი სიტყვით, იგი მაშინვე გავარდა ახლო მდებარე საავადმყოფოში. იქ დღისით-მზისით, რომელიღაც ავადმყოფს ჟანგბადით სავსე ბალიში აეცალა და სასწრაფოდ მომირბენინა... ღმერთმა უშველოს — ეს ერთადერთი ქურდობა იყო, რომელიც იმ საშინელ დღეს მოხდა... კარგად დავისვენე მოსკოვში არა, ნიკოლოზ ფილიპეს ძეგ!

— „ადმირალ“, საქმეზე ვილაპარაკოთ, — მკაცრად თქვა ოსიპოვმა.

— ჩვენ სწორედ მას ვუახლოვდებით და ახლავე ღუზას ჩავუშვებ, — უპასუხა „ადმირალმა“. — როდესაც ცოტა სული მოვითქვი, კოლკა ბოცვერი შემოვარდა მარინა როშჩინდან. მას ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, გეგონებოდათ ეს-ეს არის თურქეთის სულთანის ძელდან მოსწყდაო, ან „ბ“ ხაზის ტრამვაიში ბრიტანეთის სამეფო გვრიგვინი მოიპარაო. ჰოდა, შემოვარდა და მთელი ხმით მორთო ყვირილი. „რას ღრიალებ, შე იდიოტო?“ — ვკითხე მე, მაგრამ იგი მაინც განაგრძობდა ყვირილს, ვიდრე სენკა ჯიქმა საქმის ვითარება ძალით არ გამობერტყა. გამოირკვა, რომ „ურკებმა“ მაინც მიაგნეს ის წყეულ ბაკაცას. აღმოჩნდა, რომ იგი ჯერ ერთი, მოსკოველი არ არის, მეორეც ისა, ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ არც ოდესელია, მესამეც კიდევ, ნამდვილი ქურდი კი არა, ვიღაც ჩამოსული სულელი ბაკაცა ყოფილა... ყოველივე ამის შემდეგ მე თქვენ გეკითხებით, განა შეიძლება ცხოვრება ამ უცნაურ ქვეყანაზე?

— კი მაგრამ, მონტრეზი სად არის?— მშვიდად ჰკითხა ოსიპოვმა „ადმირალს“ და თან თვალში თვალი გაუყარა.

— თუმცა ორიგინალობაზე თავს არ დგება, მეც სწორედ ეს ვკითხე კოლკა ბოცვერს. — მწარედ უპასუხა „ადმი-

რალმა". მონეტები ტულაშია, ამ ბაცაცას უკვე მოუსწრია წაღება. მათ ჩამოსატანად ისეთი დელეგაცია გაემგზავრა, რომ თუ ამ ქალაქში ცნობილი თოფხანა მაინც გადარჩა, ქალაქის აღმასკომს საზეიმო სხდომის ჩატარება მართებს... მონეტებს სულ მალე ჩამოიტანენ...

აქ ოსიპოვმაც ვეღარ შეიკავა თავი და შვებით ამოისუნთქა. მე სიხარულისგან თავბრუ მეხვეოდა. ნოვნიცკი ისე გულიანად იცინოდა, რომ ცრემლები სულ ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე.

ამ დროს იმ ფანჯარას, სადაც ჩვენ ვისხედით, ვიღაცამ კენჭი ესროლა. „ადმირალი ნელსონი" მაშინვე ფეხზე წამოვიდა, ერთი შესძახა: „ელჩები დაბრუნდნენ! აბა, მუსიკა, ტუში დაუკრიითო" — და ლუდხანიდან გარეთ გავარდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ გაბრწყინებული სახით დაბრუნდა. მას ხელში საკმაოდ მოზრდილი სპილენძის შესაკრავებიანი ტყავის ჩანთა ეჭირა.

— აი ისინიც, — თქვა „ადმირალმა" და ერთადერთი თვალი სატანისებური სიამაყით გაუბრწყინდა. — თავსა ვდებ სანაძლეოზე, რომ ამ მონეტების მოსაძებნად მთელი მსოფლიოს პოლიციელები რომ ჩამოსულიყვნენ, კრიმინალისტების კენნის იმ მსოფლიო კონგრესის მონაწილეებთან ერთად, რომელზედაც ბერლინის პოლიციი-პრეზიდენტმა ასე დამსახურებულად თბილად მოიხსენია ჩემი ხელები, მათ, გაუგონარი სირცხვილის გამო, მდინარე მოსკოვში ორგანიზებულად თავის დახრჩობა მოუწევდათ... ახალგაზრდავ, — მომმართა „ადმირალმა", — თქვენ მხოლოდ ახლა იწყებთ ცხოვრებას და ძალიან მესიმპათიურებით, შეხედეთ, დაკვირდეთ, დაიხსომეთ: აი, რისი გაკეთება შეუძლიათ ქურდებს, როდესაც მათი სახელი და პატიოსნებაა შებღალული... აი ვინ არის „ადმირალი ნელსონი" და რას ნიშნავს მისი უდიდესი ავტორიტეტი!

მან შესაკრავები გახსნა, ჩანთა გადახსნა, რომლის სპეციალურ დანაყოფებშიც, როგორც მტრედები ბუდეებში, ისე ისხდნენ მონეტები, ჩვენ ... ლიერება დავუწყეთ. ასე ორასამდე მონეტა იქნებოდა. ყველა სპილენძისა იყო, ზოგი მწვანე და ზოგიც ჩაჟანგებული სიძველისაგან. მონეტები მოზრდილებიც იყო და მომცროვნიც, ზედ ხარები, გველები, არწივები, სფინქსები, წეროები იყო ამოკვეთილი.

— გთხოვთ ამ ათასეული წლების წინაშე ფეხზე წამოდგეთ! — საზეიმო კილოთი გამოაცხადა „ადმირალმა" და თვითონ პირველი წამოდგა. — აი, ხედავთ, ეს ის გახვრეტილი დინარებია, რომელთა გამოც ასეთი საშინელი „შუხური" ატყდა... ღმერთო დიდებულო, როგორი დაცინვა ბედის, ასე უყვარდა თქმა ოდესელ ნაფიც ვექილს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ზნეერზონს. ეს ის ვექილი გახლავთ, რომელიც ათას ცხრაას თხუთმეტ წელს მიცავდა მე, როდესაც პოლიციის სამძებრომ ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა დამიჭირა... მართლაც რომ დაცინვაა — ამ მონეტების ხელის ხლებაც კი მეზიზღება... ამ ნაგავის გამო დედაქალაქის საუკეთესო ადამიანები ისე დარბოდნენ, როგორც კატები ვალერიანის წვეთების დაყნოსვის შემდეგ... განა ღირდა, რომ სახალხო კომისარის ამ დაკანგული სპილენძის გამო ენერვიულო! ჭეშმარიტად, დიდი ადამიანებიც სულელები არიან, როგორც ამას ამბობდა ფილოსოფოსი სპინოზა, თუმცა უფრო საფიქრებელია, რომ მას ეს არასოდეს უთქვამს...

„ადმირალი" ჩაერთო. ორი თლაშო არაყი ვადაკჯრა, ზედ მოზრდილი ჩოლჩით ლუდი დააყოლა და თავისი მჭევრმეტყველება შემოგვაფრქვია. რაც არ უნდა იყოს, მაინც ამ კაცმა გვიხსნა და ამიტომ სიტყვა არ გაგვიწყვეტინებია. ოსიპოვმა აშკარად მოიწყინა: იგი ლაყბობას ვერ იტანდა. ჩვენ კი იძულებული ვიყავით, ვეესმინა ამ ძველი „მედიეტატნიკის" ფილოსოფიური სენტენციები და მკვეხარა მოგონებები, ლირიკული გადახვევები და ოდესის მოლდოვანკის ქურდული ფოლკლორი.

ბოლოს, როგორც იქნა, ამოიწურა,

უფრო სწორად, დაიღალა. ჩვენ ამ პაუზით ვისარგებლეთ და ის იყო დამშვიდობებას ვაპირებდით, რომ „ადმირალმა“ მოულოდნელად გვითხრა:

— იცით, ამ უცნაურ საქმეში ყველაზე უფრო უცნაური რა არის? „ადმირალი ნელსონი“, პირველად თავის სიცოცხლეში, ქურდობის ნაცვლად ძიებით იყო გართული. თურმე ეს გაცილებით უფრო საინტერესო რამ ყოფილა. ძველი „მედეეკატნეკის“ პატიოსან სიტყვას გაძლევთო, ეს ყველაზე ბედნიერი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში...

„ადმირალი“ უცბად გამოფხიზლდა და უკვე ხანში შესული კაცის სევდიანი თვალებით შემოგვხედა. იგი უეცრად მიხედა, რომ ტყუილ-უბრალოდ გაეფლანგა თავისი სიცოცხლე.

ოსიპოვი შეკრთა და „ადმირალს“ მიაჩერდა.

— რაც თქვენ დღეს გვითხარით, სემოონ მიხეილის ძეე, — სერიოზული სახით უთხრა მან, თან პირველად მიმართა ასე „ადმირალს“, — ეს ყველაზე უფრო კარგი და ჰკვიანური იყო. და თუ თქვენ, ისევე, როგორც მონეტები ითვეთ, შესძლებთ თქვენი ახალი ბედის პოვნასაც, — ეს კი ყოველთვის შესაძლებელია, თუკი კაცს მხრებზე გოგრა კი არა, თავი აბია და მკერდქვეშ გული ყიმის და არა ლაყე კეერცხი, — იმ შემთხვევაში თქვენს ერთგულ მოკავშირედ მიგულეთ. მოხარული ვიქნები, თუ ასე გადაგიხდით ვალს...

„ადმირალი“ ისე წამოწოლილა, რომ მივხედე — ოსიპოვის სიტყვები, როგორც ყოველთვის, ახლაც მიზანს მოხვდა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ყოველგვარ სიტყვებზე უფრო ბევრის მთქმელია ხოლმე.

„ადმირალს“ თავი ჩაეკინდრა და რაღაცაზე ღრმად ჩაფიქრებულიყო. ოსიპოვი მას მისჩერებოდა. თვალებში ისეთი თანაგრძნობა და სითბო ედგა, ტრომლისოდაც. ისევე როგორც ადამიანის რწმენის გარეშე, კრიმინალისტი ყოველთვის შეზღუდული და ბრმაა. ეჰ, სამწუხაროდ, ჩემი ცხოვრების მანძილზე არა ერთ კრიმინალისტი შემხვედ, რომლებმაც თავისი სიბეცით ბევრი ისეთი ტანჯვა-წვალება მიაყენეს ხალხს, რომელთა თავიდან აცილება ადვილად შესაძლებელი იყო.

ეს უხერხული პაუზა ცოტა ხანს გაგრძელდა. მერე „ადმირალმა“ თავი ასწია და ჩუმად, თითქმის ჩურჩულით თქვა:

— თუ არ ეცდები, არქიმედმა თქვა— მომეცით საყრდენი წერტილი და ქვეყანას გადავატრიალებო... მე არქიმედი არა ვარ და ქვეყანა უჩემოდ გადატრიალდა... მაგრამ, რაკიღა ვხედავ, რომ იგი სწორად გადატრიალდა, რაღაც ჩემშიც გადატრიალდა... ნიკოლოზ ფილიპეს ძეე, მე უკვე საკმაოდ ხანში შესული კაცი ვარ და ჩემს ასაკში ძნელია ახალი ცხოვრების დაწყება. მაგრამ თქვენ მე მენდეთ და ესეც უთუოდ საყრდენი წერტილია, რომელზედაც ოცნებობდა არქიმედი... შეეცადეთ გადავატრიალო ჩემი ძველი, დახავსებული ცხოვრება... შეეცადეთ დაგადნო ის ყანგანი სეიფი, რომელსაც ამდენი ხანია თან ვაპრეგ. ვინ იცის, ეგეც კიდევ შემოინახა მან რაიმე კარგი და სასარგებლო... ვინ იცის...

იგი ერთბაშად წამოდგა და არც კი დაგემშვიდობებია, ისე გაეარდა ლუდხანიდან.

როდესაც შეეერდინთან მივედი და ყველაფერი ეს მოვუყეები, მოხუცს ისეთი ხარხარი აუტყდა, რომ ცოტა არ იყოს შემეშინდა. შემდეგ ჩემთვის სრულიად მოულოდნელად მითხრა:

— და მაინც, ჩემო კარგო, მე აქ მოვესაუბრე ამხანაგებს, დიახ, და ასე გადაწყვიტეთ ერთხმად, რომ საგუბერნიო სასამართლოს დისციპლინარული კოლეგიის წინაშე მოგიწევს წაედგომა... დიახ, სწორედაც... დაწერეთ ახსნა-განმარტება...

შეეერდინის კაბინეტიდან სავსებით დაბნეული გამოვედი და ჩემს პირველ

ლევ შეინინი
გაზეთ „ეერეტილი“ დინარები

მასწავლებლებთან, სნიტოვსკისთან და ლასკინთან გავიქეცი. ორთავე საკმაოდ გუნებაწამხდარი დამხვდა. ლასკინმა რაღაც უგემურად მიპასუხა სალამზე, თან თითებს უკაკუნებდა მაგიდას. სნიტოვსკი ყინულივით ცივი დამხვდა. მათ გარდა, კაბინეტში იყო საგუბერნიო პროკურორის თანაშემწე გამოძიების ზედამხედველობის დარგში მ. ვ. ოსტროგორსკი. იგი მაღალი, ლამაზი კაცი იყო, ქერა აფუებული ქოჩორი და დიდი ნაცრისფერი თვალები ჰქონდა, რომლებიც ახლა მეტისმეტად მკაცრად მიყურებდნენ.

— პატარა ბავშვებს პატარა ხლაფორთი სდევთ თან, დიდ ბავშვებს კი — დიდი ხლაფორთი, — დაიწყო სნიტოვსკიმ. — ჰოდა, ლეგ რომანის ძეგ (ადრე არასოდეს მოუმართია ჩემთვის მამის სახელით), გწუხვარ, სულითა და გულით გწუხვარ თქვენი ღენაური საქციელის გამო... ცუდად მოიქეცით, მოწყალეო ხელმწიფეგ, ცუდად. მეტიც, თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ პირდაპირ სირცხვილი გვაქამეთ! განა ამას გასწავლიდით, ბატონო ჩემო, ამას?..

— ივან მარკის ძეგ, ნება მომეცით...— აკანკალებულმა მე.

— არ მოგცემ ნებას! — დაჰკრა მაგიდას მუშტი სნიტოვსკიმ. — აბა! აი-აი-აი, სასამართლო გამომძიებელი ვიღაც რეციდივისტთან ერთად ზის ლუდხანაში! საშინელებაა, საშინელება!

— თავის მოჭრა! — დაუცარა კვერი ლასკინმა.

— ეს პირდაპირ წარმოუდგენელი რამ არის, — გამოსცარა კბილებიდან ოსტროგორსკიმ.

— როდესაც შეეგრდინმა ყველაფერი გვითხრა, გადავწყვიტეთ, რომ ეს ასე ვერ ჩაივლის, არც შეიძლება რომ ჩაიაროს... დაე თქვენთვის ეს გაკვეთილი იყოს... დიახ, გაკვეთილი იმისა, თუ როგორ უნდა ჩვენი კორპორაციის შერცხვენა...

ერთი კვირის შემდეგ გრძელ, მწვანე მაუდით გადაფარებულ მაგიდის წინ ვიდექი, რომელსაც მოლუშული, ოფიციალური დეგტიარევით სათავეში საგუბერნიო სასამართლოს დისციპლინარული კოლეგიის წევრები უსხდნენ.

იმ დროისათვის ჩემმა ძვირფასმა მასწავლებლებმა სავსებით შთამაგონეს ის, რომ დიდი და მოუტევებელი შეცდომა დაგუშვი. ახლა დისციპლინარულ კოლეგიას სავსებით გულწრფელად ვუყვებოდი ყველაფერს, რაც მოხდა, როგორც მოხდა და რატომაც მოხდა, რა საშინელ დღეში ვიყავი!

დეგტიარევი დიდი ყურადღებით მისმენდა და წაბლისფერ ნაღვლიან თვალებში, რა საკვირველიც არ უნდა იყოს ეს, მათ სიღრმეში, რაღაც ალერსიანი და, ვგონებ, მხიარული სხივი უკრთოდა. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ გაბრაზებული იწიწკნიდა წევრებს და დროდადრო ბრაზიანად მეტყოდა ხოლმე:

— აბა, არწივო, მოჰყევი მერე, მოჰყევი!.. დახეთ რა მარჯვე კაცი ყოფილა! ყოჩაღ, ყოჩაღ! შერლოკ ჰოლმსობა არ მომინდომა!

მაგრამ ყველაფერი ეს მე უკვე მერე გავიხსენე. მაშინ კი ფიქრის თავი აბა სადა მქონდა და მხოლოდ იმისი მეშინოდა, მღელვარების გამო არაფერი დამრჩეს-მეთქი უთქმელი. მართლაც ყველაფერი დაწვრილებით მოგვყევი.

მსაჯულები სულ ოც წუთს თათბირობდნენ, მაგრამ მე ეს მთელ საუკუნედ მომეჩვენა. და როდესაც დეგტიარევი გადაწყვეტილებას კითხულობდა, გაოგნებულმა და გონებაგადახშულმა, ძლივს გავიგე, რაც ჩემთვის მთავარი იყო: რომ მე სამსახურიდან არ მითხოვენ და რომ კოლეგიამ, ჩემი გამოუცდელობისა და დანაშაულის გულწრფელი აღიარების გამო, გადაწყვიტა სიტყვიერი, მაგრამ მკაცრი გაფრთხილებით დაკმაყოფილებულიყო.

წარსული საქმეა და არ დაგიმალავთ — აქ კი მეტი ვეღარ გავუძელი და ავტირდი. დეგტიარევმა ეს რომ დაინახა, რაღაც მეტად თბილი, ალერსიანი, მისთვის უჩვეულო კილოთი მითხრა:

— ეგ არაფერია, არაფერი. ნუ გრცხვენია, იტირე, ჩემო კარგო, იტირე, დაე ეს უკანანელი ტირილი იყოს შენს ცხოვრებაში...

ამ ამბიდან დიდი ხნის შემდეგ, უკვე ოცდაათიანი წლების შუახანებში, ბედმა კვლავ შემახვედრა „ადმირალ ნელსონს". მაშინ სსრ კავშირის პროკურატურაში ვმუშაობდი, საგამომძიებლო განყოფილების უფროსად. ერთხელ, როდესაც სსრ კავშირის პროკურორთან ი. ა. აკულოვთან კაბინეტში შეველი, იგი მეტად შეშფოთებული დამხვდა.

— აი, შეხედეთ, ლევ რომანის ძეს, რა დღეში ჩავავრდი, — მომმართა აკულოვმა. — სადღაც დავკარგე ჩემი სეიფის გასაღები. ორი საათის შემდეგ მოხსენებით უნდა წარვსდგე მთავრობაში, მთელი მასალები კი სეიფშია... ჩვენი მექანიკოსი ხელს ვერ კიდებს, რადგან რაღაც რთული, თაფსამტგრეველი საკეტი ჰქონია. ასე ამბობს, მაგას ერთი დღის წვალება არც ეყოფაო.

მე ამ უზრამაზარ ფოლადის სეიფს თვალი შევავლე და უეცრად გამახსენდა, რომ ერთი-ორი წლის წინ ოსიპოვმა მითხრა, „ადმირალმა ნელსონმა" თავის ძველ ცხოვრებას თავი ანება, მოსკოვში გადმოსახლდა და ერთ-ერთ მექანიკურ არტელში ტექნიკურ სამუშაოთა ხელმძღვანელად მუშაობს.

— ერთი წუთით, ივანე ალექსის ძეგ, — ვუთხარი აკულოვს. — შევეცდები გიხსნათ ამ მდგომარეობიდან.

იქვე დავურეკე ოსიპოვს, რომელიც მაშინ უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა და მოვუყევი, თუ რა გასაჭირში იყო ჩავარდნილი საკავშირო პროკურორი.

— ყველაფერი ნათელია, ჩემო კარგო, — მითხრა ოსიპოვმა. — ახლავე შეეცდები სემიონ მიხეილის ძე მოვძებნო სადმე. თუ ვიპოვე, ერთად მოვალთ, თუმცა ერთი წელი იქნება აღარსად შემხვედრია. ცოცხალი თუა, ისიც არ ვიცი...

ივანე ალექსის ძემ, რომელიც პირველივე სიტყვიდან იგებდა ყველაფერს, დადგე თუ არა ყურმილი, მითხრა:

— მითხარით, ეს ის „ადმირალი ნელსონი" ხომ არ არის, თქვენ რომ მიყვებოდით?

— სწორედ ის გახლავთ.

— ჰო, აბა, ეგ უეჭველად გვიშველის. ძველი კადრები კაცს არ უმტყუნებენ.

აქ ივანე ალექსის ძემ გაიღიმა თავისი განუმეორებელი, მეტად რბილი და ეშმაკური ღიმილით, რაც ასე ნაცნობი იყო მისი თანამშრომლებისათვის.

ნახევარი საათი არც კი იყო გასული, რომ ნიკოლოზ ფილიპეს ძე აკლოშინებული მოვარდა. მას ჩანთით ხელში მოსდევდა სუფთად და კოპწიაად გამოწყობილი ცალთვალა მოხუცი, რომელსაც მტკივანი თვალის ბუდეზე შაავლენტი კოხტად ჰქონდა აკრული. წლებს თავისი ექნათ, „ადმირალი" ამ ხნის მანძილზე ისე მოხუცებულიყო, რომ კაცი ძლივს იცნობდა. ეს კია, რომ ჯანსაღი თვალის სიღრმეში ძველებურად უციმციმებდა ცოცხალი ნაპერწკალი, რაც ასე დამამახსოვრდა პირველივე შეხვედრიდან.

ივანე ალექსის ძე „ადმირალს" მისთვის ჩვეული თავაზიანობით შეხვდა.

— გამარჯობათ, გთხოვთ, დაბრძანდით. მე მითხრეს, რომ თქვენ ერთ-ერთი საუკეთესო... ჰმ... მექანიკოსი ბრძანდებით... ასეა ხომ?

— ამხანაგო აკულოვ, თავის დროზე ევროპის თითქმის ყველა პოლიციას მიაჩნდა ასე, — საკუთარი ღირსების გრძნობით უპასუხა „ადმირალმა". — მაგრამ, ხომ იცით, როგორც წესი, პოლიცია ყოველთვის სხვაზე მეტად სცდება ხოლმე... თუმცა, ვაჟნებ, ცოტაოდენი მაინც მესმოდა სეიფებისა... რა, ამ აკლდამაზეა ლაპარაკი? —

და თან იმ ავიზიდით სეიფზე უჩვენა.

— სწორედ ეგ გახლავთ. თუ არ ვცდები, გერმანული უნდა იყოს.

— დიახ, ლეიფციგიანია, — უთხრა „ადმირალმა", თან სეიფს ათვალიერებ-

---

ლევ შეინინი
გასვრეტილი დინარები

და. — თუმცა, როგორც გერმანელები იტყვიან, „პრიმა“ არ გახლავთ. ეს სეიფი „ოტო გრილისა და K“ ფირმისაა, მე ასე თუ ისე ვიცნობ მათ პროდუქციას. ჩვენ აქ საქმე გვაქვს უკანონო ფოლადის ორმაგ რაზასთან, რომელსაც შიდა ზამბარა და, აი აქ — მარცხნივ, ავტომატური მუხრუჭი აქვს. სწორედ ეს მუხრუჭი, თუ მისი საიდუმლო არ იცი, იშერს საკეტს... აი, ეს საკეტიც — იგი საკმაოდ მუსიკალურია... რას იზამ — გერმანელებს უყვართ მუსიკა...

ამას რომ ამბობდა, „ადმირალი ნილსონი“ თან იმ ხუთი სპილენძის ჭანჭიკიან, რომლითაც საკეტი იყო დამოქლონილი, ერთ-ერთს მაგრად დაუწვა. ჭანჭიკის თავი იოლად დაჰყვა და მელოდიური წკრიალით გვერდზე გადაიწია.

— სავსებით სწორია, — ღიმილით თქვა აკულოვმა. — როგორც ვხედავ. პოლიცია ყოველთვის როდი ცდებოდა თურმე. სემიონ მიხეილის ძეს, — თუ არ ვცდები, ასე ეძახიათ, ხომ?.. — თქვენ მართლაც დიდი სპეციალისტი ყოფილხართ...

— ჯერ ნუ შემაქებთ, თვალი არ მეცეს, — უთხრა „ადმირალმა“. — ჩვენ ამ „გერმანელს“ ახლავე, როგორც საჭიროა, ისე დავიმეგობრებთ...

ჩანთიდან რაღაც წვრილი ფოლადის წნელი და გრძელი მოძრავი ენების მქონე გასაღები ამოიღო და სრულიად უხმაუროდ შეუდგა თავის საქმეს.

— სეიფების საკეტები უხეშობას ვერ იტანენ, — ლაპარაკობდა „ადმირალი“ და თან საქმეს განაგრძობდა. — სათუთად უნდა მოეკიდეს კაცი. ისინი, ისევე როგორც ქალები, ყურადღებას აფასებენ და არა ძალას... როდესაც ჩემისთანა მოხუცი ქალებზე იწყებს ლაპარაკს, კაცს ეს ცოტა სასაცილოდ შეიძლება მოეჩვენოს, მაგრამ ახალგაზრდობაში ყოფილი „ადმირალი ნელსონი“ მარტო სეიფებში როდი ერკვეოდა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი თვალი ჰქონდა მას... ჰო, მართლა, ამხანაგო აკულოვ, სწორედ ამიტომ შემარქვეს „ადმირალი ნილსონი“, ისიც ხომ ცალთვალა იყო... ათას ცხრაას ხუთ წელს ამსტერდამში ვიყავი საგანგებოდ. ჰოდა, რაღა დაგიმალოთ, ჭეველი საქმეა, იქ ერთი კარგი სეიფი დავიმეგობრე შავე... მეორე დღეს გაზეთებში ვკითხულობ, რომ ერთი კვირის შემდეგ, მაშინ ოქტომბერი იდგა, ინგლისში ჰორაციო ნელსონის დაღუპვიდან ასი წლისთავს აღნიშნავდნენ. მოგეხსენებათ, ნელსონი დაიღუპა ოცდაერთ ოქტომბერს ტრაფალგარის ყურესთან, სადაც საფრანგეთ-ესპანეთის ფლოტი სულ ნაფოტებად აქცია... გადავწყვიტე პატივი მეცა ჩემი სეხნის ნათელი ხსოვნისათვის... ამსტერდამში უამრავი განთქმული ჰოლანდიური ტტრა ვიყიდე, გემზე დავტვირთე და ინგლისისაკენ გავემართე. სამი სატვირთო ფურგონით ძლივს გადავზიდე ტტრები სასაფლაოზე. მე თვითონ კი ახალთახალ ფრაკში ვიყავი გამოწყობილი და თავზეც ასევე ახალთახალი ცილინდრი მეხურა... სინდისსა და პატრიოსნებას გეფიცებით, ხაზოგადოება, ჩემი ტტრები რომ დაინახა, მე უფრო მიცქერდა, ვიდრე ინგლისის საადმირალოს პირველ ლორდს... და მაშინ მე სიტყვა წარმოვთქვი. „ლედი ენდ ჯენტლმენ, — მიმართე მათ, — მაკვს პატივი დღეს აქ უდიდესი სიამოვნებით წარმოვადგენენ განუმეორებელ ოდესას, რომელმაც მსოფლიოს ბევრი გამოჩენილი პოეტი, მუსიკოსი, მეზღვაური და სამართლის დამრღვევი მისცა. თქვენმა ცალთვალა ადმირალმა იცოდა თავისი საქმე, რაც, საერთოდ, ბევრი სხვა ცალთვალა კაცისთვისაც არის დამახასიათებელი“. დიდი ოვაცია გამიმართეს... ეჰ, რას იზამ, სიბერის ჟამს მხოლოდ მოგონებებიღა გვრჩება. როგორც ეს კანტმა თქვა, თუმცა ამაში დარწმუნებული არა ვარ...

— რაში არა ხართ დარწმუნებული. იმაში, მხოლოდ მოგონებებიღა რომ გვრჩება, თუ იმაში, რომ ეს კანტმა თქვა? — მაშინვე ჩაეკითხა აკულოვი.

— ნიკოლოს ფილიპეს ძე დაგიმოწმებთ, რომ ეს მხოლოდ მეორეს შეეხებოდა. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ მოგონების მეტი აღარაფერი დამრჩა.

ამაში ჩემ გარდა მთელი სამძებროკ არის დარწმუნებული.

— სრული სიმართლეა, — დაუმოწმა ოსიპოვმა.

სწორედ ამ დროს „ადმირალმა“ ალერსიანად თქვა: „აი ასე, გმადლობთ, ჩემო პატარა“, — და თან სეიფის კარები გამოაღო.

აკულოვმა „ადმირალს“ მადლობა გადუხადადა და თან რიდით ჰკითხა, გასამრჯელოდ რამდენი ერგებოდა, მაგრამ „ადმირალმა“ ისე გაასავსავა ხელები, რომ ეს საკითხი მაშინვე მოიხსნა.

— კიდევ ერთხელ გმადლობთ, სემიონ მიხეილის ძევ, — სერიოზული გამომეტყველებით მიმართა აკულოვმა. — მე გულწრფელად მოხარული ვარ, რომ ახლა გაგიცანით, როდესაც თქვენ, შეიძლება ითქვას, ძნელი, იქნება ამქვეყნად ყველაზე ძნელი, გამოცდა უკვე ჩაბარეთ... მე სეიფი არა მაქვს მხედველობაში...

— მე კარგად მესმის თქვენი, ამხანაგო აკულოვ, — ჩუმად თქვა „ადმირალმა“. — თქვენ სეიფი კი არა გაქვთ მხედველობაში, არამედ ის, ვინც სეიფი გახსნა... დიახ, მართალი რომ გოქვა. მე ამ გამოცდის ჩაბარება ... წინ დავიწყე, — როდესაც ჩვენ იმ გახვრეტილ დინარებს ვეძებდით. მე ახლაც ყოველ წელს დავდივარ პუშკინის სახელობის მუზეუმში, — იქ არის ძველი მონეტების განყოფილება. ვუცქერი დინარებს და მადლობას ვუთვლი იმ უცნობ, დიდი ხნის გარდაცვლილ ოსტატს, რომელმაც თავის დროზე ეს მონეტები გამოსჭედა. კიდევ უფრო დიდ მადლობას ვუთვლი იმ ცოცხალ და კარგად ცნობილ ოსტატებს, რომლებიც ჩვენს განსაცვიფრებელ დროს სჭედავენ... და ხელახლა სჭედავენ ისეთ ძველ მონეტებსაც კი, როგორიც მე ვარ. ამხანაგო პროკურორო, დღეგრძელი იყოს ჩვენი დროცა და ჩვენი ხალხიც.

— ნება მომეცით, ხელი ჩამოგართვათ! — თითქოს უადგილოდ მიმართა მას აკულოვმა, მაგრამ, სინამდვილეში, ეს უშუალოდ ეხებოდა საუბრის თემას.

ოპარბნა გურამ გვერდწითელა



ლია. მან ერთხელ თქვა, რომ ამერიკა-იტალიის ერთობლივი ფილმის „ბიმბოიის“ გადაღებისას ათი ათასზე მეტი ცხოველი დასჭიროდა. ფილმის დამდგმელები და ოპერატორი ლომბარდის აიძულებენენ ცხოველები, მიუხედავად მათი წონისა და ზომისა, ამწეებით ძალლა ეიყვანათ (ბეტემოტის ჰაერში აყვანა კი არცთუ ისე ადვილია). როცა ლომბარდის ჰკითხეს, ყველაზე მეტად რომელი ცხოველი აწყალებდა, მან მაშინვე უპასუხა: ელმის დირეტორი და რეჟისორის თანაშემწეებიო.

ვიეტნამის დასაცავად

იტალიის კულტურის მოღვაწეებმა დააარსეს კომიტეტი, რომელიც მიზნად ისახავს ვიეტნამელი ხალხის მხარდაჭერას. კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც ბრალს სდებს ამერიკის თავრობას სამხრეთ ვიეტნამში მხეცური მოქმედებისათვის. იტალიის სხვადასხვა ქალაქებში მოეწყო პროტესტის კვირეული, მასობრივი გამოსვლები და სხვ. ამ მოძრაობის ინიციატორები არიან მწერლები: ალბერტო მორავია, კარლო ლევი, იტალო კალვინი, ელიო ვიტორინი, ჩეზარე ძავატინი, უგო პირო; მხატვრები და მოქანდაკეები: რენატო გუტუზო, ჯაკომო მანცუ, უგო ატარელი, ენიო კალაბრია; ფილოსოფოსი ეუჯენიო გარინი; კინემატოგრაფისტი ჯიელო პონტეკორვო; ისტორიკოსი-ხელოვნებათმცოდნე რანუჩო ბიანკი-ბანდინელი და მრავალი სხვა გამოჩენილი პიროვნება.

გაგრძელება იხ. გვ. 97.

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ

ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲣᲚᲘᲗᲐᲜ ᲛᲘᲐᲮᲚᲝᲔᲑᲐ

ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის დავით ჯავახიშვილის მოთხრობების კრებულის „ფიქრები ბუხრის პირას“ (გამომცემლობა „ნაკადული“, 1964 წ.) წაკითხვის შემდეგ მკითხველს სალაპარაკო და სადავო ბევრი რამ აქვს. მაგრამ ახლა ამ წერილის მსჯელობის საგანი მხოლოდ ერთი მოთხრობა „ზღვა“ იქნება და არა მთელი წიგნი.

„ზღვას“ სულ სამი მთავარი პერსონაჟი ჰყავს — დათო, პავლე და პავლეს ქალაშვილი მერი. თვითეული მათგანის ცალ-ცალკე დახასიათება და წარმოდგენა დაგვეხმარება მოთხრობის პრობლემატიკის ანალიზში. რაკი ამ მოთხრობაში ბოროტების სათავე პავლეა, ანალიზიც მისი სახით დავიწყოთ.

პავლე გამცემი და ჯაშუშია. იგი ყველა მეზობელსა და ნაცნობს სძულს. მართალია, მოთხრობაში პავლეს დანაშაული კონკრეტულად არსად არ არის აღწერილი, მაგრამ პავლეს გარშემო შექმნილი ატმოსფერო, მისი საქციელი (თუნდაც დათოს ტანსაცმლის ჯიბეების დაჩხრეკა, გვ. 99) და წრესგადასული ცნობისმოყვარეობა გაჯერებთ მის გამცემლობაში. აქ, დ. ჯავახიშვილმა კარგად დასძლია ერთი ამოცანა: მკითხველმა ირწმუნა იმათი სიმართლე, ვინც პავლეს ჯაშუში უწოდა და პავლეს მიმართ მკითხველსაც ის დამოკიდებულება და განწყობილება შეექმნა, რასაც ბოროტი კაცი იმსახურებს. მაგრამ ამავე სახესთან დაკავშირებული მეორე ამოცანა გადაუჭრელი დარჩა: არ არის გახსნილი გამცემლის ბუნება და ფსიქოლოგია.

ავტორის დამოკიდებულება პავლესადმი ირონიას სცილდება: **„პირველი, რაც ვიგრძენი, რაღაც სიცივე და ზიზღნარევი შიში იყო ამ ადამიანის მიმართ, მაგრამ ზიზღის გარდა სხვა ყველაფერმა სწრაფად გადამიარა და დამცინავად გავიფიქრე, რომ სინდიისი ისეთივე სუფთა მქონდა, როგორც ანკეტა** (განა იმას, ვინც პავლემ დაღუპა, სინდისი და ანკეტა სუფთა არ ჰქონდა? — ა. ბ.), **და რომ ადარც ძველი დრო იყო ახლა. შენ უფრო მაგრა წამოცმულხარ ანკესზე, ვიდრე მეგონა, — კმაყოფილმა ჩავიცინე და ნაპირზე გამოვედი“...** (გვ. 99). მიუხედავად იმისა, რომ პავლე არ არის ის პიროვნება,

რომლის მიმართ შეიძლება გქონდეს ასეთი უდრტვინველი ზიზღი, — არც მკითხველისა და არც ავტორის სიძულვილი უფრო ძლიერი და შეუბრალებელი არ ხდება. ამისი მიზეზი ის არის, რომ პაველ ოთხმეზური კონკრეტულ პიროვნებად რჩება და მხატვრული სახისათვის აუცილებელ და დამახასიათებელ ზოგადობას ვერ იძენს. რაც შეეხება პაველს ინდივიდუალობას, დ. ჯავახიშვილს ყველაფერი დამაჯერებლად და ნათლად აქვს დახატული: გარეგნული პორტრეტიც (დაბალი, მსუქანი, მელოტი, ნაყვავილარი, ხნიერი), ჩაცმულობაც (ტყავის ჩექმები, უქამრო და უსამხრეებო სამხედრო ტანსაცმელი), თვისებებიც (შემპარავი ხმა აქვს, მელასავით გასულია, მლიქვნელურად ძუნტულებს), მაგრამ ეს მხატვრული სახის ერთი მხარეა. მართალია, აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი. პაველს სახეს აკლია მეორე მხარე, რომელიც საშუალებას გაძლევს შეიცნო გამცემლის ბუნების ზოგადი თვისებები, მისი აზრობრივი შინაარსი და განიკადო ამ შინაარსით აღძრული ემოცია. როცა მწერალი ამ შინაარსს გაშლის და მისთვ გამოწვეული ემოციაც აღიძვრის, მაშინ შეუძლებელი გახდება მკირეოდენი ირონიით დაკმაყოფილება. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ ქვემოთ, ახლა ვიკითხოთ, რა არის პაველს სახის ცალმხრივი დახატვის მიზეზი? ეს შედეგია იმისა, რომ ამ პოლო დროს მწერლები ხშ.რად მარტო ყოფის ზუსტი ასახვით კმაყოფილდებიან. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ასეა. მაგრამ მარტო ყოფის ზუსტი და მართალი ასახვა არ არის ლიტერატურა. ლიტერატურა ამის შემდეგ იწყება. რამდენიც გინდათ შეიძლება ჩამოითვალოს ამა თუ იმ მწერლის მიერ ყოფითად ზუსტად აღწერილი ძუნწი მეგაზრის სურათი, მაგრამ ბალზაკის გობსეკი სულ სხვაა. სხვაა სწორედ იმიტომ, რომ გობსეკში თავმოყრილია ძუნწობისა და მევახშეობისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება, თუმცა ყოფის სიზუსტის თვალსაზრისით, იქნება არც კი დაიჯეროთ, რომ ერთ კაცში შეიძლებოდა მევახშის ყველა თვისებას ასე ნათლად მოეყარა. ეს საქმე ის არის, რომ ბალზაკთან ლიტერატურის სიმართლე ყოფის სიმართლეზე დიდია, რადგან გობსეკში ინდივიდუალურ-კონკრეტული სიმართლეც არის და ფილოსოფიური შინაარსის სიმართლეც. მათი დამაჯერებელი გაერთიანება იძლევა მთლიან სახეს. ასეთი მთლიანობის უკმარობა კი პაველს სახესთან დაკავშირებით გამოწვეულია, არა იმით, რომ ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ახალგაზრდა გამოუცდელ მწერალთან და მეორე შემთხვევაში კი ბალზაკთან, არამედ იმით, რომ დ. ჯავახიშვილს ყოფის სიმართლე აკმაყოფილებს და არც ცდილობს უფრო შორს წვაიდეს. ეს უკვე პრინციპად არის ქცეული და არა მარტო დ. ჯავახიშვილისათვის. აქ, არა მეონნა, აუცილებელი იყოს კონკრეტული მაგალითები. ეს მეტისმეტად ნათელი და ოიოლად დასანახი ფაქტია.

რით არის ცუდი მარტოოდენ ყოფის სიმართლე? უმთავრესად იმით, რომ ყოფითად მართალი ნაწარმოების კითხვის დროს მკითხველი ნეიტრალურია: იგი არ არის არც ტრაგიკულით შეძრწუნებული და არც კომედიურით გამხიარულებული. ნეიტრალური დამოკიდებულება კი ყოვლად შეუძლებელია, როცა მკითხველს პაველს ან მის მსგავს პიროვნებებთან აქვს საქმე.

როგორც ზემოთ ითქვა, პაველ არ არის ფუნქციადაკარგული კაცი. იგი ცოცხალია და მოქმედებს. მოთხრობაში ამას ადასტურებს ორი ფაქტი: პირველი, პაველმ უდანაშაულო ძმა გაყიდა, მაგრამ ამ ბოროტებისათვის იგი არ დასჯილა (სხვათა შორის, მკითხველისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რატომ ეპატია პაველს დანაშაული. ეს სინამდვილის მართლად ასახვას შეუწყობდა ხელს); მეორე,

პავლემ თავის ცხოვრებით მერი დაღუპვამდე მიიყვანა. განვიხილოთ ორივე ფაქტი ცალ-ცალკე.

მწერალი პავლეზე ამბობს: „სხვა მრავალთა შორის თურმე ღვიძლი ძმაც სულ ტყუილ-უბრალოდ დაუბეზღებია“ (გვ. 94) და შემდეგ ცოტა მოგვიანებით, „ასე ძალდაუტანებლად და ადვილად იტეგდა უზომო სიძულვილსა და ბოროტებას სხვების მიმართ“ (გვ. 105). პავლე არასოდეს არ დაფიქრებულა, არ გადაუსინჯავს თავისი ცხოვ**რების** გზა, ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ მწერალს არაფერი უთქვამს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პავლე ცხოვრების ფორმად ისევ ღალატს, დაბეზღებას, გაცემას აღიარებს. რაკი იგი ფიზიკურად ცოცხალია და კაცის ცხოვრება კი შეუძლებელია რაღაცნაირი ფორმით არ გამოვლინდეს, მაშასადამე, პავლესათვის იგი ისევ ჯაშუშობის ფორმით ვლინდება, ე. ი. პავლე მოქმედი ძალაა. იქნებ ობიექტური სინამდვილე პავლეს საშუალებას არ აძლევს თავისი არსებობა არაწელი ფორმით გამოავლინოს? მაშინ პავლე თავს უნდა იკლავდეს, რადგან არსებობის, ცხოვრების სხვა ფორმა მისთვის არ არსებობს. მაგრამ მოთხრობაში არსად თქმულა პავლეს განზრახვის შესახებ— თავი მოიკლას. უფრო მეტიც, იგი არც ჩივის, ცხოვრების საშუალებას არ მაძლევენო, ე. ი. პავლეს აქვს მოქმედების საშუალებაც. ამიტომ იგი **აქტიური** ბოროტებაა. აქტიური ბოროტების წინააღმდეგ კი მხოლოდ ზიზღითა და ირონიით ბრძოლა არ შეიძლება. მას (ბოროტებას) დასჯა უნდა. მკითხველში კი პავლეს სახე არ იწვევს დასჯის აუცილებლობის შეგრძნებას, მოთხოვნასა და პათოსს. ეს არის ამ სახის უმთავრესი სერიოზული ხარვეზი.

პავლეს გამო ხალხს მერიც სძულს. ძუკანსა და ცუდი ყოფაქცევის ქალაქიანან („...**ახალგაზრდა ქალიშვილი ჰყავს, რომელიც „ცუდად იქცევა“**... გვ. 94; **„მაგასა და მაგის ძუკნა გოგოს ვინ არ იცნობს“**. გვ. 103). მაგრამ ნამდვილად მერი ისეთი არ იყო, **„რომორი სახელიც** ჰქონდა ან **როგორი მაც** ჰყავდა“. ღ. ჯაკაბაშვილი „ეროვნულ ანგარიშებს ბეწვის ხიდზე გაგლას: მკითხველს სჯერა იმისაც, რასაც ხალხი მერიზე ლაპარაკობს და ამავე დროს ნათლად გრძნობს და ხედავს პავლეს ქალიშვილის შინაგან სიწმინდესაც. ხალხისა და მერის დამოკიდებულების მთელი სირთულე ის არის, რომ ორივე მართალია — ხალხიც და მერიც. მიუხედავად იმისა, რომ მწერალს უშუალოდ არსად უჩვენებია მერის უზნეო საქციელი, ქალის მოქმედება ზნირად გარწმუნებმ, რომ იგი მართლაც გამალიზანებელად იქცევა („...**თავიდან ფეხებამდე ურცხვად ჩამათვალიერა**“, გვ. 108; **„მერე ძალიან უსიამოვნოდ, ყალბად გაიცინა და ხელი ლოყაზე მომიცაცუნა“**, გვ. 113, და სხვანი). მერის ასეთი საქციელი თვითგვემაა, მაგრამ შექმნილი მდგომარეობიდან სხვა გამოსავალი არაა. მერის არ დაუჯერებენ, მერის კეთილშობილებას არ იწამებენ. პავლეს დანაშაულმა მერის გზა გადაუკეტა ხალხისაკენ და ამიტომ იგი, დაბნეული, პროტესტის ყალბ ფორმას ირჩევს: ცდილობს თავისთავიცა და სხვაც დაჯეროს, რომ მართლაც სიძულვილის ღირსია (დაიკვირდით, როგორ **ცინიკურად** ლაპარაკობს იგი თავისთავზე: **„ტყუილად შეწუხდებით, შენ რა, არ იცი, ვისთან გაქვს საქმე?“**). ხალხსა და მერის შორის არსებული წინააღმდეგობა რაღაცნაირად უნდა გადაიჭრას, რაღაცნაირად უნდა მოეძებნოს ლოგიკური დასასრული. ამ დროს მერის ცხოვრებაში ჩაერევა დათო. რომელიც უნებლიეთ იქცევა წინააღმდეგობის გადაჭრის მიზეზად. საქმე ის არის, რომ დათოს დაინახა მერის შინაგანი ბუნება და არ ისურვა პავლეს დანაშაულით გამოწვეული სიძულვილის მერიზე გავრცელება. უფრო მეტიც, მათ შორის სიყვარულიც დაიბადა (უფრო სწორად, უნდა დაბადებულიყო). აქ კი მოულოდნელად გათავდა ყველაფერი: მერი დაიღუპა. თუ აქ-

ძდე ამბავი ბუნებრივად და ლოგიკურად ვითარდებოდა, აქ ხელოვნურობისა და ნაძალადევობის ელემენტი გაჩნდა, რადგან მერის სიკვდილის მიზეზები მწერალმა ნათლად ვერ გვიჩვენა. მკითხველმა დანამდვილებით არ იცის — მერიმ თავი დაიხრჩო თუ შემთხვევით დაიღუპა. ამ ფაქტის გარკვეულად ცოდნას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს, თუ მერი ავტორმა შემთხვევით დაახრჩო, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ დ. ჯავახიშვილმა კონფლიქტის გადაწყვეტა მოახერხა და იოლი გზით მიიყვანა ამბავი დასასრულამდე — ერთ-ერთი პერსონაჟი საერთოდ გამოთიშა მოქმედებიდან. ხოლო თუ მერიმ თავი დაიხრჩო, მაშინ სიკვდილის ეს შეგნებული აქტი პავლეს ქალს ტრაგიკულ პერსონაჟად ხდის და მის ბუნებას სულ სხვა კუთხით გვიხსნის.

თვითმკვლელობის აქტით მერი მაღლდება იმით თვალშიაც, ვისაც კი სძულდა და იმით თვალშიც, ვისაც უყვარდა. ამ ამაღლებას თავისი გამაპირობებელი მიზეზები აქვს. ჯერ ერთი, მერიმ მამის დანაშაულის ჯვარი იტვირთა და სიკვდილით ჩამოიორცხა ყველა ჭუჭყი, რაც პავლეს გამცემლობით მისცხებია. იგი უდანაშაულოა, მაგრამ მამის მაგიერ პასუხისმგებლობას მაინც კისრულობს. ეს მისი მორალური სიწმინდის დამადასტურებელია. მეორეც, როცა მერიმ ჭეშმარიტი სიყვარულის მოახლოება იგრძნო, იგი მიხვდა, რომ ნამდვილი სიყვარულისათვის აუცილებელი სულიერი ძალები დახარჯული ჰქონდა და ცხოვრების თავიდან დაწყება არ შეეძლო. ქალი მიხვდა ამასაც, რომ დათო ის კაცი არ იყო, რომლის სიყვარულსაც მისი ხსნა შეეძლო. ამისათვის დათოს არც ნებისყოფა ყოფნიდა, არც გონებრივი და სულიერი სიღრმე, არც სიყვარულის ძალა. იგი მხოლოდ „კარგი ბიჭი“ იყო. ადამიანი რომ იხსნა, მხოლოდ „კარგი ბიჭობა“ არ კმარა. მერის კი მხსნელი უნდოდა და რაც სიყვარულში ვერ პპოვა, სიკვდილში მოძებნა. ყველაფერი, რაც ითქვა **მხოლოდ** ვარაუდია, რადგან ავტორმა ეს ფიიდ არ გვითხრა — მერის სიკვდილი შეგნებული თვითმკვლელობა იყო, თუ შემთხვევითი აქტი. ამიტომაც მოხდა ისე, რომ დ. ჯავახიშვილი ტრაგიკული სახის ბუნებას მიუახლოვდა. მაგრამ იგი ტრაგიკულად ვერ **გახსნა,** ვერ გაშალა. იმის გამოცნობა კი, თუ რატომ გადაფარა ავტორმა მერის სიკვდილს ბუნდოვანების ნისლი, — ძნელია. შეიძლება ეს იყოს შედეგი იმ დაწერილი თუ დაუწერელი „თეორიისა“, რომელიც ირწმუნება, რომ მკითხველს ბოლომდე ყველაფერი არ უნდა უთხრა და საფიქრებელი დაუტოვო. ამ „თეორიის“ ავტორებს ავიწყდებათ, რომ მკითხველის ფიქრისა და განსჯის საკანი **მხატვრული ნაწარმოების აზრი უნდა იყოს და არა ბნელითმოცული სიუჟეტური სვლები.**

აქ არ შეიძლება არ გაიხსენო მოთხრობა-გამოცანები, რომელთაც 40-იან წლებში ჟურნალი „ამერიკა“ ბეჭდავდა. მკითხველთა გასართობად. აი, ერთ-ერთი მათგანის შინაარსი.

ძველ რომში ერთ მონას პატრიციუსის ქალი შეუყვარდა. არც ქალი დარჩენილა გულგრილი ვაჟისადმი. როცა ქალის მამამ ეს ამბავი შეიტყო, მის მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა. პატრიციუსმა გადაწყვიტა, მონა სამაგალითოდ დაესაჯა. ქალი ბევრს ეცადა შეუყვარებულისათვის სასჯელი შემსუბუქებინა, მაგრამ ბევრს ვერაფერს მიაღწია. მხოლოდ ის მოახერხა, რომ მამას ისეთი სასჯელი გამოაძებნინა, სადაც მონას გადარჩენის შანსიც ჰქონდა. ცირკის არენაზე ორ გალიას გამოიტანდნენ, რომელთაგან ერთში მონა ქალი იჯდა, მეორეში კი ვეფხვი იყო დამწყვდეული. რა თქმა უნდა. გალიაში არაფერი ჩანდა და არც რისიმე ჩამიჩიქმი ისმოდა. მხოლოდ პატრიციუსმა და მისმა ქალმა, მონის შეყვარებულმა, იცოდა — რომელ გალიაში იჯდა ქალი და რომელში — ვეფხვი.

აკაკი ბაქრაძე

ტრაგიკულთან მიახლოება

მონა დამსწრე საზოგადოების თვალწინ უნდა შესულიყო გალიაში. თუ იგი შემთხვევით შევიდოდა გალიაში, რომელშიც მონა ქალი იჯდა, მაშინ უფლება ეძლეოდა იმ ქალთან ერთად რომიდან სამუდამოდ გადაკარგულიყო, ხოლო თუ ბედი არ გაუღიმებდა და იმ გალიის კარს შეაღებდა, რომელშიაც ვეფხვი იყო, მაშინ იგი, ცხადია, მხეცის მსხვერპლი გახდებოდა და ყველაფერი ამით დამთავრებოდა. დასაჯის ღღეც დადგა. არენაზე ორი გალია დგას. სულგანაბული ხალხი მისჩერებია მონას, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია რომელ გალიაში შეეიდეს. იგი თვალებით ეხვეწება ხალხს, დამეხმარეთო, მაგრამ არავინ არაფერი იცის და შველაც არ შეუძლიათ. მაშინ მონამ თავის საყვარელს — პატრიციუსის ქალს მიაპყრო მზერა და... ქალმაც თვალების მოძძაობით ანიშნა მარცხენა გალიაში შედიო. მონა მიტრიალდა და მარცხენა გალიის კარი შეაღო. აქ თავდება მოთხრობა. ამის შემდეგ ავტორი იქედნურად კითხულობს: სად შეუშვა ქალმა ვაჟი — იმ გალიაში, რომელშიც მონა ქალი იჯდა, თუ იმ გალიაში, რომელშიც ვეფხვი იყო დამწყვდეული? აი, სიუჟეტური რებუსის იდეალური მაგალითი. ეს მოთხრობა-გამოცანა გაუთავებელ კამათს იწვევდა. ყველას აინტერესებდა — ვეფხვს შეაჭამეედა პატრიციუსის ასული თავის საყვარელს თუ მეორე ქალისათვის გიამეტებდა? მიუხედავად ამ მოთხრობით გამოწვეული ფიქრისა და ათასგვარი ვარაუდისა, ცხადია, რომ მას არაფერი აქვს საერთო ხელოვნებასთან და არც გამომქვეყნებელი ჟურნალი თვლიდა მას ლიტერატურად. ასე რომ, სიუჟეტური სვლების ბუნდოვანება და გაუგებრობა არასდროს ყოფილა და არც იქნება ჭეშმარიტი ლიტერატურის ნიშანი.

საუბრის ძირითად გეზს გადაეუხვევ და შეიძლება დ. ჯავახიშვილს უსამართლოდ ის მივაწერე, რაც მას არც უფიქრია და რასაც არც იზიარებს.

იოლად ცდილობს დ. ჯავახიშვილის პერსონაჟი დათო თავიდან მოიცილოს მორალური პასუხისმგებლობა, რომელიც მას მერის სიკვდილით ეკისრება. ეკისრება იმიტომ, რომ მერის ნამდვილი სიყვარულს წყურვილი აღუძრა, სუფთა და პატიოსანი ცხოვრების ქვეყანა დაანახა, მაგრამ არაფერი კი არ გააკეთა იმისათვის, რომ ქალი ამ წმინდა ქვეყანაში დარჩენილიყო. იგი მერის დაღუპვით იმდენად შეშინდა, რომ აღარც ქალის უბედობას ჩიოდა და აღარც საკუთარ სიყვარულზე დარდობდა. მარტო ერთი სურვილიღა ამოქმედებდა: როგორმე თავი ემართლებინა. ამიტომაც ებღაუჭებოდა დათო გ. რჩეულიშვილის სტრიქონებს (გვ. 128):

— „ჰო, — თქვა გურამმა, — ჯერ რომ შაღესულიყავით, ეგ ამბავი არ მოხდებოდა.

— მაგ „რომ“-ზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგ „რომ“-ების უზარმაზარი ჯაჭვი შეიძლება გაკეთდეს, ასე რომ ჩავყვეთ, მივალთ იქამდე, რომ საერთოდ არ დაბადებულიყო. არც მოკვდებოდა“ („სიკვდილი მთებში“).

ამ სიტყვებს დაუმშვიდებია დათო და მიმხვდარა, რომ ტყუილად იწუხებდა თავს (გვ. 128). მაგრამ იგი მწარედ ცდება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გ. რჩეულიშვილის მიერ აღწერილი სიკვდილი სხვა სიკვდილია. იქ ნამდვილი შემთხვევითობაა. „ზღვაში“ კი, როგორც უკვე ითქვა, გარკვეული არ არის, მერის სიკვდილი შემთხვევითია თუ წინასწარმოფიქრებული აქტია. მეორეც, დათოს არა აქვს უფლება „რომ“-ებით იმართლოს თავი. მისი დაპირებანი — „მე კიდევ ჩამოვალ, მერი... არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა... მე აუცილებად დავბრუნდები“... — განა დათოს მორალურად ვალდებულს არ ხდიდა? მერის ცხოვრებაში იგი უკვე აღარ იყო შემთხვევითი კაცი და ამიტომაც დათოს ცდა — ციტატებით დაიმშვიდოს თავი, მორალურ უპასუხისმგებლობას ნიშნავს. პერსონაჟს შეუძლია როგორც სურს ისე მოიქცეს, ეს ნისი საქმეა.

სადავოა ავტორის პოზიცია, რომელიც არ განსხვავდება პერსონაჟის პოზიციისაგან. საქმე ის არის, რომ დათოს საქციელი და დაპირება უპასუხისმგებლოდ დახარჯული სიტყვის პრობლემას აყენებს. იგი არ უფიქრდება, რა შეიძლება მოჰყვეს მის საქციელს და როგორ შეიძლება უპასუხისმგებლად ნათქვამი სიტყვა იქცეს ტყუილად. დათოს ხომ დანაპირების შესრულება არ შეუძლია!.. ე. ი. ნებით თუ უნებლიეთ იგი ატყუებს მერის, რითაც დანშაულს სჩადის. რა ვუყოთ მერე, რომ იგი ამას ბოროტი განზრახვით არ აკეთებს („გულწრფელად ვპირდებოდიო", — ამბობს დათო. გვ. 119—120). მაგრამ განა მანვე არა თქვა — „იმ წუთში ნამდვილად არა ვტყუოდიო?" (გვ. 116). წუთიერად დონ-ჟუანიც გულწრფელია. სწორედ ეს წუთიერი გულწრფელობა, რომელიც მან მუდმივ გულწრფელობად ვერ აქცია, არის დათოს დანშაულის საფუძველი. ამიტომაც გამოდის, რომ დათო ბევრით არ განსხვავდება იმათგან, ვინც მერის „კაი ლუკმას" ეძახის. ასე გამოვლინდა ანალიზის შედეგად დათოს ბუნება, მაგრამ დაგვაკლდა მწერლის დამოკიდებულება ვაჟის მორალური დანშაულისადმი. ავტორი ფაქტის კონსტატაციით დაკმაყოფილდა, რაც მხოლოდ ყოფის სიმართლეა, და არ გამოიკვლია ნაკლოვანებანი, ანუ „ძირნაწანი", რომელიც ემოციურად უარყოფით დამოკიდებულებას მოითხოვდა. მოხდა ისე, რომ პერსონაჟის საქციელის ანალიზის უკმარობამ საშუალება არ მოგვცა დაგვენახა პოზიცია, რომლითაც მწერალი ამა თუ იმ მოვლენას, ან კონკრეტულ საქციელს უყურებს. ეს კი მწერლის კონცეფციის ნათლად წარმოდგენას უშლის ხელს. აქაც, სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ლიტერატურაში გავრცელებულ ნაკლთან გვაქვს საქმე.

არც დღეს და არც არასდროს ლიტერატურა არ ყოფილა მხოლოდ აღწერა. იგი მუდამ იყო სერიოზული, ღრმა და ანალიტიკური კვლევა. ლიტერატურის ერთმთლიანობად ქცეული ორი პრინციპიდან — ღრმად შეგიმეცნოთ და მშვენივრად ავსახოთ — მეორეს რატომღაც მეტი ყურადღება ექცევა. თითქოსდა შეიძლებოდეს მშვენიერი ასახვა ღრმა შემეცნების გარეშე. ლიტერატურას, ხელოვნების ყველა დარგს, ორივე პრინციპი თანაბარი ძალით სჭირდება. სხვანაირად შეუძლებელია.



იტალიური კინო
1965 წელს

მსოფლიო კინოფესტივალებზე იტალია ოთხი საუკეთესო ფილმით წარსდგება. ეს ფილმებია: ლუკინო ვისკონტის „დიდი დათვის შორეული ვარსკვლავები", ფედერიკო ფელინის „ჯულიეტა, სულებით შეპყრობილი", ფრანჩესკო როზის „სიმართლის წუთი" და ვალერიო ძურლინის „ჯარისკაცი ჭალები".

1965 წელს იტალიის კინოპროდუქციაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკერს სოციალურ და მორალურ თემებზე შექმნილი სატირული კომედიები. ამ ჟანრს მიეკუთვნება ამჟამად წარმოებაში მყოფი ფილმები: პიეტრო ჯერმის „ბატონები და ქალბატონები" და პოლიოდოროს „ცოლს ამერიკაში ვთხოულობ" (ეგო ტონიაცის მონაწილეობით). ცნობილი მსახიობი ვიტორიო გასმანი ოთხ კინოკომედიაში მიიღებს მონაწილეობას.

რეჟისორი მაურო ბოლონინი მაკიაველის „მანდრაგორას" მიხედვით გადაიღებს კინოკომედიას. ფილმში მონაწილეობას მიიღებენ მსახიობები როზანა სკიაფინო და ნინო მანფრედი. მწერალი-კინორეჟისორი პიერ პაოლო პაზოლინი დგამს ფილმს პლავტის კომედიის „მკვეხარა მეომრის" მიხედვით.

დასადგმელად მზადდება ფილმები: ნინი ლოის „ოჯახის თავი", ელიო პეტრის სამეცგაგრძელება იხ. გვ. 155.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოვიკა პაჭკორია

დიდი ლიტერატურა პატარებისათვის

ამას წინათ მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციამ განიხილა ჟურნალ „დილას“ უკანასკნელი ექვსი ნომერი. დამსწრეთათვის, რასაკვირველია, საინტერესო იყო იქ გამოსული მწერლების აზრის მოსმენა. უნდა ითქვას, განხილვას საკმაოდ მძაფრი პოლემიკური ხასიათი ჰქონდა, ერთმანეთს დაუპირისპირდა გარკვეული ტენდენციები. უფრო სწორად, განსხვავებული ემოციების მქონე ლიტერატორები თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ შეხედულებას, მაგალითად იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჟურნალ „დილას“ მე-5 ნომრის ყდაზე დახატული კვიცის თვი.

ბავშვებისათვის წერა ძნელია (ამ ფრაზას განხილვაზეც ხშირად იმეორებდნენ და აქ სადავოც არაფერია), არა ნაკლებ ძნელია კრიტიკული წერილის დაწერა საბავშვო მწერლობაზე, მით უმეტეს, რომ ამ მხრივ ჩვენ თითქმის არავითარი გამოცდილება არ გაგვაჩნია. ჩემს წინ დევს ჟურნალ „დილას“ 1965 წლის პირველი 6 ნომერი და ჩემთვის ჯერ კიდევ გაურკვეველია, რაზე უნდა ვილაპარაკო. ჟურნალ „დილას“ მე-5 ნომრის ყდაზე დახატული კვიცის თვის გამო და ვინ უნდა მისულიყო ელჩად ჭიანჭველების ხელმწიფესთან, თუ იმის თაობაზე, როგორია საერთოდ ჟურნალი „დილა?“ ალბათ ერთზეც და მეორეზეც და ამ შემთხვევაში შევეცდები კვალდაკვალ გავყვე ჟურნალის განხილვაზე გაკვრით გამოთქმულ ზოგიერთ შენიშვნას. აქ კი საჭიროა ნათლად წარმოიდგინო ბავშვის სულიერი სამყარო (რა თქმა უნდა, არა საკუთარი თავის გაბავშვებით), გაიხსენო ის, რაც შენს მეხსიერებას არ შემორჩენია და რისი აღდგენა მაინც შეიძლება, რადგან ყოველ ჩვენთაგანს აქვს კონტაქტი ბავშვებთან და რაც მთავარია არსებობს დიდი ლიტერატურული ტრადიცია.

მივყვეთ თვით განხილვას. მომხსენებელმა ნოდარ ალანიამ ჟურნალის მესვეურთ უსაყვედურა — თქვენ იმავე ენით ესაუბრებით ბავშვებს, როგორც ათი, ოცი და ოცდაათი წლის წინათ ესაუბრებოდნენო. ეს აზრი შემდეგ სხვებმა სათანადოდ გააღრმავეს, წამოიჭრა თანამედროვეობის საკითხი და ბოლოს რედაქციას ისიც კი მიუთითეს — რა ამბავია ამდენი კურდღლები, მელიები და ციყვებიო.

შესაძლოა ამ მოთხოვნას თავისი გამართლებაც აქვს, მაგრამ იგი ისე კატეგორიულად და სწორხაზოვნად იყო გა-

მოოქმული, რომ შენიშვნის ნაცვლად ჟურნალის საერთო სახის მთლიანად შეცვლის პრეტენზიის ხასიათი მიეცა. საკითხის ასე დაყენება კი ჩვენ რამდენადმე უსაფუძვლოდ მოგვეჩვენა.

განიცდის თუ არა ბავშვთან სასაუბრო ენა (აქ ლაპარაკი არ არის არც ლექსიკაზე და არც გრამატიკის ნორმებზე) ასიმილაციას ათ და ოც წელიწადში? ხოლო რაც შეეხება სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღქმას და გარე სამყაროსთან დამოკიდებულებას. საეჭვოა რომ მასზე ასე მკვეთრ და ადვილად შესამჩნევ გავლენას ახდენდეს, მაგალითად, ტექნიკის მიღწევები. ალბათ ამ დამოკიდებულებას უფრო მყარი, უფრო უშუალო და ტრადიციული კონტაქტის ფორმა აქვს, ვიდრე მოზრდილი ადამიანისას, რომელიც ფორმასა და შინაარსს სულ სხვა კატეგორიებით აერთიანებს.

ბავშვი ბევრ შეცდომას უშვებს, მან ჯერ კიდევ არ იცის მოვლენისა თუ საგნის შინაარსი და მათ ერთმანეთს უაღრესად თავისუფალი ასოციაციებით უკავშირებს, მომხიბვლელი უშუალობით ცვლის საგნის შინაარსს და აქ ძალის დატანება არ შეიძლება, რადგან ისედაც „რა გიგანტური სამუშაო უნდა შეასრულოს ბავშვის აზროვნებამ, რომ შვიდი წლის ასაკისათვის დაძლიოს მის გონებაში არსებული ქაოსი“.

ამ საკითხებთან არის დაკავშირებული თანამედროვეობის საკითხიც.

ეროხელ კორნეი ჩუკოვსკიმ მოისურვა ბავშვებისათვის ზღაპარი „კუზიანი კვიცი“ ესახსოვრა, მაგრამ პედაგოგმა (იგი ალბათ კურდღლებისა და ციყვების კატეგორიული წინააღმდეგი იყო) მას უთხრა — ჩვენ ეს არ გვჭირდება, ჩვენ გვინდა რაშე დიზელზე და რადიოზე.

კი მაგრამ, საიდან მოდის ასეთი ულტიმატუმი, — ამბობს ჩუკოვსკი — რატომ ფიქრობს ეს ახალგაზრდა კაცი, რომ თუ ყმაწვილმა „კუზიანი კვიცი“ წაიკითხა, იგი აუცილებლად შეაქცევს ზურგს ტექნიკას და სიბერეშდე ფანტასტიკურ ფრინველებზე იოცნებებს?!.

გამოცდილ და ბავშვის ფსიქოლოგიის კარგად მცოდნე მწერალს აფიქრებს ის გარემოება, რომ ზოგი აღმზრდელი ბავშვის ფანტაზიის განვითარების ხელშეშემშლელ, ხელოვნურ და ნაძალადევ მეთოდებს იყენებს.

გარდა ამისა, ავიღოთ ერთი წაბნდა ლიტერატურული ფაქტიც. ზღაპრები დაწერილი სიკეთეზე, მეგობრობაზე, ერთგულებაზე (ტრადიციული ჭიანჭველებო, ტკვიის ჯარისკაცებითა თუ ცეროდენებით) დღემდე ცოცხლობენ, ფანტასტიკური ნაწარმოებები ტექნიკაზე კი საკმაოდ დღემოკლენი არიან და მათი არსებობის დროს თვით ტექნიკის განვითარება განსაზღვრავს. მაგალითად, ა. ტოლსტოის „ბურატინო“ გაცილებით უფრო თანამედროვე ნაწარმოებია, ვიდრე მისივე „ინჟინერი გარინის ჰიპერბოლოიდი“. არაკებისა და ზღაპრების პირობითობა არ დაძველებულა, მექანიკურად გაგებული თანამედროვეობის ბედი კი უაღრესად პირობითია.

მიუხედავად ამისა, განსაზღვაზე გამოთქმულ მოსაზრებაში ერთგვარი რაციონალური მარცვლის მიგნებაც შეიძლება. საკითხი არ ეხება ბავშვისათვის ნაცნობი ზღაპრული სამყაროს ესთეტიკური არსის, პერსონაჟებისა და მათი ქცევის შეცვლას. უნდა შეიცვალოს ყოფითი დეტალები (ეს განსაკუთრებით მხატვრებს ეხება და მომხსენებელსაც ეს თუ ჰქონდა მხედველობაში). გავიხსენოთ ზოგიერთი მულტიპლიკაციური ფილმი, სადაც ზღაპრული სამყარო ტრადიციულია, მაგრამ გამოყენებულია ცივილიზაციის განვითარების ამსახველი ინვენტარი, დათუნები და ციყვები მოტოროლერებითა და მანქანებით დასეირნობენ. ასეთი „მოდერნირება“ ბუნებრივია და ბავშვიც მას ადვილად აღიქვამს.

ჟურნალ „ დილას“ რედაქციას ამ მხრივაც სწორი გეზი აქვს აღებული. მართალია, ჯერ კიდევ ეშვიათად, მაგრამ თანდათანობით ჟურნალს ბავშვის

ოტია პაჭკორია

დიდი ლიტერატურა პატარებისათვის

წარმოდგენაში შეაქვს დღევანდელი ყოფის რეგალიები ისე, რომ არ ცვლის და ძალას არ ატანს ბავშვის დამოკიდებულებას გარემოსადმი (გავიხსენოთ თუნდაც გასული წლის მე-12 ნომრის ყდის მხატვრობა).

ბავშვი რეალურ და იმავე დროს ფანტასტიკურ გარემოში ცხოვრობს. იგი საგნებს მოულოდნელ შინაარსს აძლევს, უაღრესად საინტერესო ასოციაციებით აკავშირებს ერთმანეთთან, თავისებურად ქმნის სახეს და ყველაფერი ეს თითქმის ყოველთვის მის პირად, ჯერ კიდევ მცირე გამოცდილებიდან გამომდინარეობს.

ერთმა პატარა ბიჭმა მთვარეზე და ვარსკვლავებზე თქვა — ვარსკვლავები მთვარის ნარჩენებისაგან არის გამომცხვარიო. ასოციაცია მოულოდნელია, მაგრამ ლოგიკური და მარტივი. ბავშვმა ის, რაც იცოდა, უშუალოდ დაუკავშირა იმას, რის შესახებაც არაფერი არ იცოდა. მას არაერთგზის უნახავს, როგორ რჩებოდა პატარა ნაჭრები, როცა დედა ცომს აგუნდავებდა, ზუსტად ამ სახით წარმოიდგინა მან, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთვარისა და ვარსკვლავების „ურიიერთობაც“.

ასევე საკუთარი გამოცდილების საფუძველზე განმარტა ბავშვმა, თუ რა არის სამოთხე.

— სამოთხე არის ვაშლები, მსხლები, ნარინჯი, ალუბალი... — უთხრეს მას.

— მივხედი, — განაცხადა ბავშვმა, — სამოთხე კომპოტი ყოფილა.

როცა კაცი ხელს მოკიდებს ბავშვებისთვის ლექსების ან მოთხრობების წერას, მან იმთავითვე უნდა გაითვალისწინოს, რა სიძნელეა დაფარული ამ სამარტივეში. აქ საქმეს დიდაქტიკური კატეგორიულობა ვერ უშველის. თუ ბავშვს შეუძლია ასეთი ასოციაციების შექმნა, მის დასაჯერებლად აუცილებელია ამ ასოციაციების ლოგიკის მიგნებისა და თუ საჭიროა, გამოგონების უნარი დიდსაც შესწევდეს. ეს სიმარტივე ზშირად (და ამის ბევრი მაგალითი არსებობს) ენის მორლექის ცთუნებას იწვევს, სინამდვილეში იგი გაცილებით უფრო რთულია და მისი ქაოტიურობაც მოიჩვენებითია.

ერთი თბილისელი ბიჭუნა „ჩიტო, ჩიტო ჩიორასა“ სტროფს — თორემ შავ დღეს დაგაყენებ — ყოველთვის ურთავდა სიტყვა — კუთხეს, მას ლექსი სწორად ვერაფრის გზით ვერ ათქმევინეს:

„შავ დღეს დაგაყენებ კუთხეში“, — იმეორებდა ბავშვი.

აქაც იგი ძველ-რბილში გამჯდარი პირადი გამოცდილებით შეიჭრა ლექსის სამყაროში და მას თავისთვის გასაგები შინაარსი მისცა, „შავი დღე“ და „დაგაყენებ“ კუთხეს დაუკავშირა. ეტყობა, ეს მეთოდი მშობლების აღმზრდელობითი პრაქტიკის განუყოფელი ნაწილი იყო. ასე რომ, იგი ბავშვისთვის ცოცხარების ერთ-ერთ პირველ დიდ გამოცდილებად გადაიქცა, იმ გამოცდილებად, რომელმაც ადამიანის ხასიათი შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე განაპირობოს.

ჟურნალმა „ლილამ“ უნდა ასწავლოს ოავის პატარა მკითხველებს სიკეთისა და ბოროტების გარჩევა, სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარული, მეგობრობა და ერთგულება, განუვითარა სილამაზის გრძნობა, საფუძველი ჩაუყაროს მათ ზოგად განათლებას, გაუმდიდროს გამოცდილება.

ეს საკითხები არც ახალია და არც ჟურნალის რედაქციას გამოუგონია. ამ პრინციპით იქმნებოდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“, ამ დიდ საქმეს ემსახურებოდა „ნაკადული“ და „ჯეჯილი“. ათეული წლების მანძილზე დადგენილი ტრადიცია კიდევ უფრო ზრდიდა პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობას. ჟურნალის რედაქცია დიდი სიფრთხილით მოეკიდა ამ ტრადიციას, მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ნოვატორობის საფარველს ამოფარებული ნებისმიერი და გაუმართველი ძიებები სახიფათოც კია. მაგრამ ამის გამო გადამეტებული სიფრთხილის გამოჩენაც არ იქნებოდა სწორი. საჭირო იყო ახალი ფორმების გამონახვა, თვისობრივი სიახლეების მიგნება, ჟურნალის ერთიანი სტილის გამო-

მუშაება და დადგენა. „დილას“ რედაქციამ თამამად და იმავე დროს ფრთხილად, უკვე დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და, უნდა ითქვას, ჯერჯერობით წარმატებითაც გაართვა მას თავი.

ჟურნალ „დილას“ მკითხველები არიან სკოლამდელი ასაკისა და დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვები. პირველნი, სამყაროს ჯერ კიდევ პლასტიკურად, უშუალოდ და თავისებური ბავშვური „შეცდომებით“ აღიქვამენ, მეორე ასაკმა უკვე განვლო ახრის იმ დიდი დაძაბვის პერიოდი, რაც „მის გონებაში არსებულ ქაოსის“ დასაძლევად იყო საჭირო და ახლა იგი უკვე ნათლად გამოხატულ მორალურ საწყისებსა და კონკრეტულ ცოდნას ეტანება. ჟურნალის ყოველი ნომრის შექმნისას რედაქციის წინაშე დგას ამოცანა, ჰარმონიულად შეუერწყას ერთმანეთს ეს ორი საგრძნობლად განსხვავებული სფერო, რომ მათ შორის არსებულმა ზღვარმა ჟურნალის მხატვრული მთლიანობა არ დაარღვიოს. ფაქტიურად აქ ორი სხვადასხვა მოთხოვნილების მკითხველის ერთდროულად დაკმაყოფილებაა საჭირო და ამავე დროს ერთი, კომპოზიციურად და სტილისტურად შეკრული, ჟურნალის გამოშვებაც. ეს კი არცთუ ისე ადვილია. რედაქციამ უნდა შეძლოს გულისხმიერად და დამაჯერებლად ესაუბროს მ.ს, ვისაც ვარსკვლავების წარმოშობაზე ფრიად ორიგინალური აზრი აქვს და მასაც, ვისაც უკვე მეტალურგიისა თუ ელექტროფიკაციის საფუძვლები აინტერესებს.

ჩვენ ამ სტატიაში არ შევუდგებით თვითეული ნომრის ცალ-ცალკე განხილვას, გამოვყოფთ მხოლოდ რამდენიმე საკითხს, რაც, ჩვენი აზრით, ჟურნალის დღევანდელ სახეს განსაზღვრავს.

არსებობს ერთი საესტრადო ჟანრი — „სამაგვშო ზღაპრები დიდებისათვის“. იგი თავის დროზე რიმა ზელიონაიამ შექმნა. ერთი წუთით დავივიწყოთ, რომ იგი ესტრადაზე წარმოიშვა და ავიღოთ როგორც დებულება, რომელსაც მოელი რიგი საკითხების განსაზღვრა შეუძლია. რასაკვირველია პატარა მკითხველები დამოუკიდებლად არ ირჩევენ თავს ლიტერატურას, არ მიდიან კინოში, არ ყიდულობენ ჟურნალ „დილას“ და უცავ და ძალდატანებულად გებულობენ ყველა ლექსს, არაკს თუ მოთხრობას.

სბავშვო ჟურნალსა და მის ძირითად მკითხველს შორის ყოველთვის დგას შუამავალი — მშობელი. იგი ინტერპრეტატორიც არის და კომენტატორიც. სწორედ აქ იწყება ლაპარაკი იმ ლიტერატურულ ღირებულებაზე, რაც ჟურნალს მოზრდილებათვისაც უნდა ჰქონდეს.

ჟურნალ „დილას“ რედაქციამ ამ საკითხს სათანადო ყურადღება მიაქცია და ხელმძღვანელობს ცნობილი პრინციპით — დიდი ლიტერატურა პატარებისათვის იმავე დროს ნიშნავს ლიტერატურას დიდებისათვის.

ყოველი სბავშვო ნაწარმოების (თუ იგი ჭეშმარიტი ლიტერატურული ქმნილებაა) მორალი საინტერესოა დიდებისთვისაც, ამავე დროს მოზრდილისთვის საინტერესო მორალურ კონცეფციაში ბავშვი ყოველთვის იპოვის მისთვის გასაგები, უფრო მარტივ მორალურ ფორმულას (აქ მას უფროსებიც დაეხმარებიან და უკვე შემუშავებული პირადი წარმოდგენებიც შეუწყობს ხელს). ერთ დროს ჩვენს სბავშვო მწერლობაში გავრცელებული იყო აზრი, თითქოს ბავშვს მშრალი სენტენციებით უნდა ელაპარაკო, პირდაპირ უნდა უთხრა—ასე ჰოქცევა არ ვარგა, ასე კი კარგია, რადგან ბავშვს თითქოს არ ძალუძდა შეფარვით ნათქვამის მიხვედრა, თითქოს იგი ვერ აღიქვამდა სახეებით გადმოცემულ აზრს. ეს უაღრესად მცდარი შეხედულება ერთგვარმა პედაგოგიურმა ცალმხრივობამ წარმოშვა. ნათლად და გასაგებად აზრის გადმოცემა ამ აზრის უტილიტარული სახით გამოთქმას არ ნიშნავს და საერთო ლიტერატურული კა-

---

ოტია პაჭკორია

დიდი ლიტერატურა პატარებისათვის

ნონი საბავშვო მწერლობაზეც ვრცელდება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, მაგალითად, ჭაბუა ამირეჯიბს თავისი არაკები არ დაუწერია მაინცადამაინც ბავშვებისათვის (ისე როგორც თავის დროზე „კუზიანი კვიცი“ ან ანდერსენის ზღაპრები არ დაწერილა საგანგებოდ ბავშვებისათვის, ბავშვის გულისკენ მათ გზა ჰუმანურობამ, ხალხურობამ და კლასიკურმა სისადავემ გაუხსნა. ისინი ბავშვებმა დაისაკუთრეს).

ჭ. ამირეჯიბის არაკების უდავო ღირსებაა დახვეწილი ენა, ნათლად გამოკვეთილი მორალი, ხალხურობა, დინჯი იუმორი და ლაკონიზმი. ამ წლის ნომრებში დაბეჭდილი სამივე იგავი საინტერესოა, როგორც დიდაქტიკური თვალსაზრისით, ისე მხატვრულობით.

ამავე წლის მე-3 ნომერში დაბეჭდილია დავით ჯავახიშვილის კარგი ზღაპარი წყლის წვეთზე. ამ ზღაპრის მორალიც ნათელია და იგი ოსტატურად არის დაწერილი. მაგრამ თუ შეადარებთ ერთმანეთს ჭაბუა ამირეჯიბის იგავს „ჭორიკანა კაკბაკს“ და ამ ზღაპარს, ერთი ვითარება გეცემათ ოვალში, ჭაბუა ამირეჯიბის იგავში არ არის ლიტერატურული მანერულობის ნატამალიც კი, სისადავე ხალხური ზეპირსიტყვიერების დახვეწილ უბრალოებამდეა აყვანილი.

ჭიანჭველების ხელმწიფეს ფუტკრების დედოფლის ელჩი ეახლა ძეობის მისალოცად (არაკი „თაფლი“), დიდად დასაჩუქრებული ელჩი-ფუტკარი მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით უკან ბრუნდება. გზად ფუტკარმა ჭიანჭველების ინოსკის ყანაში დაუკითხავად ოფლი მოაგროვა. საზღვარზე მისვლისას ჭიანჭველებმა მას თაფლი დაატოვებინეს და გაოცებულ ფუტკარს აუხსნეს, რომ მათი გულუხვი საჩუქარი სტუმარმასპინძლობის წესია, ხოლო უნებართვოდ აღებულს ერთ ცვარ თაფლსაც კი არ გაატანენ თან. ამ არაკის თაობაზე გამოითქვა შენიშვნა, ხალხს წარმოდგენაში (და სწორედ ამიტომ ბავშვის წარმოდგენაშიც) ფუტკარი არ შეიძლება იყოს მიმტაცებელი, რადგან ფუტკარი კეთილშობილების, პატიოსნი შრომისა და ვაჟკაცობის სიმბოლოა. ეს შენიშვნა მარეგზულია. ასეთ ვითარებაზე ყურადღების გამახვილება წვრილმანების გაზვიადება არ არის, ყოველი არაკი ან ლექსი პატარებისთვის ახლის გაგების, ახალი ცოდნის შეძენის წყაროა. დაშვებული მცირე შეცდომაც კი შეიძლება ისე მკვეთრად ჩარჩეს ბავშვის მეხსიერებაში, რომ შემდეგ დიდხანს ვერ გამოსწორდეს.

როდიონ ქორქიას მოთხრობა „კოდალას“ სანტტერესო აღმზრდელობითი აზრი უდგეს საფუძვლად — თავისუფლების მოპოვება მხოლოდ დაკინებული, ბეჯითი მეცადინეობითა და ბრძოლით შეიძლება.

ოტია იოსელიანის მოთხრობა „როგორ გაჩნდა დაჩი“ გამოირჩევა ხალხური ინტონაციითა და ალეგორიანი, ნათელი იუმორით.

უშუალოდ და ბუნებრივად არის დაწერილი ნოდარ თარხნიშვილის „თეთრი სახლი“.

თითქმის ყველა ეს თვისება აქვს ნოდარ წულეიკირის ზღაპარს „საოცარი ქალაქები და თეთრი ბამბიქულა“. სხვათა შორის, ამ ნაწარმოებში ნაწილობრივ უკვე გადაჭრილია ჩვენს მიერ ზემოთ წამოყენებული საკითხი, კერძოდ, თანამედროვე ყოფის ამსახველი საგნობრივი გარემოს ზღაპრებში შეტანა. ბამბიქულა მოგზაურობს სხვადასხვა ფერის ქალაქებში, ზღაპრის ოთხი ნაწილი დაბეჭდილია ქალაქების ფერის შესაფერ ფურცლებზე. ილუსტრაციებიც ამ პრინციპით არის დახატული, მაგრამ თვით ზღაპარს რამდენადმე აკლია რიტმი, იგი, ცოტა არ იყოს, ინერტულად არის დაწერილი. გარდა ამისა, ნათლად არ არის გამოკვეთილი ის მიზანი თუ მიზეზი, რის გამოც ბამბიქულას ასეთი სახიფათო მოგზაურობა წამოიწყო. ამ ზღაპარში ჩვენ მეორე უკიდურესობასთან უნდა გვქონდეს საქმე, ნაწარმოების აზრი იმდენად შეფარულად არის გადმოცე-

ბული, რომ მისი გარკვევით წარმოდგენა მოზრდილისათვისაც კი ძნელია.

ჟურნალში დიდი ადგილი აქვს დათმობილი თარგმანებს, ისინი თითქმის ყოველთვის ჟურნალის საერთო ხასიათის შესაფერად არის შერჩეული. (ა. ტოლსტოის არაკი „მზე, ბუშტი და ქალამანი“, დონალდ ბისტის „პატარა ავტობუსი, რომელსაც სინთლის ეშინოდა“, ვიქტორ მალიავკინის—„როგორ ვიჯიე შერხქვეშ“ და სხვ.). ჟურნალში დაბეჭდილია დიდი მორალურ-იქმზრდელობითი მნიშვნელობის მქონე მოთხრობები ლენინზე. ეს მოთხრობები პატარებს აცნობს პროლეტარიატის დიდი ბელადის მეგობრობას ბავშვებთან, მის გულისხმიერებასა და მზრუნველობას.

განხილვაზე გამოთქვა მოსაზრება — ჟურნალში თარგმანებს ბევრი ადგილი ხომ არ ეთმობაო. ეს ასეა, მაგრამ ამას რედაქცია ალბათ კარგი ცხოვრების გამო რიდი აკეთებს. სავარაუდოა, რომ იქ ორიგინალური მასალების ნაკლებობას განიცდიან. სწორედ ამიტომ მიმართავს რედაქცია ცნობილ ქართველ მწერლებს. სამწუხაროდ, რამდენადაც ვიცით, ეს თხოვნა უმეტესწილად რჩება „ხმად მღაღადებლისა“... იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთ ქართველ ლიტერატორს სერიოზულად მიაჩნია, თითქოს არსებობენ განსაკუთრებული მოწოდების საბავშვო მწერლები და საბავშვო მწერლობა მხოლოდ მათი საქმეა. ასეთი ვიწრო სპეციალობები ხელოვნებაში ჯერჯერობით არ არსებობს. მართალია, საბავშვო პოეტს ან მხატვარს გარკვეული თავისებურება უნდა ახასიათებდეს, ოღონდ ეს თავისებურება თანდაყოლილი ნიჭი როდია, ეს ხელოვანის დაინტერესების სფეროა, სადაც, სხვათა შორის, „დიდების“ მწერლებსაც შეუძლიათ შეამოწმონ თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

როგორ უნდა იწერებოდეს საბავშვო ლექსი? ამ საკითხზე ჩამოყალიბებული რვა თუ ათი მცნებაც კი არსებობს, რომელიც თითქმის მთლიანად მოიცავს საბავშვო პოეზიის ყველა მხარეს. გათვალისწინებულია როგორც დიდაქტიკა, ისე ბავშვის ესთეტიკური [illegible]ობა, მისი მეტყველების ხალხურობა, ხატოვანება და ლაკონურობა. მითითებულია — რა მნიშვნელობა აქვს ლექსის სისადავესა და მელოდიურობას და ა. შ. აკი რომ, ჩვენ ამ საკითხზე არ შევჩერდები.

ქართული საბავშვო პოეზიის დიდი ტრადიცია ყოველი პოეტის წინაშე განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს აყენებს.

ათეული წლების მანძილზე ემსახურებოდნენ საბავშვო პოეზიას მაყვალა მრევლიშვილი, იოსებ ნონუშვილი, რევაზ მარგიანი, ხუტა ბერულავა, გიორგი კაჭახიძე, არნო ონელი, კუკური გოგიაშვილი და სხვ.

მათ არაერთგზის გაუხარებიათ პატარა მკითხველების გული თავისი ლექსებითა და პოემებით. ისინი დღესაც აქტიურად თანამშრომლობენ ჟურნალში. აქ ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ, რადგან მათი შემოქმედება პატარა მკითხველმა დიდი ხანია რაც შეიყვარა და დაიზეპირა.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტი, რაც უდავოდ ჟურნალ „დილას“ რედაქციის დამსახურებაა. საბავშვო პოეზიით დაინტერესდა ახალგაზრდა ქართველი პოეტების დიდი ჯგუფი: ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ჭილაძე, გივი გეგეჭკორი, გივი ძნელაძე, ემზარ კვიტაიშვილი, ტარიელ ჭანტერია, გივი ჭიჭინაძე... ეს არ არის იმ ახალგაზრდა შემოქმედთა სრული სია, ვინც პატარა მკითხველების ბიბლიოთეკა ახალი ლექსებით გაამდიდრა.

მათ საბავშვო ლიტერატურაში მოტანეს თავისებური პოეტური ხმა, ჩვენ არ გადავჭარბებთ თუ გიტყვით, ისინი საბავშვო მწერლობაში სადარბაზო კარით შემოვიდნენ — აღფურვილი საკმაოდ დიდი პოეტური გამოცდილებითა

ოტია პაჭკორია

დიდი ლიტერატურა პატარებისათვის

და კულტურით, რაც ორგანულად შეუთანხმეს უკვე არსებულ ტრადიციას. ყოველივე ამის საფუძველზე კრიტიკულად მიუდგენენ ლექსის წერის ტექნიკურ მხარეს, ვერსიფიკაციის საკითხს და გარკვეული თვისობრივი სიახლე შექმნეს.

უკანასკნელ ნომრებში დაბეჭდილი ლექსებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჯანსუღ ჩარკვიანის, ემზარ კვიტაიშვილის, გივი ძნელაძისა და გივი ჭიჭინაძის ლექსები.

ამ უკანასკნელის შემოქმედებაზე ჩვენ ორიოდე სიტყვით შევჩერდებით. გივი ჭიჭინაძე ზემოთ ჩამოთვლილი ახალგაზრდებისაგან განსხვავებით სამაგვარო პოეზიაში ლიტერატურიდან არ მოსულა. მკითხველი მას იცნობს, როგორც მხოლოდ სამაგვარო პოეტს. ჟურნალ „დილას“ მე-3 ნომერში დაბეჭდილი მისი ლექსი-დიალოგი „გაზაფხული“ ზომიერების გრძნობით, სისადავითა და გულთბილი ტონალობით ერთ-ერთი საუკეთესო სამაგვარო ლექსია. გივი ჭიჭინაძის ლექსების წაკითხვისას ყოველთვის იგრძნობა, რომ მას გათვალისწინებული აქვს, თუ შეიძლება ასე ითქვას. მაგვარის კონტროლი, იგი გულდასმით უგდებს ყურს, თუ როგორ ესმის პატრასს მისი ლექსი და ცდილობს, სტრიქონს მაგვარის წარმოდგენისთვის შეუფერებელი ყოველგვარი ზედმეტობა ჩამოაცილოს და თავის მკითხველთან უშუალო, თავისუფალი კავშირი დამყაროს.

ჟურნალში ზოგჯერ იბეჭდება უფერული ლექსები, გაიპარება ხოლმე ისეთი არაპოეტური და აზრობრივად არაზუსტი ლექსიც, როგორიც, მაგალითად არის ოთარ შალამბერიძის „წამხედურა ტყუპისცალი“, მაგრამ საერთო ფონზე ასეთი გამონაკლისები თითქმის არ ჩანს. ჟურნალ „დილას“ პოეზია ყველა თაობის შემოქმედთა თანამშრომლობის კარგი მაგალითია.

ერთხელ ა. ფადეევს პიკასოს მხატვრობაზე კრიტიკული აზრი გამოუთქვამს:

— როგორ გასწავლიდნენ წერაკითხვას? — უკითხავს მისთვის პიკასოს.

— ანი, ბანი...—უპასუხნია ფადეევს.

— გასწავლიდნენ თუ არ გასწავლიდნენ მხატვრობას?

ფადეევს გაუცინია და გაჩუმებულა.

ფადეევი ალბათ იმიტომ კი არ გაჩუმდა, რომ რაკი ანბანთან ერთად მხატვრობის საფუძვლები ვერ ისწავლა, ამიტომ მხატვრობაზე მსჯელობის უფლებაც არ ჰქონდა, უბრალოდ, მან მხატვრის პრეტენზიულობას ეთიკური დუმილი დაუპირისპირა.

მხატვრობის შემფასებელნი მხოლოდ მხატვრები არ არიან და სწორედ ამიტომ იყო გასაოცარი ჟურნალ „დილას“ მხატვრულ გაფორმებაზე გამოთქმული შენიშვნების ზერელე ხასიათი. მხატვრობის გაგება კაცს შეიძლება ანბანთან ერთად არ ჰქონდეს ნასწავლი, მაგრამ უცნაურია, როცა ლიტერატორი ვერ ფლობს მხატვრობის თუნდაც ემოციური შეფასების ანბანასაც კი.

არის თუ არა სწორად დახატული კვიცის თავი? აქ შეიძლება ადამიანს თვალი „ზოოტექნიკური“ აზრიც ჰქონდეს და იქნება ზედმეტი სტილიზაციის წინააღმდეგ გალაშქრებაც არ იყოს მცდარი. ეს მსჯელობის ერთი მხარეა. სამე ისაა, თუ რა იმალება ასეთი მსჯელობის მიღმა, რა მოთხოვნილება წაუყენეს მხატვრობას და როგორ პოზიციიდან შეაფასეს იგი.

ჩვენ ამჯერად განგებ არ ვასახელებთ დისკუსიის მონაწილეთა გვარებს, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია ის ტენდენცია, რომელმაც ამ განხილვაზე საკმაო ძალით იჩინა თავი. როგორი იყო ეს ტენდენცია?!

განხილვაზე გამოსულ ზოგიერთ მომოკამათეს ერთი ბრალდებაა შეცდომამოსდიოდა — რეალისტური მხატვრობის ეტიკეტს ამოფარებული კატეგორიული ტონით მოითხოვდა სწორხაზოვან ფოტოგრაფიზმს. არა გვგონია, რომ ასეთი მოთხოვნა მხოლოდ გაურკვევლობის შედეგი იყო. პოლემიკური გაცხარების დროს ყოველი მცირე, იქნებ არაზუსტი დეტალიც კი, განზოგადე-

ბულ შინაარსს იღებდა და ჟურნალის მხატვრობის საერთო გადაფასების პრეტენზიად იყო გადაქეცული.

— რატომ არ ხატავთ ლამაზ ბავშვებს?—დაისვა შეკითხვა და ამ შეკითხვამ თვით სილამაზის ცნების საკითხი წამოჭრა. ჩვენ, რასაკვირველია, ვგულისხმობთ მხოლოდ კონკრეტულ ვითარებას და მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებს. თითქოსდა შეუმჩნევლად, ცალკეულ დეტალებზე დავის დროს ერთმანეთს დაუპირისპირდა თანამედროვე მხატვრობის ხასიათი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, სილამაზის „პარფიუმერიული“ გაგება.

„ლამაზი ბავშვი“ ზოგიერთისთვის კბილის ფხვნილ „სმაიდაზე“ დახატულ ქალაკატურ პრიმიტივიზმს უფრიდა. მათ მხედველობიდან გამორჩა, რომ სილამაზე, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ხასიათს, განწყობილების გადმოცემას, ფერებისა და ხაზების ერთიან გამას, სადაც პროპორციების ნაწილობრივი შეცვლა სრულებითაც არ არის ფორმალისტური საშიშროების მომასწავებელი.

შეუძლია კი ბავშვს ასეთი მხატვრობა გაიგოს?! ამის დასადგენად ობიექტური საზომი არსებობს: დიპლომები მხატვრული გაფორმებისათვის და საბავშვო ჟურნალ „ფილას“ გაზრდილი ტირაჟი.

ის რაც ზემოთ, ჟურნალის ლიტერატურულ მხარეზე ითქვა, შეიძლება მის მხატვრობაზეც სიტყვა-სიტყვით გავიმეოროთ. ჟურნალ „ფილას“ აქვს ერთი მთლიანი სტილი, ერთიანი სახე, სადაც ილუსტრაციის როლი დიდია და ესეც ჟურნალის სპეციფიკით არის გაპირობებული.

ყოველ ილუსტრაციას, გარდა იმისა, რომ იგი ტექსტის თვალსაჩინოებას ემსახურება, დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულებაც აქვს — იგი არის ბავშვის გემოვნებისა და ფანტაზიის განვითარების აუცილებელი ფაქტორი. სრულებითაც არ არის სადავო,—საბავშვო მხატვრობა უნდა მოიცავდეს ჩვენი დღევანდელი მხატვრობის ნიშნებს. ბავშვი კარგად იგრძნობს და დაინახავს იმ სილამაზეს, რასაც ჩვენ ვხედავთ და იქნება ამ სილამაზესთან იგი უფრო უშუალოდ და ახლოს მივიდეს, ვიდრე, რადგან ქვეყანას „დადგენილი და შემოწმებული ასოციაციების“ გარეშე უყურებს.

ჟურნალ „ფილაში“ მომუშავე მხატვრებმა შექმნეს ბავშვისთვის საინტერესო სამყარო, ჩვენ თამამად ვამბობთ—ლამაზი სამყარო, დასახლებული ბავშვისთვის ნაცნობი და საყვარელი პერსონაჟებით. აქ არჩევანი არ არსებობდა, საჭირო იყო „ლამაზი ბავშვების“ დახატვის ფოტოგრაფიული პრინციპის უკუგდება, საჭირო იყო ხასიათების შექმნა, საჭირო იყო ილუსტრირებული ნაწარმოების ხასიათის თვალნათლივ გადმოცემა.

ჟურნალის მხატვრული რედაქტორი შალვა ცხადაძე ჟველთვის ცდილობდა განსხვავებული მანერისა და სტილის მქონე მხატვართა ინდივიდუალობა შეენარჩუნებინა და ამავე დროს არ დაერღვია ჟურნალის მთლიანი სახე, მისი ესთეტიკური პრინციპი.

შალვა ცხადაძე, ზურაბ ფორჩხიძე, ზურაბ კაპანაძე, დიმიტრი ერისთავი, ჯემალ ლოლუა, ვაჟა მელიქიშვილი, ზურაბ რაზმაძე და სხვები ერთნაირად არ ხატავენ. მათი ილუსტრაციები არც შესრულების მანერით, არც ფერთა გამით და არც ხასიათით ერთმანეთს არ ჰგავს. არც დიდსა და არც ბავშვს ერთმანეთში არ აერევა, მაგალითად, შალვა ცხადაძის მსუბუქი იუმორით სავსე ზღაპრული პერსონაჟები, ზურაბ ფორჩხიძის კონტრასტული, ხასხასა ფერებით შესრულებული ილუსტრაციები, ან ზურაბ კაპანაძის მონუმეტური, რამდენადმე სკულპტურული ფიგურები.

ჟურნალის ყოველი ახალი ნომერი მისი მკითხველისთვის ახალი პატარა გალერეაა, სადაც იგი ხვდება მისთვის ნაცნობ სახელებს და სახეებს. და ამ გალერეას ერთი საერთო ესთეტიკური

ოტია პაჭკორია

დიდი ლიტერატურა პატარებისათვის

საფუძველი აქვს, ერთი ნიშანი აერთიანებს — პროფესიონალობა, ყოველი ნახატის დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება და იმავე დროს საილუსტრაციო მასალის აზრის ამომწურავად გადმოცემის უნარი.

თუმცაღა სულ უმიზეზოდ არავითარი დავა არ წარმოიშვება. ჩვენ სრულებითაც არ ვამტკიცებთ იმას, თითქოს ჟურნალში დაბეჭდილი ყველა ილუსტრაცია ერთნაირად ამართლებდეს თავის დანიშნულებას. არის შემთხვევები, როცა მხატვარი ივიწყებს, რომ იგი ილუსტრატორია და თავის ნახატში ტექსტის შინაარსს სცილდება (ზ. კაპანაძის თავისთავად კარგი, მაგრამ ზღაპრის „მამა და შვილის“ შინაარსთან ნაკლებად დაკავშირებული ილუსტრაცია).

ედუარდ ამბოკაძის ზოგიერთი ილუსტრაცია იმდენად არის სტილიზებული (პირდაპირ რაღაც გეომეტრიული ფიგურებია დახატული), რომ ნახატის სასიათი და შინაარსი იჩქმალება. მაგრამ ეს ყველაფერი ცალკეული ხარვეზია და სრულებით არ იძლევა იმის საბაბს, რომ „ლამაზი ბავშვების“ საკმაოდ პრიმიტიული თეორია აქტიური მსჯელობის საგანი გახდეს.

ჟურნალის განხილვას ესწრებოდნენ მხატვრები, ისხდნენ და გულგრილად უგდებდნენ ყურს კამათს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მათაც მომზადებული ჰქონდათ შეკითხვა—გისწავლიათ კი მხატვრობის გასაგებად საჭირო ანბანი? — ეს სნობიზმი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, უაღრესად მცდარი პოზიციაა. ბევრი ცნობილი მხატვარი რიგიანი მწერალი და პუბლიცისტი იყო (ვფიქრობთ, მაგალითებს დასახელება ზედმეტია). არ იქნებოდა ცუდი, მხატვრებს რომ თვით მეეღოთ მონაწილეობა დისკუსიაში. მათი აზრი ალბათ არასპეციალისტების აზრზე უფრო საინტერესო იქნებოდა. რას იზამ, ზოგჯერ საკუთარი შემოქმედებითი პრინციპების დასაცავად თვითონვე უნდა აღიმაღლო ხმა, აქ სათაკილო არაფერია, მით უმეტეს, როცა კარგად გაქვს შეგნებული, რას ემსახურები და როგორ ემსახურები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩა კიდევ ბევრი საინტერესო საკითხი: ბავშვთა შემოქმედება (ამის თაობაზე განხილვაზეც გამოთქვა ფრიად საინტერესო აზრი), პრაქტიკული სწავლების განყოფილება, რებუსები, შარადები, გამოცანები... მაგრამ ჩვენ მათ გამო ამჯერად არაფერს ვიტყვით, რადგან ვცდილობდით მხოლოდ განხილვაზე გამოთქმულ შენიშვნებს გავყოლოდით კვალდაკვალ. ამ შენიშვნებში ბევრი მნიშვნელოვანი აზრის ამოკრეფა შეიძლებოდა, ოღონდ, სამწუხაროდ, კერძო შემთხვევების უზომო გაზვიადებამ ისეთი ატმოსფერო შექმნა, რომ უნებლიეთ იფიქრებდით: გამომცემლობა „ნაკადული“ და ჟურნალი „დილა“ დიდსა და კარგ საქმეს აკეთებენ, დაეხმარება თუ არა მათ რამეში ჩვენი არაპროფესიული კინკლაობა?! ბოლოს და ბოლოს ხომ არ შეიძლება საბავშვო ლიტერატურა უაღრესად შეზღუდული წრის საქმედ დარჩეს. იგი ფართო ლიტერატურული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, ჩვენი ლიტერატურათმცოდნეებისა და კრიტიკოსების დამოკიდებულება კი ამ სერიოზული საქმისადმი სადღეისოდ მხოლოდ „ჩაურევლობის პოლიტიკაო“ განისაზღვრება.

ამბობენ, მშობლის ავტორიტეტი მაშინ შეარყევა ბავშვის თვალში, როცა იგი თავის უცნაურ და მოუღლიელ შეკითხვაზე დამაჯერებელ პასუხს ვერ მიიღებსო.

ჟურნალ "დილას" არ შეუძლია არც ერთი შეკითხვის უპასუხოდ დატოვება. იგი დღენიადაგ ეძებს ამ პასუხებს. ეძებს მათთვის შესაფერ ფორმას და, სამწუხაროდ, ხშირად ამაოდ ეძებს ნაწარმოებს ბავშვებისათვის. რედაქციას რეალური დახმარება სჭირდება, რადგან ადვილი საქმე როდია ასწავლო ადამიანს ოცნება ვარსკვლავებზე და გზა ვარსკვლავებისკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ქვანია

ვაჟა-ფშაველა — ადათობრივი სამართლის მკვლევარი

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ფართო ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ ადათობრივი სამართლის ისტორიას, იმ ადათწესების შესწავლას, რომელთა ნაწილი მთის პატრიარქალურმა ყოფამ, ფეოდალური საზოგადოების დაშლის შემდეგაც შემოინახა და ვაჟას სიცოცხლის პერიოდშიც ღრმად ჰქონდა გამდგარი ფესვები ხალხის ყოფასა და ცხოვრებაში. მთაში მცხოვრები საზოგადოებისათვის ადათობრივი სამართლის ცალკეული ნორმები უფრო გასაგები და მისაღები იყო, ვიდრე მომქმედი კანონმდებლობა. ხალხი საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ, მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით მიღებულ და შესისხლხორცებულ სამართლის ნორმებს მეტ პატივს სცემდა, მეტი რიდით და დაჯერებით ემორჩილებოდა, ვიდრე ახალი ადმინისტრაციის მიერ შემოტანილ კანონმდებლობას. ეს კი მუდმივი ბრძოლისა და წინააღმდეგობის პირობებს ჰქმნიდა ადგილობრივ მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის. „აქაური ხალხის შეხედულება სასისხლო საქმეზედ, — აღნიშნავდა ვაჟა, — ძირეულად განსხვავდება კანონის შეხედულებიდან და, თუ კანონი სასტიკად უცქერის რომელსამე დანაშაულობას, ხალხი კიდევ ამავე დანაშაულობაზე სხვანაირად სჯის“ [1]... ადათობრივი სამართლის ნორმები საქართველოს მთიანეთში იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ წესრიგის დამყარებისათვის სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების ჩარევა თითქმის საჭირო აღარ იყო და საქმე იმ ზომამდე მისულა, რომ ამ რაიონებში არაერთხელ დამსმელა საკითხი მმართველობის ორგანოების შემცირების შესახებ. საყურადღებო ცნობებს ვხვდებით ვაჟას ერთ-ერთ წერილში, სადაც აღნიშნულია: „ყველაზე ნაკლები დანაშაული სისხლისა თიანეთის მაზრაშია, სადაც მცხოვრებთა მომეტებული რიცხვი ფშავ-ხევსურნი არიან; იმის გამო, რომ ადმინისტრაციას აქ ცოტა საქმე აქვსო, მთავრობამ რამდენჯერმე მოიწადინა გაეუქმა თიანეთის მაზრა, ნაწილი მიეწერა დუშეთისა და ნაწილი

[1] თხზულებათა X ტომი, გვ. 45, „ხმა მთიდან, პროვინციული ფელეტონი“.

თელავის მაზრისათვის.“ [1] ხალხი თვით არეგულირებდა თავისი ჩვევებისა და ადათწესების მიხედვით ყველა წამოჭრილ საკითხებს და ადმინისტრაციულ ორგანოების წარმომადგენლებს (მხედველობაში გვაქვს მაზრის უფროსის თუ პოლიციის აპარატი) საქმე იღარ რჩებოდათ. თუ როგორ ამყარებდა ხალხი თავის კუთხეში მართლწესრიგს, ამაზე წარმოდგენას ვაჟას „თიანეთური ფელეტონი“ იძლევა. „სტრაკონიკები! — აღნიშნავდა ვაჟა, — ჩვენს მაზრასაცა ჰყავს სახელის გულისათვის, თორემ იმათვე რომ ჰკითხოთ, გიპასუხებენ: არ ვიცით აქ რისთვისა ვართო, არიან, ასე რომ ვსთქვათ, ვინიცობის გულისათვის... წვრილმანი ქურდობა ჩვენშიც ხდება, ხოლო ყაჩაღობას იმ სახით, როგორაც ვხედავთ იმერეთში, ბორჩალოში, კახეთში... ამ წინა წლებში ერთხანად ფშავ-ხევსურეთში ცხენების ქურდობას ხელი მოპყვეს ქისტებმა, მაგრამ ძალიან ძვირად დაუჯდათ მათ ეს ცდა. ერთს ზაფხულს თორმეტამდე ავაზაკი გამოასალმეს წუთისოფელს ფშავ-ხევსურთა თოფების ტყვიებმა. ეს ასეც უნდა მოხდარიყო და ასეც მოხდება მუდამ, რადგან სტრატეგიული პირობები ხელს არ უწყობენ ავაზაკობამ მთაში ფესვები გაიდგას და ნიადაგი გაიმკვიდროს“..[2] ვაჟას საკითხის განხილვის დროს სტრატეგიულ პირობებს გაუკეთა აქცენტირება, ჩვენთვის კი უფრო საინტერესოა მეორე გარემობა, რომელიც მოტანილ ამბავში თავისთავად გამოჩნდა. საქმე ისაა, რომ მთაში დანაშაულთან ბრძოლას ხალხი უკეთებს ორგანიზაციას და არა ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები, დამნაშავენი ისჯებიან ხალხის მიერ შემუშავებული წესებით და მათი სამართლიანობის განსჯას არც მომქმედი კანონმდებლობა [illegible] ვოა, რომ ცხენის ქურდობა, მომქმედი კანონმდებლობით, სიკვდილით დასჯას არ ითვალისწინებდა. ფშავ-ხევსურებს კი ერთ ზაფხულს თორმეტი ცხენის ქურდისათვის მოუსპიათ სიცოცხლე, რაც მთაში დამკვიდრებულ ადათობრივი სამართლის ნორმებით სრულიად კანონზომიერი იყო და ასეთი მოვლენა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან წინააღმდეგობას არ ხვდებოდა, პირიქით, მათი მხარდაჭერით იყო უზრუნველყოფილი.

ვაჟას პუბლიცისტურ ნაწარმოებებში და ეთნოგრაფიულ წერილებში მრავლად მოიპოვება მასალები, რომლებიც ფაქტიურად მეცნიერულ გამოკვლევებს წარმოადგენენ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ადათობრივი სამართლის ისტორიის საკითხებზე. მისი ერთ-ერთი წერილის სათაური — „ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესები“, — პირდაპირ მიუთითებს ამ შრომის დანიშნულებაზე, მისი შინაარსი კი სრულ წარმოდგენას იძლევა საკითხის ისტორიულ წინამძღვრებზე, მის წყაროებზე, მოქმედების სფეროზე და საზოგადოებრივ როლზე. ვაჟას მნიშვნელოვანი შრომებია ავრეთვე: „ხევსურული ქორწილი“, „ცოტა რამ კლეტთა ყოფაცხოვრებაზე ფშაეში“, „ფშავ-ხევსურთა ავკარგი“, „ხევსური თავი“ და სხვები.

ვაჟას განმარტებით, მთაში გავრცელებული ადათობრივი სამართალი მარტივი სამართლის ნიმუშს წარმოადგენდა, რაც განპირობებული იყო იმით, რომ აქაური ხალხის ცხოვრება „არ იყო რთული, იგი იყო მდაბიო, მარტივი“ [3]. სამოსამართლო ფუნქციას თემის, სოფლის კრება ასრულებდა და დამნაშავისათვის ორი სახის სასჯელის ზომა არსებობდა: ფიზიკური — „ჩაქოლვა“ და ზნეობრივი „სოფლიდან მოკვეთა“, განდევნა. ადათობრივი სამართლის ნორმების მიხედვით ჩაქოლებოდა

---

[1] თხზულებათა ტ. IX, გვ. 259, „ეპისკოპის ანტონის ანბრი ფშავ-ხევსურთა სარწმუნოებაზე“.

[2] თხზულებათა 10 ტომი, გვ. 192-20 „თიანეთური ფელეტონი“.

[3] თხზულებათა ტ. X, გვ. 71. „ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესები“.

თემისა და ხატის მოღალატე, მრუშნი თავისი შედეგით — ნაბუშრით, ხოლო სოფლიდან უნდა განდევნილიყვნენ: ქურდები, თემის სახელისა და პირის გამტეხელები, ის პირნი, ვინც რელიგიურ წესს არ შეასრულებდა „ხატს წესს დააკლებდა“ და სხვა. ვაჟას განმარტებული აქვს თემის განაჩენის სისრულეში მოყვანის წესი, რომლის მიხედვითაც ჩაქრლვა ხიდის ყურეზე ან გზის შესაყარში უნდა მომხდარიყო, რათა დამნაშავენი ყველა გამვლელ-გამომვლელს ენახა და სასჯელის ზომას სათანადო ზეგავლენა (მხედველობაშია შიში და დანაშაულის შეუწყნარებლობის შთაგონება) მოეხდინა. მას აგრეთვე განმარტებული აქვს, თუ რაოდენ მკაცრი იყო თემი „მოკვეთილის“ მიმართ, როგორ შეაქცევდა მას ზურგს ყოველი სოფელი, რაოდენ ძმიმე იყო ასეთი პირისათვის საზოგადოებიდან გარიყულად — განდეგილად ცხოვრება და რა წესი არსებობდა შეწყალებისა თუ მისი თემთან შერიგებისა.

ვაჟა ადათობრივი სამართლის ერთერთ ნორმად „ხეთიურს მსჯავრს“ ასახელებს, როდესაც ეჭმიტანილის გამოსაცდელად მდუღარე ან გავარვარებული შანთი უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სასამართლოს ეს პროცესუალური ინსტიტუტი, რომელიც „ორდალის“ (ordalia — ლათინური) სახელწოდებითაა ცნობილი, დიდ გავრცელებას ჰპოვებდა ევროპისა და აზიის ქვეყნებში ადრეულ ფეოდალურ ეპოქაში. „ორდალის“ იხსენიებს თავის კანონებში ვახტანგ მეექვსეც. ვაჟაც მას ემყარება და აღნიშნავს, რომ მდუღარეთი ან შანთით „გამოცდა მოხდებოდა იმ წესით, — რა წესითაც აქვს ვახტანგს მოხსენებული თავის კანონებში“.[1] ეფიქრობთ, ვახტანგის კანონზე მითითება შემოხვევითი არ არის, რადგან ამ ინსტიტუტის არსებობა საქართველოში ყოველთვის დავას იწვევდა. ვაჟა „ხეთიურს მსჯავრზე“ ადათობრივ სამართალში მიუთითებდა მხოლოდ და მხოლოდ ვახტანგის კანონებიდან გამომდინარე, რადგან აღნიშნული ინსტიტუტის მოქმედების დასამტკიცებელი საბუთი მას არც ლიტერატურაში და არც ზეპირსიტყვიერებაში არ შეიძლებოდა ჰქონოდა. საქმე იმაშია, რომ ადრეული ფეოდალურ პერიოდში, როდესაც „ორდალების“ ინსტიტუტმა თავის განვითარების კულმინაციურ წერტილს მიაღწია, ქართულ წყაროებში ამ ინსტიტუტის ხსენება არსად არ არის. ამის შესახებ არავითარი მასალა არ მოიპოვება არც მხატვრულ ლიტერატურაში და არც ხალხურ ზეპირსიტყვაობაში. გამოჩენილი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის შედეგად უდავო დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოში „ორდალების“ სისტემა არ არსებობდა. ამ ინსტიტუტმა თავისი გამოხატულება ნახა ვახტანგის კანონებში უცხოეთის კანონმდებლობის ზეგავლენით, მაგრამ პრაქტიკულად ცხოვრებაში არ გატარებულა. მაქსიმ მაქსიმეს ძე კოვალევსკი — გამოჩენილი რუსი იურისტი, სახელმწიფო სამართლის დიდი სპეციალისტი, რომელმაც ამ დარგის შესწავლისათვის პირველმა გამოიყენა კავკასიური მასალები, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ვახტანგმა თავის კანონებში „ორდალების“ სისტემა ირანული კანონმდებლობის ზეგავლენით მოახვედრა და რომ ეს ინსტიტუტი კავკასიაში არ გავრცელებულა[2]. ასეთივე აზრის იყო ცნობილი ქართველი მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე და ქართული სამართლის ისტორიის ყველა საბჭოთა მკვლევარი.

უნდა ვიფიქროთ, რომ „ორდალების“ ინსტიტუტი საქართველოში არ არსებობდა, იგი ცხოვრებაში ვერ დაინერგა იმ მიზეზით, რომ იგი ქართული ადათწესებისა და ქართველი ადამიანის

[1] იქვე გვ. 72

[2] М. Ковалевский, «Закон и обычай на Кавказе», 1890 г. стр. 110.

ბუნებისათვის მიუღებელი იყო. ვაჟა, ასახელებს რა ვახტანგის კანონმდებლობას, როგორც „ორდალების“ წესის განმსაზღვრელს, ხაზს უსვამს ასეთი საკანონმდებლო აქტის არსებობას და მას ადათობრივი სამართლის ნორმადაც ცნობს, მაგრამ ცხოვრებაში მისი გატარებისა და პრაქტიკული გამოყენების შესახებ არაფერს არ ამბობს. ამდენად, ადათობრივ სამართალში „ორდალები“ ისეთივე „რუდიმენტული“ — განუვითარებელი, უმოქმედო სახითაა მოცემული, როგორც ფეოდალიზმის პერიოდის მოქმედ კანონმდებლობაში. ვაჟას გამოკვლევებში საინტერესო ცნობებია ადათობრივი სამართლის იმ ნორმებზე, რომლებიც სისხლის აღებას შეეხება. „სისხლის აღება—აღნიშნავდა იგი — ჩვეულებად ჰქონდათ ფშაველებს, როგორც სხვა მთიულებს, მაგრამ შერიგებაც შესაძლო იყო, თუ მკვლელი სახვეწრით მივიდოდა მოკლულის ნათესავებთან და კაცის „თავსისხლს“ ზღავდა. ჭრილობით მკვდარი კაცი 80 ძროხად ყოფილა შეფასებული, მთელი ხელი 15 ძროხად, ნეკი თითი ერთ ძროხად, ხოლო ნეკის მიყოლებული თვითეული თითის თითო ძროხა ემატებოდა და საბოლოოდ ცერი თითი 5 ძროხად ფასობდა. ჭრილობა პირისახეზე ქერის მარცვლით იზომებოდა და თვითეული მარცვლის ზომას ძროხის ფასი ჰქონია.

ხშირი ყოფილა შემთხვევები, როდესაც „ზოგიერთი დაჭრილი ხდებოდა ჭრილობის მსხვერპლი არა იმიტომ, რომ მძიმედ იყო დაჭრილი, არამედ ბევრს შემთხვევაში დაკენჭილი ცდილობს „გაიავოს“ (გაიძნელოს)... რომ დაჭრის „დრამა“, საზღაური ბევრი გამოართვას დამჭრელსა...“ [1] ვაჟა შემდეგ აღნიშნავს, რომ ხშირად დამჭრელი დაჭრილისგან დიდ ქონებას ღებულობდა და ამან ხევსურეთში შექმნა პირობები, როდესაც არაკეთილსინდისიერი პირები სპეკულაციას ეწეოდნენ „კენჭაობით“, ძალად ჩხუბს სტიმულირებენ შეძლებულ და თავმოყვარე პიროვნებებს და თავს „აკენჭვინებდნენ“. ვაჟა ასახელებს ერთ ასეთ ხევსურს — ბათირას, რომელსაც ამდაგვარად 56 ჭრილობა ჰქონია მიღებული და უშრომლად უზრუნველყოფილი ცხოვრება შეუქმნია. ბათირა ტრაბახობდა კიდეც თავისი მოხერხებულობით. „ბოლოს შემიტყვეს ძაღლობაი, — უამბნია ბათირას ვაჟასათვის, — გამიხეერდ ხალხი, აღარა მეირდეს, ზოგამ ხმალიც კი გადმამიგდის, ან ძაღალ ჩაავდის ამოოებულ ხმალი, „გეყოფის, მკვდარ-ვირიანოო“, დამიძახიან და იმას ცდილობდის ყველაი, ახლა მე ვინ დამეჭრა და საზღაურ გამეღია. ბოლო მე თავადაც შემრცხვა და ესლა თავდავანებე, თუ ძალიან არ გამიჭირდების, აღარც ვის ვჭრი, აღარც ვეჭრვინებიო“ [2].

მთაში ვგარის შიგნით მკვლელობა და დაჭრა სისხლის აღებად არ ითვლებოდა. ამიტომ ნათესავი ნათესავის მიმართ ასეთი ქმედებისათვის საზღაურს არ იხდიდა. თემს ნათესავისათვის ზიანის მიმყენებელის პასუხისგებაში მიცემის უფლება არ ჰქონდა. მხოლოდ ასეთი პირი „ცოდვიანად“ ითვლებოდა, თანასოფლელები ზიზღით უცქერდნენ, მასთან სიახლოვეს ერიდებოდნენ.

განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა ოჯახში მამა—ოჯახის თავი, რომლის სურვილზე იყო დამყარებული ვაჟის ცოლის შერთვა, ქალის გათხოვება, ოჯახის შიგნით სხვა გადაწყვეტილებების მიღება, რასაც ოჯახის ყველა წევრი ემორჩილებოდა და მას წინ ვერავინ აღუდგებოდა. ადამიანის გრძნობების უნაგრ დამორჩილებას, სადაც ოჯახის შექმნას, სიყვარულის ნაცვლად, გარეშე ფაქტორები ანორიბებდნენ, არ შეიძლება არ მოჰყოლოდა ის, რომ ცალკეულ შემთხვევებში მეუღლეები ერთმანეთს იწუნებდნენ. ადათობრივი სამართლის ნორმებით, „ფიაცი თუ აშკარად დაიწუნებდა ქმარსა და ამ დაწუნებას უნამუსობით, მოღალატეობით დაამარილებდა, მაშინ ქმარი ამისთანა ცოლს დაასახიჩრებდა... მოსჭრიდა

[1] ოხზულებათა ტ. IX, გვ. 284 „ხევსურის თავი“.

[2] იქვე, გვ. 287.

ცხვირს ან ხელს, მოაკლებდა დედაკაცს კაცის თვალგუდის მისასვლელს თვისებას — სილამაზეს;... უკეთუ დიაცი სწუნობდა ქმარს, ჰსურდა განშორებოდა მას ან არ კი უნამუსობდა, მაშინ იგი... დაიწყებდა განგებ სნეულებასა, ავადობასა, ამბობდა ხატი „მაწმინდებსო“, ვითომც ხატი მეცხადება და მიშლის... კაცთან წოლასო; ქმარი ამნაირს ცოლს ნებას მისცემდა, საცა ჰსურდა, იქ ეცხოვრა, მხოლოდ არ შეეძლო სხვა ქმარი მოეძებნა, სხვას გაჰყოლოდა“.[1] ყველა ასეთ შემთხვევებს თან სდევდა ქონებრივი ვალდებულებები და დამწუნებელი უხდიდა მეორეს სათანადო საზღაურს — ქმარი ხუთ ძროხას, ქალი კი ბევრად მეტს. ადათობრივი სამართლის ნორმებით რეგულირდებოდა დაქვრივებული ქალის ქმრის ოჯახიდან წასვლის, მისი გათხოვების საკითხი. ქალი ქმრის ოჯახიდან ვერ წავიდოდა სამი წლის განმავლობაში, სანამ ქმარს წირვას არ გადაუხდიდა, „რიგს არ დაუყენებდა“. მას გათხოვების უფლებას აძლევდნენ ქმრის ოჯახის წევრები, რომლებიც ასეთ შემთხვევაში ქონებრივ გამორჩენას იღებდნენ. ასეთი ქალის შემრთველს ამ ქალის მაზლებისათვის ან დედამთილ-მამამთილისათვის ხუთი ძროხა უნდა მიეცა.

ვაჟა თავის ნაწარმოებებში დეტალურად აღწერს ადათობრივი სამართლის ნორმებით როგორ რეგულირდებოდა საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლის სხვა საკითხები, რა ვალი აწევს ოჯახს პირველად ქალის გათხოვების, მისი მზითევის მომზადების დროს, რა ქონებრივი უფლებით სარგებლობს თვითეული ოჯახის წევრი, როგორ ხდება ქონების გაყოფა ოჯახის გაყოის დროს და სხვა. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ოჯახის—კომლის შიგნით სხვადასხვა ქონებრივი უფლებებია და ქალი ყველაზე ნაკლები უფლებით სარგებლობს. ოჯახის წევრის გარდაცვალების დროს, თუკი იგი მემკვიდრის გარეშე რჩებოდა, მემკვიდრეობის ფაფლება მამაკაცზე გადადიოდა. ფუნდი იგი შორეული ნათესავიც ყოფილიყო, ქალი ასეთ შემთხვევაში, მისი გგერდით შტოდანაც კი, ვერაფერს მიიღებდა.

ადათობრივი სამართლის ისტორიისა და ნორმების გადმოცემასთან ერთად, ვაჟა ყურადღების გარეშე არ სტოვებს იმ პროცესუალურ ფორმებს, რომლებიც დამკვიდრებული იყო ამ ნორმების ცხოვრებაში გატარებისათვის. მაგალითად, დაჭრის დროს საზღაურის გადახდის საკითხს ადგილობრივი, სოფლის მიერ ამორჩეული, მოსამართლეები — „მერჯულეები“ საზღვრავდნენ, რომლებიც ვალდებული იყვნენ თავისი ხელით გაეზომათ ჭრილობა მარცვლის დაწყობით. ოჯახის გაყოის დროს ინიშნებოდა სამედიატორო სასამართლო თვით ოჯახის წევრთა სურვილით, რომლებიც მოიალაპარაკებდნენ „კაცები დავსხათო“ და ასახელებდნენ ამ კაცებს თავისი შეხედულებით. სისხლის სამართლის საქმეებს, ე. ი. საქმეებს დანაშაულებრივ ქმედობებზე, რომლებზეც ადრევე გვქონდა ლაპარაკი, არჩევდა სოფლის — თემის კრება, ხევის ბერის თავმჯდომარეობით. ხოლო საკითხები, რომლებიც საზოგადო საქმესთან იყო დაკავშირებული და თავისი შინაარსით სცილდებოდა ერთი თემის ფარგლებს, გადაწყდებოდა თავხევისბერთა თემთა ყრილობაზე. „ბჭობა, — მიუთითებს ვაჟა, — რომელიც ხდებოდა ლაშარს, ეხებოდა თორმეტსავე თემს ფშავისასა... სათემო საქმეები თემის ხატში გაირჩეოდა, კრება-ყრილობაც იქ მოხდებოდა; ფიცი, რომელიც იქნებოდა გამოწვეული თემის წრეში ჩანადენის საქმის გამო, მოხდებოდა ხატშივე. ხევისბერი თემისა აფიცებდა მოწმეებს, რომ იმათ მართალი ეჩვენებინათ... ხევისბერი აავსებდა თასს ლუდით, არაყით ან ღვინით; ცალს ხელში

[1] თხზულებათა IX ტომი, გვ. 74. „ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესი“.

ვახტანგ ჟვანია
ვაჟა-ფშაველა — ადათობრივი სამართლის მკვლევარი

ეჭირა სასმელით სავსე თასი, მეორე ხელით — ანთებული სანთელი და იტყოდა: — ვინაც მართალი დამაღლოს და არა თქვას, გაუწყრეს ეგ ჩვენის ბატონის მადლი და დავლათი და ეგ თასითვით დაიღვაროს იმისი ოჯახი (დაამცირდა თასს); ეგ სანთელივით გაქრეს იმისი სახსენებელი დედამიწის ზურგზეითა“ (გააქრობდა სანთელს)“...[1]

ადათობრივი სამართლის საკითხების გაშუქების პროცესში ვაჟა-ფშაველამ ლიტერატურაში შემოიტანა და ამით გაამდიდრა ქართული ენის ლექსიკური მარაგი სპეციალური ქართული იურიდიული ტერმინოლოგიით, რომელიც ხალხის ზეპირსიტყვიერებაში არსებობდა და სათანადო მოქალაქეობრივი უფლება არ ჰქონდა მოპოებული. გარდა უკვე დასახელებული ტერმინებისა: „სისხლხლო საქმე“ — სისხლის სამართლის საქმე; „ჩაქოლვა“ — გზის პირად ან ხიდის თავში დამნაშავის ფიზიკური განადგურება; „მოკვეთა“ — სოფლიდან, საზოგადოებიდან განდევნა; „ხეთიური მსჯავრი“ — გამოცდა მდუღარით და შანთით; „თავსისხი“ — სისხლის აღების დროს შერიგების საზღაური; „დაკენჭილი“ (აქედან „კენჭაობა“, „საკენჭაო“) დაჭრილი, რომელსაც „დრამა“ დაჭრის საზღაური უნდა გადაუხადონ; იარის „გაიავება“ — მეტი საზღაურის მისაღებად ჭრილობის განზრახ გამიზეზება — გართულება; „ცოდვიანი“ — ვვარის, ოჯახის წევრი, რომელმაც ფისი ნათესავი მოჰკლა, მაგრამ ადათობრივი სამართლის ნორმით პასუხს არ აგებდა; „რიგის დაყენება“ — ქვრივი ქალის მიერ ქმრის გარდაცვალებიდან სამი წლის თავზე პანაშვიდის გადახდა, რომლის შემდეგ მას ქმრის ოჯახიდან წასვლის უფლება ეძლეოდა; „მერჯულეები“ — მოსამართლეები, რომლებიც სისხლის აღების დროს შერიგების საზღაურს საზღვრავდნენ; „კაცების დასხმა“ — ოჯახის გაყრის დროს მედიატორების ამორჩევა და სხვა, — ვაჟამ ქართულ ენაშე მრავალი იურიდიული ტერმინი შემოიტანა.

ვაჟას გადმოცემით მთაში გავრცელებული ადათობრივი სამართლის განმსაზღვრელი ტერმინია „ჩვეულებითი სამართალი“ და იგი ყველგან ამ ტერმინს ხმარობს. მაგალითად, „ფშაველების **ჩვეულებითი** სამართალი არ არის მრავალმუხლოვანი და რთული“...[2], ანდა „ღირსებას, ვვაროვნობას, ჩამომავლობას, ფშაველების **ჩვეულებითი** სამართალი არ მიჰხედავდა“[3], ე. ი. მთაში ადათობრივი სამართლის ნორმები ყველაზე თანაბრად ვრცელდებოდა და წოდებრივი, ქონებრივი თუ სხვა ნიშანი მხედველობაში არ მიიღებოდა. ადათობრივი სამართალისათვის ნაცნობია თავდებობის ინსტიტუტი, რომელსაც „ხელზე მოჭიდება“ ეწოდებოდა. ვაჟა ამბობს: „მოჩივარს უნდა წარედგინა მოწმეები და მოპასუხესაც ავრეთვე. თუ მოპასუხეს არ ჰყვანდა მოწმეები, მაშინ მოპასუხეს ყრილობისაგან ეძლეოდა ნება „ხელზე მოსჭიდებოდა“ იმ თავკაცებს, რომელსაც სოფელი დაუნიშნავდა. იმ კაცებს უნდა დაეფიცნათ მოპასუხის მაგივრად, რომ იგი მართალია და არ ჩაიდენდა იმ საქმეს, რომელიც იმასა ჰბრალდებოდა“[4]. თუ ბრალდებულს „ხელზე მომჭიდე“ არ გამოუჩნდებოდა, თემი „ჭეშმარიტების დასადგენად“, მიმართავდა მის გამოცდას — „ხეთიურს მსჯავრს“. ასეთი თავდადება უშუალო კავშირშია „ორდალების“ სისტემასთან და შინაარსით განსხვავდება ტერმინ „თავდებობის“ თანამედროვე გაგებიდან.

სისხლის აღებასთან დაკავშირებით ადათობრივი სამართალი უშვებდა დაზარალებული მხარის განუსაზღვრელ უფლებას დამნაშავე პირის ქონების მიმართ. შერიგების დროს მოკლულის ნათესავებს, „თავსისხლის საფასურის გარდა“, შეეძლოთ მოეთხოვათ მკვლელის რომელიმე ნივთი და მკვლელი ამაზე უარს ვერ იტყოდა. ამ ჩვეულებას „ალმანია“, „ყისტი“ ეწოდებოდა.

[1] თხზულებათა ტ. IX, გვ. 77.
[2] თხზულებათა ტომი IX, გვ. 71.
[3] იქვე გვ. 72.
[4] იქვე თხზულებათა ტ. IX, გვ. 73.

ვაჟა აღნიშნავს, რომ „ალმანიად“ ერთი თემი მეორეს მამულსაც წაართმევდა. ეს მაშინ მოხდებოდა, როდესაც ერთს თემს მეორისა სისხლი დაედებოდა... ალმანიადვან იყო განთავისუფლებული ზოგი სახელოვანი იარაღი, რომელიც ომის, ლაშქრობის დროს პატრონს ასახელებდა. ხევიანური დაჭლოცავდა ხმალს ან თოფს სახელოვანს და შეაჩვენებდა, „დაარისხებდა“ იმას, ვინც ალმანიაში წაართმევდა, ანუ „ყისტად“ მოუდებდა მის მექონეს ამ დალოცვილს იარაღს [1].

ვაჟას ნაწარმოებებში ჩვენ გვხვდება: საოჯახო, სამემკვიდრეო და სანივთო სამართლის ინსტიტუტებიდან გამომდინარე ისეთი იურიდიული ტერმინები, როგორც მაგალითად: „კვეთილიანობა“, „კვეთილში ჩასმა“ — რაც ნიშნავდა ქმრისაგან განშორებული ცოლის უფლების შეზღუდვას, რომ იგი სხვაზე გათხოვილიყო; „სამწუნებრო“ — საზღაური, რომელსაც იხდიდა ქალი ან კაცი ქმრიდან ან ცოლიდან განშორების დროს; „საქვრივო“ საზღაური, რომელსაც დაქვრივებული ქალის გათხოვების დროს იღებდნენ ქალის მაზლები ან დედამიერ-მამამთილი; „საანო“ — საზღაური, რომელსაც უხდიდა დაზარალებულს „ენაკაჭლობით“ — ენის მიტანით, დასმენით ზიანის მიმყენებელი; „ბომხელავი“ — პირი, რომელმაც ტყეში პირველად მიაგნო ველურ ფუტკარს, ნიშანის დადებით მოიპოვა საკუთრების უფლება და ამ უფლებაში ვეღარავინ შეედავება; „საასრე“ — უფლება იმ პირისა, რომელმაც ჯგუფური ნადირობის დროს ნადირი მოჰკლა და მეტი წილი უნდა მიიღოს; „წილის ჩადება“ — უფლება, რისა მიიღოს წილი ნანადირევიდან, რომლის მოკვლაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ მოუსწრო ნადირის გატყავების პროცესში [2].

ადათობრივი სამართლის ნორმებით გათვალისწინებული მიწათსარგებლობის წესებთან დაკავშირებული ტერმინებია: „ახო“, „ახოები“ — ოჯახის მიერ ტყის გაკაფვით, ყამირი მიწის გატეხვით, მიუდგომელი ადგილის სახნავ-სათესად გადაქცევის საშუალებით მოპოვებული ახალი მიწის ნაკვეთი. „სათანარო“ — მიუვალ ადგილში სათიბი ან სახნავი მიწა, საკუთრების უფლების გარეშე: ვინც დაასწრებდა ის ისარგებლებდა; „კარის პირი“ — სახნავი მიწა სახლთან ახლო მდებარე, რომელიც ოჯახის პირად საკუთრებას წარმოადგენდა, მემკვიდრეობით გადაეცემოდა. „ახო“ ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა ათი წლის განმავლობაში, შემდეგ კი გადადიოდა თემის საკუთრებაში და თემი ამ მიწას უნაწილებდა ისეთ ოჯახებს, რომლებიც გამრავლდნენ და მიწის ნაკლებობას განიცდიდნენ [2].

ადათობრივი სამართლის ბევრ ნორმას, როგორც მატერიალურს, ასევე პროცესუალურს, ვაჟა ყველაზე დემოკრატიული პრინციპების გამომხატველ ნორმად სთვლიდა და შემდგომში დასაშვებად მიაჩნდა მათი გამოყენება. ამიტომ იყო რომ 1905 წელს მის მიერ შედგენილ ფშავ-ხევსურთა „დეკლარაციაში“ ამ ნორმებს დიდი ადგილი დაეთმო და გატარებულია აზრი მათი საკანონმდებლო აქტად გადაქცევის შესახებ.

---

[1] იქვე, გვ. 76

[2] იხხ. ტ. X, გვ. 230.

ნოდარ შოშიაშვილი

XII—XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი*

ცნობილი მკვლევარი პ. ინგოროყვა თავის რუსთველოლოგიურ ნაშრომებში „რუსთველიანა“ და „რუსთველიანას ეპილოგი“, „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორის ვინაობის დადგენასთან დაკავშირებით აყენებს და თავისებურად წყვეტს XII — XIV სს. საქართველოს ისტორიის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც სცილდებიან რუსთველოლოგიის ფარგლებს. ამ ნაშრომებში ავტორი მიზნად ისახავს გაარკვიოს აღნიშნული პერიოდის საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების საკითხები, წარმოგვიდგინოს ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სურათი.

ბუნებრივია, რომ პ. ინგოროყვას „რუსთველიანა“ და „რუსთველიანას ეპილოგი“ დიდ ინტერესს იწვევენ და გამოხმაურებას პოულობენ როგორც ფართე მკითხველი საზოგადოების, ისე სამეცნიერო წრეებში. ჩვენი ეს წერილიც ამ ინტერესის ერთ-ერთი გამოხატულებაა.

განვიხილოთ პ. ინგოროყვას აღნიშნულ ნაშრომებში მოცემული დებულებები XII—XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლისა და რუსთველოლოგიის საკითხებზე.

I. ქართული სავაზიროს წარმოქმნის თარიღი და მისი შემადგენლობა XII საუკუნეში

„რუსთველიანას ეპილოგში“ დადგენილია XII — XIV ს.ს. საქართველოს ვაზირთა და ერისთავთ-ერისთავთა ქრონოლოგიური ნუსხები. ეს ავტორს სჭირდება შოთა რუსთველის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული შემდეგი დებულებების დასამტკიცებლად:

1. ვაზირები ინიშნებოდნენ მხოლოდ ერისთავთ-ერისთავთაგან. მაშასადამე, რადგან „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორი ვაზირი იყო, ის აუცილებლად ერისთავთ-ერისთავიც იქნებოდა. ამდენად, შოთა რუსთველი როგორც თავისი სახელით, ისე სოციალ-პოლიტიკური რან-

* იხეკვდება ავტორის წესით.

ვით (ერისთავთ-ერისთავი), ემსგავსება XIII ს. 30-40-იანი წლების ჰერეთის ერისთავად ცნობილ შოთა კუპრს.

2. ვაზირის — მეჭურჭლეთ-უხუცესის სახელო XII ს. დასაწყისიდან XIII ს. შუა წლებამდე დაკავშირებული იყო ე. წ. ჰერეთის რუსთავის ერისთავთ-ერისთავობასთან. ამდენად, სავსებით კანონზომიერია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ერთდროულად მეჭურჭლეთუხუცესიც იყო და ჰერეთის რუსთავის ერისთავთ-ერისთავიც. ე. ი. რუსთველი.

3. ჰერეთის რუსთავის ერისთავთ-ერისთავობა XIII ს. მეორე ნახევრიდან XII ს. შუა წლებამდე და მეჭურჭლეთ-უხუცესობა XII ს. პირველ ნახევარში ეპყრა არიშიანთა გვარს. ამირტომ, თამარის ისტორიკოსის ცნობა, XII ს. ბოლოს მეფის მიერ არიშიანის ადგილზე სასთაულით ასათ გრიგოლის-ძის დასმის შესახებ, ნიშნავდა ასათისთვის რუსთავის ერისთავთ-ერისთავობისა და მეჭურჭლეთუხუცესობის ბოძებას. შემდეგ, მეჭურჭლეთუხუცესის ხელი ასათიდან მემკვიდრეობით მიიღო მისმა შვილმა გრიგოლმა, ხოლო რუსთავის ერისთავთ-ერისთავობა — შვილის შვილმა შოთა კუპრმა. მოგვიანებით შოთა კუპრი მეჭურჭლეთუხუცესობასაც ღებულობს, როგორც პაპის ასათისგან გვარისთვის დამკვიდრებულ სახელოს. ე. ი. შოთა კუპრიც, ისევე როგორც შოთა რუსთველი, მეჭურჭლეთ-უხუცესი და რუსთავის ერისთავთ-ერისთავია. **დასკვნა სავსებით ნათელია:** „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთველი, ოგივე ჰერეთის ერისთავთ-ერისთავი შოთა კუპრია, რომელსაც ამავე დროს მეჭურჭლეთ-უხუცესობა და, ამ დროისთვის ჰერეთის საერისთავთერისთავოსთან შერწყმული, რუსთავის საერისთავთერისთავო უპყრია.

როგორც ვხედავთ, XII—XIV ს. ს. საქართველოს ვაზირთა და ერისთავთ-ერისთავთა სიების დადგენა პ. ინგოროყვას საშუალებას აძლევს დაადგინოს შოთა რუსთველის ვინაობა და მისი ბიოგრაფიაც კი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვიხილოთ, რამდენად სწორია ეს სიები.

ქართული სავაზიროს პირველ ნაშრომში პ. ინგოროყვა ქრონოლოგიურად საზღვრავს 1100—1145 წლებით და ადგენს მის ასეთ შემადგენლობას:

„I. მწიგნობართ-უხუცესი:

1. გიორგი I დიდი, მწიგნობართ-უხუცესი, ჭყონდიდელი 1110—1118 წ.

2. სვიმეონ IV გულაბერისძე.

ა. მწიგნობართ-უხუცესი 1118 — 1150 წ.

ბ. ბედიელ-ალავერდელი 1118—1120/30-იანი წ.

გ. ჭყონდიდელი 1120/30-იანი წ. — 1142 წ.

დ. ქართლისა კათალიკოზი და ჭყონდიდელი 1142—1150 წ.

II. ამირსპასალარი:

3. აბულეთი.

ა. ერისთავთ-ერისთავი. ქართლის ერისთავი 1120-იანი წ.-1145 წ.

ბ. ამირსპასალარი 1125—1130 წ.

4. ივანე აბულეთისძე:

ამირსპასალარი 1130—1145 წ.

III. მანდატურთ-უხუცესი:

5. ასათ I (გრიგოლ I-ის ძე) ჰერეთის ბაგრატიონი

უკანასკნელი მეფე აღმოსავლეთ-ჰერეთისა (1117 წლამდე); შემდეგ ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა, ვაზირი. [მანდატურთ-უხუცესი] 1117-20—1145 წ.

IV. მეჭურჭლეთ-უხუცესი:

6. არიშიანი

ერისთავთ-ერისთავი, რუსთავის (არიშის) ერისთავი;

მეჭურჭლეთ-უხუცესი 1105/15 — 1150/60 წ.

V. მსახურთ-უხუცესი:

დადიანნი.

7. კონსტანტინე დადიანი

ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;

მსახურთ-უხუცესი 1140/50-იანი წ. 1180/3 წ.

VI. ჩუხჩარხი:

ვარდანისძენი.

8. [ვარდან] ვარდანისძე

ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთა-

ვი,—გურიელი; **ჩუხჩარხი** 1140/50-იანი წ. — 1180/3 წ.

VII. მეჯინიბეთუხუცესი:...

VIII. ამირახორი: ...“ [1]

ისტორიკოს-მკვლევარს ამ სიის გაცნობის დროს პირველ რიგში თვალში მოხვდება ორი სიახლე—სავაზიროს ნაადრევობა და მისი მრავალრიცხოვნება. როგორც ცნობილია, საქართველოს ვაზირები სასტორიო წყაროებში პირველად მოიხსენებიან XII ს. II ნახევრიდან — გიორგი III მეფობის ხანაში, [2] ამასთან, ვაზირთა რიცხვი, სავაზიროს შევსების შემდეგაც კი, ე. ი. XIII ს. 20—30-იანი წლებიდან, ექვსს არ აღემატებოდა, ხოლო XII ს-ში — ოთხს. პ. ინგოროყვა კი, როგორც დავინახეთ, სავაზიროს ისტორიას XII ს. დასაწყისიდან — დავით აღმაშენებლის მეფობის ხანიდან იწყებს და შეჰყავს მასში არა ოთხი, არამედ რვა ვაზირი. მაშასადამე, პ. ინგოროყვას მიერ შედგენილი ვაზირთა სიის ეს პირველი ნაწილი ძირფესვიანად სცვლის დღემდე არსებულ თვალსაზრისს ქართული სავაზიროს წარმოქმნის თარიღისა და მისი შედგენილობის შესახებ: პ. ინგოროყვას გადაქვს ეს თარიღი ნახევარი საუკუნით ადრე და უმატებს ოთხ ვაზირს. ამასთან, ახერხებს გაარკვიოს სავაზიროს ისტორიის ამ დღემდე უცნობი პერიოდის ვაზირთა ვინაობაც.

განვიხილოთ, **რამდენად სწორია** ეს სია, რამდენად დამაჯერებელია მისი დასაბუთება.

სამწუხაროდ, პ. ინგოროყვას ნაშრომები, რომლებიც ასე მდიდარია ახალი დებულებებით, მეტად მწირია საბუთიანობის თვალსაზრისით. ამიტომ ამ ნაშრომებში წამოყენებულ ეერც ეოთ დებულებას მკვლევარი ვერ ადგენ-ლებს და ვერც უარყოფს სათანადო შემოწმების გარეშე. შემოწმებისას ეს ალბათ ალბათ ალბათ

ფო კარზე 1191 წელს, ამ დროს მომხდარა „შეწყალება“ და „დალოცვა“ შოთასი და მისი უმცროსი ძმისა (რომელიც წყაროებში ტბელის სახელით მოიხსენება). **ერთი ძველი ქართული ქრონიკის ჩვენებიდან ჩანს,** რომ 23 წელი ითვლებოდა სრულწლოვანებად; ამ დროს უნდა მომხდარიყო პირველი დალოცვა ფფლობელად, ამის მიხედვით შოთას უმცროსი ძმა **(რომელიც 1191 წელს პირველად დალოცვილი)** დაბადებულია 1169 წლის ახლო. ხოლო შოთა, რომელსაც 1191 წელს, **ჩანს, მიუღია** არა პირველი დალოცვა, არამედ ახალი „შეწყალება“, დაბადებულა 1169 წელზე ადრე, ამის ახლო ხანებში“ (ხაზგასმა ჩვენია — ნ. შ.).

მთელი ეს მსჯელობა დაუსაბუთებელია: არსად არ არის მითითებული წყარო. მკითხველი თვით უნდა მიხვდეს, რომ ეს დასკვნები დამყარებულია თამარის ისტორიოსის ცნობაზე, 1191 წელს მეფის კარზე გრიგოლისძეთა დალოცვის შესახებ, მაგრამ რატომ არიან ეს გრიგოლისძეები მაინცადამაინც შოთა და ტბელი, რატომაა ტბელი შოთას უმცროსი ძმა, მაშინ როცა წყაროებში ის 30-მდე წლით უფროსი ჩანს შოთა კუპრზე (ტბელი იხსენიება თამარის მეფობაში. ხოლო შოთა კუპრი მონღოლთა ბატონობის ხანაში) და ამდენად რავიშუფლად შეეძლო უმცროსი ძმა კი არა, მამაც ყოფილიყო მისი. რატომაა შოთა უფროსი ტბელზე მაინცადამაინც 2-3 წლით და არა, მაგალითად, 5-10 წლით. საიდან დასაკვნა ავტორმა, რომ ტბელი პირველად დალოცეს, ხოლო შოთამ ახალი შეწყალება მიიღო. რომელია ის „ერთი ძველი ქრონიკა“, რომელიც საშუალებას აძლევს პ. ინგოროყვას ასეზუსტად დაადგინოს დალოცვის ასაკი და მასზე დამყარებით შოთა რუსთველის დაბადების თარიღი — ყველაფერი ეს გამოცანად რჩება მკითხველისთვის. **„ერთი ძველი ქრონიკის“** დამოწმება, მისი კონკრეტული მითითების გარეშე, ცხადია, დასაბუთებად ვერ გამოდგება. ასევე დასაბუთებად არ ჩაითვლება სიტყვა **„ჩანს“**: „...ჩანს, მაგალია არა პირველი დალოცვა, ... ახალი შეწყალება“. მკითხველმა [illegible] დავს, თუ საიდან ჩანს ეს.

მიიჩნევეს რა ყველა ამ დასკვნას დამტკიცებულად, ავტორი ნაშრომის სხვა ადგილებზე უთითებს მას, როგორც ახალი დასკვნების საფუძველს. ასე მაგალითად, „რუსთველიანას“ 182 გვ-ზე აღნიშნულია: „ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ შოთა მიღებული იქნა თამარის კარზე 1191 წელს“. აქ ავტორი უთითებს ჩვენს მიერ ციტირებულ ადგილს და შემდეგ აქედან გამომდინარე მსჯელობს. „რუსთველიანას“ 165 გვ-ზე გიშის მფლობელებზე ასათზე და შოთაზე აღნიშნულია: — **„აღმოსავლეთ-ჰერეთის შემოერთებას ჩანს არ მოჰყოლია რაიმე გართულება. აღმოსავლეთ-ჰერეთის ეს უკანასკნელნი დამოუკიდებელნი მფლობელნი, ამის შემდეგაც ჩანს მიღებულნი ყოფილან დავით აღმაშენებელის სამეფო კარზედ. ისინი მოიხსენებიან როგორც მონაწილენი ნაჟარმაგევის ცნობილი დარბაზობისა, რომელიც გაუმართავს დავით აღმაშენებელს თავის ყმად-ნაფიცი და დამორჩილებული მეფეებისა და მთავრებისათვის“** (ხაზგასმა ჩვენია — ნ. შ.).

მითითებულია „ჭელმწიფის კარის გარიგება“. მითითებულ ადგილზე კი არც ასათია მოხსენიებული და არც შოთა. გაუგებრობას განმარტავს სქოლიო, სადაც პ. ინგოროყვა რამდენადმე სცვლის თავის ცნობას და აღნიშნავს, რომ „კარის გარიგებაში“ მოიხსენიება თურმე მხოლოდ ასათი, შოთას გარეშე. ამასთან, მართალია მითითებულ წყაროში ვერც ასათის სახელსა და ვერც მის სამფლობელო გიშს მკითხველი ვერ ნახავს, მაგრამ, თურმე ასათის სახელი უნდა ვიგულისხმოთ აქ მოხსენიებულ წანართა მეფეში, რადგან წანართა მეფე, პ. ინგოროყვას აზრით, თურმე იგივე ჰერ-კახთა მეფეა (გამოდის, რომ დავით აღმაშენებლის მიერ კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგაც არსებობს ჰერ-კახთა მეფე, რომელიც თურმე ყმად-ნაფიცი, ე. ი. ვასა-

ლია დავით აღმაშენებლისა! გამოდის, რომ დავით აღმაშენებლის მიერ გიშის დაპყრობის შემდეგ (1117 წ.) გიშის მფლობელები ასათ და შოთა, თუ მარტო ასათი, ჰერ-კახთა მეფეები არიან). საკმაოდ თავისებური დამოწმებაა წყაროსი!

„რუსთველიანას“ 121-ე, 220-ე გვერდებზე და „რუსთველიანას ეპილოგის“ 671-ე გვერდზე ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთველი, იგივე შოთა კუპრი, გაპყავა ნარინ-დავითის მონღოლთა ურდოში. დამოწმებულია ყამთაოღმწერელი, იქ კი ასეთი ცნობა არ მოიპოვება. მითითებულ ადგილას წყარო გვამცნობს არა ნარინ-დავითის მონღოლთა ურდოში წასვლაზე, არამედ — რუსუდანთან ერთად ბარდავში ნოინებთან მისვლაზე მონღოლებთან შესარიგებლად და მეფობის მისაღებად.[1]

ნარინ-დავითის ურდოში (ჯერ ბათუ ყაენთან, ხოლო შემდეგ ყარაყორუმში— დიდ ყაენთან) გაგზავნაზე ყამთაოღმწერელი გვამცნობს: „ხოლო ვითარ არღარა იყო ღონე, წარვიდა ნარინ-დავით. და თანა-წარატანა მეფემან რუსუდან მცირედ თანაზრდილნი მისნი, ქართლისა ერისთავის სურამელის გრიგოლის შვილი ბეგაი, გურკელელი მახუჯაგისძე, ამირეჯიბი ბეშქენ, და თუალნიცა ორნი დაუმალნა, ძჯრად საფასონი. და წარვიდეს შემდგომად კუალსა ავაგისსა და ხლთის სულტნისასა, რამეთუ პირველ იგინი წარავლინეს თათართა. და მიიწვნეს წინაშე ზემოხსენებულის ბათოსსა, რომელნმან კეთილად ისიერნა ნარინ-დავით მეფე, და ორისა წლისა ყაჰთა თჳს თანა იპყრა და მიერ წარავლინა ჩინ-მაჩინს და ყარაყორუმს, მანგუ ყაენს წინაშე, რომელი მიიწია რა, კეთილად შეიწყნარა. და ავაგს შეეყარა. რომელი პირველ მოსულ იყო ბეგ-და მის თანა იყოფოდა“ (ხაზი ჩვენია — ნ. შ.).[2]

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, მონღოლთა ურდოში დავით რუსუდანისძის გამყოლთა შორის ყამთაოღმწერელთან შოთა კუპრი არ მოიხსენიება. არც ერთ საისტორიო წყაროში შოთა კუპრის მონღოლთა ურდოში წასვლაზე ცნობა არ მოიპოვება. საიდან გაუჩნდა მკვლევარს ასეთი აზრი, გაუგებარია. ამასთან გაუგებარი ხდება, როგორ ათავსებს პ. ინგოროყვა შოთა რუსთველის ბიოგრაფიაში იმას, რომ შოთა ნარინ-დავითსაც გაპყვა მონღოლთა ურდოში და საქართველოშიც მოღვაწეობს ამის მომდევნო წლებში. ეგებება რუმიდან დაბრუნებულ დავით ლაშასძეს, მონაწილეობს კოხტას-თავის შეთქმულებაში და 1245 წ. მეჭურჭლეთუხუცესსიც ხდება? დაახლოებით ასეთივე შეუსაბამობას აქვს ადგილი შოთა რუსთველის ბიოგრაფიის იმ ნაწილში, როცა ის განდევნილიცაა უცხოეთში. სადაც „ვეფხისტყაოსანს“ წერს და საქართველოშიცაა. სადაც ის რუსთავის მფლობელია და ჰერეთის ერისთავთერისთავობასაც იღებს. მაგრამ, ამაზე ქვემოთ.

ზშირად ავტორს ამა თუ იმ დასკვნის დასასაბუთებლად გამოყენებული აქვს თავისთავად დაუსაბუთებელი დებულებები. აძიკვის ბარელიფის დაორაილებასთან დაკავშირებით პ. ინგოროყვა. ადგენს რა საქართველოში უმეფობის ხანის წლებს, რაც რუსუდანის გარდაცვალებით იწყება, აღნიშნავს: „...მონღოლებთან ზავის ჩამოგდების შემდეგ, გარდაიცვალა რუსუდან მეფე. ეს მომხდარა სხვადასხვა სინქრონიზმების მიხედვით 1242 წელს“ („რუსთველიანა“ გვ. 232). რას გულისხმობს ამ „სხვადასხვა სინქრონიზმებში“ ავტორი, გაუგებარია. ანგარიში არ ეწევა იმ გარემოებას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში რუსუდან მეფის გარდაცვალების თარიღად 1245 წელია დადგენილი.[3] გაურკვეველია აგრეთვე, თუ რატომ ფიქრობს ავტორი, რომ უმეფობა 1248 წ. გაგრძელდა. აძიკვის ძეგლში მე-

[1] ყამთაოღმწერელი, მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 600, 604—605; ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 192, 195.

[2] ქართლ. ცხოვრ., II, 1959, გვ. 206.

[3] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, III, 1949, გვ. 119. ნ. ბერძენიშვილი, საუბრები ფეოდალურ საქართველოში, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 403.

ფის მოუხსენებლობა პ. ინგოროყვას მიაჩნია იმის ნიშნად, რომ ძეგლი შექმნილია უმეფობის ხანაში. ეს დებულებაც დაუსაბუთებელია: არაა გათვალისწინებული სხვა ეპიგრაფიკული ძეგლები, რომელთა შორის ბევრი მეფობის ხანას ეკუთვნის, მაგრამ მეფეს არ ახსენებს (წუნდის—XI—XII ს., ქვემო ჯინისის—XII ს., ბეშთაშენის—XII ს., სათხის—XI ს., სავანის—1046 წ. და სხვა.). ამგვარად, აძიკვის ბარელეფი დათარიღებულია 1242-48 წლით, ე. ი. ამ შემთხვევაში **სამი დაუსაბუთებელი დებულებით დასაბუთებულია მეოთხე დებულება.**

ეს მაგალითები ნათელყოფენ, თუ რაოდენ ძნელია პ. ინგოროყვას აღნიშნულ ნაშრომებში წამოყენებულ დებულებათა სისწორის შემოწმება.

მაგრამ ეს დებულებები, როგორც აღვნიშნეთ, იმდენად მნიშვნელოვანია როგორც რუსთველოლოგიაში, ისე ისტორიაში, რომ მათი უგულებელყოფა და განუხილველობა მაინც არ შეიძლება. რუსთველოლოგებმაც და ისტორიკოსებმაც გარკვეული პასუხი უნდა გასცენ მათ: ან მიიღონ ეს დებულებები, როგორც სწორი, ან უარყონ ისინი, როგორც მცდარი.

ახლ რომ, დავუბრუნდეთ სავაზიროს: განვიხილოთ, უპირველეს ყოვლისა, სავაზიროს შემდგენლობა: რამდენად სწორია XII საუკუნის სავაზიროში მსახურთუხუცესის, ჩუხჩარხის, მეჯინიბეთუხუცესის და ამირახორის შეყვანა? რა საბუთები აქვს პ. ინგოროყვას საამისოდ?

როგორც ცნობილია, ქართული სავაზიროს შესასწავლად ძირითად წყაროს საქართველოს სახელმწიფო სამართლის XIV საუკუნის ძეგლი „კელმწიფის კარის გარიგება“ წარმოადგენს. მისი ცნობების ამომწურავი შესწავლისა და სხვა წყაროებთან შეჯერების შედეგად სავაზირო და მისდამი დაქვემდებარებული სამოხელეო ინსტიტუტების[illegible] წავლილი აქვს ივ. ჯავახიშვილს „ქართული სამართლის ისტორიის“ I წიგნში. სავაზიროსადმი სპეციალური გამოკვლევა აქვს მიძღვნილი ნ. ბერძენიშვილს,[1] მაგრამ განსახილველი საზიროებიდან მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს სავაზიროს შეესწავლას პირველად პ. ინგოროყვამ მოჰკიდა ხელი. საერთოდ, „რუსთველიანას“ და მისი „ეპილოგის“ კითხვის დროს იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს არ არსებობს არც ქართული საისტორიო მეცნიერება, არც ფილოლოგია, არც რუსთველოლოგიური ნაშრომები. რომ პ. ინგოროყვა პირველი იკვლევს საქართველოს ისტორიის ელემენტარულ საკითხებსაც კი. იძულებულია დადგენოს თვითეული ვაზირის ფუნქციები, ეროსთავის შინაარსი, შეისწავლოს ლაშა გიორგის პიროვნება, გამოიკვლიოს წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით თამარის ისტორიკოსები, ქამთაადმწერელი და სხვა. მაგრამ ნუთუ პ. ინგოროყვამ არ იცის, რომ ამ საკითხებზე არსებობს გაცილებით უფრო სრული და ამომწურავი გამოკვლევები? პ. ინგოროყვა ხშირად აყენებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის სრულიად საწინააღმდეგო დებულებას ისე, რომ არა თუ არ არღვევს, არამედ არც იხსენებს უკვე არსებულ თვალსაზრისს.

„კელმწიფის კარის გარიგება“ სრულიად დაუშვებელს ხდის ჩუხჩარხის, მეჯინიბეთუხუცესისა და ამირახორის ვაზირებად მიჩნევას, რადგან აღნიშნული ძეგლი საკმაოდ ნათელ ცნობებს ვვაწვდის სავაზიროს შემადგენლობაზე. რაც შეეხება მსახურთუხუცესს, ის, „კარის გარიგებისავე“ ცნობით, სავაზიროში შეუყვანია რუსუდან მეფეს.[2]

ის, თუ როგორ იცავს პ. ინგოროყვა „კარის გარიგების“ ამ ცნობების მიუხედავად თავის აზრს აღნიშნულ მოხელეთა ვაზირობის შესახებ, კარგი ნიმუშია იმისა, როცა მკვლევარს **წყაროები-**

[1] ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940 წ., გვ. 391—412; X, 1941 წ., გვ. 281—302.

[2] ე. თაყაიშვილი, კელმწიფის კარის გარიგება, 1920 წ., გვ. 19.

დან კი არ გამოაქვს თავისი დასკვნები, არამედ ამ დასკვნების შესაბამისად განმარტავს წყაროებს. პ. ინგოროყვა აცხადებს, რომ ჩუხჩახი, მეჯინიბეთუხუცესი და ამირახორი თამარ მეფემ გამოიყვანა სავაზიროდან 1191 წელს, წაართვა მათ ვაზირობა. ამით გასაგები უნდა გახდეს მკითხველისთვის, თუ რატომ არ მიიჩნევს მათ ვაზირებად „ჟელმწიფის კარის გარიგება“. რაც შეეხება მსახურთუხუცესს, „კარის გარიგების“ აღნიშნულ ცნობას მის შესახებ პ. ინგოროყვა იგებს ისე, თითქოს რუსუდანამდე მსახურთუხუცესი უმცროსი ვაზირი იყო სათათბირო ხმით, ხოლო რუსუდანის დროს ის სრულუფლებიანი ვაზირი გახდა. ავტორი აღნიშნავს: „მსახურთუხუცესი პირველ პერიოდში, მე-12 საუკუნესა და მე-13 საუკუნის დასაწყისში, უმცროს ვაზირად ითვლებოდა, სავაზიროში იგი სათათბირო ხმით სარგებლობდა. ხოლო შემდეგ, როგორც ეს აღნიშნული „კარის გარიგებაში“-ში, მსახურთუხუცესს მიენიჭა სრულუფლებიანი ვაზირის რანგი“ („რუსთ. ეპილოგი,“ გვ. 563).

მაგრამ „კარის გარიგებაში“ ხომ სრულიად არაფერია ნაოქვამი მსახურთუხუცესის სრულუფლებიან ვაზირად გახდომაზე, პ. ინგოროყვა წყაროს მიაწერს თავის აზრს. წყაროში კი აღნიშნულია: „...მსახურთუხუცესი მანველი რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზიროსა...“

როგორც ვხედავთ, აქ სრულიად ნათლად და გარკვევით არის ნათქვამი მსახურთუხუცესის სავაზიროში შეყვანაზე, გავაზირებაზე, ე. ი. მანამდე ის არ ყოფილ„ ვაზირი, არ შედიოდა სავაზიროში. **„კარის გარიგების“ ამ ცნობის სხვანაირად გაგება შეუძლებელია.**

ამასთან, პ. ინგოროყვას მიერ შემოთავაზებული კატეგორიები „სრულუფლებიანი“ და „არასრულუფლებიანი“ ვაზირებისა ხელოვნურია. ასეთი კატეგორიები არ არსებული. ვაზირი ყველა სრულუფლებიანი იყო, თუნდაც ჭეშმარიტებად რომ მივიჩნიოთ პ. ინგოროყვას მტკიცება, რომ მსახურთუხუცესი რუსუდანამდე სავაზიროს სხდომებს ესწრებოდა სათათბირო ხმით, ჩვენ ვიმეორებთ, ასეთი მტკიცებისთვის არავითარი საფუძველი არ არსებობს), მაინც გამდის, რომ მსახურთუხუცესი ვაზირი **არ** ყოფილა. იმავე „კარის გარიგებიდან“ კარგად ჩანს, რომ ის, ვინც სავაზიროს სხდომებს ესწრებოდა არაგადამწყვეტი ხმით (ამირახორი, ამირეჯიბი, საწოლის მწიგნობარი), ვაზირი არ იყო, არამედ, უკეთეს შემთხვევაში — ვაზირის მოადგილე, „ვაზირის ვაზირი“ (როგორც მაგალითად ამირახორი, რომელიც ამირასპასალარის მოადგილე იყო). რატომ აღარ შეჰყავს 1191 წლის შემდეგ ვაზირთა სიებში პ. ინგოროყვას, მაგალითად, ამირახორი? ხომ კარგადაა ცნობილი, რომ ამირახორი XIII—XIV საუკუნეებში სავაზიროს სხდომებსაც ესწრებოდა და სათათბირო ხმაც ჰქონდა?

მაგრამ ამჯერად თავი დავანებოთ მსახურთუხუცესს და დავუბრუნდეთ იმ სამ მოხელეს, რომლებიც პ. ინგოროყვას მტკიცებით 1191 წელს გამოაძევეს სავაზიროდან. რას ემყარება პ. ინგოროყვა, როცა ასეთ ცნობას გვაწვდის? რომელ წყაროში მოიპოვება პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნობა თამარის მიერ 1191 წელს სავაზიროს შემცირების შესახებ? თვით ავტორი ამის შესახებ არაფერს გვამცნობს. ის აღნიშნავს მხოლოდ: „თამარის მეფობაში, 1191 წელს, სავაზიროს შემადგენლობაში ცვლილება მოხდა. ცვლილება ამაში მდგომარეობდა, რომ სავაზიროში დატოვებულ იქნა მხოლოდ ხუთი წევრი, ე. ი. საკუთრივ ვაზირები: 1. მწიგნობართ-უხუცესი; 2. ამირსპასალარი; 3. მანდატურთ-უხუცესი; 4. მეჭურჭლეთ-უხუცესი; 5. მსახურთ-უხუცესი. რაც შეეხება სამ სპასპეტს (ჩუხჩახი, მეჯინიბეთ-უხუცესი და ამირახორი), მათი თანამდებობანი თუმცა დარჩა, მაგრამ ამის შემდეგ სავაზიროს წევრებად აღარ ითვლებიან“ („რუსთველოლანს ეპილოგი“, გვ. 568).

რა თქმა უნდა, არავითარი ცნობა **თამარის მიერ სავაზიროს ამ რეფორმის ჩატარების შესახებ წყაროებში არ მოიპოვება** და არც შეიძლება იყოს: XII—XIII სს. სავაზირო, როგორც ახლად წარმოშობილი ინსტიტუტი აღმავლობის გზაზე მდგარი სახელმწიფოს გამგეობლისა, განიცდიდა ზრდას და არა შემცირებას. XIII სს. დასაწყისში სავაზიროს მიემატა მეხუთე ვაზირი — ათაბაგი, ხოლო რუსუდან მეფის დროს მეექვსე ვაზირი — მსახურთუხუცესი.

მაგრამ თავი დავანებოთ ამ სამი მოხელის სავაზიროდან გამოყვანას და ვნახოთ, თუ როგორ შეიყვანა ისინი სავაზიროში პ. ინგოროყვაძ. დაეუშვათ, რომ „ელმწიფის კარის გარიგება“ არ შემოგვრჩა და ამდენად ის ხელს არ უშლის აღნიშნული ოთხი მოხელის ვაზირობას, არ აიძულებს პ. ინგოროყვას სამი მათგანი გამოიყვანოს სავაზიროდან 1191 წელს, ხოლო მეოთხე გამოაცხადოს „არასრულუფლებიან ვაზირად“. შესაძლებდა თუ არა პ. ინგოროყვა აღნიშნულ მოხელეთა ვაზირობის დამტკიცებას, „კარის გარიგებას“ რომ არ შეეშალა მისთვის ხელი? რა პოზიტიური მონაცემები აქვს მას საამისოდ?

აღნიშნული ოთხი მოხელის ვაზირობას, პ. ინგოროყვას აზრით, ამტკიცებს ერთი ადგილი თამარ მეფის ანონიმი ისტორიკოსის ტექსტიდან („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“), სადაც ჩამოთვლილი ყველა პირი პ. ინგოროყვას სავაზიროს წევრად მიაჩნია (იქვე, 565). ავტორს მთლიანად მოჰყავს აღნიშნული ტექსტი, თუმცა ეს ტექსტიც ზოგან რამდენადმე გადაუკეთებია, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. აღნიშნულ ტექსტში მსახურთუხუცესის, ჩუხჩარხის და ამირახორის მოხსენიება პ. ინგოროყვას მიაჩნია ამ მოხელეთა ვაზირობის დამამტკიცებელ საბუთად. მაგრამ ტექსტი ერთ უხერხულობას იწვევს: მასში მოხსენიებული არ არის მეჯინიბეთუხუცესი. გამოდის, რომ ან ტექსტი არ წარმოადგენს ზირთა სრულ სიას, ან მეჯინიბეთუხუცესი არ არის ვაზირი. პ. ინგოროყვაძ ეიოლად პოულობს გამოსავალს: თვითონვე უმატებს ტექსტში კუთხურ კავებში ჩასმულ მეჯინიბეთუხუცესს. ამრიგად, ვაზირთა სია სრული ხდება (თამარის ისტორიის ეს ადგილი სიტყვა-სიტყვით შეტანილია „კარის გარიგებაში“, სადაც აგრეთვე არ არის ნახსენები მეჯინიბეთუხუცესი). **ასე, წყაროში თავის მიერვე ჩამატებულ ცნობას პ. ინგოროყვა იყენებს საბუთად მეჯინიბეთუხუცესის ვაზირობის დასამტკიცებლად.**

მაგრამ არიან კი აღნიშნულ ტექსტში მოხსენიებული ყველა პირები ვაზირები? არც თვით ტექსტშია ეს აღნიშნული და არც მისი შინაარსიდან გამომდინარეობს. ტექსტი ცნობას გვაწვდის თამარის გამეფების პირველსა თუ მეორე წელს მეფის მიერ ახალი ვაზირებისა და დიდმოხელეების დამტკიცების შესახებ. ამ დამტკიცებულ ვაზირთა და მოხელეთა შორის დასახელებულია: ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი, ჩუხჩარხი და ამირახორი. ამას მოსდევს ერისთავთ-ერისთავთა სია. მაგრამ აბსაიდან არ ჩანს, რომ ისინი მაინცადამაინც ყველა ვაზირებია. „კარის გარიგებაში“ შეტანილ ამ ტექსტს წინ უძღვის შემდეგი სიტყვები: „ერისთავნი და ელელი მქონებელნი დიდისა თამარ მეფისა, რომელიცა განაჩინა ერთნეჰითა შეიდსავე სამეფოსა დიდებულნი“.[1] „ერისთავნი და ელელი მქონებელნი“ და არა ერისთავნი და მხოლოდ ვაზირნი, როგორც ამას ფიქრობს პ. ინგოროყვა. „ელელი მქონებელი“ შეიძლება იყოს როგორც ვაზირი, ისე არავაზირიც.

აღნიშნულ ტექსტში პ. ინგოროყვა კიდევ ერთ საბუთს ხედავს მსახურთუხუცესისა და ჩუხჩარხის ვაზირობის დასამტკიცებლად: ესაა ცნობა ამ ორი

[1] ექვ. თაყაიშვილი, ელმწიფის კარის გარიგება, 1920 წ., გვ. 16.

მოხელის სასთაულით ჯდომის პატივის შესახებ დარბაზობის დროს: „უბოძა... [თამარმა] მსახურთუხუცესობა ვარდანს დადიანსა, ჩუხჩარეხობა მარუშიანსა, ძესა ჩუხჩარეხისასა, ვინაცა მათ ორთავე მამანი მომკცოვნებულ იყვნეს და დასდვა მამისა პატივი მათისა და დასხნა სასთაულითა"[1]. სასთაულით, ე. ი. ბალიშით ჯდომა სამეფო დარბაზობის დროს, პ. ინგოროყვას აზრით, საერო პირთაგან მხოლოდ მეფისა და ვაზირთა პრეროგატივა იყო. ამდენად, სასთაულით ადგილის ბოძება ივიგე ვაზირობის ბოძება იყო. „რუსთველიანას ეპილოგში" პ. ინგოროყვა, აკვიწერს რა ვაზირთა გარეგნული პატივის ნიშნებს — სამოსელსა და ჯდომის წესს სამეფო დარბაზობის დროს, აღნიშნავს: „ვაზირთათვის განკუთვნილი იყო საგანგებო სამოსელი, რომელსაც „სკარამანგი" ეწოდებოდა. ვაზირის საჯდომი იყო ოქროჭედილი „სელი" (დიდი სკამი." („რუსთვ. ეპილ.". გვ. 611).

თამარის ისტორიაში, რომელსაც ემყარება პ. ინგოროყვას ეს ცნობა ვაზირთა სამოსელისა და დაჯდომის წესის შესახებ, „სკარამანგი" და „ოქროჭედილი სელი" მიკუთვნებულია მხოლოდ მწიგნობართუხუცესის, ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესისათვის. იქ, სადაც ჩამოთვლილია 1184-85 წელს თამარის მიერ დამტკიცებული ვაზირები და სხვა მოხელეები, მწიგნობართუხუცესის, ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის ჩამოთვლის შემდეგ აღნიშნულია: „...შთააცვეს ტანსა მისსა სკარამანგი, და დასუეს სელებითა ოქრო-ჭედილითა რომელნიმე მარჯუეენი მისსა და რომელნიმე მარცხენითა..."[2].

ამავე ადგილზე (მანდატურთუხუცესის შემდეგ) შეტანილია ეს ტექსტი „კარის გარიგებაში".[3] პ. ინგოროყვას სურს ეს სამოსელი და დაჯდომები მიაკუთვნოს ყველა ვაზირს დასაბამისრის მის მიერ ვაზირებად მიჩნეულ ოთხ მოხელეს, მათ შორის მის მიერვე ტექსტში ჩამატებულ მეჯინიბეთუხუცესს. ამიტომ მას წყაროდან მოტანილ ტექსტში **თვითნებურად გადააქვს ეს ადგილი ტექსტის ბოლოში,** ამირახორის შემდეგ და ამის თაობაზე არაფერს არ ამბობს („რუსთვ. ეპილ.", გვ. 565—566).

ვაზირთა ჯდომის წესზე პ. ინგოროყვა კიდევ უფრო მეტ ცნობებს გვაწვდის. ის აღნიშნავს: „ვაზირთა საჯდომი ასე იყო გაწყობილი: ოქროჭედილ სელზე გადაეფინებოდა ნატი (მოქნილი ტყავი) და ზედ დასაჯდომად დაიდებოდა „სასთაული" (ბალიში)...

„სასთაული" განსაკუთრებული პატივის ნიშნად ითვლებოდა, რადგან ეს იყო მეფისა და ვაზირთა პრეროგატივა" („რუსთვ. ეპილ"., გვ. 611).

შემდეგ პ. ინგოროყვა, „კარის გარიგებასა" და „განგება დარბაზობისა"-ზე დაყრდნობით, აგვიწერს დარბაზობის მთელ ცერემონიალს. მოვიტანოთ „რუსთველიანას ეპილოგიდან" ის ადგილი, რომელიც ეხება ჯდომის წესს: [ვასალი მეფეების] „შემდეგ მაგიდებთან ისხდნენ ოქროჭედილ სელებზე, რომლებიც გაწყობილი იყო ნატითა და სასთაულითა: 8. პირველი ვაზირი. ჭყონდიდელი.

ჭყონდიდელის გვერდით სამი მთავარეპისკოპოსი: 9. ქუთათელი; 10. იშხნელი; 11. სომხითისა დიდი მიტროპოლიტი.[4]

ვაზირნი: 12. ათაბაგი; 13. ამირსპასალარი; 14. მანდატურთ-უხუცესი; 15. მეჭურჭლეთ-უხუცესი; 16. მსახურთ-უხუცესი.

შემდეგ ისხდნენ ნატიოა, მხოლოდ უსასთაულოდ: ერისთავთ-ერისთავნი (მეთაურნი დიდ საერისთაოთა, რომელთა რიცხვი სახელმწიფოში 25 იყო) და აგრეთვე მათი რანგის ეპისკოპოსნნი.

შემდეგ ისხდნენ — უნატოდ:

ერისთავნი და მათი რანგის ეპისკოპოსნნი..." (იქვე. გვ. 616).

---

[1] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 33.

[2] იქვე.

[3] კარის გარიგება, გვ. 16.

[4] „განგება დარბაზობისა"-ში წერია არა „სომხითისა დიდი მიტროპოლიტი", არამედ — „დიდისა სომხითისა მიტროპოლიტი".

პ. ინგოროყვას მიერ აქ წარმოდგენილ სურათს ვერ ვნახავთ ვერც ერთ მის მიერ მითითებულ წყაროში: არც ვეზირთა, არც ერისთავთ-ერისთავთა და არც ერისთავთა სასთაულითა თუ ნატო დაჯდომის წესზე არაფერია ნაჩქეიმი არც „ქელმწიფის კარის გარიგება“-ში, არც „განგება დარბაზობისა“-ში და არც რომელიმე სხვა წყაროში.

სინამდვილეში სასთაულით ჯდომის შესახებ ცნობები ვვაქვს საქართველოს მეფისა და მისი ვასალი მეფეების შესახებ „კარის გარიგებაში“,[1] კათალიკოსისა და სხვა მღვდელმთავრების შესახებ „განგება დარბაზობისა“-ში,[2] მსახურთუხუცესისა და ჩუხჩარხის შესახებ თამარის ისტორიის ზემოდასახელებულ ტექსტში. ეს არის სულ, რაც ვიცით სასთაულით ჯდომის შესახებ. ამ ცნობებიდან კი სრულიად არ გამომდინარეობს, რომ სასთაულით ჯდომა საერო პირებიდან მეფისა და ვეზირთა პრეროგატივა იყო მხოლოდ. პირიქით, თამარის ისტორიის ზემოაღნიშნული ადგილი მოწმობს, რომ სასთაულით, ვეზირების გარდა, ისხდნენ სხვა დიდი მოხელეებიც, როგორც მაგალითად, მსახურთუხუცესი, რომელიც ამ დროს ჯერ ვეზირი არ იყო და ჩუხჩარხი, რომელიც არასდროს ვეზირი არ ყოფილა.

შეიძლება თუ არა დასაშვებად მიეჩნიოთ ჩუხჩარხის, ამირახორისა და მეჯინიბეთუხუცესის ვეზირობა? შეიძლება თუ არა დავუშვათ, რომ პ. ინგოროყვამ სწორად ამოიცნო აღნიშნული მოხელეების ვეზირობა, მაგრამ ვერ წარმოადგინა საკმარისი მასალა ამის დასასაბუთებლად? ამის დაშვება არ შეიძლება: ვეზირები იყვნენ ამა თუ იმ ცენტრალური უწყების გამგებლები და მეფის მოადგილეები ამ უწყების ხაზით. არც ერთი აღნიშნულ სამ მოხელეთაგანი უწყების მეთაური არ ყოფილა. ამირახორი იყო ამირსპასალარის, მეჯინიბეთუხუცესი — ცხენოსანთა ახორის ერთ-ერთი ხელქვეშეთი მოხელე, ხოლო ჩუხჩარხზე, მსახალია, მცირე ცნობები შემოგვრჩა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ არც ერთი უწყების მეთაური ის არ ყოფილა. თვით პ. ინგოროყვაც ხომ აღნიშნავს ამირახორზე და მეჯინიბეთუხუცესზე: „...მეჯინიბეთუხუცესი და ამირახორი იყვნენ მოადგილენი ამირსპასალარისა, სამხედრო მინისტრისა და მთავრსარდლისა“ („რუსთვ. ეპილოგი“, გვ. 564). ცხადია, უწყების მეთაურის მოადგილე ვეზირი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ის იქნებოდა „ვეზირის ვეზირი“, როგორც იწოდება კიდეც ამირახორი „კარის გარიგებაში“ — და არა მეფის ვეზირი, რომელიც ემვმდებარებოდა მხოლოდ მეფესა და ვეზირთა უპირველეს.

მსახურთუხუცესის ვეზირობის დასამტკიცებლად პ. ინგოროყვას, გარდა სასთაულისა, რომელიც როგორც დაინახეთ არ გამოდგება არგუმენტად, მოჰყავს კიდევ ერთი საბუთი: ესაა გუნია-ყალის ცნობილი ეპიგრაფიკული ძეგლი, სადაც, პ. ინგოროყვას აზრით, მოხსენიებულია სავაზიროს სრული შემადგენლობა, მსახურთუხუცესის ჩათვლით.

გუნია-ყალის აღნიშნული ძეგლი, ეს უადრესად ძვირფასი წყარო საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა, მიუხედავად მისი რამდენჯერმე გამოცემისა, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. ყოველ შემთხვევაში, მსახურთუხუცესის ვეზირობის დასამტკიცებლად ის არ გამოდგება, რადგან არავითარი მსახურთუხუცესი იქ მოხსენიებული არ არის. ამ დროს მსახურთუხუცესის სახელო უპყრია ივანე მხარგრძელს, ხოლო ძეგლის სათანადო ადგილზე წერია არა ივანე, როგორც ამას კითხულობს პ. ინგოროყვა, არამედ — ვაჩე. პ. ინგოროყვას ეს წაკითხვა, რომლის მიხედვით წარწერა პირველად გამოიცა ვ. ბარდაველიძისა და ვ. ჩიტაიას „ქარ-

[1] კარის გარიგება, გვ. 12.

[2] ქრონიკები, I, გვ. 45—46.

[3] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართ. ისტ., I, 1919 წ., გვ. 198. კ. კეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, შესავალი, გვ. 11—17.

თულ ხალხურ ორნამენტში"[1] და რომელიც გადაიტანა აქედან ლ. მუსხელიშვილმა თავის „არქეოლოგიურ ექსკურსიებში"[2], შეასწორა ან. ბაქრაძემ: მან ორჯერ გამოსცა ეს ძეგლი თავისი ფოტოპირებით: „საქართველოს მუზეუმის ეპიგრაფიკულ ძეგლთა კატალოგში"[3] და ცალკე სტატიის სახით[4]. ძეგლში სავსებით თვალნათლივ იკითხება შემდეგი ასომ-ავრული ასოები: „ვრეკითა". პ. ინგოროყვამ ამ სიტყვის წინ პირველ გამოცემაში რკალებში, ხოლო „რუსთველიანის ეპილოგში" სულაც ამ რკალების გარეშე ჩაუმატა ასო „ი". „ჩ"-ს ნაცვლად წაიკითხა „ნ", გამოვიდა „ივნესითა", ე. ი. „ივანესითა". პ. ინგოროყვას რომ ანგარიში გაეწია ა. ბაქრაძის მართებული წაკითხვისთვის, ალარ დაუშვებდა ასეთ შეცდომას. გამოდის, რომ ბუნა-ყალის წარწერაში მოხსენებული არ არის მსახურთუხუცესი, ხოლო თუ კი აქ მართლაც წარმოდგენილია სავაზრის სრული შემადგენლობა, როგორც ამას აღნიშნავს პ. ინგოროყვა (ეს თვალსაზრისი დამკვიდრებულია საშეცნიერო ლიტერატურაში), მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ მსახურთუხუცესი არ იყო ამ დროს სავაზროს წევრი. ის იყო მხოლოდ „ყელი შინაური და საპატიო", როგორც ამას გვამცნობს თამარის ანონიმი ისტორიკოსი.

ამრიგად, დავამთავროთ სავაზროს შედგენილობაზე პ. ინგოროყვას თვალსაზრისის განხილვა. **როგორც ვხედავთ, პ. ინგოროყვას დებულება XII ს. სავაზროს რვა ვაზირისგან შედგენილობის შესახებ უარსაყოფია. სინამდვილეში ამ დროისთვის სავაზირო შედგებოდა ოთხი ვაზირისგან** (რომელსაც, როგორც ცნობილია, XIII ს. დასაწყისში მიმატება მეხუთე — ათაბაგი, ხოლო რუსუდანის დროს მეექვსე—მსახურთუხუცესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავიდეთ სავაზროს წევრების თარიღზე. რამდენად არის დასაბუთებული პ. ინგოროყვას მიერ ამ თარიღის გადატანა XII ს. მეორე ნახევრიდან XII ს. დასაწყისში, ე. ი. რამდენად სწორია ავტორის მიერ შემოთავაზებული ვაზირთა სიის უძველესი ნაწილი?

დავიწყოთ ამირსპასალარიდან. როგორც ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, სიტყვა ამირსპასალარი ქართულ წყაროებში პირველად იხსენიება თამარის ანონიმ ისტორიკოსთან.[9] პირველ ამირსპასალარად ამავე წყაროში, გიორგი III მეფობის დროს, დასახელებულია ივანე ორბელი, რომელსაც, სტეფანოს ორბელიანის ცნობით, ამირსპასალარობა მიუღია 1161 წელს.

პ. ინგოროყვას მიერ დადგენილ ვაზირთა სიაში კი პირველ ამირსპასალარად გვევლინება აბულეთი 1125—1130 წლებში. მას ცალის ივანე აბულეთის ძე 1130—1145 წლებში და მხოლოდ ამის შემდეგ ჩანს ივანე ორბელი, ისიც არა მხოლოდ გიორგი III დროდან, არამედ — უკვე 1145 წლიდან.

რა წყაროების მიხედვით ადგენს პ. ინგოროყვა ამირსპასალართა ამ რიგს? აბულეთისძეთა გვარის ისტორია დადგენილი აქვს ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს ჯ. ოდიშელს, თავის გამოუქვეყნებელ ნაშრომში: „დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძი როგორც საისტორიო წყარო". აღნიშნულ ნაშრომში ამომწურავადაა გამოყენებული ყველა საისტორიო წყაროს ჩვენება აბულეთისძეთა გვარის შესახებ. მაგრამ ავტორს აბულეთისძეთა ამირსპასალარობაზე არავითარი ცნობა არ შეხვედრია.

აბულეთის ამირსპასალარობის დასასაბუთებლად ავტორი უთითებს ორ საისტორიო წყაროს: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს და ვარდან აღმოსავლელს. მაგრამ არც ერთ დასახელებულ წყაროში არ არის ნათქვამი ისე-

[1] 1939 წ., გვ. 19, შენიშ. 1.
[2] 1941 წ., გვ. 65.
[3] 1953 წ., გვ. 25—26, № 26.
[4] საქ. მუზეუმის მოამბე. XVII — Б, გვ. 219—225.
[9] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1919 წ., გვ. 143.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი რამ, რაც აბულეთის ამირსპასალარობას გვაფიქრებინებდა: დავით აღმაშენებლის ისტორიაში აღნიშნულია მხოლოდ, რომ 1110 წელს თევდორეს, აბულეთსა და ივანე ორბელს თურქებისგან გაუთავისუფლებიათ სამშვილდე.[1] ვარდანის ცნობით, 1124 წელს განთავისუფლებული ანისის გამგებლად დავით აღმაშენებელს აბულეთი და მისი ძე ივანე დაუნიშნავს. ამ უკანასკნელო, ვარდანისავე ცნობით, ქალაქი მისი მაპმადიანი მფლობელის აბულსუვარის მემკვიდრეებისთვის ჩაუბარებიათ.[2] ვარდანისავე ცნობით, 1130 წელს აბულეთმა ხელი შეუშალა თავის შვილს ივანეს დიმიტრი მეფის მოკვლაში.[3] როგორც ვხედავთ, მითითებული წყაროები აბულეთის ამირსპასალარობაზე არაფერს გვამცნობს.

ივანე აბულეთისძის ამირსპასალარობის დასასაბუთებლად პ. ინგოროყვას მითითებული აქვს 4 სასისტორიო წყარო: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ვარდან აღმოსავლელი და სტეფანოს ორბელიანი. აღნიშნული წყაროები აგრეთვე არ დასტურებენ ივანე აბულეთისძის ამირსპასალარობას: სტეფანოს ორბელიანის ცნობით, ივანე აბულეთისძეს დემეტრეს მეფობაში აუღია დმანისი;[4] ვარდანის ერთი ცნობა ივანე აბულეთისძეზე, რომელიც ეხება 1130 წელს, ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ; ვარდანის მეორე ცნობით, 1132 წელს ივანე აბულეთისძე, დიმიტრი მეფის ბრძანებით, ღალატით მოუკლავთ[5]. ამასვე ადასტურებს ლაშა გიორგის მემატიანე, მხოლოდ ამ ფაქტს ათარიღებს 1145 წლით[6]. თამარის ანონიმი ისტორიკოსი, მოგვითხრობს რა მაპმადიანთა კოალიციურ ლაშქრობაზე გიორგი III წინააღმდეგ XII ს. 60-იან წლებში, ლაშქრობის მონაწილე არდოხის-ძეზე წერს, რომ მისმა მამამ „გამორჩენილი ივანე აბულეთისძე ლტოლვილყო“[7]. როგორც ვხედავთ, არც ივანე აბულეთისძეა წყაროებში მოხსენიებული ამირსპასალარად.

ჯ. ოდიშელმა ზემოდასახელებულ ნაშრომში აბულეთისძეთა გვარზე, დაადგინა, რომ ამ გვარის წარმომადგენელია დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძში მოხსენიებული მეფის წინაღმდეგ აჯანყებული დიდგვარიანი ძაგანი, რომელიც დავითს შეუპყრია და დაუსჯია. ამასთან დაკავშირებით დავით აღმაშენებელი თავის ანდერძში ანდერძში ძაგანის გვარს, ე. ი. აბულეთისძეებს, ახასიათებს, როგორც ყოველთვის მეფის ორგულს: „...მათთა გუართა... არავის ოდეს ექნა ჩვენი ერთგულება“[8]. ეს საგვარეულო, როგორც დავინახეთ, დემეტრეს მეფობაშიც ამართლებს ასეთ დახასიათებას და ივანე აბულეთისძეს კიდეც სიკვდილით სჯიან. ძალიან საეჭვოა, რომ მეფეს მანიცადამანც ამ თავის ორგულ საგვარეულოს წევრ აბულეთისთვის მიეცა ამრისპასალარობა 1125 წელს.

ამირსპასალარობის გარდა, პ. ინგოროყვას აზრით, აბულეთისძეთა გვარს ქართლის ერისთავობაც ეჭირა და ამდენად ის წინამოდგილი იყო ორბელთა გვარისა, რომელიც აგრეთვე ორივე ამ ხელს ფლობდა. მაგრამ აბულეთისძეები წყაროებში არც ამირსპასალარებად, არც ქართლის ერისთავებად არ იხსენიებიან. უფრო მეტიც: მათი ქართლის ერისთავობა საერთოდ გამორიცხულია. ამას ნათელს ხდის ის გარემოება, რომ 1260 წლის ისტორიული დოკუმენტის — ძაგან აბულეთის ძის „დაწერილის“ ცნობით, აბულეთისძეთა გვარი XIII საუკუნეშიც ფლობდა ერისთავთ-ერისთავობას. კერძოდ. აქ მოხსენიებული არიან ძაგანის მამა ერისთავთ-ერისთავი ივანე აბულეთის-

---

[1] ქართლის ცხოვრ., I, 1955, გვ. 331.

[2] მსოფლიო ისტორია (სომხურ ენაზე) 1861 წ., გვ. 156 — 158.

[3] იქვე, გვ. 160.

[4] სტეფანოს ორბ., გვ. 380.

[5] ვარდანი, გვ. 161.

[6] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 367.

[7] ქართლის ცხოვრ, II, 1959, გვ. 6-7.

[8] ისტორ. საბუთ. შიო-მღვიმის მონასტრისა, 1896 წ., გვ. 18.

ძე და ძაგანის ბიძა გიორგი აბულეთისძე, შვილით ივანეთი[1]. XIII ს-ში კი ქართლის ერისთავები, როგორც ცნობილია, სურამელები იყვნენ (რატი, გრიგოლი, ბეგა, რატი), ე. ი. აბულეთისძეები სხვა საერისთავოერისთავოს ფლობდნენ. ამ მხრივ ინგარიშგასაწევია აგრეთვე დავით აღმაშენებლის 1123 წ. ანდერძის ცნობა, რომლის მიხედვით ძაგანიც და მისი წინაპრებიც ფლობდნენ მუხრანსა და ზედაზენს[2]. ეს ადგილები კი არასდროს ქართლის საერისთავოში არ შედიოდა.

ზედაზნის ფლობა შესაძლოა ამ გვარის კახურობაზე მიუთითებდეს.

მანდატურთუხუცესიც წყაროებში პირველად თამარის ანონიმ ისტორიკოსთან იხსენიება. პირველ მანდატურთუხუცესად ამავე წყაროში დასახელებულია ივანე ორბელი[3], რომელიც, როგორც ჩანს, ერთდროულად ფლობს ორი ვაზირის ხელს: ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესისას (ასევე გაერთიანებულია ეს ორი სავაზირო სახელო ივანე ორბელის შემცველის ყუბასარის ხელში 1177 წლიდან).

პ. ინგოროყვას მიერ დადგენილ სიაში კი ამ ხელის პირველ მფლობელად გვევლინება **ასათ გრიგოლისძე**, რომელიც ავტორის აზრით, იყო უკანასკნელი მეფე აღმოსავლეთ ჰერეთისა, შემდეგ ჰერეთის ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი 1117/20 — 1145 წ. წ.

იყო თუ არა ასათი ჰერეთის მეფე ან ჰერეთის ერისთავი, ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ შევეხებით. ახლა კი განვიხილოთ მისი ვაზირობა.

ასათის მანდატურთუხუცესობის დასასაბუთებლად პ. ინგოროყვა მიუთითებს ორ წყაროს: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს და ხელმწიფის კარის გარიგებას. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან ასათი იხსენიება, როგორც გიშის მფლობელი, შემდეგ ერთად, რომლებიც დავითმა 1117 წელს გიშის დაპყრობასთან ერთად ხელთ იგდო[4]. ესაა და ეს. „ხელმწიფის კარის გარიგებაში" კი, როგორც უკვე ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ასათის არა თუ მანდატურთუხუცესობის, არამედ სახელის ხსენებაც კი არსადაა. პ. ინგოროყვა კი აქ ასათის სახელს ხედავს ნაპარაგეევის პერგამაზე მოხსენიებულ წანართა მეფეში. როგორც ჩანს, ამავე წანართა მეფეში ხედავს ის მომავალ მანდატურთუხუცესს.

მეჭურჭლეთუხუცესი პირველად საისტორიო წყაროებიდან თამარის ანონიმ ისტორიკოსთან არის მოხსენიებული. მეჭურჭლეთუხუცესად აქ გვხვდება ყუთლუ-არსლანი გიორგი III-ის მეფობის ბოლოს[5]. ამაზე ადრინდელი მეჭურჭლეთუხუცესის სახელი წყაროებში არ ჩანს.

პ. ინგოროყვას სიაში კი პირველ მეჭურჭლეთუხუცესად დასახელებულია არიშიანი 1105/15-1150/60 წლებში.

არიშიანის მეჭურჭლეთუხუცესობის საბუთად პ. ინგოროყვა გვთავაზობს შემდეგ წყაროებს: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, დავით აღმაშენებლის სიგელს არიშიანისადმი და ათონის ორ ანაპს: № 54 და 143.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს არიშიანი მოხსენიებული ჰყავს, როგორც ჰერეთის დიდებული, რომელმაც, ჰერეთის მეორე დიდებულ ბარამთან ერთად, XII ს-ის პირველს წლებში (1104 წ.) შეიპყრო კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართან და მიჰგვარა დავით აღმაშენებელს. ამას მოჰყვა კახეთ-ჰერეთის გაერთიანება საქართველოს ფეოდალური მონარქიის ფარგლებში[6]. მეტი ცნობა დავითის ისტორიაში არიშიანზე არ მოიპოვება.

რაც შეეხება დავით მეფის აღნიშნულ სიგელს, ეს სიგელი გვამცნობს, რომ არიშიანის შუამდგომლობით დავით მეფე შეუვალობას ანიჭებს

[1] იქვე, გვ. 65.
[2] იქვე, გვ. 18.
[3] ქართლ. ცხოვ., II, გვ. 6.
[4] ქართლ. ცხოვ., I გვ. 334.
[5] ქართლ. ცხოვ., II, 1959, გვ. 25.
[6] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 328.

ვრიგოლ მაოკრებელის შვილს ნიანიას, მისი ნამზითვი მამულით ვეძისხვეთ". არიშიანის ვაზირობაზე აქ არაფერია ნათქვამი.

ათონის მითითებული ორი აღაპიდან ერთი აღაპი პანაშვიდს აწესებს არიშიანისთვის[2], ხოლო მეორე — იოანე კოჯრიხის ძისთვის, რომელსაც, ონნფრე ვარეჯელის ხელით 120 დრაჰკანი და ერთი ჯორი შეეწირავს მონასტრისთვის და რომელიც თუმრე „ძმა და თესი" ყოფილა არიშიანისა[3].

ამ ცნობების მიხედვით არიშიანის მეუფურჭლეთფუხუცესად მიჩნევა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

მსახურთუხუცესად პირველად საისტორიო წყაროებში იხსენიება აფრიდონი — გიორგი III დროს[4].

პ. ინგოროყვას სიაში კი პირველ მსახურთუხუცესად შეტანილია კონსტანტინე დადიანი—1140/50-1180/3 წ. წ. ამის დამამტკიცებელ წყაროებად მკვლევარს დასახელებული აქვს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" და ათონის № 150 აღაპი.

წყაროების შემოწმებით ირკვევა, რომ **კონსტანტინე დადიანი არა თუ ვაზირი არ ყოფილა, არამედ, საერთოდ არც არსებულა.**

სახელდობრ, მითითებული ორი წყაროდან ერთში — თამარის ისტორიაში, არავითარი კონსტანტინე დადიანი მოხსენიებული არ არის. რაც შეეხება ათონის № 150 აღაპს აქ მოხსენიებულია ვარდან კოსტანტის-ძე, მისი მეუღლე მარიამი და შვილი გიორგი, რომელთაც გარკვეული შეწირულებისთვის ეკლესიისა ტერში აღაპი დაუწესეს[5].

პ. ინგოროყვამ, როგორც ჩანს, ეს აღაპის მიხედვით ისე დაადგინა მსახურთუხუცეს კონსტანტინე დადიანის პიროვნება: აღაპში მოხსენიებულია ვარდან კოსტანტისძე, მაშასადამე, ეს არის თამარ მეფის მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, გამოდის რომ კოსტანტი თუ კონსტანტინე ყოფილა მსახურთუხუცეს ვარდან დადიანის მამა და ამიტომ თვითონაც მსახურთუხუცესი, ხოლო მისი ვაზირობის წლების გამორკვევა იოლია. ამისთვის პ. ინგოროყვას კვლევის მრავალი თავისებური მეთოდი გაჩნია.

თუ რამდენად ზერელეა პ. ინგოროყვას ეს საბუთიანობა, ამას ცხადყოფს თუნდაც ის, რომ ისტორიულ წყაროებში შემოგვრჩა ცნობა **ვარდან კოსტანტისძის** შესახებ. ეს არის რაჭის დიდგვაროვანი ფეოდალი, მოხსენიებული სორის ეკლესიის ოთხთავის მინაწერში, რომელიც გამოცემული აქვს ექვთიმე თაყაიშვილს: „...მე, ვარდან, ძემან კოსტანტისმან სალოცველად სულისა ჩუენისათთუის და მოსაკსენებლად სულისა მშობელთა ჩემთა და შვილთა და მომავალთა ჩუენთა ყოველთათუის დავდევ მონასტერსა ჩუენსა სამარხეოსა და სამლოცველოსა ჩუენსა..."[6]

როგორც ვსედავთ, რაჭის დიდგვაროვანის სახელიც და მამის სახელიც ემთხვევა ათონის № 150 აღაპში მოხსენებულ ვარდან კოსტანტისძეს, ვარდან დადიანისა კი — მარტო სახელი. ასე რომ, მსახურთუხუცესი კონსტანტინე დადიანი აღნიშნული აღაპიდან ვერ შეიქმნება.

პირველ ჩუხჩარხად პ. ინგოროყვას ვაზირთა სიაში აღნიშნული ჰყავს ვარდან ვარდანის-ძე 1140/50-1180/3 წ. წ. წყაროებად მითითებულია: „ისტორიანი და აზმანი" და ჯუმათის ეკლესიის ხატის წარწერა, გამოქვეყნებული დ. ბაქრაძის მიერ[7]. თამარის ისტორიაში ვარდან ვარდანის-ძე მოხსენებული არ არის, ხოლო ჯუმათის ხატის წარწერაში მოხსენებული ერისთავთ-ერის-

---

[1] ი. ცინცაძე, დავით მეფის სიგელი, საქართველოს არქივი, II, 1927, გვ. 14-16.

[2] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი, აღაპებით, 1901 წ., № 54.

[3] იქვე, № 143.

[4] ქართლ. ცხოვ., II, გვ. 25.

[5] ათონის ივერიის მონასტრ. 1074 წ. ხელთნაწ. აღაპებით, 1901, № 150.

[6] ექვ. თაყაიშვილი, არქეოლოგ. მოგზ. რაჭაში, 1963, გვ. 33-35.

[7] Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Ачаре, СПб., 1879, стр. 108—109.

თავი ვარდან ვარდანისძე არც ვიცით, რა დროისაა და არც არსაიდან ჩანს მისი კავშირი მარუშიანთან. ამასთან, ეს ვარდანი ჩუხჩარხად არ იწოდება. ჩუხჩარხად ვარდან ვარდანისძის წარმოდგენის საფუძველს პ. ინგოროყვას, როგორც ჩანს, აძლევს თამარის ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ მარუშიან ჩუხჩარხის მამაც ჩუხჩარხი იყო და რადგან სახელი მარუშიანი ვარდანისძეთა გვარში გვხვდება[1], პ. ინგოროყვა აღადგენს მარუშიანის მამის სახელსა და გვარს, როგორც ვარდან ვარდანისძეს. მაგრამ, ჯერ ერთი, თუნდაც რომ მარუშიანი ვარდანისძის შვილად მივიჩნიოთ, რატომ მაინცადამაინც ვარდან ვარდანისძის? სად ჩანს ეს ვარდანი მარუშიანის მამად? მეორეც — სახელი მარუშიანი არ გვხვდება მარტო ვარდანისძეთა გვარში. ჯვრის მონასტრის აღაპები, რომლებიც ესოდენ მდიდარ მასალას გვაწვდიან ქართულ ონომასტიკოსზე, გვამცნობენ, რომ მარუშიანებად იწოდებოდნენ აგრეთვე აფალქისძეთა, ბარეყანისძეთა, ნიორიანისძეთა, ფალქოზისძეთა და სხვა სავგარეულოთა წარმომადგენლები; ასე რომ, სახელის მიხედვით ჩუხჩარხ მარუშიანის მაინცდამაინც ვარდანისძედ გამოცხადება არ იქნებოდა მართებული.

XII ს. I ნახევრის მეჯინიბეთუხუცესისა და ამირახორის პროვინციას პ. ინგოროყვა ვერ ადგენს.

ამით ვამთავრებთ პ. ინგოროყვას მიერ წარმოდგენილი XII ს. I ნახევრის ვაზირთა სიის განხილვას. როგორც ვხედავთ, სიისტორიო წყაროების განხილვა მოწმობს, რომ არც ერთი აქ წარმოდგენილი პირი ვაზირი არ ყოფილა.

II. იყო თუ არა რუსთავის მფლობელობასთან დაკავშირებული მეჭურჭლეთუხუცესის სახელო.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, პ. ინგოროყვა ვაზირთა და, კერძოდ, მეჭურჭლეთუხუცესთა რიგის დადგენის შედეგად მიდის დასკვნამდე, რომ მეჭურჭლეთუხუცესის სახელო, XII ს. დასაწყისიდან XIII ს. შუა ადგილამდე, დაკავშირებული იყო ე. წ. პერეთის რუსთავის ერისთავთერისთავობასთან. აღნიშნულ პერიოდში პ. ინგოროყვას მიერ დადგენილი სიის მიხედვით რუსთავს ფლობდა 7 მეჭურჭლეთუხუცესი. ესენი იყვნენ:

1. არშიანი — 1105/15 — 1150/60 წ.
2. ივანე ვარდანისძე — 1150/60 — 1177 წ.წ.
3. კახაბერ ვარდანისძე — 1184/5 — 1190 წ. წ.
4. აბულასან იობისძე — 1190—1191 წ.წ.
5. ასათ III (გრიგოლ II ძე)—ჰერეთის ბაგრატიონი—1192/3—1195/1200 წ.
6. გრიგოლ III (ასათ III ძე) — ჰერეთის ბაგრატიონი — 1195/1200 — 1204 წ. წ.
7. შოთა III (გრიგოლ III-ის ძე) — ჰერეთის ბაგრატიონი — 1245 — 1250 წ. წ. („რუსთველიანას ეპილოგი", გვ. 660 — 670).

განვიხილოთ ეს სია: იყვნენ თუ არა ეს პირები მართლაც მეჭურჭლეთუხუცესები და ამავე დროს რუსთავის მფლობელები.

1. არშიანი.

არშიანის მეჭურჭლეთუხუცესობაზე ჩვენ უკვე შეეჩერდით XII ს. I ნახევრის ვაზირთა სიის განხილვისას. როგორც ვნახეთ, პ. ინგოროყვას მიერ მითითებული არც ერთი წყაროდან არშიანის მეჭურჭლეთუხუცესობა არ ჩანს. განვიხილოთ ახლა საკითხი მის მიერ რუსთავის ფლობის შესახებ. პ. ინგოროყვა რუსთავის ისტორიის შესწავლის საფუძველზე მიდის დასკვნამდე, რომ რუსთავის ერისთავობა VIII ს. მეორე ნახევრიდან XII ს. დასაწყისამდე ეპყრა არშიანთა, ანუ არშიისძეთა გვარეულობას („რუსთვ. ეპილ.", გვ. 641). არშიანებს პ. ინგოროყვა სახელის მიხედვით უკავშირებს რუსთავს. აწარმოებს რა არშიანს არშიდან და მიიჩნევს რა არშს რუსთავისა თუ რუსთავის ციხის სახელწოდებად.

[1] იხ. ლიხაურის ხატის წარწერა, დ. ბაქრაძე, АПГА, გვ. 109.

გეოგრაფიულ სასელ არიშიდან რომ არ იწარმოება არიშიანი, ეს სავსებით დამაჯერებლად დასაბუთა თავის სტატიაში „ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენის გამო“ ნ. ბერძენიშვილმა[1]. მანვე ისევე როგორც ადრე ს. კაკაბაძემ[2], ნათელყო, რომ რუსთავი არასდროს ჰერეთში არ შედიოდა და ამდენად, ცხადია, დავითის ისტორიაში მოხსენებულ ჰერ დიდებულ არიშიანს არაფერი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს რუსთავთან, თუნდაც რომ შეიძლებოდეს არიშიდან არიშიანის წარმოება.

ჩვენ გვინდა დაეუმატოთ მხოლოდ შემდეგი: **ყველა შემთხვევაში „არიშიანი“ წყაროებში გვხვდება როგორც პირის სახელი და არა როგორც გვარის აღმნიშვნელი.**

ასე რომ, ვერც ერთ არიშიანს ვერ მივიჩნევთ არიშიანთა საგვარეულოს წარმომადგენლად, თუნდაც რომ ასეთი გვარი არსებულიყო ჰერეთში ან კახეთში. შეგვიძლია, მაგალითად, ვთქვათ, რომ თუ წყაროში შეგვხვდა სახელი მარუშიანი, ის მარუშიანთა საგვარეულოს წარმომადგენელია?

მარუშიანის სახელს, როგორც აღნიშნული იყო, ატრებენ: ვარდანისძეები, აფაქისძეები, გარეყანისძეები, ფალქოზისძეები, ნიორაასძეები, ასევე არიშიანის სახელს ატარებენ სხვადასხვა საგვარეულოს წარმომადგენლები, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. რა საფუძველი აქვს ამის შემდეგ პ. ინგოროყვას დაასკვნას, რომ დავით აღმაშენებლის თანამედროვე ჰერი დიდებული არიშიანი და ათონის ორ აღაპში მოხსენიებული არიშიანი — არიშიანთა გვარის წარმომადგენლები იყვნენ, გამოაცხადოს ეს საგვარეულო რუსთავის მფლობელად. შემდეგ დაანათესავოს ის ვარდანისძეებთან, ბოლოს გადააშენოს მაშინდელი ხაზით და გამოაცხადოს მის [illegible] რედ ხან ერთი საგვარეულო, ხან შერეული? სინამდვილეში ხომ არავითარი ცნობა არიშიანის გვარზე არ არსებობს. ყველა შემთხვევაში არიშიანი იხსენიება, როგორც პირის სახელი, რომელსაც ატარებდნენ ლაბათ არა არიშიანის გვარის, არამედ სხვადასხვა გვარების წევრები, მათ შორის, ვარდანისძეები. ასევე სხვა გვარზე მინიშნება ჩანს ათონის № 143 აღაპში, სადაც არიშიანის ძმად და თვსად მოხსენიებულია იოანე კოჯიხის-ძე. ცხადია, არავითარ არიშიანის საგვარეულოსთან აქ საქმე არა გვაქვს.

როგორც სამართლიანად ვარაუდობს ნ. ბერძენიშვილი, რუსთავი შედიოდა თბილისის, ანუ ქართლის საამიროში, არაბთა ბატონობის ხანაში. ამის მოწმობად ნ. ბერძენიშვილს მიაჩნია თუნდაც XI საუკუნის თბილისისა და რუსთავის ამირათა მოხსენიება „ბატიანე ქართლისა“-ში.[3] რუსთავში ამირას არსებობის ტრადიციაზე მიუთითებს, აგრეთვე, ჰიმნი დავით გარეჯელზე, სადაც მოხსენიებულია რუსთველი ამირა ბუბაქრი[4] და რომელიც ციტირებული აქვს პ. ინგოროყვას ისე, რომ ამირა გამოტოვებულია (ხომ არ არის დაკავშირებული აგრეთვე რუსთავის მფლობელობასთან ლიპარიტ ბაღვაშის ამირობა?). XI ს. ბოლოს (1073 წ-მდე) რუსთავს ფლობდა ლიპარიტი, შემდეგ მას დაეუფლა კახთა მეფე აღსართანი და თურქები, რომელთაგან იგი დავით აღმაშენებელმა 1115 წელს გაათავისუფლა. როდისღა ფლობდა რუსთავს დავითის თანამედროვე ჰერი დიდებული არიშიანი?

ამგვარად, **არიშიანი არ ყოფილა არც მეჯურჭლეთუხუცესი და არც რუსთავის მფლობელი.**

2. ვარდანისძეები.

არიშიანის შემდეგ, პ. ინგოროყვას აზრით, რუსთავს უკავშირდებიან თანმიმდევრობით სამი საგვარეულოს მეჯურჭლეთუხუცესები: ვარდანისძეების, იობისძეების და ჰერეთის ბაგრატიონე-

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, 1964 წ., გვ. 332—345.

[2] ს. კაკაბაძე — ვეფხის ტყაოსნის საკითხთა გარშემო. მნათობი, 1927 წ. № 11-12, გვ. 244 — 247.

[3] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 337.

[4] ხელნაწ. ინსტ., ფ. A — 126, გვ. 16.

ბის. ეს საგვარეულოები, როგორც აღვნიშნეთ, პ. ინგოროყვას კონცეფციით, წარმოადგენდნენ არიშიანების მემკვიდრეებს.

ვარდანისძეები, ავტორის აზრით, არიშიანებს უნათესავდებიან XI ს-ში. ვარდანი ცოლად ირთავს არიშიანის ქალს. როცა არიშიანთა გვარი მამრობითი ხაზით გადაშენდა, მათ მემკვიდრეობას—როგორც ტერიტორიულ სამფლობელოს, ისე სახელოს — მეჭურჭლეთუხუცესობას, ღებულობს ვარდანისძეთა ერთი შტო, როგორც არიშიანის მემკვიდრე „მდედრობითი" ხაზით.

მაგრამ, კარგად ცნობილია, რომ ვარდანისძეები რუსთავის მფლობელები არასდროს არ ყოფილან. მაშ, რანაირადღა არიან ისინი არიშიანის მემკვიდრეები? პ. ინგოროყვა გვამცნობს, რომ მათ მიუღიათ არა მთელი რუსთავის საერისთავო, არამედ გაგი, რომელიც თურმე ნაწილი ყოფილა ამ საერისთავოსი („რუსთ. ეპილ"., გვ. 644). ასე შექმნილა ცალკე შტო გაგელი—ვარდანისძეებისა, მეჭურჭლეთუხუცესებისა, რომელშიც მას შეჰყავს ამ ვარდანისძე: ივანე I ვარდანისძე — მეჭურჭლეთუხუცესი და მის შვილებად ჩათვლილი: კახაბერ ვარდანისძე — მეჭურჭლეთუხუცესი და ივანე II ვარდანისძე, რომელიც თამარის ისტორიაში მოხსენიებულია 1191 წელს გაგის პატრონად.

ამ შტოს შექმნის აზრი ავტორს, როგორც ჩანს, შთაუნერგა სწორედ ამ უკანასკნელმა ვარდანისძემ, რომელიც გაგის მფლობელი იყო. გამოაცხადა რა სრულიად უსაბუთოდ გაგი რუსთავის საერისთავოს ნაწილად[1], ავტორმა ეს ივანე ვარდანისძე მიიჩნია რუსთავის საერისთავოს ნაწილის პატრონად. მაგრამ ერთი კაცი, ცხადია, მთელი შტოს შესაქმნელად საკმარისი არ იყო. ეს-თან, ეს ივანე ვარდანისძე მეჭურჭლეთუხუცესი არ ყოფილა. ამიტომ ავტორმა გაგელთა შტოში შეიყვანა კიდევ მეჭურჭლეთუხუცესებად მოხსენიებული ორი ვარდანისძე: ივანე და კახაბერი.

„რუსთველიანას ეპილოგში" ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია: „მას შემდეგ, რაც 1150/1160 წლებში არიშიანის სახლში მამრობითი ხაზი შეწყვეტილა, ვარდანისძეთა გვარს, როგორც არიშიანის მემკვიდრეს ქალის შტოის ხაზით, მიუღია მემკვიდრეობით:

ა. ნაწილი რუსთავის სამფლობელოსი, სახელდობრ, გაგის სანაპირო თემი (რომელიც სამხრეთის მხრიდან ეკვროდა რუსთავის საერისთავოს და ადმინისტრაციულად მასთან იყო დაკავშირებული).

ბ. ვარდანისძეებზე გადასულა არიშიანის სავაზირო თანამდებობა მეჭურჭლეთუხუცესობა.

მას შემდეგ, რაც ვარდანისძეთა გვარმა მიიღო ახალი სამფლობელო (რუსთავის საერისთავოს სამხრეთი სანაპირო თემი — გაგი) და ახალი საავაზირო ხელი (მეჭურჭლეთუხუცესობა), ვარდანისძეთა გვარი ორ შტოდ გაყოფილა:

ვარდანისძენი I, — პირველი ძირითადი შტო: სვანთ-ერისთავ/გურიელნი. ამ შტოიდან მე-12 საუკუნეში ინიშნებიან ვაზირნი — სპასპეტი ჩუხჩარხი.

ვარდანისძენი II, — მეორე შტო: ვარდანისძე-გაგელნი. ამ მეორე შტოიდან მე-12 საუკუნეში ინიშნებიან ვაზირნი მეჭურჭლეთუხუცესნი" (გვ. 646. ხაზგასმა ავტორისაა — ნ. შ.).

მაგრამ ვარდანისძე-გაგელების ამ სქემაში ადგილი აქვს შემდეგ შეუსაბამობას: აქ დასახელებული ვარდანისძეებიდან მხოლოდ ერთი — ივანე II ვარდანისძე ჩანს გაგის მფლობელად. არც ივანე I და არც კახაბერი წყაროებში გაგთან არ არიან დაკავშირებულნი. ივანე I არა თუ გაგის მფლობელია, არამედ იგი სვანთა ერისთავია[2].

სვანთა ერისთავობა კი, პ. ინგოროყვას მიერ შედგენილი სქემის მიხედვით

---

[1] თუმცა კი გაგი XII—XIII ს. ს. იყო ქართული ისტორიული პროვინციის სომხითის ცენტრი, რუსთავი კი არასდროს არ ყოფილა ადმინისტრაციულად დაკავშირებული სომხითთან.

[2] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ეკსკურსიები ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 22—25.

(ბურიელობასთან ერთად), უპყრია ვარდანისძეთა პირველ — ძირითად შტოს. ამ პატივის მქონედ ამ დროს ამ სქემაში გვეგულნება მის მიერ აღმოჩენილი მამა ჩუხჩარხ მარუშიანისა — ვარდან ვარდანისძე. გამოდის რომ, ერთსა და იმავე დროს სვანთა ერისთავად, წყაროს ცნობით, ივანე ვარდანისძეა, ხოლო პ. ინგოროყვას ცნობით — ვარდან ვარდანისძე. მაგრამ **პ. ინგოროყვა არა მარტო აძლევს სახელობს სხვადასხვა ისტორიულ პირებს, არამედ ორთმევს კიდეც მათ.** და აი, ივანე I ვარდანისძეს, რომელიც ლაბეჭინისა და მესტიის ხატების წარწერების მიხედვით (სხვა წყარო კი ამ პირის შესახებ არ არსებობს) სვანთა ერისთავი და მეუფურტლეთუხუცესია, პ. ინგოროყვა ართმევს სვანთა ერისთავობას და აძლევს გაგელობას. მის მაგიერად სვანთა ერისთავად, როგორც აღვნიშნეთ, ჩუხჩარხ მარუშიანის მამა ინიშნება. ავტორი არ გრძნობს უხერხულობას, რომ თვითეე უთითებს ლაბეჭინისა და მესტიის ხატების წარწერას, როგორც წყაროს მეუფურტლეთუხუცეს ივანე ვარდანისძეზე და, ამავე დროს, ჩქმალავს ამ წყაროს ჩვენებას ივანეს სვანთა ერისთავობაზე.

თუ ივანე I ვარდანისძეს დავტოვებთ სვანთა ერისთავად, გამოვა, რომ არათითარი გაგელთა შტო ვარდანისძეებისა არ არსებულა, მხოლოდ ერთ-ერთი ვარდანისძე ფლობდა გაგს, შესაძლოა, თავის სხვა ძირითად სამფლობელოსთან ერთადაც. ხომ იყო, მაგალითად, ოდიშის ერისთავი ვარდან დადიანი ორბეთისა და კაენის პატრონი აღმოსავლეთ საქართველოში? განა ამიტომ დადიანებში ორბეთის შტო უნდა გამოეყოთ? ამის გარდა, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სახელი ვარდანი და ვარდანისძეები სვანთა ერისთავებს გარდა სხვა საგვარეულოებშიც გვხვდება.

მაგრამ თუნდაც რომ ვარდანისძე-გაგელთა შტო არსებულიყო, მაინც რა შუაშია აქ რუსთავი? პ. ინგოროყვა ყოველგვარი დასაბუთების ან წყაროს მითითების გარეშე აცხადებს: „1123 წელს დავთ აღმაშენებელმა დაიპყრო თურქ-სელჯუკებიდან გაგის ციხე-ქალაქი, რომელიც რუსთავის, ანუ ბოლოს თავოს მოსაზღვრედ მდებარეობდა (მათ ჰყოფდა მდინარე მტკვარი). გაგი და მისი თემი აგრეთვე რუსთავის ერისთავის არიშიანის მფლობელობაში გადასულა.

(გაგის თემი დაკავშირებულია რუსთავის საერისთავოსთან 1123 წლიდან 1191 წლამდე...)“ („რუსთავ. ეპილ“., გვ. 644).

საიდან დაასკვნა პ. ინგოროყვამ, რომ გაგი და მისი თემი დავთ აღმაშენებელმა არიშიანს გადასცა? ამის განმარტებასაც ავტორი საჭიროდ არ სცნობს.

გაუგებარია, აგრეთვე, როგორღა იყო გაგი რუსთავთან დაკავშირებული 1191 წლამდე, თუ 1150/60 წლებში, როცა პ. ინგოროყვას ცნობით გადაშენდნენ არიშიანები, მისივე გამოკვლევით რუსთავი ეკუთვნოდა იობისძეებს, ხოლო გაგი — ვარდანისძეებს. რაღა აკავშირებდა გაგსა და რუსთავს, თუ მათ გამგებლებად სხვადასხვა პირები ჰყავდათ და, მაშასადამე, სხვადასხვა ფეოდალურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ?

აღრევა იქმაზედ მიდის, რომ „რუსთველიანას ეპილოგის“ 567-ე გვერდზე, სადაც მოცემულია საერისთავოთა სიის განმარტება, გაგი დაკავშირებულია უკვე საამირსპასალაროსთან. აქ აღნიშნულია: „...გაგის სანაპირო საერისთავო, ამ დროს (ე. ი. 1191 წლამდე — ნ. შ.) ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული როგორც ცალკე ადმინისტრაციული ერთეული; იგი დაკავშირებული იყო საამირსპასალაროსთან და განიყოფებოდა ცალკე თემებად“.

როგორც ჩანს, ავტორს ზოგჯერ ავიწყდება, რა დებულება წამოაყენა ნაშრომის ერთ ადგილზე და, რაკი დებულებების წამოყენება არ უჭირს, ნაშრომის მეორე ადგილზე ასევე დაუსაბუთებლად აყენებს სხვა, მის გამომრიცხავ დებულებას. ამის შედეგად გამოდის, რომ, XII ს. II ნახევარში, 1191

წლამდე, გაგი იმყოფება ვარდანისძეთა გამგებლობაში, გაერთიანებულია რუსთავთან, რომელსაც იობისძეები ფლობენ და დაკავშირებულია თუ გაერთიანებულია სამმირსპასალართან. როგორ შეიძლება ყველაფერი ეს ერთმანეთთან შევთანხმოთ, გაუგებარია.

როდის დაუკავშირდა სვანთა საერისთავო ადმინისტრაციულად გურიას. ვარდანისძეებთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ კიდევ ერთ საკითხზე: პ. ინგოროყვა მათ სვანთ ერისთავ-გურიელებად აცხადებს. ეს საშუალებას აძლევს ავტორს ადგილი მიუჩინოს გურიას მის მიერ შედგენილ საერისთავოთა სიაში და თანაც ახსნას, თუ რატომ არ არის ის მოხსენიებული თამარის ისტორიაში მოცემულ საერისთავოთა სიაში, მიიჩნიოს ის სვანთა საერისთავოში ნაგულისხმევად.

მაგრამ არც ერთი წყარო არ ადასტურებს XII — XIII ს. ს.-ში სვანეთისა და გურიის ერთ საერისთავოდ გაერთიანებას. არც ერთი ვარდანისძე არ იხსენიება წყაროებში სვანთ-ერისთავ-გურიელად, არამედ — მხოლოდ სვანთა ერისთავად.

გურიაში მდებარე ლიხაურისა და ჯუმათის ხატებზე მარუშიან ვარდანისძისა და ერისთავთ-ერისთავ ვარდან ვარდანისძის წარწერებს დ. ბაქრაძე და ექვ. თაყაიშვილი ხსნიდნენ „გურიის ერისთავების — გურიელების ვარდანისძეებიდან წარმომავლობითო“, ანუ ორივეს მოპაყავს ვახუშტის ცნობა მის დროს არსებული გადმოცემის შესახებ, რომ XIV ს. მეორე ნახევარში ბაგრატ V-მ სვანეთის ერისთავი ვარდანისძე მეფის წინააღმდეგ გამოსვლის გამო გადაიყვანა გურიის ერისთავად.

წყაროების ჩვენებით სვანეთისა და გურიის ერისთავობა დაკავშირებული ჩანს არა XII საუკუნედან, როგორც ფიქრობს პ. ინგოროყვა, არამედ — XIV ს. მეორე ნახევრიდან. დამაკავშირებლად კი გამოდიან ოდიშის ერისთავები — დადიანები, რომლებიც ხშირად გვევლინებიან დადიან-გურიელებად, სვანთ-ერისთავებად და სვანთ-ერისთავ-გურიელებად. ასეთებია მაგალითად:

1. გიორგი სუანთ-ერისთავი და გურიელი და [მისი ძე] ლომა (მოხსენიებული ჯუმათის ხატის წარწერაში) [2]

2. ლომა დადიან-გურიელი (მოხსენებული ჯვრის მონასტრის № 74, 133 ანაპებში) [3].

3. ერისთავთ-ერისთავი, მანდატურთ-უხუცესი ხაკიბ დადიანი, (მოხსენიებული სეტის ეკლესიის „დაწერილში“)[4].

4. კახაბერ გურიელი, ძე გიორგი დადიანისა (მოხსენიებული ჯუმათის ეკლესიის ხატის წარწერაში) [5].

და სხვები.

გამოდის რომ, სვანეთისა და გურიის გაერთიანება დაკავშირებულია გამთავრების გზაზე დამდგარ ოდიშის ერისთავებთან — დადიანებთან. რაც შეეხება ვარდანისძეების აღნიშნულ ორ წარწერას ჯუმათისა და ლიხაურის ეკლესიის ხატებზე, შესაძლოა ისინი მართლაც სვანეთიდან იყოს გურიაში გვიან გადატანილი, როგორც ამას ექვ. თაყაიშვილი ვარაუდობს [6], ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: XII—XIII საუკუნეებში ვარდანისძეები მხოლოდ სვანთა ერისთავები არიან და არა სვანთ-ერისთავ-გურიელები [7].

XII—XIV სს. საერისთავოების სიის შესახებ.

---

[1] Дм. Бакрадзе, АПГА, გვ. 108 — 109, 111-112; 261; ექვ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები ლეჩხუმ-სვანეთში, 1910 წ. გვ. 25-26.

[2] АПГА, 262.

[3] ალ. მიტროფანელი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისთვის. 1962, გვ. 85—91.

[4] პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები. II. 1941 წ., გვ. 113 — 114.

[5] АПГА, 262—264.

[6] არქეოლოგიური ექსკურსიები ლეჩხუმ-სვანეთში, 1910. გვ. 25—26.

[7] არც ერთი ვარდანის ძე (ბაშქენ, არიშინი, ივანე, სვიმონ) სვანთ-ერისთავ. — გურიელად არ იხსენიება წყაროებში, ისე რომ პ. ინგოროყვა უსაფუძვლოდ აძლევს მათ ამ ორმაგ ტიტულს („რუსთა. ეპილ“., გვ. 584 — 586 და სხვა).

რადგან თამარის ისტორიაში მოხსენიებულ ერისთავთა სიას შევეხეთ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სია, რა თქმა უნდა, არ არის სრული; ამიტომ სხვადასხვა ერისთავების აქ გამოტოვების ახსნა იმ მიზეზით, რომ ესა თუ ის ერისთავი მოხსენიებულია ადრე ვახტრის სახით ან მოდალატეა, ან იმით, რომ ზოგიერთი საერისთავო ამ დროს არ არსებობდა, ან შერწყმული იყო სხვა საერისთავოსთან, არ არის მართებული. სვანეთის საერისთავოსთან XII—XIII ს.ს. გურიის შერწყმის თვალსაზრისის მცდარობა ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. საერისთავოთა მთელი სიის განხილვაზე აქ ჩვენ უადგილობის გამო ხელი უნდა ავიღოთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არ არის აგრეთვე მართებული პ. ინგოროყვას მიერ თმოგვის საერისთავოს გამოტოვების ახსნა აღნიშნულ სიაში იმით, რომ თითქოს თმოგვის საერისთავო პირველად მხოლოდ 1191 წელს შეიქმნა („რუსთველიანს ეპილოგი", გვ. 567). წყაროებში კარგადაა ცნობილი XI საუკუნის თმოგვის ერისთავთ-ერისთავი ფარსმან თმოგველი[1], თმოგვის მფლობელები, ბაღვაშთა გვარის გაწმეტება — ქუაბულისძეები (შემდგში კახაბერიძეებად ცნობილი რაკის ერისთავები) და ბოლოს — უკანასკნელი მფლობელი თმოგვისა, ვიდრე აქ მხარგრძელების თმოგველთა შტო დამკვიდრდებოდა — აფრიდონ მსახურთ-უხუცესი, რომელიც, მიუხედავად თავისი დაბალი წარმომავლობისა, ერისთავთ-ერისთავი იყო[2].

პ. ინგოროყვა აფრიდონის ერისთავთ-ერისთავობას უგულებელყოფს და მის მიერ შედგენილ ვახტრთა სიაში ართმევს მას ამ სახელს, მოიხსენიებს რა მხოლოდ მსახურთუხუცესობით. აფრიდონის ერისთავთ-ერისთავობა არ შეესაბამება პ. ინგოროყვას დებულებას იმის შესახებ, რომ ვახტრები „ბოლოდ ნენ მხოლოდ ერისთავთ-ერისთავნი წრიდან. აფრიდონი, პ. ინგოროყვას აზრით, ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს, როგორც გიორგი მესამის მიერ დაწინაურებული დაბალი წარმომავლობის პირი, ყუბასართან და ვინმე ივანესთან ერთად. მაგრამ ყუბასარიც, როგორც ამირსპასალარი, ხომ იყო ლორეს მფლობელი, რომელიც პ. ინგოროყვას სანაპირო საერისთავოდ მიიჩნია („რუსთველიანს ეპილოგი". გვ. 557). მაშ, ვახტრთა სიაში ყუბასარს რატომ არა აქვს მიწერილი ერისთავთ-ერისთავის ტიტული?

როგორც ცნობილია ერისთავთ-ერისთავობა სოციალური წოდება კი არ არის ამ დროისათვის, არამედ სამოხელეო პატივი, რომელიც მეფეს შეეძლო მიენიჭებინა დაბალი წარმომავლობის პირისთვისაც ისევე, როგორც ვახტრობა.

საერთოდ ჩვენ, როგორც აღვნიშნეთ, აქ ვერ განვიხილავთ პ. ინგოროყვას მიერ შედგენილ საერისთავოთა სიას, მაგრამ ზოგადად უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: საქართველოს საერისთავოების სიის დადგენა სხვადასხვა ეპოქისოვის შესაძლებელია მხოლოდ ერისთავთა ინსტიტუტის ისტორიული შესწავლის შედეგად, წინაადმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია აღნუსხულ იქნეს მხოლოდ წყაროებში მოხსენიებული საერისთავოები. მაგრამ პ. ინგოროყვა ამით არ კმაყოფილდება: მას პრეტენზია აქვს დაადგინოს სრული სია. ამ სიაში კი მას შეაქვს ისეთი საერისთავოებიც, რომლებიც წყაროებში არასაიმედოს საერისთავოებად არ იხსენიებიან (გაგი, ლორე, ორბეთი, კაენი, ანისი, ლენი, ბიჯნისი და სხვა მრავალი). რა საფუძვლით? როგორც ჩანს იმით, რომ ეს მხარეები საისტორიო წყაროებში ფეოდალურ-ადმინისტრაციულ ერთეულებად ჩანან. გამოდის რომ, დიდი საგამგებლო ერთეული, დიდი სამპატრონო მხარე, დიდი საფეოდალო აუცილებლად საერისთავოდ უნდა ვიგულისხმოთ. მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანამდე საჭიროა გაარკვეს საერისთავოს

[1] — ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, 1959 წ., გვ. 37-39.

[2] იხ. ქვემო ჯინისის წარწერა, Е. Такаишвили Арх экс., IV, стр. 51-52.

სოციალურ-პოლიტიკური ბუნება, მისი **არსი: როდის წარმოიშვა საერისთავო.** როგორი წყობილების დროს, როგორ იცვალა სახე ფეოდალიზმის დროს, როგორი განვითარების ტენდენციას იჩენს ფეოდალიზმის სხვადასხვა ეტაპზე, როგორია მისი ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან და საერისთავოში შემავალ საფეოდალოებთან, რით განსხვავდება საერისთავო ჩვეულებრივი საფეოდალოსაგან, როგორ დგას საერისთავოში შეუვალობის საკითხი. მხოლოდ ამ და კიდევ სხვა მრავალი საკითხის გარკვევის შემდეგ შეიძლება დადგინდეს საქართველოს საერისთავოთა სია.

რა საფუძველზე თვლის, მაგალითად, პ. ინგოროყვა, რომ საუფლისწულოსა და სამეფო დომენის გამგებელი ერისთავი იყო? თუკი ეს ასეა, მაშ, რიღათ განსხვავდება მეფის დომენი საერისთავოსგან, ჩვეულებრივი ერისთავი საუფლისწულოს თუ მეფის დომენის გამგებელი ერთისთავისგან? გამოდის რომ, ესა თუ ის პირი შეიძლება ერისთავთ-ერისთავი იყოს, მაგრამ საერისთავო კი არ ჰქონდეს, არამედ განაგებდეს მეფის დომენს. ამ საკითხის გარკვევაც მოითხოვს საერისთავოს სოციალ-პოლიტიკური არსის შესწავლას.

პ. ინგოროყვა ცდილობს ახსნას, თუ რატომ არ არის შეტანილი თამარის ისტორიაში მოცემულ საერისთავოთა სიაში მის მიერ დადგენილ საერისთავოთა ნაწილი. მაგრამ რატომ არ ცდილობს ახსნას ის გარემოება, რომ ბევრი ამ საერისთავოთაგან მოხსენიებული არ არის საერისთავოდ არა მარტო თამარის ისტორიაში, არამედ საერთოდ არც ერთ წყაროში. გარდა პ. ინგოროყვას სიისა!

3. ჰერეთის ერისთავთ-ერისთავები.

როგორც აღვნიშნეთ, პ. ინგოროყვა რუსთაველა და მეჭურჭლეთუხუცესობის მფლობელად სთვლის აგრეთვე XII—XIII ს. ს. ჰერეთის ერისთავთ-ერისთავებს, რომლებიც მას ბაგრატიონნებად მიაჩნია.

რუსთაველა და მეჭურჭლეთუხუცესობას, პ. ინგოროყვას აზრით, ჰერეთის ერისთავები ღებულობენ XII—XIII ს. ს. მიჯნაზე, როცა ისინი ეროვნული მემკვიდრეები ხდებიან. ამის შემდეგ ისინი აერთიანებენ ჰერეთისა და რუსთავის საერისთავთერისთავოს ერთ დიდ საერისთავთერისთავოდ, ცენტრით რუსთავში („რუსთველიანას ეპილოგი", გვ. 856). ამ დიდი საერისთავთ-ერისთავოს მფლობელი 1192—1193 წლიდან 1250 წლამდე ყოფილან: ასათ II, გრიგოლ III (ასათის-ძე) და შოთა III (გრიგოლისძე, „ვეფხისტყაოსნის" ავტორი). როდესაც ასათმა მიიღო რუსთავი და მასთან დაკავშირებული მეჭურჭლეთუხუცესობა, ჰერეთის ერისთავთ-ერისთავობა გადასცა თავის ძეს გრიგოლს. ასათის გარდაცვალების შემდეგ რუსთავის ერისთავობა გადავიდა მის შვილისშვილზე შოთაზე, რომელმაც მამის გარდაცვალების შემდეგ ჰერეთის ერისთავობაც მიიღო („რუსთველიანას ეპილოგი", გვ. 660—661; 662—669; „რუსთველიანა", გვ. 115—116 და სხვა).

მაგრამ ამ სქემის გაცნობისთანავე მკითხველს თვალში ხვდება ზოგიერთი შეუსაბამობა:

1. თუ ჰერეთისა და რუსთავის გაერთიანებულ საერისთავთ-ერისთავოს ცენტრი რუსთავი იყო, გამოდის, რომ ჰერეთიც დაქვემდებარებული იყო რუსთავისადმი, ჰერეთის ერისთავი რუსთველისადმი (რუსთავის ერისთავი — რუსთველი ითვლებოდა მთელი საერისთავთ-ერისთავოს გამგებლად). მაგრამ ამ შემთხვევაში გაუგებარია, რატომ გადავიდა რუსთველობა ასათის შემდეგ არა მის შვილზე—გრიგოლზე, არამედ—შვილისშვილზე — შოთაზე. გამოდის, რომ გრიგოლი (ჰერეთის ერისთავი) ხელქვეშეთი, ვასალი ეახდა თავისი შვილის შოთასი (რუსთველის). ასეთი რამ კი ფეოდალური სამართლის პირობებში მეტად საეჭვოა: მამა შვილის ვასალი, შვილის ყმა ვერ იქნებოდა.

პ. ინგოროყვა, როგორც ჩანს, გრძნობს ამ შეუსაბამობას და ამიტომ გრიგოლსაც ანიჭებს რუსთველობას.

როგორც ვაზირთა სიებში, ისე „რუსთველიანას“ და მისი ეპილოგის სხვადასხვა გვერდებზე გრიგოლი ცხადდება როგორც ჰერეთის, ისე რუსთავის ერისთავად (გვ. 105, 580 და სხვ.). გამოდის, რომ რუსთავს ასთის შემდეგ ჰყავს ორი გამგებელი ერისთავი: გრიგოლი და მისი შვილი შოთა. ცხადია, ეს კიდევ მეორე შეუსაბამობაა.

მაგრამ ავტორს მეტი გამოსავალი არა აქვს: შოთა თავისი პაპის ასათის გარდაცვალების შემდეგ (ე. ი. 1195 წ. ახლო) აუცილებლად რუსთავის გამგებელი უნდა გახდეს, რადგან ამ დროს ის უცხოეთში იქნა განდევნილი და იქ დასწერა „ვეფხისტყაოსანს“ დიდი ნაწილი. ამ დროს კი ის უკვე „რუსთველი“ იყო.

2. შეუსაბამობა იჩენს თავს აგრეთვე ამ გაერთიანებული საერისთავთერისთავოსა და მისი ერისთავთერისთავის სახელწოდებასთან დაკავშირებით. რა ერქვა ამ საერისთავოსა და მის ერისთავს: რუსთავის საერისთავო და რუსთავის ერისთავი? ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს თითქოს მისი ცენტრი რუსთავი და შოთას ზედწოდება „რუსთველი“. მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ XIII საუკუნის 30-40-იანი წლების მოღვაწე შოთა კუპრი, რომელთანაც პ. ინგოროყვა აიგივებს შოთა რუსთველს, სასიტორიო წყაროში იწოდება მხოლოდ ჰერეთის ერისთავად და არც ერთხელ რუსთველად ან რუსთავის ერისთავად.

გამოდის რომ — „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორი შოთა სხვა საერისთავო სახელს ატარებს („რუსთველი“ — თუკი ეს მართლაც საერისთავო სახელია) და შოთა კუპრი სხვას („ჰერეთის ერისთავი“). მხოლოდ ჰერეთის ერისთავად იწოდება აგრეთვე გრიგოლ ასათის-ძე.

3. „რუსთველიანას“ 110-ე გვერდზე პოულობენელად ირკვევა, რომ ავტორი „რუსთველს“ თურმე არ თვლის საერისთავო სახელად. ენინვანის სიგელის დათარიღებასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ სიგელის დაწერის დროს შოთა თურმე ჯერ არ იყო ერისთავი, არამედ — მხოლოდ „ერეთ-თავის სამფლობელოს მფლობელი“ და ამის გამიც ის ხელოთვაში ერისთავად იწოდება. პ. ინგოროყვა აქ საესებით კატეგორიულად აცხადებს: „ეს სიგელი ოფიციალური დოკუმენტია, და თუ შოთა ამ დროს უკვე ატარებდა ერისთავის ღირსებას, ეს ტიტული აღნიშნული იქნებოდა სიგელში.

მაშასადამე, აქ ჩვენ გვაქვს ნიშანდობლივი ჩვენება იმის შესახებ, რომ **შოთა, ჰერეთის ერისთავის ძე, ვიდრე იგი მთელი ჰერეთის ერისთავი გახდებოდა, ჯერ ყოფილა რუსთველი, ე. ი. რუსთავის სამფლობელოს მფლობელი“** (ხაზგასმა ავტორისა — ნ. შ.).

აქედან მეთახველმა უნდა დაასკვნას, რომ რუსთავი თურმე არ ყოფილა საერისთავო, არამედ — მხოლოდ სამფლობელო.

მაგრამ როგორღა უნდა შეეთავსოთ ამ დებულებასთან პ. ინგოროყვას შემდეგი განცხადება, მოცემული „რუსთველიანას ეპილოგის“ დასკვნით ნაწილში: „1192—1193 წლებში ჰერეთის და რუსთავის საერისთავონი გაერთიანდა ერთი დიდი საერისთავთ-ერისთავოს სახით, ჰერეთის ბაგრატიონთა მთავრობის ქვეშ. **მთავარი ცენტრი ამ გაერთიანებულ მხარეთა ამის შემდეგ გახდა რუსთავი.** შოთას პაპამ, ასათ გრიგოლის-ძე ჰერეთის ბაგრატიონმა, რომლის დროსაც მოხდა მხარეთა გაერთიანება, რეზიდენცია რუსთავში გადმოიტანა“ („რუსთველიანას ეპილოგი“, გვ. 856).

ამის შემდეგ ავტორი დაასკვნის, რომ პ. რუსთველი დაკრძალულია რუსთავში, როგორც ჰერეთის ერისთავთ-ერისთავი.

გამოდის რომ, ცენტრი ამ გაერთიანებული საერისთავთერისთავოსი რუსთავია, მაგრამ მისი მფლობელი არ არის ერისთავი; ჰერეთის ერისთავი კი საერისთავოს ცენტრს არ ფლობს და აღბათ არც ზის აქ. მაშ, რითღაა რუსთავი საერისთავოს ცენტრი? რაში გამოიხატება მისი ცენტრობა? შეიძლება საერისთავოს ცენტრი ერისთავს არ ეკუთვნო-

დეს? გამოდის, რომ გაერთიანებამდე რუსთავი საერისთავო იყო, გაერთიანების შემდეგ კი, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი გახდა, საერისთავო აღარ არის. გამოდის, რომ ასათი, რომელმაც თავის შვილს გრიგოლს გადასცა ჰერეთის ერისთავობა და თვით რუსთავში დაჯდა, ერისთავიც კი აღარ იყო. მას თვითონ დაუმცირა თავისი თავი.

თუ რუსთავი საერისთავო არ იყო და მისი პატრონი ერისთავი კი არა, უბრალო მეჯოგეები იყო მხოლოდ, მაშინ რატომ შეაქეს ბ. ინგოროყვას XII—XIV სს. საერისთავოთა სიაში რუსთავის საერისთავო და 1192-3 წლიდან XIV საუკუნემდე მის ერისთავებად აცხადებს ჰერეთის ბაგრატიონებს (თუმცა XIV ს. ჰერეთის ბაგრატიონები არც წყაროებში და არც ბ. ინგოროყვას ნაშრომებში არ ჩანან) („რუსთველიანას ეპილოგი", გვ. 556). რას ნიშნავს „რუსთველიანას ეპილოგის" ქვეთავის სახელწოდება: **„რუსთავის ერისთავთ-ერისთავისა** და ვაზირის მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობანი გადაღის ჰერეთის ბაგრატიონთა გვარეულობაზე" (გვ. 655. ხაზგასმა ჩვენია — ნ. შ.). ანდა ამ ქვეთავში გაკეთებული დასკვნა:

„1191 წელს ჰერეთის ბაგრატიონებმა დაიმტკიცეს სრულიად ჰერეთის ერისთავთ-ერისთავობა; ხოლო 1192-3 წლაში მათ მიიღეს **რუსთავის ერისთავთ-ერისთავის თანამდებობა** და მასთან ერთად ვაზირის (მეჭურჭლეთუხუცესის) პოსტი" (გვ. 656, ხაზგასმა ჩვენია — ნ. შ.).

ასევე, „ეპილოგის" 544-ე გვერდზე აღნიშნულია:

„რუსთველიანაში ჩვენ დადგენილი გვაქვს, რომ 1192/3 წელს ჰერეთის ბაგრატიონმა ასათ II გრიგოლისძემ, რომელიც ჰერეთის ერისთავთ-ერისთავი იყო, შეიერთა მეორე დიდი საერისთავო, ჰერეთის რუსთავის მხარე, ასათ II-ემ, როგორც **რუსთავის ერისთავთ-ერისთავმა,** მიიღო ვაზირის მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა (რომელიც ამ დროს რუსთავის დიდ საერისთავოსთან იყო დაკავშირებული)" (ხაზგასმა ჩვენია — ნ. შ.).

ავტორის ამ ტექსტიდან ნათელია, რომ აღნიშნული ორი საერისთავოს გაერთიანების შემდეგ ასათი არის რუსთავის ერისთავთ-ერისთავი და ზის რუსთავში — გაერთიანებული საერისთავთ-ერისთავოს ცენტრში. ამის შესაბამისად ვაზირთა სიებში ასათ II გამოცხადებულია რუსთავის ერისთავად და მეჭურჭლეთუხუცესად 1192/3 — 1195-1200 წლებში („რუსთველიანას ეპილოგი", გვ. 580). ასევე, შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსნის" ავტორი, ამავე სიაში 1196/1200 წლებიდან შეუვანილია როგორც „ერისთავთ-ერისთავი, რუსთავის ერისთავი" („რუსთველიანას ეპილ.", გვ. 581).

ე. ი. 1196 წლიდან 1204 თუ 1206 წლამდე რუსთავი ხან საერისთავოა, ხან არა. შოთა რუსთველი ხან ერისთავია, ხან არა. „რუსთველი" ხან რუსთავის ერისთავობას ნიშნავს, ხან მხოლოდ რუსთავის მფლობელობას თუ გამგებლობას.

ამ წინაადმდეგობას და შეუსაბამობას ბ. ინგოროყვა თავს ვერ დააღწევს, თუ არ უარყოფს ღებულებას რუსთავისა და ჰერეთის გაერთიანების შესახებ და, მაშასადამე, შოთა რუსთველისა და შოთა კუპრის იგივეობის შესახებაც. ამის მოხსნა კი იმას ნიშნავს, რომ აღარაფერი დარჩება შოთა რუსთველის მის მიერ დადგენილი ბიოგრაფიიდან, რომელიც თვით ავტორის განცხადებით ისე ცხობილი და დადგენილი გახდა მისი გამოკვლევის წყალობით, როგორც ილიას, აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და ვაჟას ბიოგრაფიები (იქვე, გვ. 857). ამიტომაც შოთა კუპრზე ბ. ინგოროყვა ხელს ვერ აიღებს, მაშასადამე, აღნიშნულ შეუსაბამობებსა და წინააღმდეგობებსაც თავს ვერ დააღწევს.

ტერმინ „რუსთველის" მნიშვნელობა. რომელი რუსთავიდან იყო შოთა რუსთველი?

განვიხილოთ ბ. ინგოროყვას თვალ-

საზრისი ტერმინ „რუსთველის“ შესახებ.

„რუსთველიანას“ 82-ე გვერდზე წერია:

„რომ შოთა მაღალ ფეოდალურ წრიდან იყო, ამას გვიჩვენებს თვით პოეტის სახელწოდება „რუსთველი“. აქ ჩვენ გვაქვს იმ ტიპის სახელწოდება, რომელსაც ღებულობდნენ არისტოკრატიული მფლობელი გვარები მათი საპატრონო ციხე-ქალაქებიდან. რუსთავი, როგორც ეს ქვემოთ იქნება გამორკვეული, საპატრონო რეზიდენციის წარმოადგენდა, და ძველ ქართული წყაროების ჩვენების თანახმად „რუსთველი“, ანუ „რუჲასთვისა და შვიდთა მთუელეთთა პატრონი“ უმაღლეს ფეოდალურ წრეებს ეკუთვნოდნენ.“

„რუსთველიანას“ 90-ე გვერდზე აღნიშნულია:

„საშუალ-საუკუნეთა საქართველოში არსებულა რუსთავის სამფლობელო, **რომლის ცენტრიც ყოფილა ჰერეთის ციხე-ქალაქი** რუსთავი; მფლობელნი **ამ ციხე-ქალაქისა და თემისა — იწოდებოდნენ: „რუსთველი“** ანუ „**რუჲ სთვისა და შვიდთა მთუელეთთა პატრონი.**

რომ ამ მხარის მფლობელნი ატარებდნენ ტიტულს „რუსთველი“, ეს დადასტურებულია მე-10-13 საუკუნეთა მთელ რიგ წყაროებში (იხ. ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ტექსტები დავით გარეშჯელის შესახებ, მე-10-13 საუკუნეებისა).

ამასთან აღნიშნავთ, რომ ფრესკა ერთ-ერთი რუსთველისა დაცულია **დავით-გარეშჯაში, რომელიც, როგორც** ცნობილია, რუსთველის სამფლობელოს ფარგლებში იყო მოქცეული. ეფრო სრული სახით ტიტულატურა „რუსთავისა და შვიდთა მთუელეთთა პატრონი“ წარმოდგენილია მე-12 საუკუნის დასასრულის ეპიგრაფიკულ ძეგლში“ (ხაზგასმა ავტორისაა — ნ. შ.).

„რუსთველიანას ეპილოგის“ 638-ე გვერდზე, სადაც ავტორი განიხილავს რუსთავის ისტორიის VI—VIII სს. პერიოდს, აღნიშნულია: „მას შემდეგ რაც მეხუთე-მეექვსე საუკუნეთა მიჯნაზე რუსთავის საერისთავოში დასრულდა მფლობელობა უფლისწულთა, მბრძანებელ მეფის ძის რევის შთამომავალთა, ეს ადგილი, ანუ ეს საერისთავოს ხელისუფალნი მე-6 საუკუნის დასაწყისიდან არიან ადგილობრივნი ერისთავნი, რომელთაც ეწოდებოდათ „რუსთველი“.

რუსთველთა მმართველობის დროს მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში რუსთავის საერისთავოს ტერიტორიაზე გაშენდა განთქმული გარეჯის მონასტერი, დაარსებული დავით გარეჯელის მიერ.

დავით გარეჯელის ცხოვრების აღწერილობაში მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში მოიხსენიება რუსთველი (რუსთავის მხარის მფლობელი) ბუბაქარი. მე-5-6 საუკუნეებში საქართველოში, ქრისტიანობის გვერდით, როგორც ცნობილია, ფართო გავრცელება ჰქონდა მაზდეიანობას. **ბუბაქარ რუსთველი** მაზდეიანი ყოფილა და იგი ქრისტიანობაზე მოუქცევია დავით გარეჯელს.

ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში (და აგრეთვე ჰიმნოგრაფიული პოეზიის ტექსტებში) მოთხრობილია, რომ **ბუბაქარ რუსთველი**, როდესაც იგი ჯერ კიდევ მაზდეიანი იყო, შეხვდა ნადირობის დროს დავით გარეჯელს და განიზრახა დავითის მოკვლა; მაგრამ ვითომც ამ დროს მოსდა სასწაული, ბუბაქარმა ვერ შეძლო ხმლის მოქნევა, მას გაუშუშდა მარჯვენა ხელი; ჰიმნოგრაფი წერს:

„[მაზდეიანი] იგი **რუსთველი...**

მოვიდა შენდა გულისწყრომით
მკსინჯარედ, —

...მსწრაფლ აღმოიღო მახვილი ცემად
შენთვის

და მყის შეჰხმა მას ხელი მისი მარჯვენეი“.

ჰაგიოგრაფის სიტყვით, დავით გარეჯელი განკურნავს რუსთველს, ქრისტიანობაზე მოაქცევს და ნათელს სცემს მას. რუსთველი ხდება დავით გარეჯელის თანამოღვაწე, იგი დიდ მონაწილეობას ღებულობს გარეჯის მონასტრის მშენებლობაში.

მას შემდეგ **რუსთველნი** დავით გარეჯის სავანის **ქტიტორებად** ითვლებო-

ფნენ“ (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — ნ. უ.).

როგორც ვხედავთ, პ. ინგოროყვას აზრით, VI ს-ის რუსთაველ განაგებდა ერისთავი, რომელიც „რუსთველად“ იწოდებოდა. ამ დებულების დამადასტურებელ წყაროდ ავტორი გვთავაზობს დავით გარეჯელთან დაკავშირებულ ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ ტექსტებს, სადაც, პ. ინგოროყვას აზრით, ადგილი აქვს ამ ტერმინის აღნიშნული მნიშვნელობით ხმარებას, აგრეთვე დავით გარეჯის ფრესკას, რომელიც თურმე „რუსთველის“ გამოსახულებას წარმოადგენს.

მაგრამ დავით გარეჯელის ცხოვრების ტექსტებში არსად ტერმინი „რუსთველი“ არ გვხვდება. კერძოდ, ამ ტექსტების იერ. აბულაძის გამოცემაში, რომელსაც ავტორი მიუთითებს, ბუბაქარზე ნათქვამია მხოლოდ, რომ ის იყო „...ბარბაროსი ვინმე ნათესაეთ ადგილთაგან **რუასთავისათ**“. როგორც ვხედავთ, დავით გარეჯელის ცხოვრება არ გამოდგება ტერმინ „რუსთველის“ განსამარტავად. დავით გარეჯელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული ჰიმნოგრაფიული ტექსტი კი პ. ინგოროყვას მოჰყავს დამახინჯებულად.

მოვიყვანოთ დედნის შესატყვისი ადგილი უცვლელად:

„მოჰმადიანი იგი **რუსთველი ამირა** მოვიდა შენდა გულის წყრომით მკსინვარედ, კაკბისა მისთვის რომელი განარინე.

მსწრაფლ ამოიღო მახვლი ცემად შენთვის და მყის შეჰკმა მას ქელი მისი მარჯუ**ნნაჲ**“ [1].

1) როგორც ვხედავთ, დედანში წერია არა „მაზდიანი“, არამედ „მოჰმადიანი“. ის, რომ პ. ინგოროყვას „მაზდიანი“ კუთხურ კავებში აქვს ჩასმული, **არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისგან ტექსტის შეცვლისთვის.** მას არა აქვს არავითარი უფლება ტექსტიდან ამოიღოს სიტყვა და შემდგ მის მაგივრად კუთხურ კავებში ჩაწეროს რაც სურს და ამის საფუძველზე დასკვნას, რომ „მე-5-6 საუკუნეებში საქართველოში, ქრისტიანობის ... დიდ, როგორც ცნობილია, ფართო გავრცელება ჰქონდა მაზდეიანობას. ბუბაქარ რუსთველი მაზდეიანი ყოფილა...“

2) ტექსტში წერია „რუსთველი ამირა“ და არა მხოლოდ „რუსთველი“. პ. ინგოროყვამ უმართებულოდ ამოიღო აქედან სიტყვა „ამირა“. როგორც ვხედავთ, ტექსტის ავტორი მაჰმადიან რუსთველ ამირაში გულისხმობს არა რუსთავის ადგილობრივ ერისთავს, რომელიც მაზდეიანობის საქართველოში გავრცელების გამო მაზდეიანი ყოფილა, არამედ — მაჰმადიან არან ამირას. ცხადია, დავით გარეჯელის დროს არც მაჰმადიანობა იყო და არც ამირა, მაგრამ ავტორს გვიანდელი ვითარება გადაეაქვს VI საუკუნეში. ყოველ შემთხვევაში, ავტორმა იცის მაჰმადიანი რუსთველი ამირების არსებობა არაბობის ხანაში.

3) არაა აგრეთვე მართებული, რომ რითომის შეწყობისთვის პ. ინგოროყვა თვითნებურად იღებს ტექსტიდან სიტყვებს, თუმცა კი სვამს მრავალ წერტილს და ერთხელ სცვლის კიდეც სიტყვის დაბოლოებას — „მარჯუ**ნნა**“-ს ნაცვლად კითხულობს: „მარჯუენე“.

ტერმინ „რუსთველთან“ დაკავშირებით, როგორც აღვნიშნეთ, პ. ინგოროყვა მიუთითებს დავით გარეჯაში გამოსახულ რომელიღაც ფრესკაზე, მაგრამ ასეთი ტერმინი დავით გარეჯის წარწერებში ცნობილი არ არის.

როგორც ვხედავთ, პ. ინგოროყვა ვერ ასახელებს ვერც ერთ წყაროს, სადაც „რუსთველი“ რუსთავის ერისთავს ან რუსთავის მფლობელს ნიშნავდეს. პირიქით, სადაც კი რუსთავის ერისთავზე თუ პატრონზეა ლაპარაკი, არსად „რუსთველი“ არ იხმარება: აბულასანი იწოდება არა „რუსთველად“, არამედ „რუასთუსა და შვიდთა მთეულეთთა პატრონად“, ზაქარია მხარგრძელი არასდროს არ იწოდება რუსთველად. ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც XI ს-ის II ნახევარში ფლობდა რუსთავს,

[1] ხელნწ. ინსტ., A — 126, გვ. 16.

არასდროს არ იწოდება რუსთველად. ამდენად, არა გვაქვს უფლება დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ზედწოდება „რუსთველი“ მიუთითებს კუხეთის რუსთავის ერისთავობაზე თუ პატრონობაზე. კუხეთის რუსთავთან VI საუკუნიდან მოყოლებული მართლაც დაკავშირებული ტერმინი „რუსთველი“, მაგრამ ის აღნიშნავს, როგორც ცნობილია, რუსთავის ეპისკოპოსს და არა რუსთავის ერისთავს. საეჭვოდ გვეჩვენება, რომ ეს ტერმინი ერთდროულად კუხეთის რუსთავის ეპისკოპოსის აღმნიშვნელიც ყოფილიყო და ერისთავისაც. თუ შოთას ზედწოდება „რუსთველი“ მის მიერ რუსთავის მფლობელობას მიუთითებს, ეს კი მართლაც ასე უნდა იყოს, მაშინ ამ რუსთავში, ჩვენი აზრით, უფრო მესხეთის რუსთავი სავარაუდო. უპირველეს ყოვლისა, შევჩერდეთ იმ საბუთებზე, რითაც პ. ინგოროყვა უარყოფს ამ შეხედულებას:

პ. ინგოროყვას ძირითადი არგუმენტი არის ის, რომ მესხეთის რუსთავი არ არის მოხსენიებული წყაროებში XVIII ს-მდე და ამიტომ ის შეა საუკუნეებში ალბათ უმნიშვნელო გეოგრაფიული პუნქტი იყო.

„რუსთველიანში“ წერია:

„როგორც გამორკვეული გვქონდა, არავითარი ცნობა მესხეთ-ჯავახეთის რუსთავის შესახებ მე-18 საუკუნეზე ადრე არ მოიპოვება. მას არ იცნობს ქართული მატიანეები. აშკარაა, რომ საშუალო საუკუნეთა მანძილზე იგი არ წარმოადგენდა რაიმე მნიშვნელოვან პუნქტს, ყოველ შემთხვევაში, იგი არ წარმოადგენდა სამფლობელო რეზიდენციას. არავითარი ცნობა, რომ მესხეთ-ჯავახეთში არსებობდა რუსთავის ფეოდალური სამფლობელო, სარუსთველო, არ მოიპოვება“ (გვ. 90).

ამის საპასუხოდ უნდა ითქვას შემდეგი:

უპირველეს ყოველისა, მესხეთის რუსთავზე ცნობა შემონახულია მე-18 საუკუნეზე ადრინდელ წყაროშიც: ვერძიძე, XVI საუკუნის გურჯისტანელიანეთის დიდ დავთარში.[1]

გარდა ამისა, ფეოდალურ საქართველოში დიდგვაროვან ფეოდალთა გვარების ზედწოდებანი ნაწარმოებია არა დიდი ქალაქებიდან, არამედ მათი ციხე-რეზიდენციებიდან, რომლებიც მეტწილად არც მნიშვნელოვანი პუნქტები იყვნენ და არც დიდი ქალაქები. ასეთი გვარებია, მაგალითად ჯაყელი — ჯაყიდან, თორელი,—თორიდან, ძამელი—ძამიდან, ტბელი — ტბეთიდან (შიდა ქართლის), ღობიერი — ღობეთიდან, ჩორჩანელი—ჩორჩანიდან, მანაველი—მანავიდან, ქვეშელი—ქვეშიდან და სხვა. რომელი ეს პუნქტი მიაჩნია პ. ინგოროყვას წყაროებში ხშირად მოხსენიებულ და კარგად ცნობილ, მნიშვნელოვან პუნქტად ან დიდ ქალაქად? არც ერთი ეს პუნქტი ასეთი არ არის. უცნაურია, რომ პ. ინგოროყვა დასაშვებად მიიჩნევს, მაგალითად, წყაროებში სრულიად მოუხსენიებელ და დღესაც უცნობი ციხე დადი-დან აწარმოოს (თუმცა უმარეთებულად, როგორც ეს ცხადყო ნ. ბერძენიშვილმა[2]) დადიანის გვარი, ხოლო შეუძლებლად მიიჩნევს მესხეთის რუსთავიდან აწარმოოს რუსთველი, იმის გამო, რომ ის წყაროებში ნაკლებადაა ცნობილი.

იმის დასამტკიცებლად, რომ XII — XIII საუკუნეებში არ არსებობდა რუსთავის ფეოდალური სამფლობელო, პ. ინგოროყვას მოჰყავს XVI საუკუნის დოკუმენტი — სამცხის თავადების „ეა („წმიდისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე სამოციქულოსა საპატრიარ ქოსა მცხეთისსა] ეკლესიისა ძველითგან საქონებელნი და სამწყსონი სამცხეს თავადნი და [სო]ფელ[ნი]“), სადაც მოხსენიებული არ არის რუსთველი. ავტორის აზრით, თუ კი სამცხეში XII—XIII საუკუნეებში არსებობდა რუსთავის სამფლობელო, ის აუცილებლად მოხსენიებული იქნებოდა აღნიშნულ სიაში. რომლის ძველი ფენა, მისივე აზრით, სწორედ ამ პერიოდისაა.

[1] ს. ჯიქია, გურჯისტანის ეილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 11, 141; III, გვ. 196.
[2] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 342.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პ. ინგოროყვას, როგორც ჩანს, გამოუყენებია არა დედანი სპეციალური, არამედ მისი გამოცემა, რის გამოც ვერ შეუნიშნავს, რომ მას, გარდა კათალიკოზის ბეჭდისა, უზის სიმტკიცის 4 ნიშანი: ორი მანუჩარის ხელრთვა, ბეჭედი, რომელიც არ ირჩევა და კათალიკოსის ხელრთვა. ამდენად, საბუთიც უნდა დათარიღდეს მანუჩარ ათაბაგის ხელრთვით და არა ელისაბაალ და იოთამ შალიკაშვილების მოხსენებით. გარდა ამისა, პ. ინგო�როყვა, როგორც ჩანს, არ იცნობს ამ ძეგლის უკანასკნელ გამოცემას ორი ნუსხის მიხედვით, რომელიც მოწმობს, რომ დოკუმენტში არ არის სამცხის ფეოდალთა სრული სია[1]. ამ სიის ნაკლულობას მოწმობს აგრეთვე მისი შედარება თუნდაც „მესხური მატიანის“ ტექსტთან[2]. მაგრამ, რაც მთავარია, არაა სწორი პ. ინგოროყვას დასკვნა, რომ: „სია სამცხე-საათაბაგოს მფლობელი ვგარებისა, რომლებიც წარმოდგენილია ამ დოკუმენტში, ეკუთვნის დროს მე-12 საუკუნის დასასრულიდან მე-13 საუკუნის მეორე ნახევრამდე (არა უადრეს 1191 წლისა და არა უგვიანეს 1280-იან—1290-იანი წლებისა)“ („რუსთველიანა“, გვ. 94). ეს სია არ შეიძლება შემდგარიყო XII—XIII საუკუნეებში: **ამ დროს სამცხე არ მოიცავდა დოკუმენტში მოცემულ ტერიტორიულ ფარგლებს.** ამ ფარგლებს სამცხე-საათაბაგომ მიაღწია XIV საუკუნეში, როცა მან მოიცვა სამცხის გარდა მთელი ჯავახეთი, ტაო, კლარჯეთი, აჭარა, არტაანი, კოლა, კარი და სხვა. ერთი სიტყვით, იქცა დიდ ქართულ სამთავროდ. XIII ს. II ნახევრამდე სამცხის სამთავრო საერთოდ არ არსებობდა. თვით სარგის ჯაყელის სამფლობელოს, როცა მან 1266 წელს მონღოლთაგან ხასობა მიიღო, მხოლოდ სამცხე შეადგენდა. XVII საუკუნის ბოლოდან, ბეკა I დროს, დაიწყო სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიული ფარგლების გაფართოება, რაც დასრულდა XV საუკუნეში. ამ დროს დაიწყო სწორედ ბრძოლა სამცხე-საათაბაგოს საერო და საეკლესიო ხელისუფლებამ ქართლის საკათალიკოსოსგან გამოსაყოფად, რაც მარცხით დამთავრდა. ამას მოჰყვა სამცხის მღვდელმთავრთა კაპიტულაციის აქტები, ერთგულების ფიცის წიგნების სახით, რომლებსაც სამცხის მღვდელმთავრები (მაწყვერელი, კუმურდოელი, იშხნელი და სხვა), აძლევენ ქართლის კათალიკოსს. მაგრამ მღვდელთმთავრებთან ერთად კაპიტულაციის აქტს წერს საერო ხელისუფლებაც (ე. ი. ათაბაგი)[3]. ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია მცხეთის სამწყსოში შემავალი დიდ-ფეოდალთა საგვარეულოები სამცხე-საათაბაგოს, აგრეთვე, მცხეთისთვის საყმოდ შეწირული საეკლესიო-სამონასტრო სინირიები. ცხადია, კაპიტულაციის ეს აქტი შეიძლება შექმნილიყო მხოლოდ იმ ბრძოლის შემდეგ მცხეთის კათალიკოსსა და სამცხე-საათაბაგოს ხელისუფლებას შორის, რომელსაც ადგილი ჰქონდა XV საუკუნეში. სიაში შეტანილია ის ძველი ფეოდალური საგვარეულოები, რომელთა ადგილზე ისხდნენ XVI საუკუნის სამცხე-საათაბაგოს დიდგვარიანი ფეოდალები, მაგრამ ძველი სიაც და ახალიც შედგენილია ერთდროულად XVI ს-ში.

ასე რომ, ამ დოკუმენტის მიხედვით ვერ გადაწყდება ის საკითხი, არსებობდა თუ არა სამცხეში XII—XIII საუკუნეებში რუსთავის სამფლობელო.

მაგრამ მაინც გვაქვს თუ არა რაიმე პოზიტიური მონაცემები იმისთვის, რომ შოთას სამშობლოს ძიების დროს მესხეთის რუსთავს მივაკუთვნოთ უპირატესობა კუხეთის რუსთავთან შედარებით? მე ვფიქრობ, გვაქვს: უპირველეს ყოვლისა, ეს ის ლიტერატურული და ხალხური ტრადიციაა, რომელიც შოთა რუსთველს მესხად მიიჩნევს. ტრადიციას პ. ინგოროყვა და ჩვენც დიდ ანგარიშს ვუწევთ, როცა „ვეფხის-

[1] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს), ქრ. შარაშიძის გამოც., 1961, გვ. 31-35.

[2] ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 36—56.

[3] იქვე, გვ. 97—98.

ტყაოსნის“ ავტორის სახელად და ზედწოდებად შოთა რუსთველს მივიჩნევთ. ჩვენ ხომ ამ ტრადიციის გარდა, არ გაგვაჩნია არავითარი დოკუმენტური დადასტურება ამ სახელისა და ზედწოდებისა. მაშ, რატომ ვუწევთ, ერთ შემთხვევაში ლიტერატურულ ტრადიციას ანგარიშს და უყოყმანოდ ვიღებთ, მეორე შემთხვევაში კი — არა?

პ. ინგოროყვა „რუსთველიანას ეპილოგში“ აღნიშნავს:

„ტრადიცია ჰბადებს სიყვარულს. ჩვენ ვესიყვარულებით წმინდა სახელებს.

ჩვენ ყველანი შეჩვეული ვიყავით გვიანდელი დროის ტრადიციას, რომ შოთა რუსთველის სამშობლო არის სამცხე-ჯავახეთის რუსთავი. და როდესაც ჩვენ, რუსთველიანას პრობლემებზე მუშაობის დროს, პირველად დავრწმუნდით, რომ რუსთველის მხარე — ეს არის ძველი რუსთავი ჰერეთისა (რუსთავი თბილისისა), ჩვენ ეს თითქოს გვეუცხოვა კიდეც. ალბათ თქვენც ამასვე განიცდიდით პირველად, ჩემო ძვირფასო მეგობველო.

ხოლო ჭეშმარიტება კიდევ ახალი სიყვარულით აღგვავსებს“ (გვ. 635).

გარდა ამ ტრადიციისა, შოთას მესხობას რამდენადმე მხარს უჭერს ისიც, რომ საისტორიო წყაროები სახელ შოთას მესხეთ-თორში ხშირად იხსენიებენ. ასეთებია: 1) ქვაბისხევის XII — XIII ს ს. ფრესკა შოთას გამოსახულებით დიდებულის ტანსაცმელში[1], 2) ზარზმის წარწერა, შოთას მოხსენიებით, 3) სადგერის XV თუ XVI ს. ოდა შოთაშვილებისა, 4) XVI ს. საბუთი, სადაც სოფ. წნისში შოთასშვილები მოიხსენიება, და აგრეთვე მოწმობს ამ სახელის გავრცელებას მესხეთში, როგორც დიდებულთა, ისე დაბალი წრის წარმომადგენელთა შორის და სხვა.

ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე ანაკეკის ბარელიეფის წარწერაც: ეს ძეგლი პ. ინგოროყვამ შეიტანა მეცნიერული წაკითხვა და გამოსცა, როგორც ამას ცხადჰყოფს ნ. ბერძენიშვილის სტატია ამ წარწერაზე[2]. მაგრამ ამჯერად ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ ამ წარწერასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთ გარემოებას: აქ მოხსენიებული სახელები: გამრეკელი და ვარაზბაკური მიუთითებენ არა ორბელთა გვარზე, არამედ — თორელებზე. განა პ. ინგოროყვასთვის ცნობილი არ არის, რომ სახელი გამრეკელი არც ერთხელ არა გვხვდება ორბელებში და ამ დროისთვის თორელთა საგვარეულო სახელია? ასეთივე სახელია ვარაზბაკური, რომელიც გამრეკელთან შერწყმული სახით გვხვდება XI ს-ის წყაროში და რომელსაც ლ. მუსხელიშვილი ასევე თორელად მიიჩნევს[3]. შოთას მოხსენიება თორელთა გვარის წევრებში უნებურად გვაფიქრებინებს, რომ ეს შოთა, რუსთველია ის თუ სხვა ვინმე, უკავშირდება თორელთა გვარს.

ამის შემდეგ, ცხადია, უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ მესხეთის გარკვეული ნაწილი, ახალციხიანდ, XII—XIII სს-ში, თორელთა ხელთ იყო. ახალციხე თამარის დროს ეკუთვნოდა შალვა თორელს. ირკვევა, რომ ის მხარეც, სადაც მესხეთის რუსთავი მდებარეობდა, თორელებს ეკუთვნოდა. ამას მოწმობს შემდეგი:

მესხეთის თავადთა ზემოხსენებულ ნუსხაში გვხვდებიან ღობიერნი. ღობიეთი კი მესხეთის რუსთავის ახლოს მდებარეობდა, მტკვრის მობირდაპირე მხარეზე. ამის საფუძველზე პ. ინგოროყვა ასკვნის: შოთა რომ აქაური მფლობელი ყოფილიყო, ის რუსთველი კი არა, ღობიერი იქნებოდაო. მაგრამ რატომ არ შეიძლება დავუშვათ ღობიერთა სამფლობელოში ან მისსავე გვერდით რუსთავის სამფლობელოს არსებობა? გარდა ამისა, ჩვენ ხომ არ ვიცით, რა დროს ჩამოყალიბდა ღობიერთა სამფლობელო. ხომ შეიძლება შოთას დროს აქ რუსთავის სამფლობელო ყოფილიყო, მის შემდეგ კი, XIII

[1] იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. I, გვ. 227 — 229.

[2] იქვე, გვ. 272—283.

[3] იხ. ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, 1941 წ. გვ. 61.

ან XIV ს-ში ღობიეთის სამფლობელო გაჩენილიყო.

მაგრამ ვინ იყვნენ ამ ადგილების მფლობელნი, რუსთავისა თუ ღობიეთისა? ამას არკვევს ჯვრის აღაპებში დაცული ცნობა ერისთავთ-ერისთავ გამრეკელ ღობიარის შესახებ. ცხადია, ეს გამრეკელი, თავისი სახელისა და სამფლობელო ადგილის მიხედვით, თორელია. გამოდის, რომ მესხეთის რუსთავს XIII—XIV სს.-ში ფლობდნენ თორელები. აქაც შოთა თორელებს უკავშირდება.

ბოლოს შეიძლება აღინიშნოს კიდევ ერთი მანიშნებელი გარემოება: თამარ მეფის დროს მეჭურჭლეთუხუცესობა თორელებს უპყრიათ (შალვა თორელი), ხოლო თამარის შემდეგ, XIII ს-ში ამ სავაზირო ხელს ხან თორელები ფლობენ, ხან ჯაყელები — სამხრეთ-საქართველოს ეს ორი დიდი საგვარეულო. XIII საუკუნის შუა წლებში თორელებიდან მეჭურჭლეთუხუცესებად ცნობილი არიან გამრეკელი და კახა. ხოლო თუ შოთა რუსთველი მეჭურჭლეთუხუცესი იყო, ეს მას აახლოებს სწორედ სამხრეთ საქართველოს ამ ორ საგვარეულოსთან და, კერძოდ, თუ წინა მონაცემებსაც გავიხსენებთ, თორელებთან და არა ჰერეთის ერისთავებთან, რომლებსაც მეჭურჭლეთუხუცესობა მხოლოდ პ. ინგოროყვამ მიანიჭა. თორელების მეჭურჭლეთუხუცესობაზე ისეთი საეჭვო საბუთები კი არა გვაქვს, როგორიცაა „ერთი დეტალი თამარის ისტორიაში", ან ასათის მიერ სამეფო დარბაზში სასთაულის მიღება, არამედ პირდაპირი ცნობები ისეთი საისტორიო წყაროებისა, როგორიცაა ქართლის ცხოვრება, ისტორიული დოკუმენტები და ეპიგრაფიკული ძეგლები. ამ წყაროებში თორელები პირდაპირ იწოდებიან მეჭურჭლეთუხუცესებად, თორელები ფლობენ მესხეთის რუსთავსაც. რაღაც გვინდა ხელოვნურად მივაწეროთ მეჭურჭლეთუხუცესობა და რუსთავის მფლობელობა ჰერეთის ერისთავებს და თავს ვიდოთ იმის დამტკიცება, რისი დამტკიცებაც შეუძლებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, რა თქმა უნდა, არ ვამტკიცებ, რაიმე კატეგორიული დასკვნის გამოტანას შოთა რუსთველის ვინაობაზე და სადაურობაზე. დაუსაბუთებელი კონცეფციები ამ საკითხზე ისედაც ბევრია. მე მსურს მხოლოდ აღვნიშნო, რომ ლიტერატურულ და ხალხურ ტრადიციას შოთა რუსთველის მესხობის შესახებ არაფერი არ გამორიცხავს. საისტორიო წყაროების ზოგიერთი მონაცემები კი მხარს უჭერენ და თითქოს უფრო ასაბუთებენ შოთას მესხობასა და თორელობას.

დავუბრუნდეთ კუხეთის რუსთავთან მეჭურჭლეთუხუცესობის დაკავშირების საკითხს. დავუბრუნდეთ ე. წ. ჰერეთის ბაგრატიონებს: პ. ინგოროყვა ჰერეთის ბაგრატიონებად თვლის დავით აღმაშენებლის მიერ 1117 წელს შემოერთებული გიშის მფლობელებს ასათსა და შოთას. შემდეგში, ავტორის აზრით, მათი შთამომავლობა წინაურდება საქართველოს მეფის კარზე და ვაზირობასა და ჰერეთის ერისთავობასაც იგდებს ხელში. კერძოდ, ასათი უკვე დავით აღმაშენებლის დროს ხდება ჰერეთის ერისთავი და მანდატურთუხუცესი და უპყრია ეს სახელოები 1145 წლამდე, ვიდრე დიმიტრი I წინაადმდეგ ამბოხებაში თუ შეთქმულებაში არ გაერია, რისთვისაც ჩამოაქვეითეს: ჩამოართვეს ორივე ხელი. 1163 წელს, როგორც გვამცნობს პ. ინგოროყვა, ჰერეთის ბაგრატიონებს დიდი სამსახური გაუწევიათ ქვეყნისთვის მუსულმანთა კოალიციის წინააღმდეგ ანისისთვის ბრძოლაში, რისთვისაც მათ კვლავ დაუბრუნეს ჩამორთმეული სახელოები და გრიგოლ II ასათისძე გახდა ჰერეთის ერისთავიცა და მანდატურთუხუცესიც. შემდეგ, დვანა ბატონიშვილის 1177 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო, მათ ისევ დაპკარგეს ორივე ეს სახელო. ჰერეთის ერისთავთ-ერისთავობა მათ უბრუნდებათ 1191 წელს, ხოლო ვაზირობა, მე-

ჰურჭლეთუხუცესობის სახით, რუსთავთან ერთად — 1192-3 წელს.

მაგრამ არც ვაზირები და არც ჰერეთის ერისთავები არ ყოფილან არც ასათ I, არც მისი ძე გრიგოლ II. არც ერთ წყაროში ისინი არ იხსენიებიან არც ჰერეთის ერისთავებად, არც მანდატურთუხუცესებად. სად ამოიკითხა პ. ინგოროყვამ ცნობა, რომ დადგინ აღმაშენებელმა ასათ I უბოძა ჰერეთის ერისთავობა და მანდატურთუხუცესობა, სრულიად გაუგებარია.

ასევე არ ჩანს, საიდან დაასკვნა პ. ინგოროყვამ, რომ ასათმა მონაწილეობა მიიღო ფეოდალთა ამბოხებაში 1145 წელს, რისთვისაც ჩამოერთვა სახელობები (ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არავითარი ფეოდალთა ამბოხება 1145 წელს არ ყოფილა. ივანე აბულეთისძის დასჯა დემეტრე მეფის მიერ სრულიად არ ნიშნავს ფეოდალთა ამბოხებას. ძაგან აბულეთისძეც დასჯა დავით აღმაშენებელმა, მაგრამ ფეოდალთა ამბოხებას ადგილი არ ჰქონია). **ასე, წყაროებზე დაყრდნობის გარეშე. პ. ინგოროყვამ როგორც მისცა, ისევე ჩამოართვა ვაზირობა და ერისთავობა ასათს.** ასევე, არსად არ მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ გრიგოლ I ასათის ძეს რაიმე დამსახურება მიეძღოდეს ანისისთვის ბრძოლაში და ამტომ მიეღოს კიდეკ ვაზირობა და ჰერეთის ერისთავობა. პ. ინგოროყვას მიერ მითითებული თამარის ისტორიკოსი ამაზე სრულიად არაფერს გვაცნობს. დემნას აჯანყებაში გრიგოლ ასათისძე მართლაც მონაწილეობდა, თამარის ისტორიკოსის ცნობით, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, იყო თუ არა ის მაინცადამაინც ჰერეთის ერისთავი. ამ აჯანყებაში მონაწილე ივანე ვარდანის ძე კი შეიძლება სწორედ იმ ვარდან კოლონკელის ძის შვილია, რომელიც XII ს. 60-იან წლებში ჰერეთის ერისთავი უნდა ყოფილიყო. [1]

1191 წელს ასათ II-მ, გრიგოლ I-ის ძემ, საღირ კოლონკელის ძეს წარსტაცა ჰერეთის ერისთავობა. სწორედ ამ დროიდან ხდებიან მხოლოდ გრიგოლისძეები, ჩვენი აზრით, ჰერეთის ერისთავები, მანამდე კი ეს სახელო კოლონკელისძეებს ეპყრათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება მეჭურჭლეთუხუცესობას და რუსთავის ერისთავობას, არც ერთი და არც მეორე არც ასათ II-ს და არც ძის შთამომავლებს არ მიუღიათ.

ერთადერთი საფუძველი, რაზეც პ. ინგოროყვა ამყარებს თავის დასკვნას მათი გარუსთველებისა და გავაზირების შესახებ, როგორც ავნიშნეთ, არის ასათის მიერ არიშნაინის ადგილის მიღება სასთაულით.

როგორც ზემოთ განხილვამ გვიჩვენა, სასთაულით ადგილის მიღება სამეფო დარბაზში სრულიადაც არ ნიშნავდა მაინცადამაინც ვაზირობის მიღებას. როდესაც ასათმა იაჯა არიშნაინის ადგილზე სასთაულით დაჯდომა, ეს ადგილი, ცხადია, რუსთავს კი არ გულისხმობდა, არამედ ადგილს სამეფო დარბაზში, თანაც სასთაულით დაგებულს. ეს სასთაულიანი ადგილი, აღრე, როგორც ჩანს, არიშნაინს ეკუთვნოდა. ახლა, ეს საპატიო ადგილი დარბაზში, სასთაულით, ებოძა ასათს. რუსთავი და მეჭურჭლეთუხუცესობა აქ არაფერ შუაში არ არის. ასევე, არსად არ არის ნახსენები გრიგოლ ასათისძე მეჭურჭლეთუხუცესად, ან რუსთველად. პ. ინგოროყვას განცხადება, რომ ერთი „დეტალი თამარის ისტორიაში გვაფიქრებინებს გრიგოლის მეჭურჭლეთუხუცესობას“ („რუსთველიანნ“, გვ. 105—106) და რომ წყაროების „ირიბი ჩვენება“ იძლევა ამის საფუძველს („რუსთველიანის ეპილოგი“, გვ. 545), ცხადია, საბუთად ვერ გამოდგება.

ასევე, არსად არ ჩანს მეჭურჭლეთუხუცესად და რუსთველად შოთა ჰერეთის ერისთავი, ანუ შოთა კუპრი. არც ერთხელ ის წყაროში წოდებული არ არის არც მეჭურჭლეთუხუცესად და არც რუსთველად, არამედ მხოლოდ ჰერეთის ერისთავად. ამასთან, ის საოდაგეწეო ასპარეზზე XIII ს-ის 30-იან წლებში გამოდის.

[1] იხ. ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 12.

გიუგებარი რჩება, თუ კი შოთა კუპარი თავის პოლიტიკურ მოღვაწეობას XII ს. 90-იანი წლებიდან იწყებს, მაშინ რატომ არ ისსენება ის არც ერთხელ სისტორიო წყაროებში, არც თამარის დროს, არც ლაშა გიორგის დროს, რომელსაც ის დაუბრუნებია განდეგილობიდან? რატომ არ ახსენებს მას არც თამარის ისტორიკოსი და არც ქამთაალმწერელი ამ დროის მოღვაწეთა შორის? როგორღაა შოთა კუპარი ტბელის უფროსი ძმა, თუკი ტბელი თამარის დროსაა წყაროში ნახსენები, შოთა კუპარი კი მონღოლთა ბატონობის დროს? საიდანღა შეგვიძლია შოთა კუპარი თამარის ეპოქის მოღვაწედ მივიჩნიოთ, თუ საკითხს არ მივუდგებით წინასწარ აღებული აზრით შოთა კუპრისა და შოთა რუსთველის იგივეობის შესახებ?

ამით ვამთავრებთ კუბეთის რუსთავთან მეჭურჭლეთუხუცესობის დაკავშირების საკითხის განხილვას. **როგორც ვხედავთ, XII—XIII საუკუნეებში კუბეთის რუსთავთან მხლოდ ერთი მეჭურჭლეთუხუცესი — აბულასანი არის დაკავშირებული და არა შვიდი. დანარჩენებიდან არიშვიანი არც რუსთავის მფლობელი ყოფილა და არც მეჭურჭლეთუხუცესი. ორ ვარდანისძე მეჭურჭლეთუხუცესს არაფერი კავშირი არ ჰქონია რუსთავთან, ხოლო ჰერეთის დიდებულები და შემდეგ ერისთავები გრიგოლისძეები არც რუსთავის მფლობელები ყოფილან არასდროს და არც მეჭურჭლეთუხუცესები. საერთოდ, მათი საგვარეულოდან არ ჩანს არათუ ხუთი, არამედ არც ერთი ვაზირი, არც მანდატურთუხუცესი და არც მეჭურჭლეთუხუცესი.**

შოთა რუსთველის განდეგილობის შესახებ

შოთა რუსთველის ბიოგრაფიაში არის კიდევ ერთი შეუსაბამობა:

პ. ინგოროყვას ცნობით, შოთა რუსთველი განდეგილი იყო საქართველოდან 1196 წლიდან, ლაშა გიორგის მეფობამდე და განდეგილობაში დაწერა „ვეფხისტყაოსანი“, თუ მთლიანად არა, მისი დიდი ნაწილი მაინც (გვ. 217-18, 665-66).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თუ შოთა რუსთველი, ლოდ ლაშა გიორგის მეფობის დროს დაუბრუნეს საქართველოში 1210/20-იან წლებში, როგორც პ. ინგოროყვა აღნიშნავს, მაშ, როგორ-ღა იყო ის „რუსთავის სამფლობელოს“ გამგებელი 1196-1204 წლებში, ხოლო 1204 წლიდან, მამის გარდაცვალების შემდეგ — ჰერეთის ერისთავიც? ხოლო თუ შოთამ ჰერეთის ერისთავობა მიიღო არა მამის, გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ეს აღნიშნულია „რუსთველიანას ეპილოგის“ 676-ე, 678-ე და სხვა გვერდებზე, არამედ — 1210/20-იანი წლებიდან, როგორც ამას ვიგებთ „რუსთველიანას“ 116-ე, „რუსთველიანას ეპილოგის“ 581-ე და სხვა გვერდებიდან, მაშინ ვინღა იყო ჰერეთის ერისთავი 1204 წლიდან, ე. ი. გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ? ვაკანტური იყო ეს ადგილი და შოთას უნასავდნენ? როგორღა არიან შოთა და მისი ძმა ტბელი მოთავენი ჰერეთის ქვეყნისა 1204 წლიდან („რუსთველიანას ეპილოგი“, გვ. 678), თუ შოთა განდეგილია? როგორღა აღნიშნავს „რუსთველიანას ეპილოგში“ ავტორი შემდეგს: „მამის, გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ შოთაზე გადასულა თანამდებობანი ჰერეთისა და რუსთავის ერისთავთ-ერისთავისა (რუსთველისა), ხოლო მეორე ძმა ტბელი—ყოფილა მონაბარე სპასპეტი (მხედართმთავარი) ჰერეთის საერისთავოსი“ („რუსთვ. ეპ.,“ გვ. 676). ნუთუ, განდეგილი შოთა თამარმა ერისთავად დანიშნა დაუსწრებლად? **მეჭურჭლეთუხუცესობა შოთა რუსთველს მამის გარდაცვალების შემდეგ თურმე არ გადაეცა იმის გამო, რომ განდეგილი იყო („რუსთვ. ეპილ.“ გვ. 665—666). კი მაგრამ, ჰერეთის ერისთავობა კი შეიძლებოდა რომ გადასცემოდა? რუსთავის გამგებელი კი შეიძლება ყოფილიყო? მენაბარეობა თავის ძმა ტბელთან ერთად და მტრისთვის შიშის მოგვრა კი შეეძლო? (გრიგოლისძეთა, ე. ი. ტბელისა და შოთას**

მენაპირეობის დროს, წყაროს ცნობით, თურმე „მთი შიშით განძას და ბარდავს ყრმა მცირე ვერ აუტირდებოდა დედას“). ნუთუ განდევნილი შოთას შიში ჰქონდათ მცირე ყრმებს ბარდავსა და განძაში? და თუ აქ შოთას მაგიერად გრიგოლისძეებში ტბელის ვგერდით სხვა იგულისხმება და არა განდევნილი შოთა, მაშინ გამოდის, რომ ტბელის ძმა და მასთან ერთად მენაპირე სხვა ყოფილა, ჰერეთის ერისთავიც და რუსთველეც ამ დროს სჭეა ყოფილა, წინაადმდეგ შემთხვევაში, ხელი უნდა ავიღოთ შოთას განდევნის ვერსიაზე. პ. ინგოროყვა, რა თქმა უნდა, გრძნობს ამ შეუსაბამობასაც და როცა აჯამებს შოთა რუსთველის ბიოგრაფიას, გვერდს უვლის სწორედ ამ პერიოდს მისი ცხოვრებიდან, როცა ის განდევნილიცაა და ჰერეთის ერისთავიც, რუსთავის ერისთავიც და მის ძმასთან, ტბელთან ერთად მენაპირე. აქ პ. ინგოროყვა XII ს. ბოლოდან პირდაპირ გადადის XIII ს. 30-იან წლებზე, როცა შოთა კუპრი (იგივე შოთა რუსთველი, პ. ინგოროყვას აზრით) გამოჩნდება სამოღვაწეო ასპარეზზე („ეპილოგი“, გვ. 670-671). ვაზრთა სიაშიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავტორი შოთა რუსთველს ჰერეთის ერისთავად აცხადებს 1210/20-იანი წლებიდან („რუსთველიანა“, გვ. 116, „რუსთვ. ეპილ“. გვ. 581).

„რუსთველიანას“ 219-ე გვერდზე პ. ინგოროყვა ცდილობს გრიგოლის გარდაცვალება და შოთას დაბრუნება ერთ ქრონოლოგიურ ფარგლებში მოაქციოს, ერთმანეთს დაუახლოოს. ის აღნიშნავს:

„შოთას დაბრუნებისას უცხოეთიდან, გრიგოლ ჰერეთის ერისთავის გარდაცვალების შემდეგ, შოთაზე — როგორც ვგარის უფროს წარმომადგენელზე გადასულა ღირსება ჰერეთის ერისთავისა“. მაგრამ გრიგოლი გარდაიცვალა 1204 წ. ახლოს, ხოლო შოთა დაბრუნდა საქართველოში ლაშა გიორგის მეფობაში („ეპილოგი“, გვ. 666). მაშ, როგორღა შეიძლება ამ ორი ფაქტის ერთმანეთთან დაკავშირება? პ. ინგოროყვა ვერ აღწევს თავს ამ შეუსაბამობისაგ. ამისთვის მან შოთას განდევნილობა უნდა უარყოს, მაგრამ მაშინ ხომ მისი მანიქეველობა და მისი შერისხვაც უნდა უარყოს. ამასთან, შოთას მეუურჭლეთუხუცესთა რიგშიც ვეღარ მოეძებნება ადგილი: თუ მამის შემდეგ გახდა მეუურჭლეთუხუცესი, ე. ი. 1204 წ. შემდეგ, მაშინ როგორ წაართვა მას ეს ხელი ყვარყვარე ჯაყელმა, რომელიც მეუურჭლეთუხუცესად ლაშასა და რუსუდანის მეფობის ხანაში იყო? ხოლო თუ გვიან გახდა მეუურჭლეთუხუცესი, მაშინ რატომ არ მიიღო ეს ხელი მემკვიდრეობით მამისგან? ამიტომ მისი განდევნა თითქოს ნათელს ჰფენს ამ საკითხს, მაგრამ ბადებს სხვა შეუსაბამობებს. გამოსავალი ერთია: **უნდა დავასკვნათ, რომ შოთა რუსთველი არ ყოფილა ჰერეთის ერისთავი, ე. ი. შოთა კუპრი, არც გრიგოლის ძე, არც ტბელის ძმა, არც მისი საქართველოდან განდევნის შესახებ ვიცით რამე.**

III შოთას მეუურჭლეთუხუცესობის თარიღი

პ. ინგოროყვა შოთას მეუურჭლეთუხუცესობას ათარიღებს 1245 — 50 წლებით („რუსთვ. ეპილ.“, გვ. 664). ამ ქრონოლოგიურ ფარგლებს, როგორც პ. ინგოროყვა გვაცნობს, განსაზღვრავს ის გარემოება, რომ 1245 წლამდე და 1250 წლის შემდეგ მეუურჭლეთუხუცესობა უპყრიათ სხვა პირებს და მხოლოდ აღნიშნული 5 წელი — 1245 — 50 რჩება თავისუფალი შოთასთვის.

პ. ინგოროყვას გამოკვლევით, შოთას მამის, გრიგოლის შემდეგ მეუურჭლეთუხუცესები არიან შემდეგი პირები:

1. შალვა თორელი — 1204/5 წ.
2. ოვსე-ყმა — 1205—1212 წწ.
3. ყვარყვარე ციხისჯვარელ—ჯაყელი 1212—1245 წწ.

1250 წლის შემდეგ კი მეუურჭლეთუხუცესთა შემდეგი რიგია დადგენილი:

1. გამრეკელი თორელი — 1250 — 1257 წწ.

2. კახა თორელი—1257—1270 წწ.
3. სარგის ჯაყელი-ციხისჯვარელი—1270 — 1281 წ. წ.
4. ბექა ჯაყელ-ციხისჯვარელი 1281—1302 წწ. („რუსთ. ეპილ.“ გვ. 661—669).

უპირველეს ყოვლისა, ისმის კითხვა: თუკი პ. ინგოროყვას აზრით 1242—48 წ. წ. უმეფობის ხანა იყო საქართველოში, ვინ უბოძა შოთას მეჭურჭლეთუხუცესობის პატივი? პ. ინგოროყვა აღნიშნავს:

„1245 წლის ახლოს, როდესაც გარდაიცვალა მეჭურჭლეთუხუცესი ყვარყვარე-ივანე ციხისჯვარელი-ჯაყელი, მთავართა კრებას (რომელიც ამ პერიოდში, უმეფობის დროს, ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს) შოთა დაუდგენია საქართველოს სახელმწიფოს ვაზირად — მეჭურჭლეთუხუცესად — „წესისაებრ სახლისა“ („რუსთ. ეპილ.“ გვ. 671).

შეიძლებოდა კი მეფის გარეშე ვაზირის დანიშვნა? პ. ინგოროყვას ეს საკითხი არ აეტკივებს, პირადად ჩვენ კი ეშვი გვეპარება. მაშინ სრულიად უნდა შევიცვალოთ წარმოდგენა ამ პერიოდის ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო სამართალზე: ვაზირი ხომ მეფისა იყო, მეფის თანაშემწე, მეფის მოხელე. რა უფლება ჰქონდათ დიდგვაროან ფეოდალებს უმეფოდ ვაზირი დაენიშნათ? ამასთან, რა უფლებით ჩამოართვეს მეჭურჭლეთუხუცესობა ჯაყელთა სახლს მისმა თანასწორმა ფეოდალებმა და გადასცეს ჰერეთის ერისთავებს?

განვიხილოთ პ. ინგოროყვას მიერ შედგენილი შოთას წინამორბედი მეჭურჭლეთუხუცესების რიგი და გავარკვიოთ, მართლა არ რჩება იქ თავისუფალი ადგილი არც ერთი მეჭურჭლეთუხუცესისთვის? დავუშვათ, რომ 1204 წლამდე მეჭურჭლეთუხუცესებად მართლაც შოთას პაპა ასათი და მამა გრიგოლი იყვნენ, ხოლო 1204/5 წელს ეს ხელი შალვა თორელს ეპყრა. დავუშვათ, რომ გუნია-ყალის ძეგლში ოვსიყმის მოხსენება მართლაც მის მეჭურჭლეთუხუცესობას ნიშნავს. მაგრამ საიდან ჩანს, რომ ოვსიყმას ეს ხელი 1205 წლიდან 1212-მდე ეპყრა, ხოლო ყვარყვარე ჯაყელს 1212 წლიდან? აბსოლუტურად არსაიდან: გუნია-ყალის ძეგლი, ლ. მუსხელიშვილისა და ა. ბაქრაძის დათარიღებით, 1207—1212 წლისაა. ამავე თარიღს იმეორებს პ. ინგოროყვა, მართლაც ძეგლი 1207 წელზე ადრინდელი არ შეიძლება იყოს, რადგან აქ ლაშა-გიორგი უკვე მეფედ იწოდება თამართან ერთად, ე. ი. მისი თანამოსაყდრეა. რა საფუძველი გვაქვს, ძეგლის მიხედვით, ვამტკიცოთ, რომ ოვსიყმა 1205—1212 წლებში იყო მეჭურჭლეთუხუცესი? გუნია—ყალის ძეგლში მისი მოხსენება ხომ შეიძლება 1207 წლითაც დათარიღდეს და 1212 წლითაც, ე. ი. თავისუფლად შეიძლება შალვასა და ოვსიყმას შორის კიდევ ვინმე ყოფილიყო მეჭურჭლეთუხუცესი. ასევე არ ჩანს ყვარყვარე ჯაყელი მეჭურჭლეთუხუცესად 1212 წლიდან. პირველად ამ ხელის მფლობელად ის იხსენიება ლაშა გიორგის მეფობაში, მონღოლთა გამოჩენის დროს, რასაც, სომხური და არაბულ-სპარსული წყაროების ცნობებით, ადგილი ჰქონდა 1220—21 წელს (ყირაკოს განძაკელი, ვარდანი, ანონიმი სებასტეელი, იბნ-ალასირი, რაშიდ-ედ-დინი). აქაც, როგორც ვხედავთ, ყვარყვარემდე შეიძლება ერთიც და ორი მეჭურჭლეთუხუცესიც ყოფილიყო.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ აბულასანის შემდეგ არც ასათი და არც გრიგოლ ჰერეთის ერისთავები მეჭურჭლეთუხუცესები არ ყოფილან და აბულასანიდან შალვა თორელამდე ჩვენ არა გვყავს წყაროებში მოხსენიებული მეჭურჭლეთუხუცესი, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ თამარისა და ლაშა გიორგის მეფობაში, როგორც აბულასანსა და შალვა თორელს შუა, ე. ი. 1191 — 1205 წლებში, ისე შალვასა და ოვსიყმას შორის, ისე ოვსიყმასა და ყვარყვარე ჯაყელს შორის საკმაოდ თავისუფალი წლები რჩე-

ბა მეფურწლეთუხუცესის მოსათავსებ-ლად.

განვიხილოთ ახლა პ. ინგოროყვას მიერ წარმოდგენილი შოთას მომდევნო მეფურწლეთუხუცესების რიგი: გამრეკელი თორელი, კახა თორელი, სარგის ჯაყელი, ბექა ჯაყელი.

დავიწყოთ ბოლოდან: ბექა ჯაყელი მეფურწლეთუხუცესი არ ყოფილა. ის მანდატურთუხუცესი იყო და მხოლოდ ამ ხელით იხსენიება ყველა წყაროში. ვერც ერთ წყაროს პ. ინგოროყვა ვერ ასახელებს, სადაც ის მეფურწლეთუხუცესად იყოს წოდებული და ამდენად მისთვის ამ სავაზირო ხელის მიკუთვნება საფუძველს მოკლებულია.

სარგის ჯაყელს მეფურწლეთუხუცესად იხსენიებს ყამთაველმწერელი, მაგრამ გაურკვეველია, თუ რის მიხედვით ათარიღებს პ. ინგოროყვა მის მეფურწლეთუხუცესობას 1270—1281 წლებით.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ერთი აშკარაა: სარგისის მიერ მონღოლთაგან ხასობის მიღების დროს, რაც ულუ-დავითთან მის კონფლიქტს მოჰყვა (ამას კი ადგილი ჰქონდა არა 1268 წელს, არამედ 1266 წელს), სარგის ჯაყელი თუ მეფურწლეთუხუცესი იყო. ამას მოწმობს, ჯერ ერთი, სასტორიო წყაროს ცნობა, რომ ულუ-დავითმა, მოისურვა რა სარგისის დატყვევება, გამოჰკიტა ის საჭურჭლეში.[1] ცხადია, საჭურჭლეში სარგისი იმყოფებოდა. როგორც ამ უწყების გამგებელი და ამიტომ გამოჰკიტეს ის აქ. გარდა ამისა, ძალიან საეჭვოა, რომ მეფეს ამ კონფლიქტის შემდეგ, როცა სარგისმა ილხანისგან ხასობა მიიღო და ფაქტიურად გამოეყო საქართველოს სახელმწიფოს, მეფურწლეთუხუცესობა მიეცა სარგისისთვის. სულ სხვა საქმეა, რომ შემდგომში, სარგისის შვილი ბექა მანდატურთუხუცესი გახდა. მას მეფესთან კონფლიქტი არ მოსვლია, პირიქით — დიმიტრის მისი ქალიშვილ ... ცოლად და ბექა გიორგი ბრწყინვალის პაპა და გამზრდელი იყო.

ამრიგად, ჩვენი აზრით, 1266 წელს სარგის ჯაყელი უკვე მეფურწლეთუხუცესი იყო. ხოლო როდის შეეძლო მას შეეცვალა ამ სახელოზე მისი წინამორბედი მეფურწლეთუხუცესი კახა თორელი? არა უადრეს 1259—60 წლისა, როდესაც ამ წლის შეწირულების „დაწერილში“ კახა თორელი ჯერ კიდევ მეფურწლეთუხუცესად იხსენიება. შესაძლებელია, სარგის ჯაყელმა კახა თორელი შესცვალა მაშინ, როცა ეგვიპტეში მონღოლთა 1260 წლის ლაშქრობის დროს კახა თორელმა მხარი არ დაუჭირა ულუ-დავითის აჯანყებას, ხოლო სარგის ჯაყელმა კი სწორედ ამ დროს დიდად უერთგულა მეფეს. ყვარყვარე ჯაყელსა და კახა თორელს შორის პ. ინგოროყვა ათავსებს შოთასა და გამრეკელი თორელის მეფურწლეთუხუცესობას, სინამდვილეში კი კახას წინამორბედები იყვნენ გამრეკელი თორელი და მ[ა]მ[ო]რა, თუ მ[ა]ნ უ[ნ]ა. ეს უკანასკნელი მეფურწლეთუხუცესად იხსენიება არსენ ჭყონდიდელის მიერ აბულხტარისძისთვის ბოძებულ წყალობის „დაწერილში“, რომელსაც ის ხელს ურთავს. ამ დოკუმენტს პ. ინგოროყვა ასახელებს და როგორღა გამორჩა მისი ხელჩამრთველი მეფურწლეთუხუცესი, გაუგებარია. სერთოდ, არ ჩანს, რის მიხედვით აგდენს პ. ინგოროყვა შოთას მომდევნო მეფურწლეთუხუცესთა ქრონოლოგიას, რაზეც დამყარებულია შოთას მეფურწლეთუხუცესობის ზედა თარიღი. პ. ინგოროყვა აქ, ისევე როგორც არაერთხელ, ერთი **თავისთავად დაუსაბუთებელი დებულებით ასაბუთებს მეორე დებულებას.**

გამრეკელი თორელის მეფურწლეთუხუცესობაზე ჩვენ გვამცნობს ერთადერთი სასტორიო წყარო, უთარიღო დოკუმენტი — მიქელ კათალიკოსის „დაწერილი“, რომელსაც ხელს ურთავს გამრეკელი მეფურწლეთუხუცესი.[2] სა-

[1] ქართლის ცხოვრება, II, 1959 წ., გვ. 255 (ვარიანტი).

[2] ქრონიკები, II, 176, ს. კაკაბაძე, XIII ს. I ნახ. კათალიკოზები; ს. კაკაბაძე სასტორიო მოამბე, I, 1945, გვ. 3; დედანი: ცსსა. ფ. 1448, № 9253.

ბუთს მისი უკანასკნელი გამომცემელი ს. კაკაბაძე თარიღებს 1241 წლით.

მ[ა]ტ[ე]რჩა მეჭურჭლეთუხუცესი, როგორც აღვნიშნეთ, ხელს ურთავს არსენ ჭყოლდიდელის „დაწერილს“,[1] რომელსაც მისი გამომცემელი ს. კაკაბაძე თარიღებს 1242—45 წლებით, ხოლო ნ. ბერძენიშვილი 1241—42 წლით[2].

ამ დოკუმენტების დათარიღებაზე მსჯელობას ჩვენ აქ არ შეეუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არც ერთი ეს დოკუმენტი და არც მათი ხელმოწერები არ შეიძლება დათარიღდეს 1250 წლეზე გვიანი დროით.

ამას მოწმობს:

1. ორივე დოკუმენტი იხსენიებს ორ სხვადასხვა კათალიკოსს (მიქელი, არსენი). 1250—1282 წლებში კი ქართლის კათალიკოსია ნიკოლოზი (ნიკოლოზის კათალიკოსობის ქვედა თარიღი ჩანს მის მიერ ხელჩართული მსახურთუხუცეს გრიგოლ სურამელის დაწერილიდან), ე. ი. აღნიშნული 2 კათალიკოსი ნიკოლოზზე ადრე, 1250 წლეზე ადრე იყვნენ.

2. ორივე დოკუმენტს ხელს ურთავს ავაგ ათაბაგი, რომელიც სომხური წყაროების ცნობით გარდაიცვალა 1249 ან 1250 წელს (კირაკოსი, 1909, გვ. 377, სტეფანოს ორბელიანი 1910, გვ. 398, 412. ვარდანი, 1861, გვ. 194). მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ გამრეკელი ყამთა�აღარ ისხენიებს საქართველოში მეფეების დაბრუნების შემდეგ, ე. ი. 1248—49 წლის შემდეგ ის აღარ ჩანს სამოღაწეო ასპარეზზე. ამდენად, როგორც გამრეკელი, ისე მ[ა]ტ[ე]რჩა მეჭურჭლეთუხუცესებად ჩანან 1250 წელზე ადრე. მამურჩა ან მანუჩა სახელის მიხედვით ჯაყელი უნდა იყოს და შესაძლოა მეჭურჭლეთუხუცესობა მიიღო ყვარყვარეს შემდეგ.

ასე, რომ, 1245-50 წლებში შოთა მეჭურჭლეთუხუცესისთვის ადგილი აღარ რჩება: ის ისევ თამარის ხანაში (1184-1207) დავუბრუნოთ, როგორც ვაზირი — ან შალვა თორელის წინ, ან მის შემდეგ— უფრო კი, ვფიქრობ, მის შემდეგ. მით უმეტეს, რომ ოვსიყმა, გუნია-ყალის წარწერაში, ჩვენი აზრით, არ უნდა ვიგულისხმოთ ვაზირად ისევე, როგორც ვაჩე: ოვსიყმაცა და ვაჩეც შესაძლოა ადგილობრივი მოხელეები, ერისთავები ან პატრონები არიან. ამას მხარს უჭერს თრიალეთში შემონახული ქვემო ჯინისს წარწერა, სწორედ XII ს-სა, სადაც მოხსენიებულია აფრიდონის სიმამრი ოვსიყმა.[3] ამდენად, საჭირო არ არის ამ სახელის ძიება კახეთში და მისი ბაკურყმისთან დაკავშირება, როგორც ამას აკეთებს პ. ინგოროყვა.

ასე რომ, XII—XIII ს. ს. მეჭურჭლეთუხუცესთა რიგში შოთა რუსთველი შემდეგნაირად მოთავსდებოდა:

1. აბულასანი — 1191 წლამდე.

2. **შალვა თორელი**

მისი მეჭურჭლეთუხუცესობა არ გასცილდება 1205 წელს (ამ წელს ის უკვე მანდატურთუხუცესად ჩანს).

3. **შოთა (თორელი), რუსთველი**

მეჭურჭლეთუხუცესი ხდება შალვას შემდეგ, ე. ი. არა უგვიანეს 1205 წლისა.

4. **ყვარყვარე ჯაყელი**

მეჭურჭლეთუხუცესი ხდება, არა უგვიანეს, 1220-21 წლისა. ამ ხელს ფლობს 1245 წლამდე.

5. მამურჩა (ჯაყელი) } ამ ხელს ფლობენ 1250 წელზე ადრე
6. გამრეკელი თორალა }

7. კახა თორელი—1260 წლამდე.

8. სარგის ჯაყელი — 1260 წლიდან.

IV. შოთა რუსთველის პორტრეტული მინიატურის თარიღის შესახებ

პ. ინგოროყვა განიხილავს ე. წ. ზაზასეულ ხელნაწერიდან ამოჭრილ შოთა რუსთველის პორტრეტს, რომელიც ამჟამად დაცულია საქ. ხელოვნების მუზეუმში და შეუძლებად მიიჩნევს რა მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე მისი თარიღის ზედმიწევნით დადგენას რადგან „ქართული მი-

[1] ს. კაკაბაძე, შიო-მღვ. 3 ისტ. საბ., 1913; მისივე: სისტ. მ-ბე, II, 1925, გვ. 123—133; სისტ. კრ., II, 1928; საქ. არქ., II, 1927, გვ. 14-28; დედანი: ცსსა, ფ. 1448, № 5003.

[2] ენიმკის მ-ბე, V—VI, 1940. გვ. 403.

[3] Е. Такаишвили, Арх. экск., IV стр. 51—52.

ნიატურის ისტორია ჯერ არ არის ამდენად დამუშავებული“, ადგენს ამ თარიღს მინიატურის ზურგზე მოთავსებული 2 ძველი წარწერის მიხედვით: ამ წარწერებს პ. ინგოროყვა ასე კითხულობს:

1. „რმზ: ერისთავისა ვა [...
ის შვილი: გამოავალინე: [...

II. „ესე ვეფხის (sic!) რამაზ მდივანბეგ[ის ასულ]ია
მზითევზი მოყოლილი“.

ეს რამაზ ერისთავი პ. ინგოროყვას მიაჩნია 1465 წლის დოკუმენტში მოხსენიებულ რამაზ ქსნის ერისთავად, 1498 წ. დოკუმენტში მოხსენიებულ ერისთავ ქვენიფნეველის მამად. ამის მიხედვით პ. ინგოროყვა პირველ მინაწერს და თვით პორტრეტს ათარიღებს 1465 — 1498 წ. წ., ხოლო რადგან მეორე მინაწერში აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ რამაზ მდივანბეგის ასულის მზითვია, პ. ინგოროყვა ასკვნის, რომ პორტრეტი XV ს-ში მოთავსებული ყოფილა რამაზ ერისთავის კუთვნილ „ვეფხისტყაოსანში“, რომელიც XV ს. ბოლოს ან XVI ს. დასაწყისში მზითად გაუტანებიათ ციცოშვილზე გათხოვილ რამაზის ასულისთვის. შემდეგ, პ. ინგოროყვას აზრით, პორტრეტი XVII ს. 60-იან წლებში ამოუჭრიათ ამ ნამზითვი ხელნაწერიდან და ჩაუკრავთ ზაზა ციცოშვილის ბრძანებით გადაწერილ „ვეფხისტყაოსანში“. (გვ. 240-52; 875-80).

პორტრეტის I წარწერას პ. ინგოროყვა ათარიღებს, როგორც აღვნიშნეთ, XV ს-ით, ხოლო მეორე მინაწერს, ხელის მიხედვით, მე-18-19 ს. ს.-ით, როცა ჯერ კიდევ ხსომებიათ, რომ ხელნაწერი, სადაც ეს პორტრეტი ჩაკერული იყო, რამაზ ერისთავს ეკუთვნოდა.

მე, ცხადია, როგორც არანელოვნებათმცოდნე, ვერაფერს ვიტყვი პორტრეტის თარიღზე ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით. რაც შეეხება მინიატურის მინაწერებს, ისინი არავითარ საფუძველს არ იძლევიან მათი XV სიან დასათარიღებლად.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ პორტრეტის ზურგზე რამაზი მოხსენიებულია არა ორ, არამედ სამ მინაწერში. მესამე მინაწერი, რომელსაც პ. ინგოროყვა რატომღაც არ მოიხსენიებს, ასე იკითხება:

„ქ. ეს. ვე[ფ]ხის. ტყაო
სნი რმზ დიამბეგი
სა, ასულის. ბარბარი. ისი
ბით...“

ე. ი: „ქ. ეს ვეფხის ტყაოსანი რამაზ დიამბეგისა ასულის ბარბარისი...“

როგორც ვხედავთ, ამ მესამე წარწერიდან ირკვევა სახელიც რამაზ მდივანბეგის ასულისა, რომლისთვისაც გაუტანებიათ მზითად „ვეფხის-ტყაოსანი“. ამ მესამე წარწერის ხელი XVIII — XIX ს-საა და არაფრით არ შეიძლება ამაზე ადრე მისი გადატანა. ამაში ალბათ პ. ინგოროყვაც დაგვთანხმება. ასევე XVIII—XIX ს. ხელითაა დაწერილი მეორე მინაწერიც, როგორც ამას პ. ინგოროყვაც აღნიშნავს, ოღონდ II და III წარწერები სხვადასხვა პირის მიერაა შესრულებული და ამიტომ ერთიმეორისგან განსხვავდება. რაც შეეხება I წარწერას, რომელსაც პ. ინგოროყვა მიიჩნევს XV საუკუნისად, ის როგორც ამას სავსებით მართებულად აღნიშნავდა ს. კაკაბაძე თავის რეცენზიაში „რუსთველიანაზე“ 1927 წელს,[1] აგრეთვე დაწერილია XVIII საუკუნის ტიპიური ხელით, ოღონდ II და III წარწერებისგან განირჩევა იმით, რომ შესრულებულია უფრო დახვეწილი — მდივანმწიგნობრული ხელით. ამ ხელის მაკუთვნება XV საუკუნისთვის შეუძლებელი (რაც შეეხება ა-მეტობით მის დათარიღებას, ჯერ ერთი, აქ ა-მეტობა არ ჩანს, რადგან არც „ერისთავისა“ და არც „გამოავალინე“ ტექსტში არ იკითხება, მეორეც, ა-მეტობა წარწერას მაინც ვერ დაათარიღებდა XV ს-ით).

მაგრამ დავუბრუნდეთ II და III წარწერებს, რომლებსაც ინგოროყვაც

[1] ს. კაკაბაძე, „ვეფხისტყაოსანის“ საკითხის გარშემო, მნათობი, 1927 წ., № 11-12, გვ. 252.

ვერ დაათარიღებს XVIII საუკუნეზე ადრინდელი ხანით. ამ წარწერებში აღნიშნულია: „ეს ვეფხის ტყაოსანი რამაზ მდივან-ბეგის ასულისაა“. რომელი „ვეფხის-ტყაოსანი“ შეიძლება აქ იგულისხმებოდეს, როცა წერია „ეს „ვეფხისტყაოსანი“? ცხადია, ის, რომელშიც დაიწერა ეს სიტყვები, ე. ი. „ზაზასეული“, რადგან XVIII ს-ში პორტრეტი უკვე ჩაკრული იყო „ზაზასეულ „ვეფხისტყაოსანში“. ასე რომ რამაზ მდივან-ბეგის ასულისთვის მზითვებში გაუტანებიათ არა რომელიმე XV ს-ის „ვეფხის-ტყაოსანი“, არამედ — „ზაზასეული“. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, თითქოს ამ მინაწერის ავტორს XVIII თუ XIX ს-ში ახსოვდა, რომ პორტრეტი ამოჭრილი იყო XV ს-ის ხელნაწერიდან, რომელიც რამაზ მდივანბეგმა მზითვად გაატანა თავის ქალს ამავე საუკუნეში. და თუნდაც მას ეს ხსომებოდა, როგორც ამას აღნიშნავს პ. ინგოროყვა, რატომ დაიწერდა „ზაზასეულ ვეფხისტყაოსანს“ „ეს ვეფხის-ტყაოსანიო“, თუკი გულისხმობდა სულ სხვა „ვეფხის-ტყაოსანს“? უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ I წარწერაში, რომელსაც პავლე ინგოროყვა XV ს-სად მიიჩნევს, არც რამაზის მდივანბეგობაა აღნიშნული და არც მისი ქალის სახელი, ხოლო მეორე და მესამე წარწერებში ორივე გვხვდება.

რამაზ მდივან-ბეგი არ შეიძლება XV ს-სად მივიჩნიოთ კიდევ იმ უბრალო მიზეზით, რომ, როგორც ამას აღნიშნავს ს. კაკაბაძე იმავე რეცენზიაში, XV ს-ში მდივან-ბეგის თანამდებობა საქართველოში ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული საისტორიო წყაროებით[1]. მდივანბეგის ინსტიტუტი ამ დროის საქართველოში არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან ის შემოსული ჩანს სპარსეთიდან, რასაც არ შეიძლება ადგილი ჰქონოდა XVI ს. II ნახევრამდე[2]. მართლაც, პირველად ეს სახელი ქართულ წყაროებში XVII საუკუნეში გვხვდება. ამ დრომდე საქართველოში არ იყო ჯერ შემოსული მდივან-ბეგის ინსტიტუტი. არც ერთი მდივან-ბეგი საისტორიო წყაროებში არა გვხვდება XVII ს-მდე.

გამოდის, რომ რამაზი მდივანბეგთა სიაში გვიან უნდა ვეძებოთ და, კერძოდ, XVIII ს-ში, რადგან სამივე ეს მინაწერი XVIII საუკუნეზე ადრინდელი არ ჩანს პალეოგრაფიულად.

და მართლაც, XVIII ს. მდივან-ბეგთა შორის გვხვდება არა ერთ და ორ ისტორიულ დოკუმენტში (1765—1771 წლების), აგრეთვე ამ დროს შედგენილ მდივანბეგთა სიაში, მდივანბეგი რამაზ ენდრონიკაშვილი (სიაში რამაზ ენდრონიკოვი)[3]. რომ ეს რამაზ მდივანბეგი და მინიატურის რამაზი ერთიდაიგივე პიროვნებაა, ამას მოწმობს მინაწერის ფრაგმენტი პორტრეტზე: „ქ. დიმიტრ [ის] ენდრონიკოვის [ას]უ“...

ამდენად, შოთას მინიატურა მინაწერების მიხედვით XV ს-ით ვერ დათარიღდება. ამდენადვე, არავითარი ქნნის ერისთვისეული „ვეფხისტყაოსანი“ XV საუკუნისა შოთა რუსთველის მინიატურით არ არსებული.

რაც შეეხება ტბელის ხატს:

არსაიდან არ ჩანს, რა თქმა უნდა, რომ ეს ხატი ჰერეთის ერისთავთა ოჯახიდანაა და სრულიადაც არ ჩანს ამ ხატის საფუძველზე ჰერეთის ერისთავებისა და დადიანების ნათესაობა:

1. სახელი ტბელი გვხვდება არა მარტო ჰერეთის ერისთავებში, არამედ სხვა გვრეშიც (მაგალითად აბუსერის-ძეთა გვარში და სხვა). აბუსერის-ძეთა გვარში გვხვდება არა მარტო ტბელი, არამედ — გრიგოლიც: XI — XII სს-ში ამ გვარში გვხვდება 4 გრიგოლი[4].

---

[1] ს. კაკაბაძე, იქვე.

[2] ამის შესახებ იხ. ა. ბაქრაძე, მდივან-მწიგნობრობის სახელო და სარეო, 1964 წ. (გამოუქვეყნებელი), გვ. 46—47.

[3] იხ. ხელნაწ. ინს., Ad — 143, 1171, 1180, 1693; Hd — 8586 და სხვა. შ. მესხია, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისთვის, მასალ. სამ. და კავკ. ისტ., 1948 წ., ნაკ. I, გვ. 55. დედანი: ცსსა, ფ. 1450. № 11.

[4] იხ. აბუსერიძე ტბელი, ლ. მუსხელიშვილის გამ., 1941 წ., გვ. 34 (გენეალოგიური ხე).

2. დავუშვათ, რომ ხატის წარწერაში მოხსენიებული ტბელი გრიგოლის-ძე მართლაც ჰერეთის ერისთავია და ეს ხატი მისი გვარიდან მზითვის სახით გადმოვიდა დადიანების ოჯახში. რატომ უნდა მივიჩნიოთ ამ მზითვის მომტანად მაინცადამაინც ტბელის ქალი? ხომ შეიძლება ეს ხატი ერთი ან რამდენიმე საუკუნის შემდეგ მოეტანათ ხობის მონასტერში. თუკი ხატი ხობის მონასტერში გადმოადგილებულია სხვა ადგილიდან, რატომ არ შეიძლება ეს გადაადგილება მომხდარიყო არა XIII საუკუნეში, არამედ XIV ან XV საუკუნეში?

3. არის თუ არა ბორენა ტბელის ქალი? სახელი ბორენა XIII—XIV სს. გავრცელებულია სწორედ დას. საქართველოს დიდებულთა გვარებში.[1] ამიტომ არა გვაქვს საფუძველი, რომ ცოტნესთან ერთად აღაპში მოხსენიებული ბორენა (თუნდაც ის ცოტნეს ცოლი იყოს) ჰერეთის ერისთავთა ოჯახიდან გამოსულ ტბელის ქალად მივიჩნიოთ.

თვით აღაპი ცოტნესი და ოჯ. ... არ არის დათარიღებული და სრულიად არ არის აუცილებელი, რომ აქ მოხსენებული ცოტნე იყოს კოხტასთავის გმირი. ხომ არის, მაგალითად, მოხსენებული მანდატურთუხუცესი ცოტნე დადიანი ჯვრის მონასტრის XIV ს. აღაპში, სადაც მის მეუღლედ ჩანს მარიამ-ყოფილი მაკრინე.[2] (პ. ინგოროყვას ეს ცოტნე მანდატურთუხუცესიც კოხტასთავის ცოტნედ მიაჩნია[3]). XIV ს-ით ათარიღებს აგრეთვე ხელოვნებათმცოდნე თ. ვირსალაძე ხობის ეკლესიის მხატვრობაში გამოსახულ შერგილის, ნათელის და მათი ძის ცოტნეს ფრესკას.[4] ამ დათარიღებას მხარს უჭერს ეპიგრაფიული მასალაც, რომლის მიხედვით ცოტნეს მამა შერგილი XIII ს. მიწურულის მოღვაწეა.[5]

4. არსაიდან არ ჩანს, რომ ლენჯერის ხატში მოხსენიებული ბორენა და ცოტნესთან ერთად აღაპში მოხსენიებული ბორენა ერთიდაიგივე პირია. სახელი ბორენა, როგორც ადენშნეთ, საკმაოდ გავრცელებული იყო და მარტო ამ სახელით ვერ დავადგენთ ამა თუ იმ პირის ვინაობას. ამასთან, ლენჯერის ხატს პროფ. გ. ჩუბინაშვილი ათარიღებს XI საუკუნით[6], ხოლო თვით ლექსს კ. კეკელიძე ასევე XI ს-ით[7].

ამით ვამთავრებთ პ. ინგოროყვას რუსთველოლოგიური ნაშრომების: „რუსთველიანას“ და „რუსთველიანას ეპილოგის“ განხილვას. ამ ნაშრომებში მოცემული დებულებები XII—XIV სს. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილებისა და პოლიტიკური ისტორიის, აგრეთვე „ეეფხისტყაოსნის“ ავტორის პიროგრაფიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე, საისტორიო წყაროებით არ დასტურდება და მცდარია.

---

[1] ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისთვის, აღაპები: № 12, 19, 25, 179, 307.

[2] ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 170, აღაპი № 247.

[3] „რუსთველიანას ეპილოგი“, გვ. 738 — 739.

[4] იხ. თ. ვირსალაძე, შერგილ დადიანის დროინდელი მხატვრობა ხობში. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის 1 სამეცნიერო სესიის თეზისები, 1941 წ., გვ. 8.

[5] იხ. წალენჯიხის ეკლესიის ჯვარემის ხატის წარწერა, ძვ. საქართვ., III, გვ. 224 — 227. ხობის მაცხოვრის ხატის წარწერა, ძვ. საქართვ., III 137—139; მარტვილის ღვთის მშობლის ხატის წარწ., ძვ. საქ., III, გვ. 48—49 და სხვა წარწერები აღნიშნული ეკლესიების სიძველეებისა.

[6] Г. Чулиншвили. Грузинское чеканное искуство. Тб., 1959, стр. 609.

[7] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 593.

ისინი საჭოჭოლეთის ბრძოლნენ

ემზარ კვიტაიშვილი

ადამიანი სახელს არქმევს მდინარეს



ხალხინ-გოლი მონღოლეთის მდინარეა. ჩვენმა თაობამ გეოგრაფიისა და ისტორიის სახელმძღვანელოდან თუ იცის ეს მდინარე და მის მახლობლად გამართული ბრძოლები. ჩვენს უფროსებს, ჩვენს მამებს კი ამ ოცდახუთი წლის წინათ პირზე ეკერათ მისი სახელი. იმ დროს ჩვენს ქვეყანას შორეულ აღმოსავლეთში გააფთრებით უტევდნენ იაპონელი ავანტურისტები. მათ ვერ მოეწონებოთ ხასანის ტბასთან ნაგმები მარცხი და რევანშის აღებას ცდილობდნენ.

თუ რა ფანატიზმით, რა თავდაუზოგველად იბრძვიან იაპონელი ჯარისკაცები, ამაში ახლახან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა დოკუმენტურმა ფილმმა — „იაპონია ომებში". ფილმში, სხვათა შორის, ნაჩვენებია ის ჯოჯოხეთური ბრძოლა, რასაც 150 სასიკვდილოდ განწირული მფრინავი ამერიკის ერთ ავიამზიდთან ეწეოდა.

მეტად შემზარავი, დრამატული სურათია, როცა „საკეთი" (ბრინჯის არაყი) გამბრუებული იაპონელი მფრინავები კამიკაძეში სხდებიან და ამხანაგებს ეშვიდობებიან. ამხანაგები, რომელთაც ეს „ბედნიერება" არ ერგოთ წილად, ღიმილით აცილებენ მათ, თითქოს დიდ დღესასწაულებზე ისტუმრებენო. ფანატიკოს მფრინავებს ყვავილები უჭირავთ; თავიანთ სასაფლაოზე საკუთარი ხელით მიაქვთ თაიგული. მალე ჩვენ მოწმე ვხდებით იმისა, თუ რა უაზროდ იღუპებიან ისინი.

თვითმფრინავები განუწყვეტლივ უტევენ ავიამზიდს. უზარმაზარი გემი ტყვიების ნიღ-

ვარს აგებებს მოიერიშეებს: მხოლოდ ერთმა თვითმფრინავმა მიაღწია მიზნამდე — ავიამბრდს შეასკდა, დანარჩენებმა კი ოკეანეში ჩაჯეს სამუდამო სამყოფელი.

არანკლები გააფთრებით ებრძოდა იაპონია ჩვენს ქვეყანას; იგი არაფერს არ ზოგავდა, თავისი მზაკვრული მიზნისთვის რომ მიეღწია. მანჯურიის დაპყრობამ მადა უფრო გაუღვიძა, ნინეთის ზიდი რაიონებში შემოიჭრა და მალე სახალო მონღოლეთს დაადგა კბილი. იაპონელებმა თანდათან მოუხშირეს მონღოლეთის საზღვრის დარღვევას.

1939 წლის იანვრიდან იაპონელები მონღოლეთის საგუშაგოებსა და პოსტებს გამეფდნენ ესროდნენ. ამის შემდეგ დიდხანს არ დაუხანებიათ. 28 მაისს იაპონის ჯარები შეტევაზე გადმოვიდნენ. ურთიერთახმარების ხელშეკრულების თანახმად, სპეციალ კავშირი მხარში ამოუდგა მომძე მონღოლეთს.

ლეიტენანტი **აკაკი ბრიგოლია** ერთი პირველთაგანი იყო, ვინც სახღერის დამრღვევთა შესამაჩუნად გაეგზავნა. ახალგაზრდა მეთაურმა იმ ხანებში წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის სამხედრო სასწავლებელი და წინ უკვე ძმიმე გამოცდა ელოდა.

დიდ, სპეციალ ვაგზალზე მარშის ხმა მიწუდა, ეშელონი ნელ-ნელა დაიძრა. ბრძოლის ველამდე შორი გზა იყო. ბორბლების მონოტონურ ხმაურში მგზავრს ფიქრები მოეძალა.

დიდის ბოლო წერილი გაახსენდა. ეცოლის ფანჯრიდან შშობლის კეთილი, ნაღვლიანი თვალები მისჩერებოდა.

„...რამდენი ხანია აქაურობას შენი ხელი არ დასტყობია, ბიეები ძალიან შეხმარებიან, მაგრამ შენ მაინც სხვა იყავი. შენმა დარგულმა ალვის ხემ ისე იფარა ტანი, იმის ნახვას არაფერი სჯობია. რამეფერად მოახერხე, შენ შემოგეკენ, და ამ ზაფხულს ჩამოდი. ღამე არ გავა, სიზმარში რომ არ გნახო. სულ ჯიშკრისკენ მიეჩიოვე თვალი...“

აკაკიმ დედა ანუგეშა, მისწერა კიდევ, მალე შვებულებას მოკცემენ და ყველს განახულებთო. ვერ შეასრულა დანაპირები. არა უშავს, იმ თავხედებს ჩკუაზე მოიყვანს და საყვარელ ალორშინი ჩასცლის მერეც მოესწრება.

„როგორ იცვლება დრო, ადამიანები, ქეეყნები, — ფიქრობდა აკაკი, — მონღოლეთის დასაცავად მივდივარ, იმ მონღოლეთის, ჩემს სამშობლოში სისხლის ალოებს რომ ლეწავდა წინათ. ვინ იფიქრებდა...“

ვაგონის კიბეზე დასიცხული ჯარისკაცები ჩამოსსხდარიყვნენ, თამბაქოს აბოლებდნენ. რიგელიდაც ფანჯრიდან ფლეიტის ხმა გამოდიოდა. ის ხმა თანდათან სუსტდებოდა და უსაზღვრო სტეპში იკარგებოდა. გზა პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა. სტეპში გაეშალეთ ორთქლმავალი დროდადრო შეჩკვლებდა, თითქოს მოსაწყენი ერთფეროვნების დარღვევას ლამობსო.

ფანჯარაში ხან თეთრი არყის ხეები ეტაცებოდნენ, ხან ტანაშოლილი მწვანე ნაძვები. ხანგაბიშვებით მოუქცევი პურის ყანები გაიშლებოდა თვალწინ. ვინ იცის, ამ ყანის დამთესს ახლა იქნებ ფარაჯა ეცვა და ნამგლის მაგიერად ხელში შაშხანა ეჭირა.

მატარებლით მგზავრობას თითქმის ორი კვირა დასჭირდა. მერე მანქანებში გადასხდნენ. აქ სულ სხვა, მშრალი ჰაეა იყო. ხეს იშვიათად თუ დაინახავდი. ალაგ-ალაგ იალაღები საქონლის ჯოგით იყო მოფენილი. გამოჩნდა მდინარე ხალხინ-გოლიც. ფიფქივ რუხი, ფიქალი კლდეების კალაპოტში მიედინებოდა და თავადაც გამდნარ კლდეს ჰგავდა. ხანდახან ტალღა ნაპირს შეენარცხებოდა და აქაფდებოდა, თორემ ვერც იფიქრებდი, წყალი თუ იყო. მდინარის გაძმა ქვიშის ბორცვები მოჩანდა პატარ-პატარა პირამიდებივით. მალე დიდი ხიდი ბუდეში გიგხვია. ხალხინ-გოლი ზურგს უკან დარჩა. დაიწყო ნამდვილი უდაბნო.

მოსაღამოვებული იყო, ჩვენი ჯარების განლაგებას რომ მიუახლოვდნენ. დამხვდურები სიხარულით, ხვეევნ-კოცნით შეეგებნენ მოსულებს. ყველმ შეებთო ამოისუნთქა, მუხლი გამართეს, დანაყრდნენ.

აკაკი იმ საღამოსე გაეცნო ფრონტზე შეკმნილ ვითარებას. მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში მებრძოლ I არმიულ ჯგუფს ბ. კ. ჟუკოვი სარდლობდა. ჩვენი ჯარები მონღოლეთის სახალო რესპუბლიკის მებრძოლებთან ერთად მტრის შემოტეკვას აკავებდნენ. მალე კონტრშეტევა უნდა დაწყებულიყო.

ღილით აკაკიმ ოცეული პირადი შემადგენლობა გაიცნო, დაწვრილებით შეისწავლა ადგილმდებარეობა და საწყვრნელ ვარჯიშებსაც შეუდგა. ჯარისკაცებს თავიდანვე გელში ჩაგბეშდათ მისი ძლიერი, ვაკაკაცური სახე. ცდილობდნენ ყველფერში მეთაურისთვის მიებაძათ — ყუმბარის ტყორცნა ეწყობოდა თუ დაბრკოლების გადალახვა.

გადიოდა დღეები. ერთხელ, კარგად არც იყო გათენებული, თვითმფრინავის ზუზუნი რომ ჩაესმა. „ეერშეს ფწყებენ“, — გაუელვა თავში ლეტენანტს. მალე ფფიქრების ხმაც მოისმა.

მეთაურებმა საბრძოლო ამოცანა მიიღეს. აკაკიმ თავისი ოცეული სანგარში განლაგა. მტეკვიამფრქვევებს მარჯვე ადგილი მიეჩინა. ყველანი გაფფრთხილა, რომ მის ბრძანებას დელოდებოდნენ. თავად სათვალთვალო პუნქტისკენ გაემართა.

ჰორიზონტზე ჯერ მტრის ერთი ტანკი გამოჩნდა, მერე — მეორე, მესამე... ეერშეზე

ბადმოსულ ტანკებს წელში მოხრილი „სამურაები“ მოსდევდნენ კვალდაკვალ; აკაკიმ დურბინდი მოიშორა და ფრთხილი ნაბიჯით წავიდა თავის ოცეულისკენ.

ტანკების რახრახი თანდათან ახლოვდებოდა, ჯარისკაცებს სუნთქვა ეკვროდათ, ერთი სული ჰქონდათ ბრძანების მიღებამდე. ცოტაც და ქვემეზები აყეფდა, კვამლისა და მტვრის შაივსებტი ხან სად ავარდებოდა, ხან სადა. ერთი ყუმბარა იაპონელთა მეწინავე ტანკის ცხვირწინ დაეცა. მუხლუხოგაწყვეტილმა ტანკმა ადგილზე დაიწყო ტრიალი. კარგი ღელე არა მეორე ურჩხელს დადგმია, მაღე ისიც შავკვამლში გაეხვია. მტერი წამოიშალა და შეტეკვაზე გადმოვიდა. ტყეიამფრქვევების მჭახე ხმამ ბრძოლის ველი გააყრა. რამდენიმე იაპონელი სილაში ჩაეკეცა, დანარჩენები გაწყვნენ და ხოხვით მოიწევდნენ წინ.

მოწინააღმდეგეებს შორის მანძილი თანდათან მცირდებოდა. თავზეხელაღებული „სამურაები“ ყიჟინით კვლავ წამოიშალნენ. სანგარში მყოფნი ძლივს იკავებდნენ თავს. სანგრები მოშვავებული სილით ივსებოდა.

— წინ, სამშობლოსთვის! — გაისმა ლეიტენანტ გრიგოლიას ხმა.

მეთაურს მაშინვე მიჰყვა ხიშტებამობარჯვებული ოცეული და მტერს პირველნი ეკვეთნენ. ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ ნარწამხდარმა იაპონელებმა პირი იბრუნეს, გაქცევა იკადრეს. ბრძოლის ველზე მათ უამრავი საჭურველი და ბოკლელი დარჩათ. რამდენიმე მამაცი მეთაური და ჯარისკაცი ჩვენებაც მიაპარეს მონღოლეთის მიწას. იმ დღეს საბეთოა და მონღოლეთის ჯარებმა საკმაოდ დიდი მანძილიდან წაიწიეს წინ, იაპონელებს ძალიად დაუჯდათ ბოლო შემტკივა. მტერი მდინარე ხალხინ-გოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მაღლობებზე გამაგრდა. პირველი არმიეული ჯგუფი გადამწყვეტი შეტევისთვის ემზადებოდა.

ბრძოლებში გამოჩენილი თავდადებისა და მამაცობისთვის 1939 წლის 24 აგვისტოს აკაკი გრიგოლიას მედლით აჯილდოებენ. მებრძოლებს ახარებთ თავიანთი მეთაურის ყოველი წარმატება, ლტაკცებული არიან მისი ხალასი გულით, ადამიანური თვისებებით.

ჩვენი ჯარების წინსვლას ბევრი დაბრკოლება ელობებოდა. ყველაზე მეტად უწყლობა სტანჯავდათ მებრძოლებს. უგზოობის გამო ჯარის ნაწილებთან წყლისა და სურსათის მიტანა ჭირდა. ხანგამოშვებით ცხელი ჭარი მძვინვარებდა, ჰაერში ზაზდული მტვერი და ღორი ცას აბნევლებდა. მერე ქარი ნელ-ნელა წყნარდებოდა, მზეზე ისევ თვალსმომჭვერელად ლაპლაპებდა ბარხანები.

უდაბნო კაცის თვალსა და გულს ღლის, მიდიხარ წინ და არ თავდება ერთი ზომის, ერთი ფერის სილა-ქვიშის ბორკვები; არსად სიცოცხლის ნიშანწყალი. უზარმაზარი მზე ცეცხლოვანად აცხუნებს და ისედაც გამომშრალ მიწას გულს უშრობს. „ბებელ რომ ბებელ[illegible] ღოლეთში ისიც იკბინება..“ — მაგონდება ერთი მეურლის ნათქვამი. ღერი ბალახიც არ ირჩევა არსად. ფერდობებიდან ჩუმი შრიალით, ტალღასავით მოცურავს სილა და გახეულებულ, მაშრალ ადამიანს იგი წყლად ეჩვენება. ოფლის დიდი წვეთები ეცემა მიწას და ჯარისკაცები აგრძელებენ მომქანცველ, უმძიმეს გზას.

საბოლოო შეტევისათვის ყველაფერი მზად არის. მტერი წულნა გატეხილი, მაგრამ უკანასკნელ ზღუდეს ებღაუჭება. გთხენდა 28 აგვისტოც, ჩვენი ჯარების შეტევის დღე. ლეიტენანტ გრიგოლიას ოცეულს სხვებთან ერთად ერთ-ერთი ყველაზე ძნელადმისადგომი მაღლობი ეფარა.

ორი წუთელი შუაშუნა ცაში იიპრა და თავქვე დაეკიდა. ეს იყო ნიშანი. ჩვენი ჯარები გადაშწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. აკაკი კვლავ წინ მიეფლოდა თავის ბიჭებს. მისი სიმარდე და შეუპოვრობა მეზობელ ოცეულსაც ფრთებს ასხამდა. ტყეიები წვიალით გადაფიოდა მოიერიშეთა თავზე. მაღლობამდე, სადაც მტერი განსაკუთრებით მოხეტხეტებულად იყო გამაგრებული, ორასიოდე ნაბიჯი დარჩა, სასაზღვრო ხაზიც იქვე გადიოდა. აღმართი თანდათან აძნელებდა იერიშს. ის იყო მაღლობისთვის გვერდიდან უნდა მოეკლო, რომ უეცრად ლეიტენანტმა წაიბიძრიძეა, შეტორტმანდა. ჯარისკაცებს პირველად ეგონათ, სილაზე ფეხს ვერ ამაგრებსო, მაგრამ აკაკიმ რომ ჩაიჩოქა და მისი ყრუ ვნიანვა გაიგონეს, მიხვიწნენ, რაც მომხდარიყო. ჯარისკაცები მაშინვე მასთან მიეცვდნენ და სამიდო ადგილს, მოფარებულში გაიყვანეს.

დაჭრილი ძლივს სუნთქავდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა. ჭკერდი სისხლით ჰქონდა შეღებილი. აკაკიმ ერთ-ერთ ჯარისკაცს სუსტი ხმით უთხრა, მოიერიშეებს გაძღოლოდა, დანარჩენებს ხელით ანიშნა, ახალ მეთაურს გაჰყოლოდნენ. მერე ვეღარე ხელს აწევდა შეძლო, თვალები თანდათან ებინდებოდა, გრძნობდა, როგორ უეცრედებოდა ფეხები. ს

ბოდნენ მათ, ვინც მტერზე გამარჯვებას ვერ მოესწრო, ვისაც უდროოდ შეაცივდა ხელში შაშხანა.

ორი დღის შემდეგ ნაწილში აკაკის დაჯილდოების ამბავი მოვიდა. მალე დაღუპულის დედამ უწყება მიიღო:

„ძვირფასო ბარბალე ანტონის ასულო!

ღრმა მწუხარებით გაუწუხებთ, რომ თქვენი შვილი, ეროვანი არმიის ნამდვილი გმირი ლეიტენანტი აკაკი არრილის ძე გრიგოლია ჩვენი მძლავრი სამშობლოს საზღვრების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა.

მან ბევრი რამ ვაკაცთა ჩვენი გამარჯვებისათვის. დავკარგეთ უხაზღვრად საყვარელი ადამიანი და პატიოსანი მებრძოლი. იგი ყველაფერში პირველი იყო, მუდამ პირადი მაგალითით ამხნევებდა ჯარისკაცებს.

თქვენი შვილისთანა გმირები არ კვდებიან. გუშადეთ, რომ იგი კვლავ ჩვენთან ერთად იმყოფება. მუდამ გვეხსომება ჩვენს გვერდით მებრძოლი ვაჟკაცი. ჩვენ არასოდეს არ დავიიწყებთ მას...“

უწყებას ხელს აწერენ საბჭოთა კავშირის გმირი მაიორი ზაიცევი და უფროსი პოლიტხელი ნიკოლაევი.

რა ანუგეშებს იმ დედას, რომელმაც თავისი შვილის სფლავიც არ იცის, ვინც ვერ დაატირა იგი და თვალები ვერ დაუკოცნა, სანამ შავ მიწას მიიყრიდნენ.

ძნელია, ტანში არ გაგცრას და ისე წაიკითხო საბრალო დედის წერილები. დედა თხოვს სახალხო კომისარს, რათა მან ნება დართოს მასა და აკაკის ორ ძმას — ნიკოსა და ალექსანდრეს, რომ დაღუპულის ნეშტი საქართველოში გადმოსვენონ. დედა თხოვს სარდლობას, დაწერილებით მისწერონ, თუ როგორ დაიღუპა მისი ბიჭი; წერს, რომ როგორმე გამოუგზავნონ შვილის პირადი ნივთები, ყველაფერი, რასაც მისი შვილი შეჰხებია, რაც დაღუპულ პირმშოს მოაგონებდა. თუმცა რა მოგონება და გახსენება სჭირდებოდა მოუგზავნელ იარას, დედის გულს რომ სამუდამოდ დაჰანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვაგვარად კვდებიან ადამიანები. თუკი ბრძოლაში სიკვდილი ეწერა, აკაკისთანა ვაჟკაცი სწორედ ასე უნდა დაეცემულიყო, ასე უნდა შეწყვეტილიყო მისი ამაყი გულის ფეთქება.

ლროისგან გაყვითლებულ, გაცრეცილ სურათს დავყურებ. ვაკვირდები დაძარღვულ ხელებსა და ხარიფით ღონიერ კისერს, ოდნავ სვედიან, დაღლილ თვალებს, დაღლილს ომით და ოცნებით, ესაა ამ კაცის ნამდვილი სახე, ისევე უბრალო და გმირული, როგორც მთელი მისი სიცოცხლე.

ჩვენი თაობა იმით არის ძლიერი, რომ ასეთი წინამძრბდებდა ჰყავდა. მისი თავგანწირვა ჩვენი სულის, ჩვენი არსებობის განუყოფელი ნაწილია. თვითონ მან კარგად იცოდა, თუ ვინ გამოზარდა, ვისი შთამომავალიც იყო.

ჩვენი ვალია, დავიწუალოს არ მივეცეთ კაცური კაცის სახელი, მუდამ გვახსოვდეს იგი, ვინც ღირსია მოგონების, კეთილი სიტყვის.



უამრავი მდინარეა ამქვეყნად. ადამიანი სიხელს არქმევს მდინარეს; და მიდის მდინარე. მიდის და მიაჭროლებს ცისფერ, რუხ, სისხლისფერ ზვირთებს. მიდის და მისი ზვირთები სიცოცხლეზე მეტრიან. გრილით ხედავს ამოშავალ მზეს და ტალღების ტლაშუნით აცილებს ჩამავალს.

შეიძლება ოდესმე დაშრეს მდინარე, შეიძლება მისი კალაპოტი სილამ ამოავსოს, მაგრამ სახელი მაინც დარჩება მისი, თუ იგი დიდი ამბების მოწმე და მონაწილე იყო. ასეა კაციც.

ნიერო-ფანტასტიკური ფილმი „ეფათე მსხვერპლი“ ჯილო პონტეკოტორვოს ფილმი-რეპორტაჟი მკითხაობასა და სასწაულთმოქმედების შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ლუიჯი ვანცის ფილმი-რეპორტაჟი ამერიკის შეერთებულ შტატებზე და მრავალი სხვა.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით გაზეთ „უნიტას“ მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილ ფილმთა უმეტესობა ამჟამადაც მხოლოდ გასართობი და კომერციული ფილმი იქნებაო.

დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ფანჯიკიძე

ბრაზილიის დიდი გუნდი

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდის საბჭოთა კავშირში ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენს რედაქციას ეწვია ზოთა იამანიძე. მან თქვა: „აუცილებლად ნახეთ პელე. იგი ისე გამოირჩევა ყველა ფეხბურთელისაგან, როგორც, ალბათ, ადმირალი ნელსონი გამოირჩეოდა რიგით მეზღვაურისაგან.“

მე ზოთა იამანიძის სიტყვები მაშინვე გამახსენდა, როგორც კი ბერნი პელემ მიიღო, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ტურნემ ევროპაში დიდი ინტერესი გამოიწვია. მით უმეტეს, რომ კარზე მომდგარი ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატი. ბრაზილიელები უმაღლეს დონეზე ბევრჯერ შეხვედრიან ევროპულ კოლექტივებს. 1963 წლამდე ბრაზილიის ეროვნული ნაკრები ოცდაცხრამეტჯერ შეხვდა ევროპის ქვეყნების ეროვნულ ნაკრებ გუნდებს. აქედან 32 გამარჯვება ბრაზილიელებმა მოიპოვეს, ორი მატჩი ფრედ დამთავრდა, დამარცხებულებმა კი მხოლოდ შვიდჯერ დატოვეს მოედანი.

1963 წელს ბრაზილიის ნაკრები კვლავ ეწვია ევროპას. მაგრამ ამჯერად გუნდში ორიოდე კაცი თუ თამაშობდა იმ შემადგენლობიდან, რომელმაც ბრაზილიას ზედიზედ ორჯერ დაუმკვიდრა მსოფლიოში უძლიერესის სახელი. ტურნეს წმინდა ექსპერიმენტული ხასიათი ჰქონდა. ისინი ეცნობოდნენ ევროპულ ფეხბურთს და თან ცდილობდნენ მოძალი ჩემპიონატისათვის ახალგაზრდებს შორის შეერჩიათ ყველაზე ღირსეული კანდიდატები.

ტურნემ ბრაზილიელების სახელს ეერფერი შემატა. ოთხი წაგება (პორტუგალიასთან 0:1, ბელგიასთან 1:5, ჰოლანდიასთან 0:1, იტალიასთან 0:3), ორი მოგება (საფრანგეთთან 3:2, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან 2:1) და ერთი ყაიმი ინგლისის ეროვნულ ნაკრებთან — აი ინგარიში ამ საფეხბურთო მოგზაურობასა. ბრაზილიელებს შედეგები მაინცადამაინც არ ინტერესებდათ. ისინი, ძველი მთავარსარდლებისა არ იყოს, ხელმძღვანელობდნენ პრინციპით: არაფერს არ ნიშნავს წაგო მეორე ხარისხოვანი შეტაჯება, მთავარია, მოიგო გენერალური ბრძოლა.

მიუხედავად ამისა, ბრაზილიის საზოგადოებრიობა საყვარელი გუნდის მარცხს აღშფოთებული შეხვდა. ექსპერიმენტი ექსპერიმენტია, მაგრამ არავის არა აქვს უფლება შელახოს ბრაზილიური ფეხბურთის ღირსებაო, — უკიჟინებდა პრესა ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობას. ისინი იძულებულნი გახდნენ ხალხის აღშფოთებისათვის ანგარიში გაეწიათ და 1964 წელს რიო დე ჟანეიროში ჩატარებულ მცირე თასის გათამაშებაში სასტიკად დაამარცხეს ინგლისელები (5:1) და პორტუგალიელები (4:1). თუმცა პირველებმა მაინც თავიანთ მუდმივ და უძლიერეს მოქიშაეს — არგენტინას დაუთმეს.

ამ უკანასკნელ მოგზაურობასაც წმინდა ეკსპერიმენტული ხასიათი ჰქონდა. ბევრმა სახელმოხვეჭილმა ვეტერანმა დატოვა ნაკრები. ბრაზილიელთა მთავარი მწვრთნელი ვისენტი ფეოლა განსაკუთრებით დიდის დაკარგვას განიცდის და ვერც ახლო მომავალში ხედავს მის ღირსეულ შემცვლელს. იგი სინანულით და მადლიერების გრძნობით იგონებს ჟილმარს, ნილტონ სანტოსს, ვავას, ზაგალოს, ზიტოს. ევროპაში ფეოლამ 22 ფუბპურეული ჩამოიყვანა. რამდენიმე უძლიერესი ფეხბურთელი ბრაზილიაში დატოვა, როგორც უდასტიკლინონი. მან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა — ჯერ ვერაფერს ვიტყვით ლონდონის ჩემპიონატში ბრაზილიური ფეხბურთის ღირსების დაცვას ვის მივანდობთო. იგი მხოლოდ ერთადერთ კაცს ასახელებს, ვინც აუცილებლად ითამაშებს ლონდონში. ესაა პელე.

მოეხსენებოდა ასეთი მიზნისა, ფეოლამ 1963 წლის გაკეთილიც ვითვალისწინა და ამჯერად ნაკრების ამოცანას მოწინააღმდეგეზე გამარჯვებაც შეადგენდა.

ტურნე თავიდანვე დიდი წარმატებით დაიწყო. ბრაზილიელმა საკუთარ მოედანზე დამარცხა ბელგიისა (5:0) და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (2:0) ეროვნული ნაკრება გენდენი. არგენტინელებთან შეხვედრა კი უშედეგოდ დამთავრდა, თუმცა ბრაზილიელები ორი ტაიმის განმავლობაში უტეხენენ მოწინააღმდეგის კარს. შემდეგ მსოფლიო ჩემპიონებმა დამარცხეს ალერის ნაკრება (3:0). პორტუგალიასთან კლაკვ ყაიმს დასჯერდნენ (0:0), დაამარცხეს შვედები (2:1) და საბჭოთა კავშირის ნაკრები (3:0).

როგორც ვხედავთ, შვიდ თამაშში ბრაზილიელებმა მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვეს, მაშინ როცა მოწინააღმდეგის კარში 15 ბურთი ეიარტნეს. ამ უბრალო არითმეტიკითაც შეიძლება სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ბრაზილიელ მცველებზე და თავდასხმელებზე.

მოსკოვში, ჭ. მესნერთან, ს. მატრეველთან, ვ. ბარქაისთან და გ. სიენავასთან ერთად გავემგზავრე. ბიუბი სპრძოლველად ეყენენ ვანწყობილი, არც ერთი არ ფიქრობდა, ბრაზილიელებთან თამაში განსაკუთრებით მიხეილ მესხს სწყუოდა. მსოფლიო ჩემპიონებთან შეხვედრა მისი ფიდი ხნის ოცნება იყო. მე ადრეც ბევრჯერ მისაუბრია მიხეილ მესხთან. მას მსოფლიოში ფაღლიესად ყოველთვის ბრაზილიური ფეხბურთი მიაჩნდა. ამჯერად კი განაცხადა, ყველას იტალიური ფეხბურთი მირჩევნიაო. მე არ ვიცი, რატომ შეიცვალა თბილისელთა გარეშარმბა თავისი აზრი. იქნებ იმიტომ, რომ იტალიელთა თამაშში რაღაც განსაკუთრებული პროფესიონალური ნიუანსები შენიშნა, რაც მის ხასიათსა და თამაშის მანერას უფრო ეგუებაო? ან იქნებ იმიტომ, რომ უბრალო ფსიქოლოგიური მიზეზების ეგონ ბრაზილიელთა მაჩრის წინ არ უნდოდა [illegible] ლიოს ჩემპიონებზე ძალიან მაღალი აზრისს ყოფილიყო?

მოსკოვში საბჭოთა კავშირის ნაკრები ტარასოვკაში, საზოგადოება, „სპარტაკის" ბაზაში დაბინავდა.

ტარასოვკაში გამგზავრების წინ ყველა ფეხბურთელი ვინანებეო. ვერ ვიტყვი, რომ ყველას უხარიოდა ბრაზილიელებთან თამაში.

ორ იერსის საბჭოთა ნაკრებმა ტარასოვკაში საწვრთნელი ვარჯიში ჩაატარა. 4 საათზე კი ისინი ბრაზილიელების ვარჯიშის საყურებლად გავემგზავრნენ ლუჟნიკების ცენტრალურ სტადიონზე. მე ვნახე ორთავე ნაკრების ვარჯიში. უნდა ითქვას, რომ ამ საწვრთნელ ვარჯიშებს შორის დიდი განსხვავება იყო. და სწორედ ამაზე მინდა გესაუბროთ. მით უმეტეს, რომ მაჩრის დროსაც ბრაზილიელებისა და საბჭოთა ფეხბურთელების თამაშში იგივე განსხვავება შეინიშნებოდა.

საბჭოთა ფეხბურთელებმა მძლოსნური ვარჯიშები ინდივიდუალურად ჩაატარეს. ზოგმა მეტ ხანს ივარჯიშა, ზოგმა ნაკლებ ხანს. ერთი კი იყო, ეტყობოდა, ასეთი ვარჯიშები მაინცდამაინც არც ერთს არ სიამოვნებდა. არ იგრძნობოდა ხალისი, რიტმი. ისინი თითქოს ბურთით ვარჯიშზე ბეგადსელ წინ რაღაც საკალდებულო ბეგარას იხდიდნენ.

ბრაზილიელები კი მსგავს ვარჯიშებს სულ სხვანაირად ატარებენ. მე ადრეც წმიკეთხავს, ბრაზილიელები მუსიკის სხვადასხვა რიტმზე ვარჯიშობენო. მოსკოვში მუსიკა არ დაუკრავთ, მაგრამ მწვრთნელი (მძლოსნობაში მათ ცალკე მწვრთნელი ჰყავთ) ტაშის ცემით სხვადასხვა რიტმს გამოსცემდა. ამ რიტმის მიხედვით 22 ფეხბურთელი ვარჯიშს ისე ერთდროულად ასრულებდა, ისე ერთდროულად სუნთქავდა, გეგონებოდათ, ერთი კაცი ვარჯიშობსო. თავისათვე ასეთი რიტმელი მოძრაობა ისეთი ლამაზი სანახაობა იყო, რომ მაყურებელი მათ ტაშით აჯილდოვებდა (ვარჯიშს 15-20 ათასამდე კაცი დაესწრო). ამ მეთოდით ვარჯიში არამც თუ მოსაბეზრებელი და მოსაწყენია, პირიქით, უფრო იოლი და სახალისოა. ყოველ შემთხვევაში, კაცი სხვანაირ დასკვნას ვერ გაკეთებდი, როცა ბრაზილიელთა მხიარულ სახეებს უყურებდი. ეს წვრთნა არ იყო ტანიური საწვრთნელი ვარჯიში. თუნდაც იმიტომ, რომ ბრაზილიელები ამის შემდეგ ორმხრივ თამაშზე გადავიდნენ და საშუალება არ მოგვეცა გვენახა მათი ინდივიდუალური წვრთნა. ბრაზილიელმა ორი ოც-ოც

წუთიანი ტაიმი ითამაშეს ორ შეხებაზე. ისინი ამ მეთოდით თამაშს „დოის ტოკეს“ უწოდებენ. ეს კი იმის ნიშნავს, რომ ფეხბურთელს უფლება აქვს ბურთს მხოლოდ ორჯერ შეეხოს. ამ ორი შეხებით მან უნდა მოასწროს ბურთის დამეშვებაც და გადაწოდებაც.

მე ხშირად მინახავს სპბ̆ოთა ფეხბურთელების თამაში სამ შეხებაზე. ისინი ხან ნაბეჯარ მოედანზე ან კვადრატში თამაშობენ.

კვადრატში თამაშისას ამოცანა გაიოლებული ია. მთავარია, რომ ბურთი არ დაკარგო და მიაწოდო შენს პარტნიორს, სადაც არ უნდა იყოს იგი.

მთელს მოედანზე თამაშისას კი (ნუ დაგვიწყდება რომ ბრაზილიელები მხოლოდ ორ შეხებაზე თამაშობენ) ამ ამოცანას ემატება მეორე ამოცანაც. მარტო ბურთის შენარჩუნება როდი კმარა, თან მოწინააღმდეგის კარს უნდა შეუტიო და თამაშიც უნდა მოიგო. ეს ფეხბურთელებისგან ძალზე მაღალ ტექნიკასა და სწრაფ აზროვნებას მოითხოვს.

წარმოიდგინეთ როგორი დახვეწილი ტექნიკა უნდა ჰქონდეს ფეხბურთელს, რომ ერთი შეხებით ბურთი სასვენთან დიამორჩილოს, ხოლო მეორე შეხებისას მოგრძარეობა ძალზე სწრაფად შეაფასოს და ბურთი პარტნიორს გადაუწოდოს. არაზუსტ გადაწოდებას კი ბრაზილიელები განსაკუთრებულ დანაშაულად თვლიან.

საწვრთნელი მატჩის დროს ბრაზილიელი თავდამსხმელები დამცველების როლში გამოდიოდნენ. მცველები კი მოწინააღმდეგეთა კარს უტევდნენ და ძალზე აგრესიულადაც. ორმოცმა წუთმა ისე გაიარა, მოწყენილობა არავის უგრძნია. ფეხბურთელები ხუმრობდნენ, შეცდომებზე ერთმანეთს დასცინოდნენ. ბოლოს კი ისეთ აზარტში შეეიდნენ, თამაშის დამთავრებას აღარ ახარებდნენ.

თამაშს მეორე მწვრთნელი ამარილი სჯიდა და ხელმძღვანელობდა. თვითონ ფეოლა მოედნის განაპირას იჯდა და კაცი ვერ შეატყობდა, თამაშს თვალყურს ადევნებდა თუ არა.

მე საბჭოთა ფეხბურთელების საწვრთნელი ვარჯიში გამახსენდა. მოროზოვი ფეხბურთელებს ბურთს თვითონ უგორავდა და დარტყმაში ავარჯიშებდა. მან კარგად იცოდა, რომელი კენ ხმარობდა მარცხნა ფეხს და რომელი მარჯვენას, რომელი კენ ურტყამდა გაჩერებულ ბურთს, რომელი გაგორებულს და ა. შ. იგი ყოველ ფეხბურთელს თავისი ნაკლის მიხედვით ავარჯიშებდა.

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის წინაშე ასეთი პრობლემა როდი დგას. თუ ფეხბურთელი სრულყოფილად არ არის დაუფლებული ურთულეს ტექნიკურ ოლეებს, მას არამც თუ ნაკრების შემადგენლობაში, საშუალო სიძლიერის კლუბშიც კი არ აიყვანენ.

ბრაზილიელებს საწვრთნელი თამაშის დროს ბევრმა ვერც კი შეატყო რომ ორ შეხებაზე თამაშობდნენ. მე და მეხეელ მესნი ეს ადვილად შეგვეძინა. მახსოვს, მე თვითონ პირველი ტაიმის დასასრულამდე ვერ მიეხვედი, რომ თამაშში ორ შეხებაზე იყო. ერთ მომენტში დუდუ ბურთს ორჯერ შეეხო, მერე განზე გადგა და თავის თანაგუნდელს დაუძახა, ბურთთან მოდიო. მაგრამ მოწინააღმდეგე უმალ გამოეკენა. დუდუ იძულებული გახდა ბურთს მესამედ შეხებოდა. მსაჯმა თამაში გაიჩერა და ბურთი მოწინააღმდეგეს მიაკუთვნა. გაოცებული მიშას მივუბრუნდი და ეუთხარი, თურემ ორ შეხებაზე თამაშობენ-მეთქი. მიშამ თავი დამიქნია და მითხრა, ძალიან მაგრები ყოფილანო.

ბრაზილიელები უბრუნდნენ ისე ოსტატურად თამაშობენ, ისე მოძრაობენ და ისეთ ფინტებს აკეთებენ, კაცმა თუ წინასწარ არ იცი, ვერც კი მიხვდები, რომ ბურთს მხოლოდ ორჯერ ეხებიან.

არ ვიცი, ბრაზილიელებს მანგას მეტი მეკარე ჩამოეკვანილი ჰყავდათ თუ არა, მეორე კარს მათი კაპიტანი ბელინი იცავდა. ფრიგი ბურთებიც არ აუღია, მაგრამ ერთხელ, როცა შედარებით იოლი ბურთი გაუშვა, თანაგუნდელმა ერთი ვიიუშვიელებელი აუტეხეს.

ვინც მსოფლიოს ჩემპიონების ვარჯიშს უყურა, მე მგონი, ექვი არ ეპარებოდა, რომ მომავალ ოლიმპრძოლაში გამარჯვება ბრაზილიელებს დარჩებოდა.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ფეოლა გუნდის ტექნიკურ წვრთნაში თითქმის არ მონაწილეობს. მისი მთავარი ამოცანაა, ნაკრების შემადგენლობაში აყვანილ მრავალ შესანიშნავ ფეხბურთელთა შორის შეარჩიოს თერთმეტი კაცი.

— როცა მწვრთნელი ასეთი არჩევნის წინაშე დგას, მგონი უფრო დიდ გასაჭირშია, ვიდრე მწვრთნელი, რომელსაც არავინ ჰყავს ასარჩევი, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ვასენტე ფეოლამ, — ფეხბურთის გუნდი ორკესტრს ჰგავს, სადაც ყველა ინსტრუმენტს თავისი პარტია აქვს, თუმცა ყველა ერთ მელოდიას კი ასრულებს.

მოსკოვში საკმაოდ კარგი თავდამსხმელებიც ჩამოვიყვანეთ. მათი რიცხვი არცთუ ისე მცირეა — რვა კაცი. საჭიროების შემთხვევაში მათ დაემატება ამარილდო, ალტაფინი, მაცოლა და დიდი ყაირი. ისინი ახლა იტალიის საალუმინო გუნდებში თამაშობენ. მოდი და, თუ კარგი ბიჭი ხარ, ამდენ ხალხში ამოარჩიე ოთხი საუკეთესო ფეხბურთელი.

აქ საქმე მარტო ის კი არ არის, გამოიცნო უძლიერესი, მაგალითად, ფლავიო უფრო ძლიერია თუ ალტაფინი. მთავარია, ვის შეარჩევ იმ ოთხეულისათვის, რომელსაც საბოლოოდ მიანდობ თავდასხმას. შერჩეულნი ფეხბურთელები ერთმანეთს ესიტყვიდ უნდა უგებდნენ.

ტაქტიკური ბრძოლის დროს და ერომანეთის თვისებებს უნდა ავსებდნენ ტექნიკური მოქმედების დროს.

ტაქტიკის სიახლეზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა გუნდის შემადგენლობა გაირკვევა. აი, სწორედ აქ გამოჩნდება ხოლმე მწვრთნელის ოსტატობა. ყველა ფეხბურთელის თვისებებს გათვალისწინება სჭირდება და საბრძოლო გეგმაც ამისდა მიხედვით შემუშავდება. თუმცა ძირითადად ალბათ არ ეუღალტები მოთამაშეთა ასეთ განლაგებას — 1-4-2-4, რომელიც მსოფლიოში ბრაზილიური სისტემის სახელით მონათლეს.

ფეოლს სტადიონში რაღაც გვენიშნა, როცა ფეხბურთელები ფუნქციების და მიხედვით სულ სხვანაირად მოიხსენა. ჩვენ და მთელი საფეხბურთო მსოფლიო მიჩვეულია ასეთ გამოთქმებს — მეკალი, ნახევარმცველი, თავდამსხმელი. ფეოლმა კი თავისი მოთამაშეები ასე მოიხსენია: დასაყრდენი ნახევარმცველი, მეოთხედამცველი, ნახევართავდამსხმელი, ბომბარდირი. ეს რიმი ახალი ტაქტიკური სქემის მიხედვით შემოღებული „თანამდებობებია“ თუ მოთამაშეთა ინდივიდუალური თვისებებია გათვალისწინებული? ამაზე საკუთარ თავს პასუხი მატჩის დროს გავეცი, როცა დასაყრდენი ნახევარმცველის ფუდუს და ნახევართავდამსმელის ეგრსონის თამაშს ეკვირდებოდი. ეს ახალი „თანამდებობებები“ ნამდვილად ფეხბურთელთა ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინების საფუძველზე იყო შემოღებული.

ბრაზილიელთა თამაშს ადრე მხოლოდ რამდენიმე კინოფილმით და პრესით ვიცნობდით. რა ტექნიკური სიახლეები შეიმჩნეოდა მათ თამაშში? პირველ რიგში ყურადღება მიიქცია ფლანგების განსხვავებულმა ტაქტიკურმა მანევრმა. შეეცინა და ჩილში ბრაზილიელები ფლანგებიდან უტეოდნენ. მოსკოვში კი გარემარბები ცდილობენენ, შეტევის ფრონტი რაც შეიძლება ფართოდ გიეჭიმთ. ამ დროს პელე და ფლაკი ცენტრიდან შემოდიოდნენ.

როგორც კი მოედანზე გარინჩა გამოვიდა, გარემარბის სამოქმედო ტაქტიკაც შეიცვალა. იგი ორჯერ გავდა ფრთდან (ბურთი სულ სამჯერ მიიღო) და ძველებურად ბურთი კარის გასწვრივ ჩასჭრა. აქედან კიდევ ერთი საგულისხმო დასკვნის გამოტანა შეიძლება. ფეოლა გუნდის საბრძოლო გეგმის შედგენის დროს ფეხბურთელების მოქმედების საკუთარ ფორმულის კი არ უმორჩილებს, არამედ ფორმულის იმ ფეხბურთელების ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით ადგენს, რომლებსაც კონკრეტულ მატჩში ანდობს ნაკრების ბედს. რაც, იმავე მატჩში, სამწუხაროდ, ნაკლებად იგრძნობოდა საბჭოთა ფეხბურთელების მოქმედებაში.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ ერთი გარემოებაც აღვნიშნოთ. საბჭოთა მწვრთნელს საბრძოლო გეგმის შედგენის დროს ძალიან ეფიქრა უნდა გაეთვალისწინებინა პელე და გარინჩა. ფეოლს წინაშე კი ასეთი პრობლემა არ იდგა. მოვრჩი.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ბრაზილიელთა განლაგებამ იმ დროს, როცა ბურთი ჩვენს ფეხბურთელებს ჰქონდათ. ისინი მოედანზე ისე განლაგდებოდნენ ხოლმე, რომ ყოველი მოწინააღმდეგე ბრაზილიელთა კვადრატში ექცეოდა. თითქმის შეუძლებელი იყო არამე თუ გრძელი, საშუალო პასის გადაწოდებაც კი. ფეოლა მტერია ფეხბურთელის „ეფექტურობაზეა“. თავდამსხმელს საბრიოლის შემთხვევაში უნდა შეეძლოს შეეგებელის დამცველებს, ანდა, პირიქით, ბურთის გადაცემის დაგვიანება, ან დაკარგვა მე ყველაზე დიდ დანაშაულად მიმაჩნია, — ამბობს იგი. ფეოლა დიდი სიყვარულით იგონებს ზაგალოს, რომელმაც ჩილში „შეთავსებით“ თამაშში ნახევარმცველისა და გარემარბის პოსტებზე.

ბრაზილიელთა მაღალ ტექნიკაზე ბევრი დაწერილა და ბოლოს საკუთარი თვალითაც ვნახეთ მათი შეუდარებელი ოსტატობა. მაგრამ პელე თვით ბრაზილიელთა შორისაც კი მწკვეთრად გამოირჩევა.

ნილტონ სანტოსი წერდა: პელეს აქვს ადამიანის გარეგნეა, ელენოს პრაქტიკული ნიჭი, ზაზინიოს ფანტაზია, ბალოსაზარის თავრეტარტმა, ლუნდისის შემოქმედებითი სულია. ფეოლამ თქვა, პელე არც კი ვიცი, ვის უნდა შევადაროო.

„შავი მარგალიტი“ მართლაც იდეალური ფეხბურთელია. მას აქვს უბრწყინვალესი დრიბლინგი, გარეგეკა, კომბინაციური ალო, ზუსტი და დროული გადაცემები. პელე შესანშნავად ხმარობს ორივე ფეხს და ურტყამს ყველა მდგომარეობიდან. შეუდარებელია თავით თამაშში. იგი ძალზე სწრაფია, 100 მეტრს ფარავს 10,8 სეკუნდში და ბოლოს, ფეოლს სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი არა მარტო დიდებული სოლისტია, დიდებული პარტნიორიცაა. მატჩს შემდეგ საშუალება მომეცა პელესთან მესაუბრა.

— ეს იყო თქვენი და თქვენი გუნდის საუკეთესო თამაში? — ვკითხე მე.

— ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, — გაიცინა პელემ. — მაგრამ ეს თამაში არ შეიძლება ყოფილიყო ჩვენი საუკეთესო მატჩი. მართალია, ტროპიკებში ვცხოვრობთ, მაგრამ ახლა ბრაზილიაში შეგაღული ზამთარია. ექიდან გავემგზავრეთ ალეარში, მერე პორტუგალიაში, შვეიცარიაში და ბოლოს მოსკოვში. ჰავის ასეთი კონტრასტული ცვლილებანი, რომ აღარაფერი ვთქვათ მომქანცველ მოგზაურობაზე, ბიუგეზზე

გურამ ფანჯიკიძე

ბრაზილიის დიდი გუნდი

ძალიან მოქმედებს. მართალია, ყველგან დიდ გულით გვხვდებიან, მაგრამ ისე მაინც ვერ ვვარჯიშობთ, როგორც საკუთარ სახლში. მე ბრაზილიაში ყოველდღიურად 6-8 საათს ვვარჯიშობ. ამ მოგზაურობისას კი დღეში მხოლოდ ორ საათს ვახერხებდით წვრთნას. ძალი მიყვარს, სიმსუქნისკენ მიდრეკილებაც მაქვს და ფეხბურთელისთვის შეუფერებლად მოვიმატე. ახლა მე ხუთი კილოგრამი მაქვს დასაკლები. მოდით, თქვენ დასაკვენით, იყო თუ არა ეს ჩვენი საუკეთესო თამაში.

დასკვნები კი მართლაც ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ბრაზილიელებმა ლუნიკებში მოგვიხიზეს ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატის კონტურები. საბერძნეთზე, უელსზე, და განსაკუთრებით კი დანიაზე გამარჯვებამ ჩვენი უფრადღება შეასუსტა. ბრაზილიელებმა ბურთზე შეევახსენეს, რომ დანიის ეროვნული ნაკრების კლასის გუნდები ლონდონში მხოლოდ ტურისტებად თუ ჩავლენ. შეევახსენეს ის საფეხბურთო ჭეშმარიტებანიც, რომლებიც არ უნდა დავივიწყებოდა შვეიცარიის და ჩილის მსოფლიო ჩემპიონატების შემდეგ.

წინ კიდევ ერთი წელია. ერთ წელიწადში კი ბევრი რამის მოსწრება და გათვალისწინება შეიძლება.

ჟურნალი გაფორმა მხატვარმა გიორგი როინიშვილმა

რედაქციაში შემოსული მასალები, მოცულობით ერთ თაბახამდე, ავტორებს უკან არ დაუბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 5-08-75, პ/მგ მდივნის — 5-08-86, განყოფილებების: კრიტიკისა და პუბლიცისტიკის — 5-08-85, პოეზიისა და პროზის — 5-08-25.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/VIII-65 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 973. უე 05652. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 8.500.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთ ჩემპიონატის
ელსზე, და განსა-
ოკვეგებამ ჩვენი ყუ-
ოელებმა დროზე
ოვნული ნაკრების
მხოლოდ ტურის-
ნეს ის საფეხ-
ლებიც არ უნდა
ჩილის მსოფლიო

ერთ წელიწადში
გათვალისწინება

ბ,

ბეჭდის: ქრი-
8-35.

ბ. პირობით
ირაჟი 8.500.



ბრაზილიელი „ტორსედორები“ მატჩის დაწყების წინ.

ფოტოები ეკუთვნის „სოვეტსკი სპორტის“ ფოტორეპორტიორს
იური მორგულისს

უტევს გარინჩა

თქვენ მეკითხებით, რას ვფიქრობ ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე? ალბათ მომიწევს მესამე ბურთის მოპარვაც!—ასეთი პასუხი გასცა ჩვენს სპორტულ მიმომხილველს **გურამ ფანჯიკიძეს** შეკითხვაზე ბრაზილიელთა „სახელგანთქმულმა მასაჟისტმა **მარიო ამერიგომ**.



6"/244

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ"

ИЗДАТЕЛЬСТВО
„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА"

ИНДЕКС 76236

ფასი 60 კაპ.